1S22/2
2006

ლიტერატურა და ხელოვნება

მხატვრული ხელმძღვანელი
ქაბუა ამირეჯიბი
გრიგოლ რობაქიძე

ოფიციალური
ოტია იოსელიანი

თანამშრომელი
ბაჩანა ბრეგვაძე

ოფიციალური
ვაჟა ოთარაშვილი
თამაზ ჩხენკელი

მხატვრული
ნინო ზაალიშვილი

N1
01/2006



პორტრეტი



მოხუცები

ბეჟან შველიძე

აბსტრაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

01/2006

ISSN 1512-3189

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა"

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი:
ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი:
ტარიელ ხარხელაური

მთ. რედაქტორის მოადგილე:
მანანა მიქელაძე

რედაქტორები:
ზურაბ თორია
დავით ტაკიძე

180

მხატვარ-დიზაინერი:
მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა:
ელენე გამგონიძე

რუბრიკების დიზაინი:
თამთა ხურცილავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ზაზა გულაშვილი

მისამართი:
რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: 8 99 25 60 14

გამოცემის სპონსორია
მაგთიკომი

სარჩევი

მიღოცვები 3-4

ქართული ლიტერატურა

ოტია იოსელიანი - გედის სიმღერა /დასანყისი/ 5
ვაჟა ოთარაშვილი - ახალი ლექსები 17
მარტუს ტულიუს ციცერონი - სციპიონის სიზმარი /ლათინურიდან თარგმნა და კომენტარები დაუთთო ბაჩანა ბოლქვაძემ/ 21
ჭაბუა ამირეჯიბი - ევგენი პეტროვიჩ სეგედი 32
მიხეილ ანთაძე - მოთხრობები 33
გიორგი გაჩეჩილაძე - ლექსები 39
ჰერმან ჰესე - ტესინური შემოდგომის ღამე /გერმანულიდან თარგმნა დავი ფანჯიკიძემ/ 41

მწერლის სარკიდან

გრიგოლ ხობაქიძე - წერილები ნიკოს ჯაზანძაკისს 45

წარმდგენი

დავით ყანჩაშვილი - ნატვრა 55

წერილები

ომან ოლანი - ინდეს მოძღვრებათა ამერიკული ნინამორბედები /თარგმნა თამაზ ჩხენკელმა/ 57

მუსიკა

ლექსო ტუხიაშვილი - ბღუზი 63

მხატვრობა

ნინო ზაალიშვილი - ბეჟან შველიძე 65

კინო

პაატა იატაშვილი - პირველი სახალხო კინოფესტივალი „მზე" 69

კულტურული ქრონიკა

მამუკა მაისურაძე - პორტუგალიის მეფეები და დედოფლები 76
ტულტუხული სიახლეები 77

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საერთაშორისო საბჭო:

ფაბიუს ძვირიერი, ბარბარა ბრეგვაძე, ნანა ბრეგვაძე,
მერაბ ბერძენიშვილი, ანაგა ბოლქვნაძე, მაყვალა გოთანაშვილი,
თამაზ ჩხეიძე, გიორგი ფირთაგი

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება

მივესალმებით ახალი ეკონომიის „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოცემას. ვიმედოვნებთ, რომ იგი ხელს შეუწყობს საზოგადოების სულიერ–კულტურული დონის ამაღლებას და მოსახლეობაში ჯეშმარიტი ღირებულებების დამკვიდრებას.

მინდა თქვენი ეკონომიის საშუალებით შობა–ახალი წელი მივულოცო თქვენს მკითხველთ და სრულიად საქართველოს და ეს-ერვი სიხარული, მშვიდობა და ყოველი სიკეთით აღვსება.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს–პატრიარქი

24373

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ძმაო და მაცონო გია!

ძალიან გამახარა და უმჯობესი მომავლის იმედი განმიმტკიცა ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოცემის ამმაგმა, რომლის მატერიალური უზრუნველყოფა შენ განგიზრახავს. ჩვენ დროში ამაზე დიდი ღვაწლი და ქართველი ერის სულიერების სამსახური ძნელი წარმოსადგენია.

მიიღე ჩემი მადლობა ჯერ იმისთვის, რაც საქართველოსთვის აქამდე გაგიღია და მერე შენი ახალი, ზემოხსენებული ღვაწლისთვის.

ქართველი ერი და მისი კულტურა სამუდამოდ შემოინახავს შენს სახელს.

ნება მიბოძე, „მუხლჩაუხრელი ძველმოძმედი“ გიწოდო.

მაღალი ღმერთი და ქართველი ერი შენთან იყო, არის და იქნება.

ჯაბუა ამირეჯიბი

28.10.2005

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქია იოსელიანი

ბედის სიმღერა

წუთისოფელი რაც უნდა წახდეს და ბოლო მოეღოს, ეს დალოცვილი კარგი ქალი მაინც კარგი ქალია! ის კი არადა, ქვეყანას რომ ქვეყანა ჰქვია, სადაც ქალს ქალი ჰქვია და კაცს კაცი, იქ ისე აუცილებელი არცაა, როგორც დაქცეულსა და წყალწაღებულთა ყოფიერებაში, სადაც სიდუხჭირე ზნეობას აჩანაგებს, მშვენიერებას აუფასურებს და სიყვარულს, რისთვისაც ღმერთმა ადამიანი შეჰქმნა, ამ ამაღლებულ გრძნობას უჩლუნგებს.

არა და არა, რაც გინდა ის თქვი და, იმ კურთხეული კარგი ქალის ფასი დედამიწის ზურგზე არაფერია!.. ააფრინე ალალი, რაც არ არი, არ არი...

როგორ გეკადრებათ!.. არც მეტი და არც ნაკლები, ქალით იწყება ქვეყანა და ქალით თავდება.

კარგი ქალის სიახლოვე, ხელის მიწვდენა, მოხვევნა, კოცნა და ალერსი კი არა... მარტო გამოჩენა და შორიდან დანახვაც კი ყველაფერს ნირს უცვლის. ხე რომ ხეა, ხეს ააყვავებს და ცა რომ ცაა, იმას გადაჰყრის ღრუბლებს ცის იერს დაუბრუნებს... და ვინ იცის, რას რად აქცევს. ქვა რომ ქვაა, აიღო და ქალი გამოძერწო, თვალს ვერ მოსწყვეტ. (რავა, არ უქნიათ და არ ვშვრებით თუ!..) ჰოდა, ცივ ქვას და ლოდს რომ სულს ჩაუდგამს, კაცს რას დამართებს!..

. . . . . .

ასე რომ, ევას გაჩენამდე, სამოთხეშიც კი, ადამისთვის ზეცა მოქუფრული უნდა ყოფილიყო, მიწა — გრილი და, იქნებ, ცივიც. უსახლკარობა და მიუსაფარობა, უიმედობა, უღიმილობა და უსიმღერობა... სამოთხეში რა არ ექნებოდა, რა გინდა სულო და გულო, რას ინებებ... და რაღა ეკეთებინა? კლდე-ღრეში უნდა ეხეტიალა, ან ჩრდილში გულხელ-დაკრეფილი წამოწოლილიყო და ესმინა, ამ ანგელოზების და იადონების გალობაში ხომ არ გაერეოდა. იქიდან გადმოჰყვა, უთუოდ, ადამიანს მცონარობისა და განცხრომის წადილი, სამოთხიდან გამოძევებულმა, აქამდე რომ ვერ იქნა და ვერ მოიშალა. ედემის მკვიდრს რაზე უნდა ეოცნება, რაღა უნდა ენატრა და მაინც, ნახევარი კაცი ვარო, დაიჩემა. ისედაც არაფრის მაქნისი და ისიც ნახევარი?! ვის რა უნდა, თვარა კი და, საცოდაობამ იყო თუ განაწყენებამ, ალბათ, მამაზეციერს რომ ევა შეაქმნევინა. ეს კი იყო, რაკი არ იშლიო, ნეკნი ამოგლიჯა და ისე მოუვლინა. ცნობილია, რომ ადამს სიცილი ევამ ასწავლა, როცა პირველად ქალმა გადაიკისკისა, ადამსაც სახეზე ღიმილი გადაეფინა. სიმღერა ბუნებაში ხომ მამრისგან მდედრის მოსახიბლად და მოსახმობადაა და, აბა, თქვენ თვითონ თქვით, ადამს რა ამღერებდა და აცეკვებდა, თუ ამას ევა არ მოისმენდა და არ დაინახავდა...

მაგრამ უდიდესი საიდუმლო დევს თვითონ ევას გაჩენაში.

ადამი ტალახიდანაა გამოთითხნილი, ევა — ადამიანის, კაცის ნეკნიდან შექმნილი. დავიჯეროთ, რომ შემოქმედს თიხა და ტალახი არ ეშოვებოდა თუ გამოცდილება არ ჰქონდა? რაც სხვა დროს, დედამიწაზე ამდენი დედალ-მამლის გაჩენისას არ უქნია, რომ, თუნდაც, ხვადი ლომისთვის, ან მამალი არწივისთვის ამოეგლიჯოს ნეკნები და მდედრი ისე შეექმნას, ის ჰქნა. მანამდე რისგანაც ერთი ევლინებოდა სამყაროს, ისევე — მეორეც. ამ ევას გულისთვის გამოიჩინა არაჩვეულებრივი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოქმედებითი გადაწყვეტა. (ამას ცოტა ფიქრი და თავისტეხა დასჭირდებოდა?), როცა შეეძლო, ესეც ეგრე რიგად მოეხელ-კეთილებინა, როგორც მანამდე: მამრი უმშვენიერესი ფერებით, ხმით, ახოვანებით დაჯილდოებული; მდედრი — მდარე, ისე რა, მინამგვანი და მეტი არაფერი. მაინცდამაინც ქალის გაჩენაზე რომ მიდგა საქმე, ე, მაშინ მოინდომა სასწაულთმოქმედმა სასწაული, მაგრამ რაკი იმისთანა ვინმეს ჰქმნიდა, თიხა და ტალახი თუ ვერ აკადრა, თეთრ მარმარილოში გამოეკვეთა, ბრინჯაოში ჩამოესხა; ვერცხლზე და ოქროზეც ხომ ხელი იოლად მიუწვდებოდა. ისიც ვიცით, არც მეტი, არც ნაკლები, ევა ადამისთვის უნდოდა, რომ ეული, მარტოსული, განახევრებული ტანჯული კაცი, როგორც სხვა ცხოველები, მამრი მდედრთან შეეწყვილებინა, შეეუღლებინა, გაემთლიანებინა და გაებედნიერებინა. (ეს როგორ გამოუვიდა, სხვა საქმეა).

მაგრამ, რატომღაც (ალბათ, ეს შემოქმედის შემომქედებითი საიდუმლოა და, ამდენად, ჯერაც არავინ არაფერი იცის), ეს ბედნიერება მხოლოდ და მხოლოდ ადამს — კაცს უნდა დასჯდომოდა უდიდესი ტკივილისა და წამების — ნეკნის ამოგლეჯის საფასურად. როცა ვიცით, რომ ყველაფერი თავსაყრელად ჰქონდა და რაიმეს უკმარობის გამო არ მომხდარა და ნეკნი, როგორც მასალა, არც მანამდე და არც მას შემდეგ კაცის კი არა, სპილოს ძვლისაც რაიმე მშვენიერების შესაქმნელ-გამოსაკვეთ-გამოსაძერწად გამჩენს არ გამოუყენებია. კაცის ძვალი, მით უმეტეს, შემოქმედისათვის ყოვლად უვარგისია და წარმოიდგინეთ, შემოქმედს რა შრომა და ფანტაზია დასჭირდებოდა, ამ უხეირო ძვლის ნატეხისაგან შექმნილიყო მშვენიერება — ქალი!

და მაინც, რატომ გახდა ეს აუცილებელი? (აუცილებლობის გარეშე ხომ არარა შექმნილა). იმიტომ ხომ არა, რომ დიდი ჯაფით, ვაი-ვაგლახით, ურვითა და დავიდარაბით მიიღწევა ბედნიერება. შეჭირვებით, თმენითა და გვემით — დალხინება, რომ უსისხლოდ ვერ გაიმარჯვებ, რომ თუ სიბნელე არ ნახე, ფასს ვერ დასდებ სინათლეს, რომ... რომ... რომ... მაგრამ ერთი „რომ" გარკვეულია — თავიდათავი, საწყისი, რომ ქალი მამაკაცის-განაა, მამაკაცისთვის მოვლენილი, როგორც მისი სხეულისა და სულის ნაწილი.

კი, კი, ამნაირად მოხდა და უზენაესმა ქალი და კაცი ქვეყნად ამნაირად დაამკიდრა.

. . . . . .

ეს მართლა ასე თუ არა, მართლა ყველაფერი ამქვეყნიურის დასაბამია ეს „კაი ქალი," ამნაირად კი ფიქრობს, აგერ, ჩვენი რაიონული პატარა წარმოების უმნიშვნელო მუშაკი — ნოე ხვედურელი. ზოგჯერ ნოვესაც რომ ეძახიან და ნოვეიასაც. გააჩნია, ვინ როგორ უყურებს, რა მოეპრიანება და ვის რად მიაჩნია.

და ეს ნოე, ასე ზედმიწევნით და იქნებ მეტისმეტადაც რომ იცის ქალის ფასი, მთლად უმისოდ რჩება და სიყვარულისთვის გაჩენილს მთლად უსიყვარულოდ მიუდის წუთი-სოფელი... და, ამდენად, უყველაფროდ, უთავბოლოდ, უმიზნოდ, უმომავლოდ...

არა და არ გამოჩნდა ნოეს თვალ-დასადგმელი ქალი. თუ, ნოე არავინ ინდომა. მოგეხსენებათ, ადამიანი იმედითაა: დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ... დრო-ჟამი შენ მოგიცდის? ბრუნავს და ბრუნავს ეს ბურთი დედამიწა და ნოეს სადარდებლისა არაფერი ეყურება. არადა, არასმქონებელი და არათვალ-გასახარი ნოე ისედაც რაა, ნახევარი და შუაზე გაჩეხილი რა იყოს.

მოგეხსენებათ, დღესდღეობით ჩვენში ასეა. რაც უნდა მომცრო დაწესებულებაში და უმნიშვნელო თანამდებობაზე მუშაობდე, თუ ბევრს იგლიჯები და იღლიტები, თუ შოულობ და სხვასაც საშოვარს უჩენ, თუ არაფერზე უკან არ დაიხევ, რომ იტყვიან, რქებით ანვები და გაიტან, შეგიძლია ის შენი პატარა მონჯღრეული სკამი სავარძლად აქციო. სოხანე — გალაქულ იატაკად და კარებთან დაგდებული ფეხსაწმენდი ჯვალო — ფიან-დაზად. საქმე ისაა, ვინა ხარ, რა ხარ და რისი მაქნისი. თუმცა, ისიც შეიძლება, (ყველა თავის კაცს ეძებს), სავარძელში ჩაგსვან (გააჩნია, ხელს ვინ სად, საიან წამოგკრავს) და ენი უნიათობითა და ბედოვლათობით ეს შენი ფუმფულა ხავერდგადაკრული სავარძელი ფირ-ფიცრის ჭრაჭუნა, საცოდავ საგნად აქციო.

. . . . . .

ნოეს არაფერი ამისთანა არ სჭირვებია. საშუალო განათლების შემდეგ ის, რაღაცა სამოანგარიშეო კურსები რომ დაამთავრა, აქ, იმ ხმელ, მოღანჭალებულ სკამზე დაჯდა და დაჯდა. მართალია, იმთავითვე ბარე ორჯერ მაინც სცადა, სანამ დარწმუნდებოდა, რომ საინსტიტუტ-საუნივერსიტეტო ბედი ისე

საქმეშემოლეული არ იყო, ნოესთვის მოეცალა. საუმაღლესოდ მისი ჩაბარებული არავინ ჩაიბარა და ორივეჯერ უბოდიშოდ და უსულგულოდ უკან გამოაბუნძულეს... ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა და კარგად გამოცხვაო, მაგრამ სადაა მერე?..

მას აქეთაა, ზის და ზის. ახლა, თუ სკამი ნამეტანი მოირყა და დაშლის პირზე მივიდა, თვითონვე დაუმატებს თითო-ოროლა ღერ ლურსმანს. მით უმეტეს, მისი, ცალ მხარეზე უჯრებიანი, მომცრო მაგიდა სულ ბოლოშია, ოთახის ბნელ კუნჭულში და უცხო თვალი მის ადგილსამყოფელს ვაგლახად ვერ ამჩნევს.

ნოეს „საბრძანებელი" რაღაცნაირი, ერთმანეთზე მიხურხლული მაგიდების, სკამების და „მუშაკების" ორმო თუ ჭაობია და ნოეს ამ წარმოებასა და დაწესებულებაში ის ადგილი უჭირავს, რაც მატარებლის მოძრაობაში ლიანდაგის განძელს. დახრიგინებენ, დაგლიჯინებენ ორთქლ-მავლები და ელმავლები, გადარბიან ვაგონები, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ეს შენი განძელი ქვა ამ ლიანდაგებს ქვეშ. ისიც საჭიროა, აუცილებელი, მაგრამ არავინ იცის მისი არსებობა.

არ ვიცით, ვერ ვხედავთ, ვერ გამჩნევთ...

ვერა, ვერა და ვერ დაინახა ნოე „იმ" ქალმაც... ნოემ რომ „კაი ქალს" ეძახის.

რა გინდა რომ ჰქნას, თუ ვერავინ ამჩნევს და დაუნახავს ვერ ხედავს, ქალიც ხომ ადამიანია, მართლადა, გულთმისანი და გულთამხილველი ხომ არაა?

არაა!

არადა, შენ რომ ნოე ხარ, ნოვე თუ ნოვეია, იჯექი მაგ შენს ბნელ კუნჭულში, შენი ხელით დალურსმულ, დაფეხვილ სკამზე და არის კაციშვილი გამკითხველი? გინდა არ გინდა, ბედს უნდა დამორჩილდე. „ბედი სწორედ უსინდისო ქალია, ღარიბი სძულს, მდიდრის ეშხით მთვრალია."

ამის გარდა, რა უსაშველოდ დიდი ხალი გაქვს ცხვირზე, შე საცოდავო, შენზე უწინ რომ იმას ხედავენ, „ხალიანად" გიცნობენ და არა ნოე ხვედურელად. უცხოს დანახვაზე ეს თვალების ხამხამი რომ იცი, თვალების პარპალი რომ გემართება, მართლა ასე გიხარია ადამიანის ხილვა, თუ ასე უტიფარი და უჯმაჯური ახლობლებთან რომ არაფერი გჭირს, რაღა მაინცდამაინც გადამთიელთან და ისიც ქალთან გიწყრება ღმერთი!

წარმოება-დაწესებულებებში, როგორც ყველგან,ნოესთანაც ასეა. გამგე-დირექტორს გაჭენებული კაბინეტი აქვს სამზეურის მხარეზე. ფართო საწერ მაგიდაზე მიდგმული გრძელი და ოთახში განლაგებული დაბალი ჟურნალ-გაზეთების მაგიდები, სავარძელი, დივანი, რბილი სკამები — ერთი-ორი დუჟინი მაინც; წიგნებით დატენილი კარადები, თაროები და ქოთნებით ყვავილები. რადიო, რადიოლა, ფერადი ტელევიზორი, მაგიდის ლამფა, ჭაღი, ბრები და ხავერდის შიგნით — მაქმანიანი ფარდები. მეორე დივანი, სასტუმრო სავარძლები და ამნაირები... მეორე, მომცრო — შვილ კაბინეტში წამოსაწოლი და დასასვენებელი... საწუწკარით გამოტენილი მაცივრები და შორენკეცით ჭერამდე მოპირკეთებული ფინური ფეხსალაგიც იქვეა, ხელმარჯვნივ, თითბრის ოქროსფერი სახელურით და საკეტით.

მთავარ ინჟინერს თუ მოადგილეს, „ისე რაც" სრული, თვალმახარა კაბინეტები უჭირავთ. მდივანი ქალიც მათ გვერდით კარგად გრძნობს თავს და დანარჩენი წვრილფეხობა ჩრდილოეთით, ორ-სამ ოთახშია შეყრილი და მაგიდებს შორის ნოესთანა ჩია, თხელი კაცი თუ გვერდულად გაეტევა, თორემ მეტი ადგილი არ რჩება. ზამთრობით, კარ-ფანჯარა რომ ჩაკეტილია, ღრმად ვერც ჩაისუნთქავ, ჰაერი სხვებსაც ხომ უნდა.

აქ, ერთმანეთზე მიხურხლულებმა კი იციან ნოე რაცაა და ვინცაა, მაგრამ იციან და მეტი არაფერი. „კი, აპა, ჩვენი ნოვეო..." „კი მარა, რა ქნას ამ უბედურმა ნოვემო"; და „ნოვეიე კი არა, დღეს იმისთანები ვერაფერს ახერხებენ, მაგას რო ჯიბეში ჩაისვამენო..." — იტყვიან და ხელს ჩაიქნევენ. მეტი რა ჰქნან, რა შეუძლიათ, ყველას თავისი თავი აქვს საპატრონო და საჭირისუფლო.

ქალი...

ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ ეს უქალობა ნამეტანი უჭირს ნოეს, არ ვარგა კაცი უქალოდ და, ალბათ, არც ქალი უკაცოდ.

არ ვარგა და...

„ფერი ფერს და მადლი ღმერთს"-ო, მაგრამ ეს საფერი თუ ტოლფერი რომ არ იქნა და არ გამოჩნდა. თუ კაცი უქალოდ ნახევარია და ქალი უკაცოდ ასევე ნახევარი, როცა ერთი მოევლინა ქვეყანას, მეორეც უნდა გაჩენილიყო, აბა, ასე ნახევარ-ნახევარი რისი მაქნისია, რად ვარგა.

და, რომ არ ვარგა, დაანებოს იმ მამაცხონებულმა ქალმა თავი ნამეტანი-ნამეტანს, დაიხედოს მიწაზე და ნოე და ნოესთანები დაინახოს... და ამ დაუნახაობამ დააშინა ნოე. იმდენად დააშინა, რომ... მე რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავინახო, ის ვერ დამინახავსო და მე რომ ვინდომო, ის არ მინდომებსო. ნოე, რაც დასანახი იყო, არ ჩანდა და რაც ჩანდა, ასე თვალდასადგამი არ იყო.

ეეჰ, ნოეს ქალის სიყვარული და ნდომის სურვილი კისერში რომ წაუჭერს, რას არ აფიქრებინებს, თორემ არ იცის, რომ ქალი თვითონაა ამ გაძაღლებულ წუთისოფელში უგზო-უკვლო და თავგაურთმეველი. ვინც მას უნდა სადაა და ვინც ინდომებს, რად ინდომებს ვინ იცის. ცდილობს, რავა არა და ნატრობს, ვინმემ შეამჩნიოს, თვალი დაადგას, უთანაგრძნოს და ესიყვარულოს... ქალი სიყვარულისთვისაა გაჩენილი, აბა, სხვა რა მოხელეა. ის კი არადა, ნამეტანი რომ გაუჭირდება, იმასაც კი ცდილობს თავი შეაჩეჩოს. ვის რად უნდა ეს შეჩეჩებული და მიძალებული თავი, მარა უსაშველო რო გაუჩნდება, ვითომ უნდა მიანც რაღაც გზას ეწიოს, მაგრამ არაფერი გამოდის. ამიტომ უთქვამთ: „ბევრსა აქვს ბევრის სურვილი, მაგრამ გაგება სად არის"-ო.

რაღა შორს წასვლა უნდა, აქვე, გვერდით არ უზის ნორა? ნორა ქუთელიაც მოანგარიშეა, აბა, აქ, ამ ქვის წარმოებაში სამეცნიერო კათედრები არაა და სამთავრობო თანამდებობები. ამ ერთმანეთზე მიჭრილ მაგიდებში უნდა ჩაეკვეტო და აქედან უნდა ეცადო, რაიმე საშველი გაიჩინო. ვითომ, ცდას არ აკლებს, თუ რაიმე იშოვა — იცვამს და იხურავს. თვალ-წარბ-ტუჩ-ფრჩხილებს ცალკე იღებავს, თმას ცალკე და იბულულებს. ნოეს და ნოეზე უკეთესებსაც თავს არ უყადრებს, მაგრამ წარმოების უფროსი კაიხნის ცოლშვილიანია. მთავარი ინჟინერია ვითომ საცოლშვილო და ნორასაგან თვალდადგმული კი არა, თვალჩაციებულიც, მაგრამ ეს კაცი კი არა, ნადირია. მეტისმეტი რომ არ იყოს, დღეს ალალ-მართალი საკრეჭი ცხვარი ვის რა ჯანდაბად უნდა. წარმოებას უფროსის მოადგილეც ჰყავს, ვითომ ისიც ინჟინერი, მაგრამ როგორც ვითომ ინჟინერია, ისე ვითომ კაცი. ორნაცოლებია, რა ხანია ორივე გაექცა, ახლაც ერთმანეთს ასწრებენ. მთავარ ბუღალტერს ხუთი ნლით უფროსი უშვილო ცოლი ჰყავს და ვერც გასაშვებად ელევა და ვერც შვილი გააჩენინა...

ვერაფერს იზამ, ვერც ქალს დააბრალებ ყველაფერს და ვერც კაცს. ნოე რომ ნოეა, ვერც ის დაიმსხვრევს თავზე უქალობის უბედურებას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, ნოე ქალს დაშინებული ჰყავს. ყველას, დიდიან-პატარიანად, ძველი იქნება თუ ახალგაცნობილი, შეხვედრისთანავე მის ამ დიდ შავ ხალზე მიუცივდება მზერა: ცხადია, რა მოხდა, ხალი ვის არ უნახავს. ინდოეთში თუ იქაურ სხვა ქვეყნებშიც, ხალი რომ არა აქვთ, იხატავენ. ნოვეს ხალი, მართალია, მაღალი მეჭეჭივითაა, მაგრამ ხალია...

... და ნოეს რომ ქალი მოუნდება და სული აუკაწკაწდება, საიდან გაჩნდეს ის ქალი, საიდან გამოეცხადოს, სად გამოძვრეს მოხრიგულ მაგიდებს შორის და იმ მოღანჭალებულ სკამზე ჩამოუჯდეს. თუნდაც მისი თვალების პაჭუნი და პარპალი უტიფრობად კი არა, მიხმობად და მიგულისგულებად მიიჩნიოს...

არადა, ბედი არააო, არავინ თქვას, მაგრამ არც ხელიხელ ჩაკიდებული, ან წელზე გამობმული კი არ გყავს. თუ ვერაფერს გახდა და ვერაფერი გისაშველა, მიგატოვებს და თუ არ უძახე, უჩივლე და შენსკენ არ მოახედე, მთლად დაგივიწყებს. არადა, უმისოდ რას გახდები. ის ბედია, აგერ, სულ რომ არ ელი და ბაიბურში არა ხარ, იმისთანა ადგილზე და იმისთანას შეგახვედრებს, ცაზე ხელს მიგაწვდენინებს. აქამდე რომ მისი არსებობა სულ არ იცოდი, აგერ მოგივლენს და ისაა. აქვე, შენს გვერდით რომ ტრიალებს, ხუთი თითივით იცი ვინცაა და იცი „ის" არაა. ვითომ არც სხვაზე ნაკლებია და არც სხვებზე ისე უკეთესი, თუ ხელი არა, თვალი ვერ შეაწვდინო. აგერ, შენს გვერდითაა და საქმე საქმეზე თუ არ მიდგა, ვერც კი ამჩნევ. ისიც ისე გხვდება, როგორც ნოეს, ნოვეს, ან ნოვეიას და ქაღალდს თუ გადმოგაწოდებს, ან დავთარს გამოგართმევს და სხვანაირად ვერც გხედავს, გინდ ყოფილხარ და გინდ არა, გინდ ყოფილა და გინდ არა...

ამ დროს, „სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი," ვისი ასავალ-დასავალიც აქამდე არ იცოდი, ის ყოფილა.კი, ისაა. გული დანახვისთანავე რეჩხს გიზამს და თვალი ზედ დაგრჩება... და ბედია, აბა სხვა რა დაერქმევა ამას. „ბედმა მოხედაო," „ბედს ეწიაო," „გაბედნიერდაო" — ამიტომ ამბობენ?

ანდა... „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა" და თუ ყველაფერი ღვთითაა და ნოეც ღმერთმა მოუვლინა სატანჯველად ამ დაუნდობელ წუთისოფელს, ასე უსაშველო გაჩენილს სამუდამოდ არ მიატოვებს, მთლად არ გასწირავს...

ალბათ... ალბათ, თორემ ნოეს ღმერთისა და ხატისა კი არა, აგერ, ამ პატარა დაწესებულების და თითო-ოროლა მეზობელ-ნათესავ-ნაცნობებისა ვერაფერი გაუგია. რაც მას

ჰგონია უნდა ხდებოდეს, ამნაირი არაფერი ხდება და რაც ხდება... ღმერთმა დაგიფაროს!

და მაინც, ისევ და ისევ ბედი...

და ეს იყო, ალბათ, თორემ... აქ საალბათოც და სათუოც არაფერია, ეს, მხოლოდ ეს და სხვა არაფერი.

ისე, ბედს თუ ვინმე უჩიოდა, ძრახავდა და იხმობდა, ნოე იყო. არავინ ჰყავდა ბედს ისე განწირული და აბუჩად აგდებული, როგორც ნოე და მისი მადლიერი რანაირად იქნებოდა?! არადა, ადამიანი რომ იბადება, ბედის მწერალიც ხომ იქვეა. ერთი კი არა, მგონი ბარე სამი და ერთი რომ ავს ამბობს და უწერს, მეორე — კარგს და მესამე რასაც ბრძანებს — მორჩა, წყალი არ გაუვა.

მიდი, მერე, შენ რომ ნოე ხარ, ნოვე თუ ნოვეიე და იცხოვრე და იარსებე იმათ დაწერილ და დებეჭდილ ბედ-იღბლით.

და ბედს რომ მართლა განწირული ჰყავდე, ისიც ხომაა ნაბრძანები:

„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს..."

არაფერი ხდება შემთვხევით, უთავბოლოდ. მართლადა, მთლად უპატრონო კი არაა ადამიანი... არის რაღაც თუ ვიღაც და უცქერის ჩვენს გაჭირვება-გაძაღლებას... არ უკვირს, რამდენი ამისთანა და ამაზე უარესი უნახავს, არ ჩქარობს, არ ღელავს, თორემ იცის, გითვალთვალებს და მთლად უსაშველო რომ გაგიჩნდება კაციშვილს, სული ყელში რომ მოგებჯინება და ის-ისაა უნდა ამოგხდეს, თუ მთლად სასიკვდილოდ არ ჰყავხარ გამეტებული და ერთხანს კიდევ უნდა რომ გაბოგინოს, აიღებს და მხსნელს პირდაპირ ციდან ჩამოსვამს...

ა, ნოეს ჭკუით, ამას ნიშნავს კაცის ბარობაზე გამოჩენილი კარგი ქალი! მანდილოსანი! ქალბატონი!..

... ჩამოვიდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ასე ზეციდან ჩამოსმულივით და...

ჩამოვიდა, მარა რა ჩამოვიდა!..

თვალს, ყურს, გულს, სულს რომ ეამება და გაუხარდება — იმნაირი...

ერთხანს ღია კარის ძგიდეს მხრით მიეყრდნო და ნოეს სამყოფელი საგანგებო მოდარაჯე გულისყურით მიათვალიერ-მოათვალიერა. ნოეს, არც მეტი, არც ნაკლები, თვალი გაექცა და კი არ გაუშტერდა, ზედ მიუცივდა, მიელურსმა — ბნელში რომ სავსე, კაშკაშა მთვარე თავისი ფეხით გეახლოს...

ნოეს უნახავს ასეთი მთვარე ტყეში. ამისთვის საგანგებოდ დაიღამებდა, რომ ტოტებს შორის ჩამოშვებულ თეთრი სხივების ტევრში ევლო და ღამის გაყურსულ ტყის სიჩუმეში მთვარის საგალობელი ესმინა... საგალობელი თუ სიჩუმე, გარინდება, ბუნებას რომ პირველყოფილს უბრუნებს, იმდროინდელს, ადამიანი რომ სულ არ იყო და ყველაფერი იყო ქათქათა, ხელუხლელი, შეუბღალავი, შეურყვნელი... დღე დღე, მზეს ვერაფერს დაუმალავ. მთვარემ იცის ბნელი ჩრდილები და რაც არ უნდა, არ გამოაჩენს...

მანდილოსანს, თითქოს, მარტო კაბა კი არ ეცვა კამკამა თეთრი, თვითონაც თბილი, ფერნაკლული სილბო გადაჰკრავდა. სხვას, ვითომ აქაურობის პირობაზე, ქსოვილი ღია ფერისაც რომ ყოფილიყო, მაინც ქათქათა მოეჩვენებოდა, მაგრამ ვინც ათიოდე წელი დამქანცველ მოლოდინში გაატარა, მარტო მოჩვენებებ-მოლანდებების კაცად ვერ დარჩებოდა და ვერც ისეთი... მშვენიერებას რაღაც უნაკლოს რომ ეძახიან, სიგრძე-სიგანე-სიმძიმეს მისხალ-მისხალ ზომავენ და წონიან. ვინმე ამისთანას შეიძლება ვერც იმად მიეჩნია, რაც იყო და მენჯი ფართო ჰგონებოდა, ან წელი — ბეჭედში ჩაუტევარი (ერთ დროს რომ საზომად მიგვაჩნდა) და, იქნებ... იქნებ მკერდიც სავსე, მკერდსაკრავის არტახებით მოთვინიერებული, რასაც ნოე უფრო „ნორმად" ჩათვლიდა, რა თქმა უნდა, რომ ვინმეს ეკითხა. იქნებ, თვალებისთვისაც უფრო თაფლისფერი დაგერქმია, ვინმემ წაბლისფერი და თმაც ბიჭურად შეკრეჭილი კი არა, მოკლე, მაგრამ ქალური, თითებით რომ დაივარცხნო, ხელი მოეკიდოს...

ნოე და... ნოესთანა მამაკაცები შავგვრე-მანები არიან და მათი თეთრგვრემანებისადმი ლტოლვა მოდგმის თანდაყოლილი წადილია, ამდენად სანდომიანობის მთავარი სურვილი. სიტყვა „სანდომიანი," რატომღაც, ამ ბოლო დროს გასათუთდა და განაზდა, თორემ თავიდან მასში ნდომაც იგულისხმებოდა, სურვილიც და ვნებაც. ესე იგი, სავნებისად ნდომა, ქვენა გრძნობებს რომ ეტყვიან, საიმისოდაც.

ასე და ამრიგად, თვალის ერთი შეხედვით ამნაირი ჩამოვიდა... ჩამოვიდა თუ, კაცმა არ იცის, საიდანღაც გაჩნდა, უაღრესად სანდომიანი ქალი. ა, აგერაა კართან, აუხდენელი სიზმარივით. ნოემ ისიც გაიფიქრა: ამ დილიდან შუადღემდე ერთ ადგილზე ჯდომამ ისე დამაოსა, ხომ არ წამთვლიმაო და თვალები დაახამხამ-დააპარპალა, რასაც ძილში ვერ ახერხებდა. ესე იგი, სინამდვილე იყო კარებში გახიდული და არც შემოდიოდა, არც მიდიოდა და ვის დაეძებდა ამდენ, მაგიდებში თავჩარგულ,

ქალსა და კაცში. ნაცნობის პოვნა თვალის ერთი გადავლებით შეიძლება. ეს დალოცვილი რასაა, რომ ჩაგულისგულებია და თითქოს უცნობში ნაცნობის და შორებელში ახლობლის პოვნას ცდილობს.

მადლობა ღმერთს, ყველაფერი მალე გაირკვა.

მოვლინებული გამოდგა.

და, ახლა, არ იტყვით საიდან?!

ზევიდან!..

მარტო აქაურ, ყველაფერ ამის და ამისთანების კი არა, ვინ იცის, კიდევ რამდენს მიავლენენ ამდაგვარი წარმოება-დაწესებულებების საუფროსოდან, სამმართველო-საბრძანებლოდან და ეს ვის უნდა უკვირდეს. სადაც თაფლია, ბუზიც იქ ირევა. აქ, ამ ძვირფასი ქვის მწარმოებლებისთვის ღმერთს კლდეების მთები თვლით არ ჩაუბარებია. ამდენად, არც კაცმა იცის, რისგან რა ერგება და რაც არ ერგება, ისიც რომ შეერგება, თუ თავის მადაზე მიუშვი. ეს არც არავის უქნია და არც არავინ აპირებს, მაგრამ ამჯერად წინდაწინ, რატომღაც არავის არაფერი გაუგია. რაც ასეთ დროს ყოველთვის ხდებოდა. თურმე, ნუ იტყვით და, ამ სანდომიანს ზარების რეკვა არ აუტეხავს: არიქა, მოვდივარ თქვენი წელკავი და თვალები დაითხარეთ, თორემ ჩამოვალ და მე დაგთხრითო! ასე რომ, არც დახვედრა, არც მოციება და არც არანაირი დავიდარაბა. ასე, ვიღაცა ვიგინდარასავით დაადო თავი და მოვიდა... მოვიდა და პირდაპირ დირექტორი, მთავარი ინჟინერი, მოადგილე და... ამისთანები კი არა, იმათ კაბინეტებს ჩამოუარა, დერეფანს გამოჰყვა და, აგერ, მოადგა ნოეს კარს.

მოადგა, დადგა ამ ღია კარში და იქაურობას თვალი ისეთი ჩაგეზებით და გულისყურით მოავლო, ამდენ მაგიდებზე თავჩარგულებში ვიღაცას იმისთანა ახლობელს თუ სასურველს დაეძებდა და იცოდა აქ იყო, არ იცნობდა და თვალის ერთი მოვლებით უნდა ეცნო. არასოდეს ენახა და სათავისოდ ჰყავდა მიჩნეული.

სად ხდებოდა ამისთანა რაიმე და როდის ხდებოდა, თუ ვინმეს უნახავს და გაუგონია?! არადა, აგერ დგას კარის ძგიდეს მსუბუქად მხარმიდებული და ამდენ ჩახრიგულ მაგიდებს მიბმულებში ირჩია, ირჩია და...

...და გინდა ბედი დაარქვი, გინდა უბედობა, გინდა სასწაული და ღვთის წყალობა, ნოეზე შეაჩერა მზერა!..

ნოემ წამოდგომა მოიწადინა, მაგრამ სურვილი სურვილადვე დარჩა. მართლა ხომ ვერ დაიჯერებდა, რომ ასეთმა ვინმემ ყველას პირში ჩალა გამოავლო და თვალი მას დაადგა და მისი ცნობა თუ გაცნობა მოიწადინა. არადა, ეს ისე აშკარა იყო, ნოეს მიმართ ერთი წამოცდენა ღიმილიც კი წამოსცდა, მაგრამ იქ მყოფთაგან რომ ამის საბაბი არავის მიუცია, მაშინვე პირზე შეიშრო და ნოეს თვალებით უხმო. ნოემ ქუთუთოები ვერაფრით დაიმაგრა და აუხამხამდა...

შესვენების დრო არ იყო, თორემ საათს აღარავინ უყურებს, ისე გარბიან და გამორბიან... ასი და ათასი საქმე აქვს დღევანდელ, ხელიდან წასულ ადამიანს. სად არ ასკდება და რას არ კადრულობს, რომ რაიმე მიგლიჯ-მოგლიჯოს და საღამოს, სახლში რომ დაბრუნდება, იღლიაში ამოჩრილი რაღაც-რაღაცები შეიძღვანიოს... მადლობა ღმერთს, უკვე დიდი ხანია აღარავინ კითხულობს: სად იშოვა, რა იშოვა, რა ერგებოდა და რა ირგუნა.

ნოე აქეთ ყურეში რომ ზის, მის უკან, ვიწრო ფანჯარასთან — ნორა, იმათ იქით, თხელი კედლის მიღმა, ვიწრო საკუჭნაოა და, უკაცრაული პასუხია, საერთო ფეხსალაგი. შენობა, ეტყობა, თავიდან ასეთი დაწესებულებისთვის განკუთვნილი არ იყო და ამიტომ გახდა საუფროსო საკაბინეტედ რამდენიმე ოთახის გადაკეთებ-გაერთიანება, საუფროსოდ რაც შეიძლება დიდი და უკეთესის უკეთესი რომ გამოსულიყო. მთავარი ინჟინრისთვის — ასევე და მოადგილის — უფრო მომცრო და მდარე. მერე — ბუღალტერია — კანცელარია, კიდევ რომ შეეხედება და, ბოლოს, ყველა დანარჩენი წვრილფეხობა ერთად იმოდენა ოთახში, რომ მაგიდები მოთავსდეს და სკამის ადგილები თვითონვე გამოძებნონ. სინათლე თუ ყველას არ ერგება, არც ამით დაიქცევა ქვეყანა. ლამპას დაიდგამს, ჭრაქს და უბრალოს კი არა — ელექტროლამპას. ბაბუაჩვენების სახლებს ზოგს ფანჯარა სულ არ ჰქონდა. ელექტრონი ხომ წინაპრებს არც გაეგონათ...

ჰო, ეს ახლა, სტუმარმა რაც დაინახა, თორემ რა სალაპარაკოა. მით უმეტეს დღეს, როცა ასე ჩახჩახა მზეა და სინათლე ნოეს მაგიდამდე აღწევს. ისე, ვიღაცამ ხო უნდა აკეთოს რაღაცა და საანგარიშოს ჩხაკუნი და ღილების ტკაცუნიც ისმის. აჩხაკუნებენ, რაკი, ვითომ, ჩვენში არავინ არაფერს აკეთებსო, არაა მართალი. ქვეყანას ვინ დაეძებს, მაგრამ წარმოება რომ არსებობს, რაღაც მოჩვენებითი მაინც ხომ უნდა, ვითომ რაღაცნაირი ანგარიშიც. რაღაც ხომ შედის

ბანკში და გამოდის... ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელფასი ხომ გინდა. ვითომ რა ხელფასი მაგიაო, მაგრამ ნოესთვის ერთადერთი საარსებო წყაროა, არც მეტი არც ნაკლები. ვიღაცა მწირ ჯამაგირზეც ხომ უნდა იყოს, თორემ ქვეყანა ისედაც რას ჰგავს, უამისოდ ხომ ჭირს მოგვჭამს.

იმას ვინ გაიგებს უმეტესობა სად მიდის, ბანკში შედის თუ ჯიბეებში მიჩხრიალებს და ხომ უნდა საქმე, ხომ უნდა იყოს თაფლი, რომ ბუზი დაეხვიოს და ვინ ჰქნას ეს, თუ არა ნოემ და ნოესთანა თუ კიდევაა ვინმე. პირიქით, ამათ თავისიც უნდა აკეთონ და სხვისიც.

საკეთებელი უნდა გაკეთდეს...

მიწიდან საამშენებლო ნედლეულს იღებენ, თორემ პირდაპირ ფულს ხომ არ ჭრიან. და ნოემ, დარია თუ ავდარია (თუ ავდარია — ნათურასთან) უნდა აჩხაკუნოს საანგარიშოს ოთხი აქეთ — ერთ დროს ხისფერი, შუაში ორი შავი და ორი იქით, ისევ ხისფერი გაოფლილ-გაქონილი ღილები... იქვე ბიბლიოთეკის სათავგადასავლო წიგნი უდევს და ცალი თვალი იქით გაურბის. სათავგადასავლო და სანადირო წიგნებითაა, რომ იცნობს ცხოველთა სამყაროს და, თუ გნებავთ, ჯოჯოებს და ჯადოქრებს, თვით ავსულებს და ქაჯებსაც კი... მცენარეები: ხე, ბალახი, ყვავილი თავისთავად ნოესია... მათი შვილია, მათი შემცნობი და მესაიდუმლე. მათი... მაგრამ ახლა ჯანდაბას ყველა და ყველაფერი, როცა ოთახში, კართან დგას... დგას კი არა, ნოესკენ მოდის... იქით, ფანჯარასთან ნორაა და დიდი გულისყურით ფრჩხილებს იღებავს, რაც იმას ნიშნავს — მალე აქაურობას გაეცლება.

...ჰო, წამოვიდა და... მაგრამ წამოსვლამდე ხომ წუთით კარის წირთხლს ცალი ხელი მიადო და ხელს ისევ მხარით მიეყრდნო. ოთახს თვალი ისევ და ისევ თავდაჯერებით მოავლო. ზღურბლს გადმოაბიჯა და, აგერ, აქეთ... პირდაპირ... დაბარებულივით წამოვიდა.

— თქვენო! — ნოეს გვერდით სილოვან ედიბერიძეს მოუბოდიშა. — ხელს ხომ არ შეგიშლით?.. — სილოვანმა თავი გაიქნია, ნოეს გადმოხედა, მხრები აიჩეჩა და იქაურობას სულ გაეცალა. სტუმარმა მადლობა გადაუხადა და ზედ ნოეს მაგიდას მოადგა მეორე მხრიდან. უშანგი სარჩიმელიას ცარიელი სკამი შემოაბრუნა და ჩამოჯდა.

ნორამ თვალი აარიდა. ნოეს ის იმდენად არ ამჩნევდა, არც მისი სტუმრის დანახვა ინდომა, თავისი სამუნუხო საქმე გაიჩინა, უჯრა გამოაღო, ჩააჩერდა, მაგრამ მაშინვე თავი გაიქნია, მაგრამ რაღაცას თვალი მაინც ნაჰკრა, არ დაიჯერა და მოაჩერდა. შემოსული რომ ნოეს წინ ჩამოჯდა, აიმრიზა, მხრები აიწურა, იქაურობის გაცლა დააპირა. ბედად ისეთი ვინმე არაა, თუ შებრუნდა, ცნობისმოყვარეობამ აიყოლიოს და მოაბრუნოს. თავქეიფა დედაკაცია, მხოლოდ თავის სარკმელში იცქირება, ერთ შეღებილ ფრჩხილად არ უღირს აქაურობა, თუ გინდა ახლავე წაკიდებია ცეცხლი და დამწვარა.

— გამარჯობათო, — სტუმარმა, რა თქმა უნდა, როცა ნოე ამ კუთხეში დაიმარტოხელა.

— ღმერთმა გაუმარჯოს-სოო! — აუპარპალ-აუციმციმდა ნოეს გაცრეცილი ცისფერი თვალები.

ერთი სიტყვა — „გამარჯობათ"-ო, ხომ არაფერია, მაგრამ, როგორც ერთი წვეთი წყალით შეიძლება მდინარის ავკარგიანობის გამოცნობა, ისე ნოეს ეს ერთი სიტყვა თაფლივით დაეწვეთა და გადასაფრენ ბარტყს რომ დედა ჩიტი ნისკარტით ჭრელ პეპელას მოუტანს და აფათქუნდება, ისე დააპირა გულმა ბუდიდან ამოფრენა.

— როგორ გიკითხოთ?

ნოემ მკერდზე გაშლილი ხელი დაიფარა, ვითომ ჩემს ამბავს კითხულობო?! და ენა სულ დაება, მარტო ახამხამებული თვალების ანაბარა დარჩა.

— მე... მე-ზეე? — ეს „მეზე" რა უბედურება წამომცდაო და მთლად ხელიდან წავიდა.

— თუ ასე გაგიხარდებოდა ჩემი ჩამოსვლა, მცოდნოდა, ამდენ ხანს რას ვუცდიდი. — ჩაიჟღურტულა და გაუცინა. რაღა საკითხავი და სალაპარაკოა, მაგრამ თქმაც ხომაა და თქმაც! ღიმილიც ხოა და ღიმილიც!.. ისე სთქვა ეს და ოდნავ ჩხარო კრიალა კბილები ისე გამოუკრთა, ისე დადო ნოეს მაგიდაზე ხელჩანთა და გაზეთ-ჟურნალები, როგორც საიმედო შენიანთან დაღლილ სულს მიიტან და ა, როგორც იქნა მოვაღწიე და აწი შენ იცი, რანაირად მისაშველებო.

ეს ღიმილიც ხომ... მთლად ნოეს საკუთრებად რაფერ ინდომა და აქცია, პირდაპირ პირჯვრის საწერი ამბავია... ნოეს ვინ რას ჰკითხავს, თორემ, ვერ წარმოიდგენთ, როგორ არ უყვარს, როცა ქალი საცინად პირს მოარღვევს და ტუჩებს თავს ვერ მოუყრის.

უნათესაო, უმოყვრო და უნაცნობ-უმეგობრო ადამიანი სად გაგონილა და, არც ნოე ჰყავს ღმერთს მთლად მოძულებული, მაგრამ მის ბარობაზე ამნაირს სიზმრადაც არაფერს გაუვლია. მთხოვნელისა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეჭირვებულის მეტი რაა დღეს და ვის კარზე არ არიან ატუზულნი, მაგრამ ნოესთან ვის რა დაჰკარგვია და რას ეძებს, ან ამისთანა ქალი კარზე ვის მიადგება და ვის მაგიდას მიუჯდება! არას მქონემ და შეუხედავმა დუხჭირმა იკითხოს, თორემ ამისთანა ქათქათა მთვარემ, რა ლუსკუმი ბნელი უნდა იყოს, რომ არ გაანათოს და გზა არ გაიკვლიოს.

ნორას, უთუოდ ნოესი რაღაც უსაშველოდ ახლო ნათესავი ეგონა, მაგრამ ესეც რომ დაუჯერებელი იყო! ვითომ მათკენ მოხედვას აღარ აპირებდა, მაგრამ რაც უნდა განუკითხავი ქვეყანა ფეხებზე მკიდიაც რომ იყო, ნოვეია უსახურს ამისთანა სახიერის ასე და ამნაირი მიგულისყურება მაინც ვერაფრით მოიწამა და თვალებს ვერაფერი მოუხერხა. ეს არც ნათესაობა-მოყვრობას ჰგავდა და არც... ნოვეიას მეგობარი აქ, ახლომახლო ჰყავდა და ეს უცხო თეთრი ფრინველი (ნოეს მაინც მოფრენილი ეგონა) საიდან, რად, რანაირად და რისთვის შეიძლებოდა მოვლენოდა, როცა ეს თავბრუდამხვევი სანდომიანობა, ნდობა-სიახლოვე ნაოცნებარსაც არ ჰგავდა. ნორას, ამ სულისშემხუთველი ოთახიდან გასვლისას, რაც თავი ახსოვს, პირველად რჩებოდა ფეხები უკან და კარში ძლივს გაეტია.

ნოეს თვალების პარპალი კი შეუწყდა, რაც უცხოსთან ყოველთვის ემართებოდა და ისიც ქალებთან, არც ლოყაზე აუფარებია ხელი და შავი დიდი ხალი არ დაუფარავს. ეტყობა, ამას ახლა არავინ აიძულებდა — არც უქნია. ეტყობა, არც ცქერას უკრძალავდა ვინმე და თვალმიგეზებულიც ამიტომ იყო. და რამდენად ყველაფერი ეს დაუჯერებელი იყო, რაღაც ნაოცნებარივით, ალბათ, ამიტომაც სათამამოც.

ქალს ქათქათა კაბის საყელოსთან მქრქალი ბუსუსები სირმის ძაფებივით უბრწყინავდა. ყურის ბიბილოზე, ცრემლის კურცხალივით, ვერცხლში ჩასმული წვრილი ბრილიანტი ბიბილოს ალერსს კი არ გიშლიდა, პირიქით — გიხმობდა, გიგულებდა. ან, რა მუშკისა და ამბრის უნაზესი კმევით ააყვავა კუთხე-კუნჭული! როცა მას თითქოს არც ახლდა და მაინც მას მოჰყვა. რა იყო მაინც ასეთი, აქაც ხომ იშხურებენ, იღებავენ და ითითხნებიან, მარტო ნორა კი არა, იმ კუთხეში, ანგელინა და კანში დაუტევარი შუშანა გვერდი-გვერდ რომ სხედან, ჭორაობის ბუდედ აქციეს აქაურობა და სუნამოს პკურებისას რაღაც ისეთი მომჟავო, ოფლიანი მძაფრი სუნი დატრიალდება... ნორა რომ სამსახურში გამოჩნდება, ნოე მაშინვე ფანჯარას გადასწვდება... ახლა, ფანჯარა კი არა, ნეტავ ამ სურნელის აქ სამუდამოდ დაგუბება და დამწყვდევა შეიძლებოდეს!..

რაღაცა, ალბათ, თვალზეცაა, ადამიანი რომ შეგხედავს და შეხედავ, თუ ისე არ გაგნირავს ღმერთი, შენ სიცოცხლეში ერთხელ რომ მაინც გაგიმართლებს და ყველაფერი უჩვეულოდ მოგეჩვენება.

ლაქაშნარში რომ გუბე ჩაჟალტამდება, წუმპედ იქცევა, კოღოებით და ჯოჯოებით აივსება, აძინძიხდება, აშმორდება და ამ დროს რომ ზეციდან ამ ჭენჭყოში თეთრი გედი მოლივლივდეს, რაღაც ამისთანას უფრო ჰგავდა ნოეს მაგიდასთან ამ ქალის დავანება. თუმცა, ნოეს ტყე-ტყე ხეტიალისას მართლა გედის ჩამოფრენაც ახსოვს... ახსოვს რა სათქმელია, მთელი ორი კვირა დარაჯობდა. დღე დღე იყო და ღამეებს არ უთევდა?.. მართალია, გედი დაჭრილი იყო, ქარავანს იმან ჩამოარჩინა. სატურიის მთის გადაღმა, მიუვალში რა ტბა დაერქმევა, უფრო მოზრდილა გუბურაა, მაგრამ ფრთა-ნატყვიარმა ახლომახლო მეტი რომ ვერაფერი გაიხერხა, ხმელეთს მაინც ის ამჯობინა.

სხვათა შორის, ქალის ჭეშმარიტი ფასი ქალზე დახარბებულმა, ქალგაუიაფებულმა მამაკაცმა იცის და ადამიანებისაგან ათვალწუნებულმა და ბუნებას თავშეფა-რებულმა ბალახის, ხის, ნადირის და ფრინველის ენა და ღირსება.

— ბატონო ჩემო... რა თქმა უნდა, წესი და ჩვევა გვაქვს ასეთი, ერთმანეთი უნდა მოვიკითხოთ, თორემ ხომ ვიცით, კარგად ვერ ვიქნებით.

— კარგათ?! — გაიოცა ნოემაც.

— არა და, ალბათ, კარგად ყოფნას ასე უნდა გვერჩიოს.

— უნდა გვერჩიოს?! — ნოეს ახლა ამის თავი ჰქონდა გაეაზრებინა, რომ დროის შესაფერისად უნდა იყო ადამიანი და საკარგადყოფნე წუთისოფელი როდის ყოფილა, რომ ჭკუათმყოფელმა ახლა ინდომოს.

— კარგი... ძალიან კარგი... რომ შენც და ჩვენ ყველა ერთ ტაფაში ვიწვით...

— თქვე-ე-ენც?! — ნოემ მხრები ყურებამდე აიტანა.

— მეც, შენც, ჩვენ ყველა და ასეც უნდა იყოს... და თუ ასე არაა, ესაა იმაზე უარესი, თუ უარესი შეიძლება... მაგრამ გაცნობის უწინ... თუმცა, რატომ არა... მაგრამ მაინც, ჯერჯერობით სხვა... აი, თუნდაც... ეს რა მამაკაცური ხალი გქონიათ! — ეს ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიჩურჩულა და ისე სხვათა შორის, ვითომ ყველას ასე და ამნაირად წამოსცდებოდა, როგორც ერთი შეხედვითაც შესამჩნევი ღირსება. ნოე კი, ხალის ხსენებაზე, ის-ის იყო, ცხვირზე ისევ ხელის აფარებას აპირებდა — რა ჯანდაბამ დამავიწყაო. იქნება ერთხანს კიდევ შეჩერდეს და რაკი ასე შემიქო, ეტყობა გუნებას უფუჭებს, თორემ სხვებს რომ თვალში ეკლად ესობა, ისინი პირს სულ არიდებენ.

— ხალი... ხალი კი, აპა... — ერთიანად მოიშხამა და სიწითლემ ხანძარივით გადაუარა. ვაითუ ეს იმიტომ თქვა, ამის გამო გაჩერებას აღარ აპირებსო, მაგრამ მაშინვე გულთმისანივით დაუმატა:

— ვიჯდები რა კიდევ ცოტა ხანს, რომ შეგაწუხოთ, მაინც. უსაშველოდ დაღლილიც ვარ... და, ამის გარდა, თქვენს იქით გზა არა მაქვს... ამას მერე გეტყვით... მეტად საიდუმლო საქმე მაქვს თქვენთან.

— ჩე-ემთან?!.

— მხოლოდ თქვენთან და სხვასთან არავისთან.

ნოემ მხრები ისე აიწურა და თავი ისე წახარა... — შენი ხმალი და ჩემი კისერიო!

— აგაშენათ ღმერთმა!.. დიდი მადლობა... — ყოველ მის სიტყვას ისეთნაირი სიამტკბილი, ნაკრძალი თილისმა ღიმილი ახლდა?.. როგორც... როგორც... და ნოემ ვერაფრით ვერაფერს შეადარა. ის კი დაიჯერა: აწი, ოდესმე, ამის მსგავსი რომ ვნახო, ვიტყვი — „ასეთიო."

დასწყევლაო... უნდოდა ეთქვა, მაგრამ აქ „დასწყევლა" რამ მომაგონაო, თავს უსაყვედურა... დალოცა ღმერთმა, მართლა ისე კი არ იყო მისი საქმე, ქალის ღიმილი არ ენახა, მაგრამ გააჩნია ვინ ღიმება, ვის უღიმის, გულში რა უდევს და ამ ღიმილით რას ამბობს. ნოეს ცხვირზე შავ მეჭეჭივით ხალს, უცხო კი არა, ნაცნობიც რომ დაინახავს, უამურობისაგან თავის შეკავებას ვერავინ ახერხებს და ამიტომაცაა, ალბათ, პატრონს თვალების ხამხამი და პარპალი რომ აუტყდება. რაღაცნაირი პირმოთნე, ასეა, ასე მჭირს და... ამისთვის ნამეტანს ნურც მე დამძრახავთ და თქვენც ხასიათს ნუ წაიხდენთო.

და, წარმოიდგინეთ, ასე, ამნაირად სულაც არ ყოფილა საქმე... დამნახავს გააჩნია, თორემ, თურმე... „მამაკაცური ხალიც" კი შეიძლება გამოდგეს და თუ ეს მთლად ასე მაინც არაა, ამ ოჯახაშენებულს არაფერზე ეტყობა, ნოეს უსახურობას უამურ გუნებაზე დაეყენებინოს და ღიმილი გაექროს...

ამასობაში ნორაც მობრუნდა და კარებში რომ ფეხი შემოდგა, ისე შეჩქვიფდა, თითქოს რასაც ახლა ხედავდა, წეღან არ ენახა. დაუჯერებელი ვერც ახლა დაიჯერა. თავის მაგიდას გადაწვდა, ზედა უჯრიდან ხელჩანთა ამოიღო და აქეთ კი არა — კედლისკენ მიბრუნდა, რომ ოთახიდან გასვლისას სტუმრისკენ თვალი ურწმუნოდ ისევ და ისევ არ გამოქცეოდა. შესვენება მოიმიზეზეს თუ ნორამ ანიშნათ, სხვებიც წამოიშალნენ და კარიც ხმაურით გაიხურეს.

— ალბათ, თქვენც წასასვლელი ხართ, რა თქმა უნდა.

— მე... მე არა!

— ახლა, ჩემი გულისთვის...

— არა... მე მაინც არა.

— თქვენ რა, არ იღლებით?

— ნეტა ვინ რას აკეთებს.

— ჩვენში ვინ რას აკეთებს, მაგრამ უსაქმურობა ხომ უფრო დამღლელია.

— ეს ასეა... მაგრამ მე ცოტა საქმეც მაქვს და... გვიან ვისაუზმე... მამიდას ღორის ქონიანი ფაფა მოედუღებინა და გული მომიმსუყა. ჯერჯერობით არაფრის ჭამა არ შემიძლია.

— ლორის?!.

— ჰო, შაშხის...

—სად ვიყავი! სიამოვნებით დაგეწვეოდით.

ნოეს ისევ მხრებში ჩაუვარდა კისერი და ხელისგულები გაშალა: ღმერთს ენებებინა და ეს ხუმრობა სინამდვილედ ექციაო!

— აი, თუნდაც მარტო მაგისთვის, რომ ლორის ქონიანი ფაფით გისაუზმიათ, ყველაფერში გენდობით და გამოგიტყდებით.

ნოეს რაფერ ექნა, ასე მოულოდნელად, ნატვრასავით ახდენილი ქალისაგან რომ არ ერწმუნა, თორემ ამის დაჯერება სხვისგან და სხვა დროს გაუჭირდებოდა. გაუჭირდებოდა ისიც, რომ ეთქვა - მამიდაჩემის მოთითხნილი ლორის ქონიანი ფაფა ვჭამეო, როცა არავის უკითხავს, მაინცდამაინც რით ისაუზმეო. სხვა რაღაც იყო, ჯერ განუცდელი, გაუცნობიერებელი და გაუსაგისი... მართლაც ციდან ჩამოსულივით, რაღაც მოჰყვა ამ ქალს არამიწიერი, თუ მიწიერი, მაგრამ უტყუარი სიმართლის მშვენიერება. სინამდვილე, როგორიც უნდა ყოფილიყო და არის, თუნდაც შავი მეჭეჭივით ხალი, ოღონდ დაფარვა და სიცრუე კი არა, სიმართლე. შეულამაზებელი სიმართლე, სინამდვილე, რომელიც თავისთავადია, ბუნებრივია, ღვთის გაჩენილია და სიმახინჯე რომ გვგონია, ამით ვამახინჯებთ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თორემ თურმე შეიძლებოდა დაგვენახა ხიბლი. უსახურის ხილვა სახიერად, ღორის ქონის ფაფა — სანატრელ კერძად და ნოეს მიჩნევა ისეთ დიდ მესაიდუმლედ, რომ სხვასთან არავისთან არ გაიმხილება.

— ამ ქუჩა-ქუჩა და მატარებელ-მანქანებში წანწალს რომ ჯერ არა ვარ მიჩვეული... ღმერთო ჩემო, რა დღე დამადგა!.. დაგვიანებით ხომ დავაგვიანეთ და დავაგვიანეთ. ამ დაყუდებულ მატარებელში მარტოხელა ქალს რომ დაინახავენ ეს საქმეშემოლეული ნაბახუსევი მამაკაცები... ჩვენ ხომ ყველანაირი ადამიანური ზნეობა დავკარგეთ... წუხხარ ასეთ ქვეყანას... ვითომ შენი თავსამტვრევი არ გყოფნიდეს... მეზობელ ვაგონში ვიღაცა გაძარცვეს და ავაზაკებს ჩვენთან დაეძებ-დნენ. კედელს იქით ვიღაცები მთელი ღამე სვამდნენ და ამ დილაუთენია „ჩიტო-გვრიტოს..." მიმღეროდნენ. სადღაც თოთო ბავშვს ეღვიძება ვაგონის ჯაჯგურში და კივის და ჩხავის... როგორ ჩამოვიტანე სული, არ ვიცი. ვაგზალში ვიჯექი აგერ ამდენ ხანს, მაგრამ იქაც დაგაყენა ვინმემ?!. ვიფიქრე, რა წყალში გადავვარდე-თქო და, იმდენი ვიმტვრიე თავი, შენ გამახსენდი.

ნოეს გაოცება-გაკვირვება-მოთმინებასაც ხომ საზღვარი აქვს და ჩაილმუვლა:

— მე-ე-ე?!.

— შენ... თუმცა, შენზე ხომ წამოსვლამდეც ვფიქრობდი და შენი იმედით დავადექი გზას.

— ჩე-ემზე... სახლიდან... გზა-აას?!.

— ხომ არ შეიძლება ქვეყანა ისე დაიქცეს და გატიალდეს, ვერ ვიპოვო-თქო.

— ი-ი-პო-პო-ვო?!

— აბა, ისე ხომ ფეხს ვერ მოვიცვლიდი.

— მე... ა-აპა... მე „ი-ის" არა...

— თუნდაც ამიტომ ხარ შენ ის, რომ ამბობ „მე ის არა ვარო."

— აამი-ტოომ?!

— შენ... ვინმე, შენისთანა...

— ვი-ი-ინ-მე?.. ვი-ინ ჩემისთანა?!

— ვინმე, ადამიანი, თუ მთლად ღვთისნიერი არა, კეთილი, გულისხმიერი, ჩვეულებრივი... კაი, მამაკაცი... ქალი არა. ქალის პრანჭვა-გრეხის თავი არა მაქვს... ან ის, რომ არ დამასმენენ და, მით უმეტეს, ვერ დამიცავენ... მე ქალი ვარ და ვიცი ჩვენი უბედურება... მაინც კაცი სჯობს, წესიერი კაცი... თქვენ... მოდი რა, ნუ ვიბოდიშებთ, პირდაპირ ვთქვათ.

— პი-ირდაპირ!.. — ძლივს თვალების აპარპალება შესძლო ნოემ.

— თქვენ პერანგს ეტყობა, უცოლო ხართ... ან თქვენ თვითონ ირეცხავთ, ან ისეთი ვინმე...

— მამიდა!..

— ხანდაზმული... ცოტა თვალს... აჰ...

— თვალსაც... მაგრამ მთლად ყრუა!

— რა მოხარული ვარ, რომ გუმანმა არ მიღალატა. შემიძლია უკვე თვალდახუჭული გენდოთ. არა, ცოლიანობა ჩემთვის რაა, მაგრამ თვითონ ცოლებია ეჭვით დაავადებულნი და ჩემს გამო პატიოსან ადამიანებს უსიამოვნება რატომ უნდა შეემთხვეთ.

— უ-უსიამოვნება?!.

— რა არის, იცით? თქვენს უფროსობასთან რომ შევიდე, ხომ ვიცი, რაც მოხდება... რა ვქნა, ქალი ქუჩაში ხომ ვერ გავჩერდები... არადა, რა უნდა გავსინჯო და გავაკონტროლო, არ ვიცით დღეს რა ხდება და რა ქვეყანაში ვცხოვრობთ?..

— გა-აკონტროლო?! — ნოემ კბილი კბილზე კი დააჭირა, მაგრამ ამოდენა გაოცება მაინც ვერაფრით შეიკავა.

— ხო, ჯანდაბას ამათი და იმათი თავი... ვითომ, ჯერჯერობით, ხომ კიდევ შემორჩენილია რაღაც წესი თუ... ყოველნაირი უწესობა და უნამუსობა. არადა, მეც ხომ ადამიანი ვარ და სადღაც უნდა ვიმუშაო... კი არ ვიმუშაო, დღეს ვინ მუშაობს, მაგრამ ხომ უნდა ვიტყუებდე თავს და ვატყუებდე... ჰოდა, სად მოვიტყუებ და მოვატყუებ, რა განსხვავებაა. ეს, სადაც ახლა „მომაწყვეს," იმითაა უკეთესი, რომ ერთ ადგილას დაბმული მაინც არა ხარ და რაიონიდან რაიონში „მოგზაურობ..." „მოგზაურობას" ვეძახი ამ ჩემს ბიუროკრატულ წანწალს... და არ მინდა, იცი!.. ამათი... ჩემ ადგილზე ვინც იყო, გეცოდინება, დაიჭირეს... იმიტომ კი არა, რომ იღებდა და აძლევდა... ეს ადგილი სხვისთვის უნდოდათ და მოიშორეს, მაგრამ მერე იმ „სხვამ" არ ჰქნა: სხვაგან გადაგეყვანათ, ან ისე მოგეხსნათ, თორემ მასე მეც დამიჭერთო... დაჭერა არც მათ უნდოდათ. ისე, ის, ჩემი „წინამორბედი," არ წავიდოდა. დანაშაული რომ ამოუძებნეს, საციხე გამოდგა... ერთი სიტყვით, ბინძური საქმე როგორც ხდება და... მიზეზითა სხვისითა და სხვისითა, მე აღმოვჩნდიამ ადგილზე... მერე გეტყვი...

— მე-ე-ერე?... — ნოე მთლად გამოთაყვანდა. „მერე" რას ნიშნავს, „მერეც" აქ იჯდები და მერეც ნოესთან დაგტოვებს ვინმე, რომ გაიგებენ შენ ვინცა ხარ?! უნდოდა სულმოუთქმელად ჩაჰკითხოდა, რაც მოეყურა, ეგონა, ან რაღაც სიტყვამ მოიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წამოსცდა.

— მერე... რატომ, იცი? არ მინდა... კი იცით თქვენ... არა მაქვს მაგათი ოხოხოიების თავი. მეტი რომ არაფერი, ქალი ვარ. ვიფიქრე, ვიფიქრე და ასე გადავწყვიტე... იქნებ, დაუჯერებელიცაა და უცნაურიც, მაგრამ იყოს, რა ვქნა, თუ მეტი საშველი არაა. აი, ჩამოვედი, ვინმესთან... შენისთანა ადამიანთან... მართლა მთლად ხომ არ დაქცეულა ქვეყანა და ხომ ზის ეგერ, ყურეში... ასე, პირდაპირ მივალ, გავეცნობი... ხო, მართლა, ცაგო მქვია, ჩემი სიკვდილი, აქამდე კი არ მითქვამს... ჰოდა, მოვილაპარაკებთ, ვითომ, ან ინსტიტუტის მეგობრები ვართ, ან შორეული ნათესავები, ან ნათლიის შვილები. რა თქმა უნდა, კი არავის შევაწუხებ, მაგრამ „პატივისმცემლებს" მოვიგერიებ: თუ ვიმნესთან წასვლა მინდოდეს, აგერ, „ჩემიანთან" წავალ-თქო. ისინი ამ „შენიანს," ალბათ, პატარა კი შეაშფოთებენ, მაგრამ რა ვქნათ, სხვა ვინ გვიშველის, ერთმანეთისთვის თუ თავი არ შევიწუხეთ და არ გავისარჯეთ... თქვენც ამით დამეხმარეთ, რომ სასტუმრომდე მიმაცილეთ და სულ ეგ იქნება ჩვენი „მეგობრობა," ან „ნათესაობა." იქნებ სასტუმროც არ გამოდგეს, მაგრამ... ალბათ, უსაშველოც არ გაჩნდეს.

— ა-ა-სე!..

— აბა, მართლა თქვენი აწრიალება კი არ მიფიქრია. არც მაგათ ვუპირებ გზამართალს დავაყენო... აქ რა ხდება, მე კი არა, უმრავლესობამ იცის, და ისიც, რომ ჩვენ კი არა, თვითონ მთელმა სახელმწიფომ რომ ამათთვის მოიცალოს, ვერაფერს გახდება. რა ვქნათ, ჩვენ რა შეგვიძლია? სანამ ასეა, როგორმე ჩვენისთანებმა ერთმანეთს უნდა მივხედოთ... თავიდან... სანამ ის ქალი აქ იყო...

— ნორა?

— არ ვიცი რა ჰქვია. შემოსვლისთანავე მინდოდა წამომეძახა: „ახ, ეს შენა ხარ!" მაგრამ ხომ არ ვიცოდი რა გქვიათ, ან რას მიპასუხებდით და ამიტომ ვერ გავბედე...

— დიახ, მე, ნოე! — თავი დაუქნია ნოემ და თვალები კვლავ ისე აუხამხამდა, როგორც უცხოსთან შეხვედრისას ემართებოდა.

— დიახ, ნოე და... ჩვენ ერთად ვსწავლობდით?..

— მე... მე, რაღაც... გაჭირვებული კურსები...

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ვითომ, მე მერე გავაგრძელე... ან ვინ რას სწავლობს დღეს და ვინ რა იცის... მე მაგათი არაფერი მინდა, არც რაიმე დავიდარაბას ვაპირებ. როგორც ასეთ დროს ხდება, ყველაფერი მოჩვენებითია... ამათ და „იმათ," „ზევით," იციან თავიანთი საქმე. ეს მაინც ასე იქნება და რად მინდა, ტყუილად ყორანი ვხეხო ქვიშით. ერთ-ორ დღეს დავრჩები, თქვენ, წინასწარ დიდი მადლობა, და მერე ყველას ჯვარი გწერიათ... ჰო, მართლა, რა გქვიათ?

— ნო-ოე.

— კი, ბატონო ნოე, მაგრამ, ვითომ მე, ერთად რომ ვსწავლობდით, ისე დაახლოებული ვიყავით, ნოვეს გეძახდი. ხომ არ გეწყინებათ?

— ნოე კი არა, ზოგჯერ ნოვეიასაც მეძახიან.

— არა, მე ასე ვერ გაგიშინაურდებით, მაგრამ მაგათ რომ ეგონოთ...

— ნოე ხვედურელი...

—ჰო, ხვედურელი. კი, ბატონო. ხვედურელი, თითქოს მართლა სწავლობდა ჩვენთან, მაგრამ ის სკოლაში, პარალელურ კლასში...

და ამ დროს იყო, რომ ზოზროხა უშანგი აიტუზა კარებში, ორი ულუფა ხარჩოთი მუცელამოყორილი და, როგორც ყოველთვის, ოდნავ ნაბახუსევი. ჯერ თვალებს არ დაუჯერა, ამ ჩემ სკამზე ვინაა ეს ანგელოზიო და მერე, ზურგიდან მოუარა, ამ გვერდიდან და იმ გვერდიდან შეათვალიერა, მართლა ფრთები თუ აქვსო, იმის დანახვა მოინდომა.

— ჩე-ემი მეგობარი, ცა-აგო! კი იცი შენ, რამდენჯერ მი-ითქვამს.

— რა გითქვამს, ნოვეია, არ გადამრიო! — შეიცხადა უშანგმა. — ეს გითქვამს შენ ჩემთვის?!

— რავა არა, მარა რა გემახსოვრება.

— ეჰ, რა გემახსოვრებათ, თქვენ კი არა, ჩემი თავი თვითონ ნოვესაც ძლივს მოვაგონე.

— დროზე ჩაერია სტუმარი, რაკი „თანაკურსელის" დიდი იმედი არ ჰქონდა, თუნდაც ასეთ კეთილ ტყუილს თავს გაართმევდა.

— რაო, ბიჭო, ნოვეია თვალდამდგარო, ამისთანა ვინმე ნახე შენ ცხოვრებაში და რა ჯანდაბა გახსოვს, რომ ეს დაივიწყე?!

— ა-ახლა... სტუდენტობის დრო-ოს!..

— ეს, ბიჭო, სტუდენტობის დროს კი არა, აკვანშიც რომ იყო, მაშინაც მზეთუნახავი იქნებოდა.

— როგორ გეკადრებათ!.. — წამოდგა ქალი და სკამი შეაბრუნა. — ის კი არა... ნოვე ასეთი კი არ იყო, გოგოებს ზედაც არ გვიყურებდა...

— ქეც იმიტოა თვალებდაფსებული! ამ თვალ-მარგალიტს არა და, აპა, მე მიყურე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენ წინ მი-იზიხარ და...

— დიახ, ბატონო, სხვა რა ჯანი აქვს! — ცაგომ ნოეს ხელი გაუწოდა, მაგიდას გამოაშორა და ხელკავი რომ გამოდო, ჩანთა თვითონ დაიჭირა, ჟურნალ-გაზეთები „მეგობარს" შეაჩეჩა.

— ღმერთო, შენ ხარ მოწყალე! — პირჯვარს იწერდა უშანგი, ოთახიდან რომ გამოვიდნენ. — არ დამთხარა თვალები და არ გეიმძღვანა!..

/გაგრძელება იქნება/

მილოცვა

საქართველოს მწერალთა კავშირი და ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" საიუბილეო თარიღს ულოცავს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალ ქართულ გაზეთ „მამულს", უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს და ქართული სულიერებისა და ფასეულობათა პოპულარიზაციის საქმეში შემდგომ დიდ წარმატებებს უსურვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაჟა ოთარაშვილი
ახალი ლექსები

24373

ვაჟა ოთარაშვილს 50 წელი შეუსრულდა. ეს ორმოცდაათი წელი მშობლიური ქვეყნის ერთგულებით, დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიებით, ჰოეტური ენერგიის დაუზოგავი ხარჯვით, სიყვარულის, სალამაზისა და მშვენიერების მსახურებით გალია. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი ჯავშირი ჰოეტს საიუბილეო თარიღს ულოცავს და ქართული სიტყვის, ქართული სულიერების სადარაჯოზე მდგარ თავდადებულ მეციხოვნეს, ახალ შემოქმედებით სიხარულს უსურვებს.

სად ქრებიან ღამეების
მწველი მონატრებები,
სევდით სავსე არეები,
მოღუღუნე მტრედები?
ან სად ქრება
აწმყოს მიერ
დამარხული წარსული?
დილას ნისლი ავახიე —
უფსკრულებზე გასული...
მეც უფსკრულებს მივუყვები,
ნისლის ერთი ფთილა ვარ...
ანგელოზთა ტკბილმა ხმებმა
ბნელი გაადილავა...
პოეტი ვარ!
ჩემი სული
ავსებულა მტრედებით...
სად ქრებიან ნეტა ღამის
მწველი მონატრებები?..

გურამ მღებრიშვილის გახსენება

გაიელვა ქეიფების კოცონმა,
ჩაიქროლეს მოთარეშე ქარებმა,
მოგონება მუცალივით მოცოცდა
და ძმაკაცის ლანდი მემუდარება...
ქვათახევში, გახსოვს, როგორ დავთვერით,
რამდენ ლამაზს ავურიეთ თავგზა და...
მერე წყვილი რომ დავანთეთ სანთელი,
ბაღდადურით ღამის ბნელი გაზავდა...
მომენატრა სიჭაბუკის დღეები —
ჩხუბითა და ტრფობით სავსე ყოჩები...
ღვინოსა ვსვამ, სევდით განახელები,
თქვენთან მოვალ,
სიცოცხლეს რომ მოვრჩები...
კვლავ მარტო ვარ და ვერ მიგებს ვერავინ,
სიყვარულის შხამ-ტკბილსა ვცლი ფიალას...
ბარათაშვილს გამოექცა მერანი
და ზედ გულზე დარდად გადამიარა...

* * *

დედა! ისევ ვეწევი
სიგარეტს და ღვინოს ვსვამ...
ბებერი ბლის კენწერო,
აპრილს მაინც მილოცავს...
და კვლავ ბავშვურ შეცდომებს
ვუშვებ... მერე ვბრაზდები...
კაცთა მოდგმის შეცნობას
არ ჰგავს ეს ნააზრევი...
მაგრამ კვლავ ძველებურად,
ჩვენს შეხვედრას მოველი...
ნეტა შენთან მოფრენის
დღე იქნება რომელი?

* * *

ისევ დედის ხელები...
ისევ დედის სიტყვები...
ცრემლით დანასველები,
საფლავის გზას მივყვები...
და ქუხილი მეხისა —
ცაზე ხატავს მეტასტაზს...
ჰოი, ველარ მეღირსა,
ჩახუტება დედასთან...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ბარძიმის ღვინო
ქრისტეს ტრაპეზზე,
საქართველოდან მოვა...
ეს მისტერია ისე მაქეზებს,
ვით საშობაო თოვა...
სულთათანადან ამაღლებამდე
სავალი ცათა შინა...
აქ სააღდგომო კვერცხებს ღებავდნენ
ივერიელნი წინათ...
დღესაც გვებრძვიან
და ვერცხლს სახეზე
გვაყრიან გროვა-გროვად...
. . . . . .
ბარძიმის ღვინო
ქრისტეს ტრაპეზზე,
საქართველოდან მოვა...

ოცნების ხარაკირი

ვერასდროს ვერავინ შენ რომ ვერ გიგებდა,
საკუთარ ოცნებებს უწყობდი ხარაკირს...
და ქალებს დაჭიმულ ნერვების სიმებთან,
რჩებოდათ წარსულში ფლირტების არაკი...
ეგონათ დანებდი სიყვარულს ბოლომდე
და თითქოს მოგარგეს უზანგიც, აღვირიც...
წუთები შენს გულში დარდებად თოვობდნენ
და მზისფრად ელავდნენ კოცნებად დაღვრილი...
კვლავ ლექსებს უძღვნიდი
გედ-ყელა დედოფალს -
საკუთარ ოცნებებს უწყობდი ხარაკირს...
ო, როგორ გინდოდა ტრფობაშიც მეფობა,
მაგრამ ცად გეძახდა ცისფერი ბანაკი...

უცხო

ამოშანთავენ სხვისი ტუჩები,
ჩემი კოცნებით დათრთვილულ კერტებს...
ეს მერამდენედ ბედს ვეურჩები,
ეს მერამდენედ შევცდი და ვენდე..
და მერამდენედ ისევ განვიცდი,
კვლავ მიტოვებას და განშორებას...
გაზაფხული კი ბავშვურ ანცობით
შემოამტვრიეს ატმის რტოებმა...
შენ კი უცხოსთან კვლავ ითამაშებ
როლს – მიამიტის და უცოდველის...
ვინ გადაცურავს ცრემლის ლა-მანშებს,
აღმართულია დარდის კედელი...
აღარ მანაღვლებს, რომ არ გიყვარვარ,
წყალს წაუღია ჩემი საყავრეც...
და მტკივა უცხო... (არ სთქვა სიტყვა „არ“),
ჩემზე მეტად რომ თავს შეგაყვარებს...

4 თებერვალი

გუშინაც თოვდა და შენ მოხვედი,
ჩემს მშველელად და გულის სალბუნად...
და შენს თვალებში ზამთრის შორეთი, —
ბედმა სიზმრებში დარდად მარგუნა...
გუშინაც თოვდა... გეფერებოდი,
თმებზე, თვალებზე ჩუმად გკოცნიდი...
და ფანტელების ნაზი მდელოთი,
მოხატულიყო თოვლის ქორწილი...
მაშინ მოხვედი, როცა მიჭირდა,
როდესაც მხრავდა მელანქოლია...
მერე კი ვსვამდით ერთი ჭიქიდან,
თითქოს შენს მეტი არვინ მყოლია...
და ფანტელების ნაზი მდელოდან
ვნებიან თვალებს მიგიზგიზებდი...
ის კი... ის ერთი აღარ მელოდა —
ჩემი ტანჯვის და დარდის მიზეზი...

* * *

ეგ, უთქმელი დარდები
თვალში ცრემლად დნებიან,
შენს სხეულზე ვმთავრდები,
გზებს მოვყვები ვნებიანს...
აღტაცებას მოყვება –
წუთი სიმწუხარესი...
გიჭირს უკან მოხედვა,
ფერება და ალერსი...
შენს თვალებში დარდები
ისევ ცრემლად დნებიან...
მე – ზეცაში ვმთავრდები
და ღრუბლები ფრთებია...

* * *

სულში ათრთოლდა ტკივილი მწველი
და გაბზარული ნატვრა ცად ება...
შენ – ახალ ტყუილს ისე მოელი,
როგორც სიკვდილის გამოცხადებას...
საკუთარ თავის აღარა გჯერა,
ნდობის დაშლილა კრიალოსანი...
მოგკვეთეს ლექსი, როგორც მარჯვენა
და ხეიბარი დარჩი მგოსანი...
შენ ასეთ ყოფას სიკვდილი გიჯობს,
ჩამავალი მზის შეგაკრთობს სევდა,
ჰოი, შუახნის ჭაღარა ბიჭო,
შენი კალამი ამაოდ წერდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულში კი თრთოდა ტკივილი მწველი
და გაბზარული ნატვრა ცად ება...
შენ სატრფოს ტყუილს ისე მოელი,
როგორც დახვრეტის გამოცხადებას...

3-ს

როგორ დავხატო, ნეტა ვიცოდე,
შენი დარდი და შენზე ოცნება...
შენ ერთხელ ხელი გამომიწოდე,
თუ შემაჩერეს ციდან ლოცვებმა...
მე გვიან მივხვდი, ო, გვიან მივხვდი,
რომ უშენობას ჰქვია კენტობა...
ცხელი ზაფხული პირბადეს იხდის
და კაკლის ჩრდილში ნარდით ერთობა...
კაცმა არ იცის, ჩვენი ცხოვრება,
ვისთვის მძიმეა, ვისთვის ამართლებს...
და ცივი წყარო – სულის ცხონება,
აგორებს კენჭებს, როგორც კამათლებს...

* * *

შენა ხარ ჩემი ბოლო გამოცდა,
დიდი იმედიც, მწარე ღალატიც...
ჩემი ლექსები შენთვის გალოცვდა,
თუმცა სათუთად სულში ვმალავდი...
შენა ხარ ჩემი ბოლო სასჯელი,
ჩემი თამადა და მესაფლავე...
ჯერ მოიკვეთოს უნდა მარჯვენა,
ტაძარზე სანამ მიადაფნავენ...
ჯერ განშორება, ისე შორია,
ვით შუაღამეს – მკრთალი ცისკარი...
მე შენს წარსულში ვიწყებ ბორიალს,
ერთი ნაბიჯით ვერ მოგისწარი...

* * *

უცნაური სიყვარულით მიყვარდი,
საოცარი სინაზით და ტრფობით...
ცეცხლმა დაწვას მოხასხასე მიხაკი,
ვიდრე ჩუმად მოეკიდოს ობი...
საოცარი სინანულით გშორდები,
დიდი დარდით გული გადამეთრო...
შენი თმებით მწარედ განაშოლტები,
ისევ შენსკენ მოვაგელვებ თეთრონს...

* * *

შენ გეწირები ჩემო სტრიქონო,
ჩემო სევდავ და ჩემო წამებავ...
ჩაიმარცვლება ქორონიკონი –
სულის მიწაზე აწამწამება...
ბედნიერი ვარ ამ ტანჯვა-გვემით
და ავსებული უფლის მადლითა,
რომ მიწყალობა მთრთოლვარე ხემი
და ტკივილებით გული დაფლითა...

* * *

მიყურებ... გითრთიან ტუჩები,
(თვალები ვინ შექმნა უთქმელი...)
ტკივილი – ვერ განაყუჩები,
ლამაზი, ვით ტყეში ურთხმელი...
შევხვდებით?
შენი ხმა მომესმა,
კვლავ ჩემს ხმას ნატრულობ ისევე...
გავა დრო... თუ გნახავ ოდესმე,
ნატვრები ჩაიკისკისებენ...
სიგარეტს ვეწევი... ნერვები
მითრთიან, ვით შენი ტუჩები...
მე შენს სულს კანკალით ვეხები,
ისე, ვით წვიმის წვეთს ქუჩები...

* * *

მარადიულ ნატვრებში ჩემი სული დაგეძებს,
გადაღალეს სხეული მიწიერმა ხილვებმა...
ღრუბლის პანთეონები ქარიშხლებმა დალეწეს
და ცა-სისხლად დაცლილი, დაისებად ილევა...
გიხარია, როდესაც საკუთარ თავს ეკუთვნი,
როცა მოღალატეებს ჩამოგლიჯავ მანტიას,
მაგრამ გულში დარდების გაგეყრება ბებუთი
და ლექსს შენი ტკივილი ქამარივით არტყია...

* * *

გამანადგურებ, როგორც ნიკალას
და სადმე კიბის ძირას მოვკვდები...
თოვლიან ქუჩას ისე მივკვალავ,
ვით სახინკლის გზას დილით ლოთები...
ივსება სული შენი ზმანებით,
ისე მიყვარხარ, როგორც არასდროს...
და გუგუნებენ ცისკრის ზარები,
ჩვენი ცოდვილი ბედის სანაცვლოდ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე სადმე კიბის ძირას მოვკვდები,
გამანადგურებ, როგორც ნიკალას...
ვით ქარიშხალში ხმელი ფოთლები-
დასალიერის ბილიკს მივკვალავ...

* * *

თოვლისფერ თითებს,
როგორც კლავიშებს,
ბეთჰოვენივით თრთოლვით ვეხები...
შენს გულში მოვკვდი...
მტერი კი მიშენს-
ტყვიებს, რომელსაც
ვთელავ ფეხებით...
ტკივილს ვეღარ ვგრძნობ...
ჩამავალ მზეში,
ქართლის გორებმაც ფერი იცვალეს,
შენი ცრემლებით
ავივსე პეშვი,
დავლიე... ისე გარდავიცვალე...

* * *

მე ყველა ერთად უნდა დაგტოვოთ,
ჩემო ძმებო და ჩემო ქალებო,
რომ ვიგრძნო თქვენი ცრემლით დალტობა,
თქვენი ქვითინი სააღსარებო...
მე ყველას ერთად უნდა დაგშორდეთ,
სანამდე ჩემი მზეი ანათებს,
როგორც მელანი ხსოვნის საშრობზე
შემოვრჩე უკვე ჩამქრალ სასანთლეს...
როდესაც ცრემლით ამანთებთ ერთად:
მოგონებებით და გახსენებით,
ააბიბინოს ჩემს ძვლებზე ღმერთმა
გულს დაბჯენილი ქართლის სერები...

ლოცვა ლექსებით

ჩემი ლექსებით
შენზედ ვლოცულობ,
ჩემო ენავ და ჩემო მამულო!
რწმენავ, იესოს ჯვარით მოსულო
და ნინოს ცრემლით გადანამულო...
ჩემი სიტყვები ჩირაღდნებია,
რომ მტრის შემოსვლა გამცნოთ კოშკიდან...
ხანჯლით რითმაში მივარდებიან,
მემუქრებიან რჯულის მოშლითა...
უნდათ ამჩეხონ ბგერა-ბგერა და
სიტყვის სეტყვებით სისხლი მადინონ...
მტერთან და თანაც ასეთ ვერაგთან,
უნდა ვიმარჯვო და ვიქადილო...
არ მეშინია!
ჩემი ლექსებით
შენზედ ვლოცულობ ივერთ მამულო!
რწმენავ — იესოს ჯვარით მოსულო
და ნინოს ცრემლით გადანამულო...

ემიგრანტის სიკვდილი

უცხო მიწა... უცხო ცა...
უცხო ხოდაბუნები...
უცხო ქალი, უცხოც არ,
მაგრამ სულ სხვა ბუნების
ბევრი ენა ისწავლე,
ფრანგულიც და ჩინურიც...
ქართლში თავს ხრის მიწამდე
დანასეტყვი ზვინული...
უდარდელად გართხმულან
უცხო ხოდაბუნები...
მაგრამ სიკვდილს ქართულად
ისევ ესალბუნები...

* * *

ყველა ცოდვა და ყველა შეცდომა –
შენ მაპატიე, ღმერთო, მაღალო,
რომ შენი სიტყვის შევძლო შეცნობა
და ფურცლებს ლექსად გამოვაყარო...



მარკუს ტულიუს ციცერონი

სციპიონის სიხმარი[1]

სციპიონი.[2] როდესაც აფრიკაში ჩავედი კონსულ მანიუს მანილიუსის[3] ხელქვეითად და, როგორც მოგეხსენებათ, მეოთხე ლეგიონის სამხედრო ტრიბუნად[4], ყველაზე მეტად მეფე მასინისას[5] ნახვა მსურდა, რომელსაც, სავსებით საფუძვლიანად, ახლო მეგობრობა აკავშირებდა ჩვენს ოჯახთან. როგორც კი ვეწვიე, ბერიკაცი[6] გადამეხვია და თვალზე ცრემლი მოადგა; მერე ზეცას ახედა და თქვა: „მადლობას ვწირავ მაღალ მზეს და ზეცის დანარჩენ მკვიდრთაც, რადგანაც, ვიდრე ამ ქვეყანას დავუტოვებდე, საშუალება მომცეს ჩემს სამეფოში და იმ ჭერქვეშ მეხილა პუბლიუს კორნელიუს სციპიონი[7], ვისი სახელის ხსენებაც კი მხნეობას მმატებს. ჩემს სულში ხომ არასოდეს წაშლილა იმ დიდებული და უძლეველი კაცის ხსოვნა“. შემდეგ მისი სამეფოს ამბავი ვკითხე, მან ჩვენი რესპუბლიკის ვითარება გამომკითხა, და მთელი ეს დღე გულითად საუბარში გავატარეთ.

მას შემდეგ, რაც მეფურად მიმასპინძლა, გვიან ღამემდე შევყევით საუბარს. ბერიკაცი მხოლოდ პუბლიუს კორნელიუს აფრიკელზე ლაპარაკობდა და არა მარტო მის საქმეებს, მისსავ სიტყვებსაც იხსენებდა. ბოლოს, როცა გამომშვიდობებისა და მოსვენების ჟამმა მოაწია, მგზავრობითა და ღამის თევით დაღლილს უფრო ღრმად ჩამეძინა, ვიდრე მჩვეოდა. ძილში, ეტყობა, იმის შედეგად, რაზედაც ვსაუბრობდით (აკი სიფხიზლეში ნათქვამი და ნაფიქრალი რაღაც იმდაგვარს იწვევენ ძილში, რასაც ენიუსი წერს ჰომეროსზე, ვისზედაც, ალბათ, სიფხიზლეში ხშირად ფიქრობდა და ლაპარაკობდა[8]), — „აფრიკელი“ გამომეცხადა, რომელსაც მისი გამოსახულების მიხედვით უკეთ ვიცნობდი, ვიდრე მისი ნამდვილი სახით[9]. როცა ვიცანი, ვინც იყო, შიშმა ამიტანა, მაგრამ მან მითხრა: „მხნედ იყავ, სციპიონ[10], განდევნე შიში და დაიხსომე, რასაც გეტყვი.

თუ ხედავ იმ ქალაქს, მე რომ ვაიძულე დამორჩილებოდა რომაელ ხალხს, მაგრამ ახლა უწინდებურად ომის გზას ირჩევს, რადგანაც მშვიდად ყოფნა არ შეუძლია?[11] (ამასთან, ის მაღალი და ვარსკვლავებით მოჭედილი, ნათელი და სხივმფინარე ადგილიდან[12] მიჩვენებდა კართაგენს). ახლა კი შენ ლამის უბრალო ჯარისკაცად მოვლენიხარ აქაურობას[13], რათა იერიში მიიტანო ამ ქალაქზე. ორ წელიწადში, როგორც კონსული[14], მიწასთან გაასწორებ მას და კიდევაც დაიმსახურებ იმ მეტსახელს, რომელიც დღემდე მემკვიდრეობით გრგებია ჩემგან[15]. კართაგენის დაქცევის შემდეგ, რაც შენი ტრიუმფით დაგვირგვინდება[16], ცენზორი გახდები და ლეგატად ეწვევი ეგვიპტეს, სირიას, აზიასა და საბერძნეთს, მერე კი, შენდა დაუსწრებლად, მეორედაც აგირჩევენ კონსულად, უსასტიკეს ომს მოიგებ და ნაცარტუტად აქცევ ნუმანციას. მაგრამ როდესაც ეტლით შეგრიალდები კაპიტოლიუმში[17], ჩემი შვილიშვილის ზრახვებით ამტუტებულს ჰპოვებ რესპუბლიკას[18].

და აქ შენ, აფრიკელო, უნდა უჩვენო სამშობლოს შენი სიმამაცის, სიბრძნისა და გონიერების ნათელი. მაგრამ მე თითქოს ორმაგ გზას ვხედავ, ბედისწერის მიერ საიმდროისოდ განსაზღვრულს. როცა შენს სიცოცხლეში რვაჯერ იხილავ ცის ერთსა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმავ წერტილში მზის შვიდ მოქცევას, და როცა ეს ორი რიცხვი, სხვადასხვა მიზეზის ძალით, სრულ რიცხვად მიჩნეული, თავისი ბუნებრივი სვლით გაასრულებს ბედისწერის მიერ შენთვის დასაზღვრული წლების სათვალავს[19], მხოლოდ შენსკენ, მხოლოდ შენი სახელისკენ მოიქცევა მთელი ქალაქი: სენატიც და ყველა კეთილი მოქალაქეც, მოკავშირეებიც და ლათინებიც; შენსკენ მზირალნი მხოლოდ შენ მიგიჩნევენ სახელმწიფოს კეთილ-დღეობის ერთადერთ მხსნელად, და შენ, დიქტატორმა, უნდა აღადგინო საზოგადოებრივი წესრიგი, თუკი შეძლებ თავი დააღწიო შენი ახლობლების უკეთურ ხელს".[20]

აქ ლელიუსს[21] სიმწრის ყვირილი აღმოხდა და დანარჩენებმაც ერთხმად ამოიგმინეს, მაგრამ სციპიონმა ალერსიანი ღიმილით შეაჩერა ისინი: „გევედრებით, ნუ გამაღვიძებთ; ყური მიგდეთ და ბოლომდე მოისმინეთ ჩემი სათქმელი".

მაგრამ ესეც უნდა იცოდე, სციპიონ, — განაგრძო აფრიკელმა, — რათა უფრო მხნედ ემსახურო რესპუბლიკას: ყველას, ვინც დაიცვა სამშობლო, შეეწია მის კეთილდღეობას და განავრცო მისი საზღვრები, გარკვეული ადგილი აქვს მიჩენილი ცაში, მარადიული სიცოცხლისა და უხრწნელი ნეტარებით ტკბობის ადგილი. რადგან არაფერი ისეთ სიამეს არა ჰგვრის უზენაეს ღვთაებას, სამყაროსა და ყოველივე იმის გამრიგეს, რაც ხდება დედამიწაზე, როგორც სამართლით შეკრულ-შედუღაბებულ კაცთა ერთობა, რასაც სახელმწიფოს ვუწოდებთ ჩვენ, რომლის მმართველნიც და მფარველნიც, აქედან წასვლის შემდეგ, აქაურობასვე უბრუნდებიან."

მაშინ მე, შეძრწუნებულმა არა იმდენად სიკვდილის შიშით, რამდენადაც ჩემი ახლობლების მზაკვრობით[22], ვკითხე: „შენ თვითონ, მამაჩემი პავლუსი[23] და სხვები, ვინც მკვდრებად მიგვაჩნდა, ცოცხლები თუ ხართ-მეთქი?" — რა თქმა უნდა; — მომიგო მან, — ყველანი ცოცხლები ვართ, სხეულის ბორკილებიდან, როგორც პირქუში დილეგიდან, თავდახსნილნი და თავისუფალნი; სიკვდილი კი ისაა, რასაც თქვენ სიცოცხლეს უწოდებთ[24]. ნუთუ ვერ ხედავ მამაშენ პავლუსს[25], რომელიც გიახლოვდება?" მისი დანახვისას ღაპაღუპით წამომივიდა ცრემლები, ის კი გადამეხვია, გადამკოცნა და თავისი ალერსით შემიშრო ცრემლი.

როცა ტირილი შევწყვიტე და ხმის ამოღება შევძელი, მამაჩემს ვკითხე: „მითხარი, უწმინდესო და ყოვლის მჯობო, თუკი სიცოცხლე სწორედ ესაა, როგორც აფრიკელისაგან შევიტყვე, მაშინ რაღას ვუდგივარ ამ წყეულ ქვეყნად, რატომ არ მოვეშურები თქვენსკენ?" — არა, — თქვა მან, — სანამ ღვთაება, ვისიცაა ეს ტაძარი[26], რომელსაც ხედავ, არ გაგა-თავისუფლებს შენი სხეულის ტყვეობისაგან, მანამდე არ გაგეხსნება ზეცის კარი. ადამიანები ხომ იმისათვის არიან დაბადებულნი, რომ არ მიატოვონ დედამიწად სახელდებული ბურთი, ამ ტაძრის შუაში რომ ხედავ; მათი სული კი იმ მარადიული ცეცხლოვანი სფეროებიდან იღებს დასაბამს, თქვენს მიერ ვარსკვლავებად და მნათობებად რომ იწოდებიან. ეს მრგვალი, ღვთაებრივ გონთან წილნაყარი და ღვთაების მიერვე გასულიერებული სფეროები განსაცვიფრებელი სისწრაფით ასრულებენ თავიანთ წრებრუნვას. ასე რომ, შენ, პუბლიუს, ისევე, როგორც ყველა ღვთისმოსავმაც, სხეულის დილეგში უნდა ამყოფოთ თქვენი სული, და მისი ნებართვის გარეშე, ვინც ეს სული გიბოძათ, არ დაუტეგოთ ადამიანური სიცოცხლე და, ამრიგად, არ უღალატოთ ღმერთის მიერ დაკისრებულ მოვალეობას.[27]

ხოლო შენ, სციპიონ, ისევე აღასრულე სამართლიანობა და მოიხადე შენი ვალი, როგორც აქ მყოფმა პაპაშენმა და მე, შენმა მშობელმა, მოვიხადეთ. ეს ვალი დიდია მშობლებისა და ახლობლების მიმართ, სამშობლოს მიმართ კი — უდიადესი[28]. მხოლოდ ამნაირი სიცოცხლე თუ მიგიყვანს ზეცის კარად, იმ ხალხის ხომლში, ვინც უკვე დაასრულა თავისი სიცოცხლე და ახლა, სხეულისაგან თავდახსნილი, იმ ადგილას სახლობს, რომელსაც ხედავ (სხივ-ცისკროვანსა და ვარსკვლავთა შორის ნათლის მფრქვეველ რკალზე მანიშნა), რომელსაც თქვენ, ბერძნების მსგავსად, გალაქტიკას უწოდებთ".

იქიდან, სადაც ვიყავი და თვალს ვერ ვწყვეტდი ამ საოცარ სანახაობას, ყველაფერი მომნუსხველად და გამაოგნებლად მეჩვენებოდა. ასე ლამაზი და ამხელა ვარსკვლავები არასოდეს დაგვინახავს ჩვენი საცხოვრისიდან. მათ შორის ყველაზე უმცირესი, რომელიც ყველაზე შორსაა ციდან და ყველაზე ახლოს — ჩვენთან, ნასესხები სინათლით ნათობდა[29]. ვარსკვლავთა ეს გიგანტური სფეროები თავიანთი სიდიდით განუზომლად აღემატებოდნენ დედამიწას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომელიც მათთან შედარებით, ისე პატარა მომეჩვენა, რომ სიბრალულიც კი ვიგრძენი ჩვენი ქვეყნის მიმართ, პაწაწინა წერტილად რომ აჩნდა დედამიწის ზედაპირს.

ვიდრე ასე დაჟინებით ვუცქერდი დედამიწას, აფრიკელმა თქვა: „როდემდე იქნება შენი აზრი მიქცეული დედამიწისკენ? ნუთუ ვერ ხედავ ამ ღვთაებრივ ტაძარს, სადაც მოსულხარ? ყველაფერი შეკრულია ცხრა წრით, ან უკეთ რომ ვთქვათ, სფეროთი, რომელთაგანაც ერთ-ერთი, ყველა დანარჩენის მომცველი, გარეთა ციური სფეროა[30]; ესაა უზენაესი ღმერთი, რომელიც მოიცავს ყველა დანარჩენს. სწორედ მასზე არიან მიმაგრებული უძრავი ვარსკვლავები, მარადიულად რომ ბრუნავენ. მის ქვემოთ კი შვიდი სფეროა, რომელთა უკუქცევითი მოძრაობა საპირისპიროა ციური სფეროს მოძრაობისა. ერთ-ერთი სფეროს მფლობელია პლანეტა, რომელსაც სატურნს უწოდებენ დედამიწაზე. მისი მომდევნოა ვარსკვლავი, იუპიტერად სახელდებული, რომელსაც ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მოაქვს კაცთათვის. უფრო ქვემოთ — წითლად მბრწყინავი და დედამიწისათვის თავზარდამცემი ვარსკვლავი, რომელსაც თქვენ მარსს უწოდებთ. კიდევ უფრო ქვემოთ, დაახლოებით შუა ადგილი მზეს უჭირავს, დანარჩენ მნათობთა მეუფეს, მბრძანებელსა და მთავარს, სამყაროს გონსა და გამრიგეს, იმდენად დიადს, რომ თავისი სხივებით ავსებს და ანათებს ყველაფერს. მისი თანმხლებნი არიან, ერთის მხრივ, ვენერა, მეორეს მხრივ კი, მერკური. და ბოლოს, სულ ქვემოთა წრეზე მიმოიქცევა მზის სხივებით განათებული მთვარე. მის ქვემოთ კი სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რაც მოკვდავია და ხრწნადი, სულების გამოკლებით, რომლებიც ღმერთმა უბოძა კაცთა მოდგმას. ხოლო მთვარის ზემოთ ყველაფერი მარა-დიულია. რაც შეეხება დედამიწას, ანუ მეცხრე სფეროს და სამყაროს ცენტრს, ის უძრავად დგას ყველაზე დაბლა, და ყველაფერი, რასაც წონა აქვს, მისკენ მიილტვის საკუთარი სიმძიმის ძალით“.[31]

ყოველივე ამის მიმართ განცვიფრებით მზირალმა გონს მოგებისთანავე ვკითხე: „კი მაგრამ, ეს რა ბგერებია, ასე ხმამაღალი და საამო, თავიანთი ჟღერადობით რომ ავსებენ სასმენელს ჩემსას?“ — ეს ბგერები, — მომიგო მან, — არათანაბარი შუალედებით დაყოფილნი, მაგრამ მაინც გარკვეული თანაფარდობებით განლაგებულნი, სფეროთა შმაგი ბრუნვისაგან იღებენ დასაბამს, რაც მაღალ და დაბალ ბგერათა შერევა-შეხამების შედეგად სხვადასხვანაირ ჰარმონიულ თანახმიერებას იწვევს. ეს უზარმაზარი სხეულები ჩუმად ხომ ვერ იმოძრავებენ, და თვით ბუნება აწესებს იმას, რომ კიდურა სფეროთაგან ზოგი უფრო ხმამაღლა, ზოგი კი უფრო ხმადაბლა ჟღერდეს. სწორედ ამ მიზეზის ძალით, აი, ის უზენაესი, უძრავ ვარსკვლავთა მტვირთველი და უფრო სწრაფად მოძრავი ზეცა უფრო მაღალ და მკვეთრ ბგერებს გამოსცემს, მთვარის ყველაზე დაბალი სფერო კი, პირიქით, — დაბალს.[32] რიგით მეცხრე დედამიწა ხომ ყოველთვის სამყაროს შუაშია, ერთსა და იმავე ადგილას. დანარჩენი რვა გზა კი, რომელთაგანაც ორი ტოლძალია[33], ერთმანეთისაგან შუალედებით დაყოფილ შვიდ ბგერას გამოსცემს[34]. ხოლო ეს რიცხვი თითქმის ყველა საგნის კვანძია. სიმებითა თუ სიმღერით მათი მიბაძვის შედეგად, ცოდნით ნათელ-ფენილმა ხალხმა, ისევე, როგორც ყველა მაღალმა სულმა, ადამიანურ სიცოცხლეში ღვთაებრივ საგანთა შემეცნებას რომ მიელტვოდა, ღირსეულად დაიმსახურა კვლავ დაბრუნებოდა იმ ადგილს, სადაც ჩვენა ვართ ამჟამად.[35] ვისი სასმენელიც ამ ბგერებითაა სავსე, აღარაფერი ეყურება, რადგანაც თქვენში არ არსებობს უფრო ჩლუნგი გრძნობა, ვიდრე სმენაა. ხომ მოგეხსენებათ, რომ იმ ადგილის ბინადართათვის, რომელსაც კატადუპად[36] უხმობენ, სადაც ნილოსი ცადაზიდული მთებიდან ღრიალით ეშვება დაბლა, გამაყრუებელ ხმაურს მთლიანად დაუხშავს სმენა. სამყაროს შმაგი წრებრუნვით გამოწვეული ბგერების ხმიანობა იმდენად მაღალია, რომ ადამიანისთვის ისევე შეუძლებელია მისი აღქმა, როგორც შეუძლებელია თვალი გაუსწორო მზეს, რომლის სხივებსაც ეწირება მაგ თქვენი მზერის სიბასრე“.

მიუხედავად იმისა, რომ გაოგნებული მივჩერებოდი ყოველივე ამას, მაინც დედამიწისკენ გამირბოდა მზერა. მაშინ აფრიკელმა თქვა: „როგორც ვხედავ, კაცთა საცხოვრისს და სამკვიდროს ვერასდიდებით ვერა წყვეტ თვალს. თუ ისე პატარა გეჩვენება, როგორიცაა სინამდვილეში, გამუდმებით უმზირე ციურ სხეულებს, დედამიწას კი ზიზღით აქციე ზურგი. მართლაცდა, რა სახელი შეიძლება მოგიხვეჭოს კაცთა მითქმა-მოთქმამ, ან რა სანუკვარი დიდება? ხომ ხედავ, დედამიწა მხოლოდ აქა-იქ, ალაგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალაგაა დასახლებული, და ყველა ამ პატარა ადგილს, თითქოს ლაქებად რომ ატყვია მიწის ზედაპირს, ერთმანეთისაგან ვრცელი უდაბნოები ჰყოფს; ასე რომ, დედამიწის მკვიდრნი არა მარტო ერთმანეთისაგან გათიშულ-განცალკევებულნი და განმხოლოებულნი არიან, არამედ ურთიერთსაპირისპირო სარტყელებში[37] მიმო-ფანტულნიც, რის გამოც ერთიმეორის ანტიპოდებად გვევლინებიან. მერედა, რა დიდებას უნდა მოელოდეთ მათგან?

იმასაც ხედავ, რომ ეს დედამიწა გარშემორტყმული და შემოგარსულია სარტყლებით, რომელთაგანაც ორი, ერთმანეთისაგან ყველაზე მეტად დაშორებული და, ორივე მხრივ, თხემით ზეცის თაღს მიბჯენილი, ყინულითაა დაფარული;[38] შუათანა, ყველაზე ფართო სარტყველი კი — მზის მცხუნვარებით გადახრუკული.[39] ორი სარტყელი დასახლებულია. მათგან ერთ-ერთს, კერძოდ, სამხრეთ სარტყელს, რომლის მკვიდრნიც თქვენი ანტიპოდები არიან, არავითარი საერთო არა აქვს თქვენს მოდგმასთან. რაც შეეხება მეორე — ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ სარტყელს, სადაც თქვენ სახლობთ, დაუკვირდი, რა უბადრუკი ნაწილი გიჭირავთ. მისი მთელი ეს მიწა, თქვენი საცხოვრისი, ორსავ თხემთან რომ ვიწროვდება, გვერდულად კი განიერდება, არსე-ბითად, მხოლოდ პატარა კუნძულია, იმ ვრცელი ზღვით გარემოცული, რომელ-საც თქვენ, დედამიწის მკვიდრნი, ატლანტიკას, დიდ ზღვასა თუ ოკეანეს უწოდებთ; მაგრამ ისიც კი რა პატარაა ესოდენ შთამბეჭდავ სახელთან შედა-რებით. მერედა, როგორ გგონია, ამ დასახლებული და კაცთათვის ცნობილი მიწა-წყლიდან გინდ შენი და გინდ რომელიმე თქვენგანის სახელი შეძლებდა ფრენით გადავლებოდა თავს კავკასიას, ან ცურვით გადაელახა განგი?[40] ამომავალი თუ ჩამავალი მზის რომელ ქვეყანაში, ან ჩრდილოეთის თუ სამხრეთის რომელ მხარეში, ვის, რომელ მოკვდავს შეიძლებოდა ოდესმე მაინც სმენოდა შენი სახელი? ხოლო თუ მათ გამოვრიცხავთ, რა თქმა უნდა, შეგიძლია შენივე თვალით დაინახო, რაოდენ ვიწრო ფარგლებით იზღუდება იმისი გავრცელების არე, რასაც თქვენ დიდებად სახავთ. ისინი კი, ჩვენ რომ გვადიდებენ, როგორ გგონია, რამდენ ხანს განგვადიდებენ კიდევ?

თუმცა შთამომავლობამ კიდევაც რომ მოისურვოს მომავალ თაობებს გადასცეს ჩვენი დიდების ხსოვნა, სულერთია, მოგიზგიზე ხანძრებში დედამიწის დანთქმისა თუ ყოვლისწამლეკი წარღვნების გამო, გარდუვალად რომ მეორდებიან დროის გარკვეულ შუალედთა შემდეგ,[41] — მაინც ვერ ვეღირსებით არამცთუ სამარადისო, თვით მეტნაკლებად ხანგრძლივ დიდებას. მაშ, რა მნიშვნელობა აქვს, რას იტყვიან შენზე მომავალი თაობები, როცა უფრო ადრე შობილთ არც კი უხსენებიხართ ოდესმე? არადა, ეს უკანასკნელნი ხომ არანაკლებ მრავალრიცხოვანნი, მეტიც, უფრო ღირსეულნიც კი იყვნენ; მით უმეტეს, რომ თვით მათ შორისაც კი, ვისაც, საერთოდ, შეიძლებოდა სმენოდა ჩვენი სახელი, ერთ წელზე მეტხანსაც არავის შეუნახავს ჩვენი ხსოვნა. მართლაცდა, ადამიანები ხომ, ხალხური ჩვეულების მიხედვით, მზის, ე. ი. ერთადერთი პლანეტის მოქცევით განსაზღვრავენ წელს, თუმცა სინამდვილეში წლის ცვალებად უნდა მიგვეჩნია მხოლოდ ის დრო, როცა, ხანგრძლივი შუალედების შემდეგ ყველა მნათობი ხელახლა უბრუნდება მოძრაობის საწყის წერტილს და, ამრიგად, მთელი ცის თაღი კვლავ თავის ოდინდელ იერს იღებს. გამიჭირდებოდა მეთქვა, ადამიანთა რამდენ თაობას მოიცავს ერთი ასეთი წელი. რადგან ოდესღაც, როცა რომულუსის სული მოევლინა, აი, ამ ტაძარს, ხალხს მოეჩვენა, რომ მზე თანდათან ჩაიშრიტა და ჩაქრა. ხოლო როცა ის კვლავ ჩაქრება იმავე ადგილას და იმავე დროს; როცა ყველა თანავარსკვლავედი და ყველა მნათობი ცის თაღზე კვლავ დაიჭერს უწინდელ ადგილს, სწორედ მაშინ გასრულდება „დიადი წელი“.[42] მაგრამ იცოდე, რომ ჯერ ამ წლის მეოცედსაც არ გაუვლია.

ამიტომ, თუ გადაგიწყდა იმის იმედი, რომ კვლავ დაუბრუნდე ამ ადგილს, სადაც ყველაფერი ღვაწლმოსილ და სახელ-განთქმულ კაცთათვისაა განკუთვნილი, რაღა ფასი აქვს მაშინ ადამიანურ დიდებას, რომელიც ძლივს თუ გასწვდება ერთი წლის უბადრუკ ნაწილს? თუ გინდა ზეცას მიაპყრო მზერა, რათა პირისპირ ჭვრეტდე ამ მარადიულ სავანესა და საცხოვრისს, ყურს ნუ მიუგდებ ბრბოის მითქმა-მოთქმას და ნურც კაცთაგან მონიჭებულ ჯილდოს მიიჩნევ შენი სასოების ხორცშესხმად. დაე, თვით სიქველე თავისი ხიბლით გიძღოდეს წინ ჭეშმარიტი დიდებისაკენ. რასაც შენზე იტყვიან კაცნი, ეს მათი საქმეა; თქმით კი უსათუოდ იტყვიან. მაგრამ მთელი ეს მიეთ-მოეთი იმ მხარეთა

ვიწრო ფარგლებითაა ზღვარდებული, აქედან რომ ხედავ, და ვერავის ვერასდროს ვერ მოუხვეჭს ხანგრძლივ დიდებას, რადგანაც ისევე უხანოა და უდღეური, როგორც თვით კაცთა სიცოცხლე, და უკვალოდ ქრება შთამომავლობის ხსოვნაში".

ეს სიტყვები რომ წარმოსთქვა, მე მივუგე: „მართლაცდა, აფრიკელო, რაკიღა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილთათვის ხსნილია გზა, რომელსაც ცის კარად მივყავართ, — მე, სიყრმითგანვე რომ მივდევდი არა მარტო მამაჩემის, არამედ შენს კვალსაც, და არასოდეს შემიბღალავს თქვენი დიდება, ახლა, როდესაც ესოდენ დიდი ჯილდო მელის, კიდევ უფრო დაუმცხრალი ვიქნები ჩემი სწრაფვისას". ხოლო მან მითხრა: „მაშ, მხნედ იყავ და გახსოვდეს: შენ კი არა ხარ მოკვდავი, არამედ — შენი სხეული. ვინაიდან ის როდი ხარ, რასაც შენი გარეგნული იერი ავლენს, არამედ — სული; დიახ, სწორედ სულია ადამიანი, და არა მისი იერსახე, რაც სხვებს შეიძლება თითით უჩვენო. მაშ, იცოდე, რომ ღმერთი ხარ, რადგანაც ღმერთი ისაა, ვინც ცოცხლობს, ვინც გრძნობს, ვისაც ახსოვს, ვინც წინასწარ ხედავს, განაგებს, მართავს და ისევე ამოძრავებს მისთვის ბოძებულ სხეულს, როგორც უზენაესი ღმერთი ამოძრავებს მთელ სამყაროს. დიახ, როგორც ყოვლისმძლე ღმერთი ამოძრავებს ამ უსასრულო და, გარკვეულწილად, მოკვდავ სამყაროს, ასევე ამოძრავებს ხრწნად სხეულსაც მარადი სული.

რადგან ის, რაც მარად მოძრაობს, წარუვალია; ხოლო ის, რაც სხვას ანიჭებს მოძრაობას, რომელსაც, თავის მხრივ, სხვისაგან იღებს, მოძრაობის შეწყვეტისთანავე არსებობასაც წყვეტს. მხოლოდ თვითმოძრავი არასოდეს არ ღალატობს საკუთარ თავს. მეტიც, ყველა სხვა მოძრავი სხეულისთვისაც სწორედ ისაა მოძრაობის წყარო და საწყისი. თვით საწყისი კი დაუსაბამოა. ყველაფერი საწყისისგან იღებს დასაბამს, ხოლო საკუთრივ საწყისი არაფრისგან არ იბადება, ვინაიდან, სხვა რამისგან რომ იბადებოდეს, საწყისიც აღარ იქნებოდა. მაგრამ თუ არაფრისგან არ იბადება, არც არასოდეს ქრება, რადგანაც საწყისი რომ ქრებოდეს, ვეღარც სხვა რამისგან დაიბადებოდა და ვეღარც სხვას მისცემდა დასაბამს, რაკიღა აუცილებელია, რომ ყველაფერი საწყისის წყალობით ეზიარებოდეს არსებობას. მაშასადამე, მოძრაობის დასაბამი არის ის, რაც თვითონ ამოძრავებს საკუთარ თავს, ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია იბადებოდეს და კვდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიღუპებოდა მთელი ცა, მოძრაობას შეწყვეტდა მთელი ბუნება, და ისინი ვერასდიდებით ვეღარ შეიძენდნენ ძალას, რომელიც შეიძლებდა მოძრაობა მიენიჭებინა მათთვის.

ამრიგად, რაკი აშკარაა, რომ მარადიულია ის, რაც თავის თავს თვითონვე ანიჭებს მოძრაობას, ვინ შეძლებს იმის უარყოფას, რომ ეს თვისება ნიშნეულია სულისთვის? ყოველივე ის, რაც გარეგანი ბიძგით მოძრაობს, უსულოა, მაშინ, როდესაც ყოველივე იმას, რაც სულდგმულია, შინაგანი და თავისთავადი ბიძგი ამოძრავებს. რადგანაც ასეთია საკუთარი ბუნება და ძალა სულისა. თუკი ყველა სხვა არსთა შორის ის ერთადერთია, თავისთავად რომ მოძრაობს, მაშასადამე, არც შობილია და არც წარმავალი. ამიტომ შენც უკეთეს საქმეთა კეთებას მოახმარე იგი. არ არსებობს უფრო კეთილშობილური საქმე, ვიდრე სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვაა. მასზე ზრუნვით შეძრული და მისთვისვე თავდადებული სული გაცილებით უფრო სწრაფად მიაღწევს თავის ზეციურ სამკვიდროსა და სავანეს. და ეს მით უფრო მალე მოხდება, თუ, ჯერ კიდევ სხეულის გარსში გამომწყვდეული, მთელი არსებით მიიქცევა ზეციური სიწმინდის ჭვრეტად, რათა, ამრიგად, თავი დააღწიოს ხორცის ბნელ დილეგს. რადგანაც იმათი სული, ვინც ხარბად მიელტვოდა ხორციელ განცხრომას, მონური მორჩილებით ემსახურებოდა ქვენა გრძნობებს, ქედს იხრიდა მათ წინაშე და ვნებით აღძრული არღვევდა ღმერთთა და კაცთა კანონებს, სხეულს გაყრილი კვლავაც დიდხანს, საუკუნეების მანძილზე, იფრთხიალებს და იბორიალებს მიწის გარშემო, ვიდრე დაუბრუნდებოდეს ზეცის სავანეს".[43]

ამ სიტყვებით გაუჩინარდა და მეც გამომეღვიძა.

შენიშვნები

1. ეს ტრადიციული სათაური პირობითია, რადგანაც „სციპიონის სიზმარი" დიდი რომაელი ორატორის, სახელმწიფო მოღვაწისა და მოაზროვნის მარკუს ტულიუს ციცერონის (106—43 ძვ. წ. ა.) დამოუკიდებელი თხზულება კი არ არის, არამედ მისი ვრცელი ფილოსოფიური ტრაქტატის — „რესპუბლიკის" ბოლო — VI წიგნის დასკვნითი ნაწილი. „სციპიონის სიზმარი",

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არსებითად, ალიტერაციებით მდიდარი რიტმული პროზაა, თავისი შინაგანი სტრუქტურით და ჰარმონიული ხმიერებით არცთუ იშვიათად რომ უახლოვდება პოეზიას. ციცერონის თხზულების მიხედვით დაიწერა იტალიელი პოეტის პიეტრო მეტასტაზიოს (1698—1782 წ.) დრამატული კანტატა „სციპიონის სიზმარი", რომელიც 16 წლის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტმა (1756—1791 წ.) საფუძვლად დაუდო თავის 'დრამატულ სერენადას — სციპიონის სიზმარი" ("Serenata drammatica "Il sogno di Scipione", ზალცბურგი, 1792 წ.).

2. სციპიონი — იგულისხმება რომაელ პატრიციუსთა სახელოვანი საგვარეულოს — სციპიონების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმო-მადგენელი პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუსი (185—129 ძვ. წ. ა.), მეტსახელად აფრიკელი; კონსული, მესამე პუნიკური ომის (149—146 ძვ. წ. ა.) გმირი, ვისი სარდლობითაც რომაელთა ლაშქარმა საბოლოოდ გაანადგურა და მიწასთან გაასწორა რომის მთავარი მეტოქე კართაგენი, რითაც აღსრულდა მარკუს პორციუს ცენზორიუს კატონის (234—149 ძვ. წ. ა.) სანუკვარი სურვილი: „Censeo Carthaginem delendam esse" („ვფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს").

3. მანიუს მანილიუსი — იგულისხმება ციცერონის მეგობარი, რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი მანიუს მანილიუს ნეპოტი — 149 წელს კონსული (ლუციუს მარციუს ცენზორინუსსთან ერთად), თავისი ლაშქრითურთ გარს რომ ადგა კართაგენს, თუმცა წარუმატებელი ალყის გამო მალე გადააყენეს მთავარსარდლის პოსტიდან და პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუსით შეცვალეს.

4. სამხედრო ტრიბუნები (tribuni militum) — ოფიცრები, ორი თვის განმავლობაში რიგრიგობით რომ მეთაურობდნენ ლეგიონს. თვითეულ ლეგიონში ექვსი სამხედრო ტრიბუნი იყო.

5. მასინისა (240—149 ძვ. წ. ა.) — აღმოსავლეთ ნუმიდიის მეფე. მეორე პუნიკური ომის დროს (218—201 ძვ. წ. ა.) თავდაპირველად კართაგენის მოკავ-შირე იყო, მაგრამ 206 წელს რომაელებს მიემხრო და თავისი მხედრიონით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პუბლიუს კორნელიუს სციპიონის (უფროსის; იხ. ქვემოთ, შენ. 7) მიერ კართაგენელთა მხედართმთავრის ჰანიბალის (247—183 ძვ. წ. ა.) არმიის განადგურებაში (202 ძვ. წ. ა.), რითაც, ფაქტიურად, დამთავრდა მეორე პუნიკური ომი. რომაელ ისტორიკოსთა მოწმობით, მასინისამ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეინარჩუნა ერთგულება სციპიონთა საგვარეულოს მიმართ.

6. ამ დროს (149 ძვ. წ. ა.) მასინისა 90 წლისაა.

7. აქ მასინისა თავის სტუმარს და, იმავდროულად, მის სეხნიას — სახელგანთქმულ რომაელ სახელმწიფო მოღვაწეს და მხედართმთავარს — პუბლიუს კორნელიუს სციპიონს (235—183 ძვ. წ. ა.) გულისხმობს, რომელიც მეორე პუნიკური ომის დროს თავდადებით იბრძოდა კართაგენელთა წინააღმდეგ ჯერ ესპანეთში, ხოლო 205 წლიდან (როცა კონსული გახდა) — აფრიკაში, სადაც თავისი 30000-იანი ლაშქრითა და მასინისას მხედრიონით დაამარცხა ჰაზდრუბალი და მისი მოკავშირე — დასავლეთ ნუმიდიის მეფე სიფაქსი, 202 წელს კი — იტალიიდან გამოხმობილი ჰანიბალიც. მომდევნო 201 წელს კართაგენი იძულებული შეიქნა სამარცხვინო ზავი დაედო რომთან. სწორედ ამ გამარჯვების აღსანიშნავად ეწოდა მეტსახელად „აფრიკელი". უფრო გვიან, სციპიონ ემილიანუსის — „უმცროსი აფრიკელისაგან" განსხვავებით, მას „უფროს აფრიკელად" იხსენიებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუსი პუბლიუს კორნელიუს სციპიონის უფროსი ვაჟის შვილობილი იყო.

8. იგულისხმება რომაელი პოეტი და დრამატურგი კვინტუს ენიუსი (239—169 ძვ. წ. ა.), ავტორი 18 წიგნისაგან შემდგარი პირველი რომაული ნაციონალური ეპოსისა „ანალები" ("Annales"), რომელმაც ფრაგმენტების სახით მოაღწია ჩვენს დრომდე (სულ დაახლ. 600 სტრიქონი). პოემაში გადმოცემული იყო რომის ისტორია, იტალიაში ენეასის ჩამოსვლიდან პოეტის დრომდე. ენიუსს მისაბაძ ნიმუშად მიაჩნდა ჰომეროსის ჰეროიკული ეპოსი, თვით ვერსიფიკაციული თვალსაზრისითაც („ანალები" დაქტილური ჰექსამეტრითაა დაწერილი). პოემის პროლოგში ჰომეროსი იუწყებოდა, რომ მისი სული ენიუსში გარდასხეულდა. ჩვენამდე მოაღწია რომაელი პოეტის მრავალრიცხოვანი დრამატული თხზულებების ფრაგმენტებმაც. ენიუსის პოემამ საგრძნობი გავლენა მოახდინა ვერგილიუსსა და ტიტუს ლივიუსზე.

9. ყველა რომაელი პატრიციუსის სახლს ამკობდა წინაპართა გამოსახუ-ლებანი (imagines majorum) — მარმარილოს სტატუები თუ ცვილით ნაძერწი ფიგურები. რომაელებს ასეთი ანდაზაც ჰქონდათ: "non habet imagines", რაც ნიშნავდა — „წარჩინებული წინაპრები არა ჰყავს", ე. ი. მდაბიოა, პლებეიაო... უფროსი სციპიონი ძვ. წ. ა. 183 წელს გარდაიცვალა, როცა უმცროსი მხოლოდ ორი წლისა იყო (დაიბ. 185 წ.) და ამ უკანასკნელს, ცხადია, არ შეეძლო „მისი ნამდვილი სახით" ხსომებოდა იგი.

10. მიმართვა „სციპიონ" იმას ნიშნავს, რომ ემილიანუსისთვის, როგორც სციპიონი-სათვის, უცხო უნდა ყოფილიყო შიში.

11. მეორე პუნიკური ომის შემდეგ, რომელიც ბრწყინვალე გამარჯვებით დაა-გვირგვინა პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა, კართაგენში კვლავ იმძლავრა სამხედრო პარტიამ.

12. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს „ვარსკვლავებით მოჭედილი, ნათელი და სხივმფინარე ადგილი" გალაქტიკაა.

13. სამხედრო ტრიბუნის თანამდებობა (იხ. შენ. 4) პუბლიუს კორნელიუს სციპიონს მეტისმეტად შეუფერებელი ეჩვენება კართაგენის მომავალი დამქცევისათვის.

14. სციპიონ ემილიანუსი 38 წლისა გახდა კონსული (147 წელს), თუმცა, კანონის ძალით, კონსული 42 წლისა მაინც უნდა ყოფილიყო... ორ წელსაც არ გაევლო, რომ რომაელთა არმიამ, მისი სარდლობით, აიღო და მიწასთან გაასწორა კართაგენი.

15. იგულისხმება „აფრიკელი" (Africanus), რომელსაც საპატიო მეტსახელად ატარებდა პუბლიუს კორნელიუს სციპიონი, შემდეგ კი — სციპიონ ემილიანუსიც. როგორც უკვე ითქვა, ერთმანეთისაგან განსასხვავებლად პირველს „უფროსად", მეორეს კი „უმცროსად" იხსენიებდნენ.

16. კართაგენის დამხობის შემდეგ სციპიონ ემილიანუსს (უმცროს „აფრიკელს") ტრიუმფი მოუწყვეს რომში. ტრიუმფი იყო უმაღლესი სამხედრო პატივი, რომელსაც მადლიერი სამშობლო მიაგებდა ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებულ მხედართმთავარს. ტრიუმფს სენატი უნიშნავდა გამარჯვებულს. დანიშნულ დღეს ტრიუმფატორი „მარსის ველიდან" (Campus Martius) „ტრიუმფალური ბჭის" (Porta triumphalis) გავლით მიემართებოდა კაპი-ტოლიუმისაკენ. პროცესიას წინ მიუძღოდნენ სენატორები და სხვა უმაღლესი თანამ-დებობის პირნი, შემდეგ — მუსიკოსები, ქურუმები და თეთრტოგიანი ჭაბუკები, რომლებსაც თეთრი ხარები მიჰყავდათ (ხარებს მსხვერპლად სწირავდნენ კაპი-ტოლიუმში). მათ ბორკილების ჩხარუნით უკან მისდევდნენ წარჩინებული სამხედრო ტყვეები, რომლებსაც ხშირად სიკვდილით სჯიდნენ, როგორც კი ტრიუმფალური პროცესია ფორუმს გაუსწორდებოდა. შემდეგ მოდიოდა ტრიუმფატორის კვადრიგა, რომელშიც ოთხი თეთრონი იყო შებმული. ტრიუმფატორი ფეხზე იდგა ოქრომკედით ნაქარგი ძოწისფერი ტუნიკითა (tunica palmata) და ძოწისფერივე ტოგით, რომელზეც სირმით ოქროსფრად მოციმციმე ვარსკვლავები იყო ამოქარგული (toga picta). ცალ ხელში სპილოს ძვლის კვერთხი ეჭირა, მეორეში კი — პალმის რტო. ტრიუმფატორის კვადრიგას უკან მოჰყვებოდნენ გამარ-ჯვებული ლეგიონები. მსვლელობა მთავრდებოდა იუპიტერ კაპიტოლინუსის ტაძარში სამადლობელი მსხვერპლშეწირვით, ლოცვა-ვედრებითა და საყოველთაო სადღესასწაულო ღრეობით... ისტორიკოსთა მოწმობით, სციპიონის ტრიუმფზე უფრო გრანდიოზული საზეიმო სანახაობა რომს მანამდე არ ენახა.

17. პუბლიუს კორნელიუს სციპიონი აქ წინასწარ უცხადებს უმცროს „აფრიკელს" მის მომავალ ბედს: ისტორიული წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ის ცენზორი გახდა 142 წელს, ელჩად (legatus) იყო წარგზავნილი ეგვიპტეში, სირიასა და აზიაში, 134 წელს ხელმეორედ აირჩიეს კონსულად და იმავე წელს წარგზავნეს ესპანეთში ქალაქ ნუმანციის დასამორჩილებლად, რომლის აღებასაც მთელი 10 წლის მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ რომაელები. 133 წელს სციპიონმა 9 თვიანი ალყის შემდეგ იერიშით აიღო და მიწასთან გაასწორა ურჩი ქალაქი. გამარჯვებულ მხედართმთავარს კვლავ ტრიუმფი მოუწყვეს რომში.

18. იგულისხმება პუბლიუს კორნელიუს სციპიონის ქალიშვილის — კორნელიას უფროსი ვაჟი ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსი (162—133 ძვ. წ. ა.), სახალხო ტრიბუნი, რომელიც შეეცადა, ნობილიტეტის ინტერესების საზიანოდ, აგრარული რეფორმა გაეტარებინა რომში, რათა შეძლებისდაგვარად შეემსუბუქებინა წვრილ მესაკუთრეთა, უმიწაწყლო გლეხობისა და მონების უკიდურესად მძიმე, უნუგეშო და გაუსაძლისი ყოფა. გრაკხუსის მიზნებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთობლივად აღუდგა წინ რომის მთელი ნობილიტეტი. 133 წელს სენატორებმა თავიანთი თავკაცის — პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ნაზიკა სერაპიონის (132 წ. კონსული, შემდეგ — ქურუმთუხუცესი — pontifex maximus) მეთაურობით კაპიტოლიუმში მუსრი გაავლეს ტიბერიუს გრაკხუსსა და მის თანამზრახველებს.

19. 7-სა და 8-ს უფროსი „აფრიკელის" სიზმარეული ლანდი „სრულ რიცხვად" (numerus plenus) სახავს (ტერმინი პითაგორე-ლებისაგან იღებს დასაბამს: τέλειος ἀριθμός). 7 „სრულია" იმიტომ, რომ ნებისმიერ ორ შესაკრებად დაშლისას ერთი ყოველ-თვის კენტი იქნება, მეორე კი — ლუწი (6+1, 5+2, 4+3). პითაგორელების მიხედვით, კენტი რიცხვი მამრული საწყისის სიმბოლოა, რადგანაც მას აქვს შინაგანი ღერძი, თავისი სიმტკიცის ცენტრი (3=1+1+1, 5=2+1+2, 7=3+1+3 და ა. შ.), ლუწი კი — მდედრული საწყისისა, რადგანაც მას ასეთი ღერძი არ გააჩნია... „როცა ეს ორი რიცხვი... თავისი ბუნებრივი სვლით გაასრულებს ბედისწერის მიერ შენთვის დასაზღვრული წლების სათვალავს": უმცროსი „აფრიკელი" დაიბადა ძვ. წ. ა. 185 წელს, მოკლულ იქნა 129 წელს, როცა ის 56 წლისა იყო; 7X8=56.

20. ტიბერიუს გრაკხუსისა და მისი თანამოაზრეების პროპაგანდამ დიდი არეულობა და შინააშლილობა გამოიწვია რომში. სციპიონ ემილიანუსი გადაჭრით არ დაპირისპირებია მოსახლეობის დაბალი ფენების მღელვარებას, მაგრამ, თავისი უზარმაზარი გავლენისა და ავტორიტეტის წყალობით, ყოველნაირად კი ცდილობდა როგორმე დაეშოშმინებინა აზავთებული ხალხი, რამაც უამრავი მტერი შესძინა მას. 129 წელს ის მკვდარი იპოვეს თავის საწოლში, იმ დღეს, როცა აპირებდა ტიბერიუს გრაკხუსის სასამართლო კანონის წინააღმდეგ სიტყვით გამოსულიყო ხალხის წინაშე. სციპიონის სიკვდილში ადანაშაულებდნენ მის ცოლს სემპრონიას — ტიბერიუს და გაიუს გრაკხუსების დას, ამ სამი და-ძმის დედას — კორნელიას (სციპიონის სიდედრს), ტრიუმვირებს მიწა-წყლის განაწილების დარგში (triumviri agris dividendis) — გაიუს პაპირიუს კარბონს, მარკუს ფულვიუს ფლაკუსსა და გაიუს სემპრონიუს გრაკხუსს (სციპიონის ცოლისძმას). ამ მხრივ, ისტორიული წყაროები ერთმანეთს არ ეთანხმებიან.

21. გ ა ი უ ს ლ ე ლ ი უ ს ი — უმცროსი სციპიონის მეგობარი და თანამებრძოლი, ისევე, როგორც მამამისი — გაიუს ლელიუსი (მამა-შვილი სეხნიები იყვნენ) — უფროსი აფრიკელისა. სციპიონებისა და ლელიუსების მეგობრობას ისიც განაპირობებდა, რომ ამ ღრმად განსწავლულსა და განათლებულ პიროვნებებს თავდავიწყებით უყვარ-დათ როგორც ლათინური, ისე ბერძნული კულტურაც. ლელიუსის სახელი ეწოდება ციცერონის ერთ-ერთ ქმნილებას; ლელიუსია რომაელი მოაზროვნის ბევრი სხვა ტრაქტატის, მათ შორის, „რესპუბლიკის" ერთ-ერთი მოქმედი პირი (შეგახსენებთ, რომ „რესპუბლიკა" „სციპიონის სიზმრით" მთავრდება.

22. იხ. შენ. 20.

23. იგულისხმება პავლუს ემილიანუსი, რომელმაც, რომაელ პატრიციუსთა ოჯახების ძველი ტრადიციისამებრ, თავისი შვილი პატარაობიდანვე მიაშვილა პუბლიუს კორნელიუს სციპიონის უფროს ვაჟს.

24. ესაა სულის უკვდავების პითაგორული და, უწინარეს ყოვლისა, პლატონური კონცეფცია (ციცერონი პლატონიზმის ადეპტი იყო). აქ მინდა მოვიტანო ერთი ფრაგმენტი ჩემი გამოკვლევიდან „პლატონი და რუსთველი" (იხ. წიგნში — პლატონი, პარმენიდე, თბ. 2002, გვ. 376—377): 'განსხეულება სულისათვის მეტაფიზიკური სინამდვილიდან ფიზიკურ სამყაროში გადასვლას ნიშნავს. ესაა ყველაზე უჩვეულო, უცნაური და გონებამიუწვდომელი, სამყაროული არსებობის ყველაზე მისტიური აქტი. მარად უცვლელი, წარუვალი, დროისა და სივრცის მიღმური სინამდვილის მკვიდრი ყოველწამიერი ცვალებადობის, მსწრაფლწარმავლობის, ხრწნადობის, სიმწრისა და სიმწირის საუფლოს, დროისა და სივრცის ყოვლისგამსრეს მარწუხებში გათანგული ჩლუნგი და უაზრო მატერიის, გრძნობად-კონკრეტული სამყაროს უმწეო ტყვედ იქცევა. სხეული (σῶμα) მისთვის სხვა არა არის რა, თუ არა დილეგი („რომელშიაც მომწყვდეულია, როგორც ლოკოკინა თავის ნიჟარაში", „ფედროსი", 250 c), ან, უფრო სწორად, „საფლავი" (σῆμα, „გორგია", 493 a). მაგრამ სწორედ ამ „დილეგისა" თუ სულისავე წყალობით მოძრავი და მოარული „საფლავის" მეშვეობით მკვიდრდება იგი ცოდვილ მიწაზე, სადაც თანდათანობით ეჩვევა, ეგუება და, ბოლოს, კიდევაც ესისხლხორცება მისთვის სრულიად უცხო

გარემოს („ტიმეოსი“, 44 bc), რათა წუთისოფლის დროებითმა მკვიდრმა შეძლებისდაგვარად აღასრულოს თავისი დანიშნულება და მოიხადოს თავისი ადამიანური ვალი, ვიდრე კვლავ საუკუნო სოფლად მიიხმობდეს განგება თუ ყოვლისგამრიგე ღმერთი.

რა არის სული სხეულში? წარუვალი — წარმავალში, უკვდავი — მოკვდავში, ნათელი — ბნელში: სიცოცხლეს რომ ანიჭებს უსულო, უსახო და უსიცოცხლო მატერიას, სული ისევე ანათებს მის სიბნელეს, როგორც სანთელი — წყვდიადით მოცულ სახლს (და, პირიქით, მკვდრის საზარელი ფერი იმის შედეგია, რომ სული გაეყარა სხეულს: სანთელი გაიტანეს და კვლავ ძველებურად ჩაბნელდა სახლი)“...

ერთხელ კიდევ მივუბრუნდეთ ზემოთ გაკვრით მონიშნულ „ფედროსის“ მომხიბლავ პასაჟს (250 b–d), ესოდენ ცხადად რომ წარმოგვიჩენს სხეულის დილეგიდან თავდაღწეული სულის ნეტარებას ზეგრძნობადი სინამდვილის უხრწნელ წიაღში, სადაც არავითარი მოგონება, არავითარი ვნება, არავითარი სურვილი არ ამღვრევს მის უშფოთველ ყოფას; სადაც ის პირისპირ ჭვრეტს იდეალური სამყაროს მთელ სრულქმნილებას, ღვთაებრივი სიბრძნის, სიკეთის, მშვენიერებისა და ჭეშმარიტების ნათელ სავანეს: „...მშვენიერება თვალისმომჭრელი სხივოსნობით ბრწყინავდა მაშინ, როცა... ნეტართა დასსთან ერთად ვჭვრეტდით ამ თვალწარმტაც სანახაობას და, ამრიგად, ვეზიარებოდით მისტერია-თაგან, თამამად შეიძლება ითქვას, უტკბესსა და უნეტარეს მისტერიას, რომელშიაც, უბიწონი და მომავალ ცხოვრებაში ჩვენს თავს მოწევნად ბოროტებასთან წილუყრელნი, თავად ვასრულებდით მარადიული ღმრთისმსახურების მისტიურ წესს. ჩვენ ვჭვრეტდით უხრწნელ, უმარტივეს, ურყევსა და წარუვალ არსთ (იგულისხმება „იდეები“, — ბ. ბ.), და მათი წმინდა სხივოსნობის მჭვრეტნი თავად ვიყავით უმწიკვლონი და უმანკონი, რადგან ნატამალიც კი არ გვეცხო იმ ხრწნადი გარსისა, რომელსაც დღეს სხეულს ვუწოდებთ და რომელშიაც მომწყვდეულნი ვართ, როგორც ლოკოკინა —. თავის ნიჟარაში“.

25. იხ. შენ. 23.

26. იგულისხმება გალაქტიკა (იხ. ქვემოთ) — პითაგორელთა და პლატონის მიხედვით, ნეტარი სულების სავანე.

27. პლატონს დაუშვებლად მიაჩნდა თვითმკვლელობა, — იხ. „ფედროსი“, 67 cd. უფრო ადრე ამავე აზრისა იყო პითაგორაც. შდრ. ციცერონი, „სიბერისათვის“, 72: „პითაგორა კრძალავს იმპერატორის, ესე იგი, ღვთაების ბრძანების გარეშე მივატოვოთ გამაგრებული პოსტი, ანუ სიცოცხლე“.

28. შდრ. ციცერონი, „მოვალეობათათვის“, I, 57: „...მაგრამ თუ ყველაფერს გონებისა და სულის თვალსაზრისით შევხედავთ, ყველა საზოგადოებრივ კავშირურთიერთობას შორის თვითეული ჩვენგანისთვის ყველაზე ძვირფასია ჩვენი კავშირი სახელმწიფოსთან. ძვირფასია ჩვენთვის მშობლები, ძვირფასნი არიან შვილები, ნათესავები, ახლობლები, მეგობრები, მაგრამ სამშობლო ერთადერთია, რომელიც მოიცავს ადამიანთა მთელ სიყვარულს. არ მეგულება პატიოსანი კაცი, უყოყმანოდ რომ არ შეეძლოს თავის განირვა, თუკი ამითი იხსნის სამშობლოს. მით უფრო მეტი ზიზღის ღირსია იმათი გულმხეცობა, ვინც ათასნაირი დანაშაულით ფლეთდა და აქუცმაცებდა სამშობლოს და მის სრულ განადგურებას მიელტვის ახლად, ისევე, როგორც მიელტვოდა უწინაც“...

შდრ. აგრეთვე პლატონი, „კრიტონი“, 51 bc, სადაც სოკრატეს ამ სიტყვებით მიმართავენ მის მიერ პერსონიფიცირებული კანონები: „ნუთუ მთელი შენი სიბრძნის მიუხედავად, ვერა გრძნობ, რომ სამშობლო დედაზე, მამაზე და ყველა სხვა წინაპარზე უფრო ძვირფასია, უფრო წმინდა, უფრო საყვარელი და, როგორც ღმერთის, ისე კაცის თვალშიც, უფრო მეტი თაყვანისცემის ღირსი? ჩვენ ვგულის-ხმობთ, რა თქმა უნდა, გონიერ კაცს, ამიტომ სამშობლოს მიმართ უფრო მეტი მოწიწება, მეტი მორჩილება გვმართებს, ხოლო თუ გაგვირისხდა, უფრო მეტად უნდა დავუთმოთ და დავუყვავოთ, ვიდრე მშობელ მამას; ან უნდა გადავარწმუნოთ იგი, ანდა უყოყმანოდ შევასრულოთ მისი ბრძანება, და თუ რაიმეს მოგვისჯის, უდრტვინველად შევეგებოთ სასჯელს — ბორკილებს, გვემას, შეჩვენებას, და ბრძოლის ველზე — მის მიერ საომრად წარგზავნილნი, — სასიკვდილო ჭრილობებს და თვით სიკვდილსაც. დიახ, ყველაფერს უნდა გავუძლოთ, სწორედ ესაა სამართლიანობა; არ შეიძლება უკან დახევა, თავის არიდება და მწყობრში შენი ადგილის თვითნებურად მიტოვება. ომში იქნება, სამსჯავროში თუ სადაც გნებავთ, ყველგან უყოყმანოდ უნდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შევასრულოთ სამშობლოსა თუ სახელმწიფოს ბრძანება, ანდა შევაგნებინოთ მას, რას ნიშნავს ჭეშმარიტი სამართლიანობა. ხოლო ძალადობა დედის, მამის და, მით უმეტეს, მამულის მიმართ — მკრეხელობაა".

29. იგულისხმება მთვარე.

30. ე. წ. „ციურ სფეროთა" კოსმოლოგიური კონცეფცია პითაგორასაგან (დაახლ. 570—500 ძვ. წ. ა.) იღებს დასაბამს. მაგრამ სამყაროს აგებულე-ბის მისეული, საკმაოდ პრიმიტიული მოდელი საგრძნობლად განსხვავდება ბერძენ ასტრონომთა უფრო გვიანდელი მოდელებისგან. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ „ციურ სფეროთა" კონცეფცია მთელი ოცი საუკუნის მანძილზე (თვით ნიკოლოზ კოპერნიკამდე), ცალკეული მოდიფიკაციების მიუხედავად, უცვლელი დარჩა, ვინაიდან სწორედ მათი მეშვეობით ხსნიდნენ პლანეტების ხილულ მოძრაობათა უცნაურობას: უძრავი ვარსკვლავებისაგან განსხვავებით (ასე იწოდებიან იმიტომ, რომ ცის თაღის მოძრაობისას თანავარსკვლავედთა კონფიგურაციები უცვლელი რჩება), ზოგი პლანეტის ხილული მოძრაობა საათის ქანქარის მოძრაობას მოგვაგონებს, ზოგისა კი, როგორც პლატონი იტყოდა, — „ცხენის დუშაყს", ანუ, რაც იგივეა, მარყუჟს.

31. ზემოაღნიშნული ცხრა ჰომოცენტრული სფეროდან ყველაზე უკიდურესია ე. წ. „უძრავ ვარსკვლავთა" სფერო, რომელიც დედამიწის ირგვლივ ბრუნავს დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. შვიდი პლანეტის მტვირთველი დანარჩენი შვიდი სფერო კი საპირისპირო მიმართულებით, ე. ი. აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მოძრაობს. ეს სფეროებია: სატურნის, იუპიტერის, მარსის, მზის, ვენერას, მერკურისა და მთვარისა. ასეთია ჰომოცენტრულ ციურ სფეროთა რიგი. ხოლო თუ ათვლას სამყაროს გეოცენტრული სისტემის ცენტრიდან, ე. ი. დედამიწიდან დავიწყებთ, მაშინ პლანეტების რიგი შემდეგნაირად წარმოგვიჩნდება: მთვარე, მერკური, ვენერა, მზე, მარსი, იუპიტერი, სატურნი და, ბოლოს, უძრავ ვარსკვლავთა ცა. ბერძენ და რომაელ ასტრონომთა ეს პლანეტარული სისტემა საფუძვლად დაედო სამყაროს პტოლემაიოსეულ (დაახლ. 83 — დაახლ. 161 წ.) გეოცენტრულ მოდელს (მხოლოდ ძალზე გართულებული სახით).

32. პითაგორული ტრადიციის თანახმად, გამჭვირვალე სფეროებზე მიმაგრებული ციური სხეულები (იხ. წინა შენიშვნა) ერთმანეთისაგან გარკვეული შუალედებით არიან განმხოლოებულნი. ეს შუალედები ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც ოქტავის ტონების ინტერვალები. ყოველი სწრაფად მოძრავი სხეული გამოსცემს ბგერას, რომლის სიმაღლე მოძრაობის სისწრაფეზეა დამოკიდებული. ამიტომ პლანეტებისა და მათი სფეროების მოძრაობა ე. წ. „კოსმიური ჰარმონიის" წყაროდ გვევლინება. ციურ სფეროთა ეს ჰარმონია კიდით-კიდემდე განწონის მთელ სამყაროს, მაგრამ მას მხოლოდ იმიტომ ვერ აღიქვამს ადამიანის სმენა, რომ ის გამუდმებით, უწყვეტად ჟღერს. ასევე ვერა ვგრძნობთ ჩვენ — ჰაერის, ხოლო თევზები — წყლის სიმკვრივეს (და თუ სციპიონი თავის გრძნეულ სიზმარში მაინც ტკბება ამ კოსმიური სიმფონიით, ეს მხოლოდ მისი მდგომარეობის ექსტრაორდინალურობით უნდა აიხსნას).

33. იგულისხმება მერკურისა და ვენერას ტრაექტორიები.

34. ეს შვიდი ბგერა ძველი ბერძენი მუსიკოსის ტერპანდრეს (VII ს. ძვ. წ. ა.) შვიდსიმიანი საკრავის — ჰეპტაქორდის ბგერებს შეესაბამება. ყოველი პლანეტა თითქოს გიგანტური კოსმიური ჰეპტაქორდის სიმისა თუ ლარის როლს ასრულებს.

35. ამრიგად, ციცერონი ზეციური ნეტარების კარს უხსნის არა მარტო სახელმწიფო მოღვაწეებს და მხედართმთავრებს, არამედ მომღერლებს და მუსიკოსებსაც. შდრ. კვინტილიანე, „ორატორის განსწავლა", I, 10, 12 და შმდ.

36. ნილოსის ჭორომები. იხ. ჰეროდოტე, „ისტორია", II, 17; პლინიუსი, „ბუნებითი ისტორია", VI, 181.

37. დღეს ჩვენ მათ „განედებს" ვუწოდებთ. ჯერ კიდევ დიდმა ბერძენმა ასტრონომმა, გეოგრაფმა და ფილოლოგმა, ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკის მთავარმა ბიბლიოთეკარმა ერატოსთენემ (დაახლ. 282—202 ძვ. წ. ა.) გრძედებად და განედებად დაჰყო დედამიწა, განედებს მან უწოდა „ზონები" (ζώναι), ანუ „სარტყლები" (ლათ. cingula). ციცერონი სრულყოფილად ფლობდა ბერძნულს (ჰომეროსისა და პლატონის ენაზე ლაპარაკობდა, წერდა, თარგმნიდა), მაგრამ აქ, რა თქმა უნდა, ლათინურ ტერმინს იყენებს.

38. როგორც ეს პასაჟი გვიმოწმებს, ციცერონს გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონოდა არქტიკასა და ანტარქტიდაზე.

39. ეს კი ტროპიკული სარტყელი უნდა იყოს.

40. კავკასიონის ქედიცა და მდინარე განგიც ადამიანთა საცხოვრისის (οἰκουμένη) უკიდურეს აღმოსავლეთ ზღვრად იყო მიჩნეული.

41. შდრ. პლატონი, „ტიმეოსი", 22 cd: „...ვინ მოსთვლის, რამდენჯერ დაღუპულა კაცთა მოდგმა და კიდევ რამდენჯერ და რამდენნაირად დაიღუპება იგი. ყველაზე სასტიკად ადამიანებს მუსრს ავლებდა ცეცხლი და წყალი, შედარებით უფრო ნაკლებ — ათასი სხვა უბედურება. სწორედ აქედან იღებს დასაბამს თქვენი თქმულება (ამას ეგვიპტელი ქურუმი ეუბნება დიდ ათენელ კანონმდებელს სოლონს, პლატონის შორეულ ნათესავს, — ბ. ბ.) ფაეტონზე, ჰელიოსის ძეზე, რომელიც ერთხელ ვითომ მამამისის ეტლში ჩამჯდარა, მაგრამ ვერ მოუხერხებია ჰელიოსის გზით წარემართა იგი, ამიტომაც გადაუბუგავს ყველაფერი დედამიწაზე და, ელვით დაფერფლილი, თვითონაც დაღუპულა. ეს თქმულება მითს მოგვაგონებს, მაგრამ ის სიმართლესაც შეიცავს: მართლაცდა, ცის თაღზე დედამიწის ირგვლივ მბრუნავი სხეულები თავიანთი ჩვეული გზიდან გადაიხრებიან ხოლმე, ასე რომ, დროის ხანგრძლივ შუალედებს შორის, დედამიწაზე ყველაფერი აბობოქრე-ბულ ხანძარში ინთქმება და იღუპება. ამ დროს მთების, ზეგნებისა თუ უწყლო ადგილების მკვიდრნი გაცილებით უფრო მეტნი იხოცებიან, ვიდრე ზღვისა თუ მდინარეთა ნაპირებზე მობინადრენი... ხოლო როდესაც ღმერთები, დედამიწის გაწმენდის მიზნით, წარღვნას მოუვლენენ მას, თავის გადარჩენის იმედი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მწყემსებსა და მეჯოგეებს, მთის კალთებზე რომ აძოვებენ ნახირს". კოსმიური კატაკლიზმებისა და მათი დამანგრეველი ზემოქმედების შედეგად არა მარტო დედამიწის, თვით სამყაროს პერიოდული დაღუპვისა და გადაგების შესახებ დაწვრილებით იხ. ჩემი გამოკვლევა „მაგრამ თუ ერთხელ სოფელს უნდა ბოლო მოეღოს", — ჟურნ. „მნათობი", 2003, №3—4, გვ. 115—134.

42. გადმოცემით, ქალაქ რომის ლეგენდარული დამაარსებელი და მისი პირველი მეფე რომულუსი ძვ. წ. ა. 716 წელს, მზის სრული დაბნელებისას, ზეცად იქნა ატაცებული, რამაც დასაბამი დაუდო მის გაღმერთებას. სციპიონ ემილიანუსი თავის მაგიურ სიზმარს ხედავს ძვ. წ. ა. 149 წელს. 716—149=567. თუ ეს რიცხვი, ციცერონის თანახმად, „დიადი წლის" მეოცედსაც არ შეადგენს, მაშინ „დიადი წელი", სულ მცირე, 11340 წელს უნდა მოიცავდეს (567 20=11340)... ზოგიერთი რელიგიური სისტემისა თუ ძველი ფილოსოფიური დოქტრინის თანახმად, დრო ციკლურობით ხასიათდება: ყოველი ციკლის ხანგრძლივობა „დიადი წლით" განისაზღვრება, რომლის დასასრულსაც სამყარო კოსმიური კატაკლიზმების შედეგად იღუპება, რათა შემდეგ კვლავ დაიბადოს. „ეს სამყარო, ერთი და იგივე ყველა არსისთვის, — ამბობს ჰერაკლიტე ეფესელი, — არავის არ შეუქმნია, არც ღმერთთაგანს და არც კაცთაგანს, არამედ ყოველთვის იყო, არის და კვლავ იქნება, როგორც მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც — თანაბარზომიერად — ხან იფეთქებს, ხან იშრიტება (Diels, fragm., 30 b)... „დიადი წლის" ხანგრძლივობა სხვადასხვაა. თვით ჰერაკლიტე ეფესელი მას 10800 წლით განსაზღვრავს, პლატონის მიხედვით კი ის უზარმაზარი დროული პერიოდის მომცველია: 12960000 წელი. დაწვრილებით იხ. ჩემი გამოკვლევა, რომელიც ზემოთ 41-ე შენიშვნის ბოლოსაა დასახელებული.

43. შდრ. პლატონი, 'ფედონი", 81 ც–ე.

ლათინურიდან თარგმნა და
შენიშვნები დაურთო
ბაჩანა ბრეგვაძემ



Своим пером воспевшим Грузию,
Красавицу гор, её поэзию...
В неволе узнику – поэту!
Позволь добавить мне к портрету:

Писателю Амирэджиби,
Как память дружеских бесед
И наших творческих надежд...
От Евгения Сегеди.

Осетрово, Август, 1955г.

ფოტოზე პატიმრები: ჭაბუა ამირეჯიბი და შანხაის თეატრის მსახიობი ევგენი პეტროვიჩ სეგედი. დასავლეთ-ციმბირი. ნოვო-ჩუნკა. ოსეტროვოს ბანაკი.1955 წ.

ჭაბუა ამირეჯიბი

ევგენი პეტროვიჩ სეგედი

ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი მეთვრამეტე საუკუნეში ჩადგა რუსეთის არმიის სამსახურში ოფიცრის თანამდებობაზე, შემდეგ რუსეთის ტახტისგან მიიღო გრაფის წოდება.

მისი შთამომავალი, უნგრული წარმოშობის რუსი ოფიცერი, პორუჩიკი ევგენი პეტროვიჩი იბრძოდა შორეულ აღმოსავლეთში წითელი არმიის წინააღმდეგ. დამარცხების შემდეგ ჩინეთში გაიქცა. ხელობით მსახიობი იყო და შანხაის თეატრში იშოვა სამსახური.

1945 წელს ამნისტირებულ ემიგრანტებთან ერთად დაბრუნდა რუსეთში და ჩეკამ სხვა დაბრუნებულებთან ერთად დააპატიმრა, როგორც სამშობლოს მოღალატე – მიუსაჯეს 25 წელი სასჯელის ბანაკებში მოხდით.

მე შევხვდი მას მდინარე ლენას ნაპირებზე განლაგებულ ოსეტროვოს ბანაკში. დახვეწილი არისტოკრატი, განათლებული და მშვენიერი გარეგნობის კაცი იყო. მალე დავმეგობრდით და ერთხანს ერთად ვიხდიდით პატიმრობის ვადას.

მე სამ თვეზე მეტს არც ერთ ბანაკში არ მაჩერებდნენ მარბენლობის გამო – ბანაკის უფროსები თავიდან მიცილებდნენ. ლენაზეც ასე მოხდა, მაგრამ ჩემი და ევგენი პეტროვიჩის მეგობრობა ამით არ შეწყვეტილა – წერილებს ვწერდით ერთმანეთს.

როცა დავბრუნდი და წიგნზე მუშაობა დავიწყე, რატომღაც დავინახე, რომ კავკასიის ჟანდარმთა შეფი სახელდობრ ამ ევგენი პეტროვიჩ სეგედის ტიპის კაცი უნდა ყოფილიყო და ასეც მოვიქეცი – რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის სახე ჩემი მეგობრის ძირითად თვისებებს დავამთხვიე. წიგნის წაკითხვის შემდეგ წერილი გამომიგზავნა, მსაყვედურობდა, – ჩემს წინაპართა შორის მაგ უწყებაში არავის უმსახურია და რას გვერჩიო. რა თქმა უნდა, საპასუხო წერილში განვუმარტე, რომ რომანს მისი თვისებების მქონე გმირი დასჭირდა და სხვა არაფერი-მეთქი.

სხვათა შორის, ტაშკენტის კინოსტუდიის რამოდენიმე კინოფილმში დახვეწილი ინტელიგენტის როლი აქვს შესრულებული.

შუა აზიაში რომ მომიწია ყოფნა ტაშკენტშიც ჩავედი და ერთმანეთს სიხარულის ცრემლებით შევხვდით,– როგორ გვყვარებია ერთმანეთი!

ეს ფოტო ოსეტროვოშია გადაღებული 1955 წლის აგვისტოში. მეორე მხარეს გაკრული ხელით ეს სიტყვები აწერია:

Своим пером воспевшим Грузию,
Красавцу гор, её поэзию...
В неволе узнику – поэту!
Позволь добавить мне к портрету:

Писателю Амирэджиби,
Как память дружеских бесед
И наших творческих надежд...
От Евгения Сегеди.

Осетрово, Август, 1955г.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხეილ ანთაძე

მოთხრობები

ჩრდილიანი ხე

ადამი ქვებზე დააბიჯებს. ორი დღეა, რაც სამოთხე დატოვეს მან და ევამ, ორად ორი დღეა, რაც მინაზე დადიან, ამ უცნაურსა და უხეშ ნიადაგზე. რა მოელით? როგორ უნდა იარსებონ?

იქ კარგი იყო. ეღირსებათ ოდესმე დაბრუნება? სამოთხე მიუწვდომელ ოცნებად იქცა. ედემის ნაცვლად ეს უდაბური ტყეა ირგვლივ.

სამოთხეში სისწორე და სიმსუბუქე სუფევდა. ადამს ქვები აოცებს, ზოგიერთი მათგანი წვეტიანია და შიშველ ფეხს სტკენს. ძალიან უჩვეულო ზედაპირი აქვს მიწას.

ბევრი რამ აოცებს ადამს აქაური, აშინებს კიდეც. გინდაც ეს ნადირები... იქ, სამოთხეში ცხოველები არას ერჩოდნენ. აქ კი მხეცების ხმის გაგონებაც კი ზაფრას ჰგვრის. ევას კიდევ უფრო უარესად უსკდება გული...

ტყე მაღალია, ულრან-დაბურული, შორიდან ბინდში ერთიან მოლურჯო მასად მოსჩანს. იქვე მახლობლად ზღვა ციმციმებს, დიდი, უსასრულო სიცისფრე, რომელის აქ იწყება და აღარსად აღარ თავდება. ცხოველმყოფელი მზე წყალში იძირება და ცხელ ათინათებს ათამაშებს.

ბნელდება.

გორაკს გადაღმა, „ჩრდილიან ხესთან" ევა ელოდება. „ჩრდილიანი" დაარქვეს ხეს, რომლის ქვეშაც ბინა მოიწყვეს დევნილებმა. საშინელია შიმშილი. ევას, ალბათ, შია... უცდის და შია... ადამმა კი ჯერაც ვერაფერი იშოვა, ამაოდ დაეხეტება ტყეში...

გუმანით იციან, რომ ადრე თუ გვიან, პატარა ადამიანი უნდა დაიბადოს...

საშინელი გამოქვაბული იბჩინება, ხახა დაუღია. ადამს ძრწოლა იპყრობს. ღამეა. სიბნელეც საშინელია.

გზა აებნა. საით წავიდეს? რა ქნას? სასოწარკვეთილება ეპარება გულში.

გათენებას უნდა დაელოდოს. სინათლეა საჭირო გზის გასაგნებად. სანამ ბნელა, სჯობს ხეს შეეხიზნოს.

ტოტზე მოეწყო.

კი მაგრამ, ევა? როგორ გაძლებს მარტო? უნდა დაბრუნდეს!

რა აზრი აქვს. მაინც სჯობს გათენებას დაელოდოს... კი მაგრამ, ევა?

ადამს ჩაეძინა...

ევა: სად არის? რატომ არ მოდის? რა დაემართა? რამ დააყოვნა? ღამე განცდებში გადის. ჩასთვლემს ხის ძირას მიყუჟული... ძლივს ჩათავდა ეს საშინელი ღამე... სად არის ადამი? ასე გონია, თითქოს ძალიან დიდი ხანია არ უნახავს...

ღამეს დღე მოჰყვა, საღამოც... ადამი არ მოდის.

ღმერთო, ნუთუ კიდევ ერთი საშინელი ღამე უნდა გავატარო მარტოობაში?

მაგრამ არა...

ადამი მოდის...

— იცი, ევა, რა გადამხდა? ქვა ვიპოვე...

ადამმა ქვა იპოვა. ქვა ისეთი რამაა, რისი მსგავსიც იქ, სამოთხეში არ შეხვედრიათ. რა არის მაინც? ადამი ქვას დასწვდა. ახლის შეცნობის დაუძლეველმა სურვილმა აღავსო. ადამი ქვას ხელში ატრიალებს, სინჯავს, დასცქერის. როგორია? მოზრდილი, მომრგვალო, ერთგან ოდნავ წვეტიანი, ბასრი. კიდევ? მაგარი, ძალიან მაგარი. ყველა ქვა ასეთი მაგარია...

ადამი ქვას მაღლა ისვრის. მიფრინავს ქვა, მაღლა მიიწევს, შორს მიდის, თითქოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრინველად გარდაიქმნა, გადაიქცა, წარმოიშვა... მერე უკან ბრუნდება ქვა, ეშვება დაბლა, სწრაფად ახლოვდება, დიდდება... ადამი თვალს არ აცილებს, გარინდული ასცქერის, არ იძვრის სუნთქვაგაკმენდილი. სულმთლად მოახლოვდა, გადიდდა. რა მოხდება ახლა? და უცებ...

მკვეთრი ტკივილი... ქვა თავზე დაეცა ადამს. იგრძნო, რომ გონებას ჰკარგავდა. ტკივილი, სისხლი... მომაკვდავი ცხოველები გაახსენდა... ერთხანს ძირს ეგდო უძრავად...

რა მოხდა?

ქვა!

წამოიწია, წამოდგომა სცადა. ირგვლივ მიმოიხედა.

პირველადვე ისევ ქვა შეეჩეხა თვალში. ზედ სისხლის წვეთები აშრებოდა.

თავზე გადაისვა ხელი და მყისვე მწვავე ტკივილი იგრძნო. სისხლიანი ხელი ძირს დაუშვა და ქვას დასწვდა.

ერთხანს შეყოყმანდა, მაგრამ ვეღარ მოითმინა და ისევ ასტყორცნა. ისიც აფრინდა, აიჭრა ზემოთ, კვლავ გარდაიქმნა ფრინველად, კვლავ მიაღწია ზენიტს და დაბლა დაეშვა. ჯადომ კვლავ მონუსხა ადამი. ვეღარ ინძრევა, უცქერის თვალმოუწყვეტლად. აი, მოახლოვდა, გადიდდა, გაიზარდა... მერე ტკივილი იყო... შეშინებული გახტა გვერდზე ელვის სისწრაფით. ქვა მის გვერდით დაასკდა მიწას. აიცილა დარტყმა...

— ხედავ, რა გადამხდა, ევა?!

ღამეა. ადამს და ევას ჩრდილიანი ხის ქვეშ ძინავთ. ნიავი ოდნავ არხევს კენწეროს, დაბლა კი სითბო და მყუდროებაა. სიჩუმეა. მთვარე დაჰნათის არემარეს და ვარსკვლავების ციმციმს ჩრდილავს.

გვერდიგვერ წვანან. კაცს თავი უდევს ქალის მხარზე, პირი ოდნავ დაუღია და ღრმად სუნთქავს, ხანდახან ამოიოხრებს, შეირხევა და კვლავ ღრმა ძილს მიეცემა.

ევა კი შფოთავს, ვერ ისვენებს, ხელ-ფეხი უთრთის, კვნესის კიდეც, თითქოს გამოფხიზლებას ცდილობს, მაგრამ მტანჯველი ძილისაგან თავი ვერ დაუხსნია...

ესიზმრება...

— რომ იცოდე, რა ვნახე, ადამ...

სიზმარში ნახა:

— ადამმა იმ ქვიდან უცნაური საგანი გააკეთა, ყველა გარშემომყოფ საგანზე მაგარი რამ: ხის ტოტებზე, ცხოველთა საშინელ კბილებზე, თვით ქვებზე მაგარიც. რად უნდოდათ ეს საგანი? ევამ არ იცოდა.

შემდეგ...

ადამმა ხე მოჭრა, ჩრდილიანი ხე. სწორედ ის, რომლის ქვეშაც მრავალი საამო წუთი გაატარეს. საშინელმა საგანმა ჩრდილიანი ხე ძირს დასცა.

— ცუდი დრო იყო, ადამ, ახლანდელზე ბევრად უფრო ცუდი...

შენ მოჭრილი ხე და ქვისგან გაკეთებული საგანი ერთმანეთს შეუერთე მძლავრი, ცოფიანი დარტყმებით. დიდებული იარაღი გამოვიდა, ჩემო ადამ, თავსაც ვიცავდით მისით...

რა შეგვეძლო გვექმნა ამ იარაღით? ძალიან ბევრი რამ. ვიქმდით კიდეც. ნათლად ვხედავდი, რომ შენ იყავი, მაგრამ ძალიან დიდი დრო იყო გასული და ყოველივე მრავალი წლის შემდეგ ხდებოდა. ამ იარაღით შენ დაიმორჩილე ქვაცა და ქვაზე უფრო მძლავრი ქმნილებებიც...

შემდეგ რა ნახა ევამ სიზმარში?

ადამმა დაიმორჩილა ქვაცა და რკინაც. რაღა არ გააკეთა... სიზმრის ბურუსში ევა კარგად ვერ ხვდებოდა, თუ რა ტრიალებდა ირგვლივ: ადამმა ჯერ საშინელი შავი შუბი ჩამოქნა — მრისხანე და შეუპოვარი იარაღი. ზოლიანი ვეფხვები და უზარმაზარი სისხლისმსმელი დათვები თავდასხმას ვეღარ ბედავდნენ. პირიქით: მამაცი, მძლავრი ადამი მათ შუბს ტყორცნიდა და სიცოცხლეს ართმევდა.

ერთი თავნება და ფეხმარდი ქურციკი შორს გაექცა ადამს. სწრაფად მიხტოდა ქვიან მწვერვალებზე და ადამის შუბი ვეღარ ეწია. კვლავ გამოჩნდა ადამის ჯადოსნური ცული, ამოქმედდა და იელვა მისმა მკვეთრმა, ცოფიანმა დარტყმებმა. შუბი დაბასრდა, დაპატარავდა, ჩამოიქნა და მორკალულ ჯოხში მოექცა. ლარი გაიდრიკა, გაიჭიმა. ზუზუნი გაისმა. ისარი შორს გაფრინდა და ქურციკი განგმირა.

— ამ წუთში კარგი იყო, ადამ, სიცოცხლე, ტკბობა იყო და სიამე. არსებობდი, მაგრამ მარტო არ იყავი, ბევრნი იყვნენ, ბევრზე ბევრნი და ყოველი მათგანი შენ იყავი — ჩემი ადამი. ყველას ჰქონდა იარაღი და დოვლათი უხვად იყო ყოველ ბუდესთან.

შენ კვლავ ცული გაიხსენე, კვლავ აელვარდა მისი ლაპლაპა პირი და კვლავ გამოფრინდნენ ცეცხლოვანი ნაპერწკლები ახალი ჯადოსნობის წარმოსაქმნელად.

საოცარი იყო ახალი ჯადოსნობა: მფრინავი ჯოხი დაპატარავდა, გამკვრივდა და შავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე, ღრმა ღრუში მოთავსდა. ახალი იარაღი აღმართე და... უცებ საშინლად იჭექა. შორს მთის მწვერვალზე ლაღი არწივი განიგმირა.

მაგრამ მეორედაც იჭექა... საშინელებავ!

შენი მსგავსი განგმირე — შენივე თავი.

ყველას ჰქონდა იარაღი, გესმის? უბედურება ატყდა. ღმერთო, რა სიზმარი იყო?!

გაბოროტდი, ცული აამუშავე. ბოროტად ბზინავდა მისი პირი და სულ ახალ-ახალ სასწაულებს ახდენდა. მზარავდა ცეცხლოვან ნაპერწკალთა ზუზუნი და ჭირ-ვარამის მომასწავებელ სიმღერად მეჩვენებოდა.

ცულის პირი შენს იარაღს გარდაქმნიდა. როდის ჩასწვდი ამ საიდუმლოს? არ ვიცი. ალბათ მაშინ, როცა ჩვენი ჩრდილიანი ხე მოჭერი... მერე რა, რომ ეს სიზმრად მოხდა... იარაღი დიდდებოდა, იზრდებოდა თვალდათვალ. მალე შენხელა გახდა. პატარა კენჭებს კი აღარ ტყორცნიდა. ვეება ლოდებს ისროდა უშორეს მანძილზე შენი მანქანა და ძმათა სისხლს ღვრიდა, სიკვდილს თესავდა.

ხოცავდი და გხოცავდნენ. არ ილეოდი.

ლოდები იზრდებოდნენ.

შენი ცულით უზარმაზარი ფრინველი ააგე. დაქროდა, ზეცას სერავდა და ძირს ყრიდა ლოდებს. დიდდებოდნენ გაუთავებლად, შეუბრალებლად. შავ ფრინველებს წელში წყვეტდა მათი სიმძიმე. ვეღარცა ზიდეს. ლოდებმა თავად დაიწყეს ფრენა... სისხლი, გრუხუნი, მიწა, კვლავ სისხლი...

და უცებ — სიჩუმე... მძლავრი სიჩუმე...

მწვერვალზე დგახარ. ხელთ ცული გიპყრია. ფეხრთით ლოდი გიდგას: ვეება, არნახული, განუზომელი სიდიდის ლოდი, მთელი სამყაროსოდენა... არ ვიცი, შენ ხარ მასზე დიდი, ფეხრთით რომ გიდგას?

...სიჩუმემ გამომაღვიძა.

მაგრამ მაინც შევიცანი, რომ ის დიდი და შავი ლოდი — ცეცხლი იყო. გახსოვს ცეცხლი, ღვთის ცეცხლი. შიგ გულში ედო ლოდს ცეცხლი და სწორედ ამიტომ ჩამოვარდა მძლავრი სიჩუმე. სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ლოდს არ ეფეთქა. ცეცხლი მოედებოდა ქვეყანას და დავიღუპებოდით. შენ შეჩერდი, ადამ...

ევას უხვად ჩამოსდის ცრემლი...

ადამი მიდის.

იმ ადგილს პოულობს, სადაც პირველად შეისროლა ქვა მაღლა. ევას სიზმარი ფიქრში უტრიალებს.

ქვას ხელში იღებს. ისაა, ზედ კიდევ ამჩნევია შემხმარი სისხლი. ხელში სწონის მაშინდელივით და უცებ მოშორებით, ზღვის ნაპირას მდგარს, თავის თავს ხედავს.

ეს ის ლოდია, ის შავი ლოდი... ააგდებს ზემოთ, ლოდი ეშვება, ადამი ცდილობს გაერიდოს, გვერდზე მიიწევს, ლოდი მიჰყვება... გარბის ადამი... ლოდი მისდევს... ეწევა... დაეწია და იფეთქა ცეცხლმა, მოედო ქვეყანას და დაიღუპნენ...

ქვა მოისროლა:

არა, არ მოვჭრი ჩვენს ჩრდილიან ხეს...

მეტი ახაფეხი

მიხვდა საკუთარ დაღუპვას. ფიქრობდა. ცდილობდა ეფიქრა. არ ემორჩილებოდნენ აზრები. ბოღმა წამოუვლიდა უცებ, გაუჭყლეტდა გულს. ტირილის სურვილი აცოცდებოდა ყელზე. გრძნობებს ებრძოდა, მეათასეჯერ გამოწვლილვით ჩხრეკდა მომხდარს, თუმცა ლოგიკის სწორი ხაზი ვერ ივლებოდა გონებაში, წყდებოდა სადღაც კვანძ წერტილებში, კვლავ ირეოდა ყველაფერი. მაინც რა იყო? არ ჩანდა ამ კითხვის კონკრეტული პასუხი. ძრწოლა იტანდა. რა ემართებოდა? იქნებ ეშინოდა? ის გრძნობა, კაცის არსება რომ მოეცვა, იყო კი სიკვდილის შიში? ეთქმოდა? სამარცხვინო სიტყვა! ამ გრძნობაში არა იყო სასირცხო. ეგება შიშიც არ ერქვა. ცარიელი სიტყვის დევნა რა სადარდელია. არა, არ იყო შიში, უბრალოდ, სიკვდილი არ უნდოდა. ეადრევებოდა. რა უნდა ექნა, რომ ეცოცხლა? სახეები ირევა და რიალებს მახსოვრობაში. ეგებ ობიექტური თვალით, დადინჯებით შეხედოს ამ სახეებს, მაგრამ ხელახლა იპყრობს შიში, თავაწყვეტილი პანიკური გაუგებრობა. ეს რა ამბავია?! რა ხდება საერთოდ?! წამოტივტივდა გენერალური საკითხი. დათრგუნულ ფსიქიკას საშინელებები ელანდება. ბზრიალებენ, ბზრიალებენ შეკითხვები: რა მოხდა? რისთვის? რატომ? ერთმანეთს ენაცვლება გაშმაგება, დაცხრომა, გაშმაგება, კვლავ დაცხრომა... მაინც რა? მაინც რა?

ერთი გვარსახელი უფრო ხშირად ახსენდება, ერთი სახე უფრო ხშირად წარმოუდგება, უფრო, ვიდრე ცოლის, მშობლების, შვილის სახეები. ფრანსუა დ'ივიე. ვინ და რა იყო მისთვის ფრანსუა დ'ივიე? მეგობარი? ძმობილი? ამხანაგი? ნაცნობი? არა, არც ერთი. სულ არაფერი, სულ არვინ. მრავალი წლის მანძილზე მხოლოდ ნაცნობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელგვარი იყო ფრანსუა დ'ივიე. ნაცნობიც კი არ იყო. სულ ორჯერ ნახა სიცოცხლეში, ორჯერ. ეს იყო და მეტი არაფერი. თუმცა, ჰო, მესამეჯერაც ნახა ფრანსუა დ'ივიე. უკანასკნელი შეხვედრა, გადამწყვეტი... ისევ ირევა ყველაფერი. ფიქრმა რაკიღა კვანძ წერტილს მიაღწია, ერთხელაც გაწყდა და ისევ აირია ძველებურად. მოგონებები ჩაებნენ ფერხულში, მთელი განვლილი ცხოვრება ჩაირბენს თვალწინ. მოყვასთა სახეები, ბავშვობა — ტკბილი, უცნაური, დაუვიწყარი... მშობლები — ბავშვის თვალით აღქმულნი. ჩაიქროლებს მშობლიური სახლი, სოფელი, შემდეგ ქალაქი, სახლი ქალაქში და ისევ და ისევ ფრანსუა დ'ივიე...

1904 წელი.

ორი ბავშვი — შვიდი-რვა წლის ბიჭები — თვალით ზომავს ერთიმეორეს. პირველი ოდნავ დაბალი და შავგვრემანია, ბუთხუზა, წითელი ლოყებითა და დიდი, ხუჭუჭა თმოთ ლამაზ შავ თვალებზე ეტყობა, ასაკით ცოტა უმცროსი უნდა იყოს სტუმარზე, ასცქერის. ის გამხდარია და აწოწილი, მხარვიწრო და ტანად თხელი. გრძლად აყრია წაბლისფერი კულულები, შუბლზეც ჩამოშლია. მუქი ლურჯი მზერით იცქირება. დიდი ინტერესია. ერთი შინაა, ყველაფერს ხუთი თითივით იცნობს, მეორე — სტუმარია, უცხო. მასპინძელმა საკმაოდ იცის ენა, რომელზეც სტუმარი მეტყველებს, სტუმარს კი სრულიად არ ესმის ამქვეყნელების უცნაური ენა. უფროსი ბიჭი თავს ერთობ უხერხულად გრძნობს, არ არის მდგომარეობის ბატონ-პატრონი. არადა მიჩვეულია უფროსობას, მით უფრო, რომ ამ შავგვრემანზე მთელი წლით დიდია. ცუდად მოქცევა სტუმრად ყოფნისას არ შეიძლება, სადმე მეზობლად კი არ არის, საოცრად შორეულ ქვეყანაშია, თანაც უკვე დიდი ბიჭია. მამამ უთხრა, ამ ქვეყანაში კარგი ხალხი ცხოვრობსო, ამ ბიჭზე კი უთხრა, ძლიერ კეთილი და სათნო ბავშვიაო. ეტყობა, მართლა კარგი ბიჭია, ხელს უწვდის სტუმარს და დამტვრეული ფრანგულით, ერთად ვითამაშოთო, სთავაზობს.

ამ დროს ბიჭების მამები გამოჩნდნენ. მხარდამხარ მოსეირნობენ. სერიოზული ბაასია. ძმურად ხელჩაკიდებული ბავშვების დანახვაზე სტუმრის მამა მხიარულად შეათამაშებს ხელჯოხს და ამბობს:

— აჰა, ბიჭებიც დამეგობრებულან,

— კმაყოფილი იცქირება.

მეორე მამაც კმაყოფილია, მოდის ახლოს და ბიჭებს შინაურულად უპაჭუნებს თვალს ოქროს პენსნედან. თავებზეც დაუსვამს ხელს, თმებს აუჩეჩავს. შვილის ხვეული თმა მიჩვეულია ამ ხუმრობას, ფრანგი ბიჭუნა კი სასწრაფოდ ისწორებს კოხტა ვარცხნილობას.

მამა-მასპინძელი მამა-სტუმარს მიუბრუნდება და მნიშვნელოვან საუბარს აგრძელებენ, თან მიდიან. ერთხანს მათი ლაპარაკი ესმით ბიჭებს:

— მსიე დ'ივიე. მაშ შევთანხმდით — თქვენი საზოგადოება მხარს დაუჭერს ჩვენს წამოწყებას.

— ჩემის მხრივ, რაც აღგითქვით, იმას ველარაფერს მივუმატებთ.

— დიდად მადლიერი დაგრჩებით, ბატონო ჩემო, — ამბობს მასპინძელი და სტუმარს მეორე ოთახში გამავალ კარს უღებს, — ნება მობოძეთ, ჩემს მეუღლეს თქვენი თავი წარვუდგინო...

— ფრიად სასიამოვნოა...

. . .

მაშასადამე, გიორგის ნაცნობიც კი არ იყო ფრანსუა დ'ივიე. ვინღა იყო, თუკი უბრალო ნაცნობიც არა? არაფერი, არავინ, უბრალოდ, გრძნობა, განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი, ორი მყისიერი მოგონება. სულ ეს და მეტი არაფერი...

მაინც?

ალბათ, მართლა არაფერი, ცოდნა იმისა, რომ უცხო ქვეყნის შვილი, გადამთიელი, ცხრა მთას იქით დაბადებული, აღზრდილი, მცხოვრები... კაცი, რომელსაც არავითარი არსებითი კავშირი აქაურობასთან არ გააჩნდა, უბრალოდ — იცნობდა მას, რაღაც ფიქრს აღძრავდა — ორმხრივი იყო ეს ხედვა სავარაუდოდ, — ჰო, ცოდნა იმისა, რომ უცხოელ კაცს ბავშობიდან იცნობდი და გიცნობდა, სახელი, გვარი და არარა სხვა კონტაქტი. მოგონებების მსუბუქი ბუქია ფრანსუა დ'ივიე გიორგი ჯორჯაძისთვის და მეტი არაფერი...

1916 წელი.

მეორედ ფრანსუა დ'ივიე ძალიან გრძელი თორმეტი წლის შემდეგ ნახა. ველარ იცნო გიორგიმ ბავშვობისეული ფრანსუა დ'ივიე. სხვა ფრანსუა იყო, სხვა თვალით დანახული, აღარ გავდა ბუნდოვან და მკრთალ მოგონებას, იმ პატარა ბიჭთან საერთო აღარაფერი ჰქონდა. ახალი ფრანსუა სასიამოვნო, სიმპატიური, გულღია ახალგაზრდა აღმოჩნდა. ზაფხული იდგა. მოსკოვის უნივერსიტეტიდან მშობლიურ თბილისში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არდადეგებზე ჩამოსული გიორგი აქ შეხვდა. მისივე თქმით, ჯერაც მოსწავლე იყო და ლიცეუმს ამთავრებდა. მამის საქმიანი დავალების აღსასრულებლად მოევლინათ პარიზიდან. საქმეზე არაფერი უთქვამს გიორგისთვის. არც არავის უკუთხავს რამე. გიორგიმ თავის თბილისელ მეგობრებს წარუდგინა, დაუვიწყარი კვირა შექმნეს, ყოველდღიურად იკრიბებოდნენ, საუბრის საგნად საქართველო ჰქონდათ. მიზნად დაისახეს სიგრძე-სიგანით გაეცნოთ სამშობლო უცხოელისთვის და შეეყვარებინათ. მიაღწიეს თითქოს მიზანს, ფრანსუა დ'ივიე ნიჭიერ-გონიერი ვინმე გამოდგა, შესანიშნავად გაიგო ყოველივე, ერთსღა ყოყმანობდა: მართლა იყო ეს პატარა საქარველო მსოფლიოს ყველაზე კულტურული ქვეყანა თუ არა. ფაქტია, აქ მშვენიერი ღვინო იწურებოდა და საუკეთესო ბიჭები ცხოვრობდნენ. ამაში ღრმად დარწმუნდა და, საეჭვოა, როდესმე დავიწყნოდა.

ზაფხულის ნათელ, მზიან დღეებში მოუწყენარი, მხიარული გასეირნებები კოლორიტულ ქალაქში... ქრისტიანული ტაძრები და ვიწრო ქუჩების აღმოსავლური ფერ-ხმოვანება. მონუმენტური სვეტიცხოველი და სასწაულებრივი ჯვრის მონასტერი. თბილისის თეატრი და იქაური ევროპულ ყაიდაზე დადგმული სპექტაკლი, საღამოობით ოტელის ბაღში ზედაშეს მადლი, პათეტიკური სადღეგრძელოები, სიმღერა, ლხინი...

ფრანსუა და გიორგი...

ფრანგი და ჟორჟიენ...

საფრანგეთი და საქართველო...

ბოლოს გამოსამშვიდობებელი ჩახუტება... ეს იყო და მეტი არაფერი. ფრანსუა დ'ივიე — სახენათელი ფრანგი ჭაბუკი — კიდევ დიდხანს ახსოვდათ ბიჭებს, ხანდახან იხსენებდნენ და ახსენებდნენ კიდეც, ისეთს, როგორიც დაახსომდათ და სულ არაფერი იცოდნენ მეტი მის შესახებ. გადიოდა ხანი, დღე დღეს მისდევ-და, კვირა — კვირას, თვე თვეს და მოგონებები ფრანსუა დ'ივიეზე ქრებოდა, მით უფრო, რომ სულ მალე ასეთებზე საფიქრალად ბევრს აღარავის ეცალა.

...

სატუსაღოს ზარდამცემ კედლებში მომწყვდეული გიორგი ცდილობს გაიგოს, რა მოხდა. რა იყო ის, რაც მოხდა? ეგება შეიცნოს, რაგვარად წარიმართა საქმე. იქნებ გაიხსენოს, რა ეგონა თავდაპირველად, რას მიხვდა მერე... დასაწყისში მცირე გაუგებრობად მიიღო მომხდარი და თავი მშვიდად ეჭირა. მერე, როცა ჩარხი სერიოზულად შეტრიალდა და მთელის სიმკაცრით დაენახვა, ყოველივე დიდ, საშინელ შეცდომად ჩათვალა და შფოთვამ შეიპყრო, ანერვიულდა, დაიძაბა, აიბნა კიდეც, თუმც ჯერ მხნეობის დაკარგვამდე განსაცდელი კიდევ რჩებოდა. ახლა კი მიხვდა, რომ დაიღუპა და მომხდარის სრული უაზრობა განაცვიფრებდა, აოცებდა, შიშის ზარს სცემდა, გარემოეცვა მტანჯველ ფიქრებს. დაიღუპა. მაშინღა მიხვდა თავის დაღუპვას, როცა შეხედა, რომ მის სიმართლეს, მის იმედს ზედ არ უყურებდნენ, არად აგდებდნენ, ყოველივე წინასწარ იცოდნენ, განაჩენიც წინასწარ გამოეტანათ და ახლა მხოლოდ რაღაც მარტივი ფორმალობის გავლით სასიკვდილო სატანჯველს უმზადებდნენ. ამას რომ მიხვდა, მაშინ გაუჩნდა ის გრძნობა, შიში რომ არ ეთქმოდა: სიკვდილის არსურვილი, კრთომა არყოფნის წინაშე...

1936 წელი.

გიორგი ჯორჯაძე, თავისი ქვეყნის გამოჩენილი მოღვაწე, მეცნიერული საზოგადოების ლიდერი, აღიარებული, დაფასებული და ღვაწლმოსილი პიროვნება, მივლინებით იყო წარგზავნილი პარიზს, მსოფლიოს დედაქალაქს, დარგის დიდ კონგრესზე.

ერთ ცივსუსხიან დღეს, თავისუფალ დროს, თვალწარმტაცი ქალაქის თვალიერებისას, ქუჩიდან ქუჩაზე მოარული ცდილობდა, თვალით ნანახთან შეეჯერებინა, რაც რამ პარიზზე სმენოდა. ერთ-ერთ ბულვარზე მოულოდნელად ნაცნობ სახეს ჰკიდა მზერა. მიუახლოვდა, ფრანსუა დ'ივიე დაინახა, თავი ვეღარ შეიკავა, ზედ მიეახლა და აღტაცებულმა ხელი ჩამოართვა ბავშვობისა და სიჭაბუკის ცოცხალ ხატებას. ფრანსუამ იმწამსვე იცნო გიორგი, გაუკვირვებლად, თავშეკავებულად, გარეგან მშრალად, მაგრამ გულის სიმხურვალით მიესალმა, ხელი მოუჭირა. შემდეგ, რაკიღა, როგორც ბრძანა, ეჩქარებოდა, პაემანი დაუნიშნა საღამოს შვიდზე. ახალგაზრდული იერი ედო, ოცდაათისას ძლივს იტყოდი. თავის დაკვრით დაემშვიდობა და აქ დამთავრდა ამბავი. მოისეირნა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სასტუმროში დაბრუნდა ხუთ საათზე. ნომერში საელჩოდან სასწრაფო გამოძახება დაახვედრეს. დაუყოვნებლივ გამოცხადდა. სამშობლოში სასწრაფოდ დაბრუნება უბრძანეს. დილის რეისამდე საელჩოდან არ გაუშვეს, არც არანაირი ახსნა-განმარტება არ აღირსეს. მიზეზს ვერ მიხვდა. საერთაშორისო სიტუაციის გართულება იგუმანა. ძალიან არ შეშფოთებულა. იმას, რაც შემდეგ მოხდა, ვერავინ წარმოიდგენდა. ელვის სისწრაფით დატრიალდა ბედი უკუღმა. თვითფრინავით სწრაფად იმგზავრა. აეროდრომზე დახვდნენ. დაფიქრებაც არ დააცალეს. თავზარი დასცეს.

...

გასაოცარი კითხვები დაუსვეს. თმები ყალყზე დაუყენა ამგვარმა ფრაზამ: "იცოდა თუ არა მან, გიორგი ჯორჯაძემ, რომ მის მიერ დასახელებული ფრანსუა დ'ივიე იგივე ზიგფრიდ შენერი, ადოლფ შულკე, თომას სმითსონია, რომ პარიზში ამჟამად ვინმე კიუნის პასპორტით ცხოვრობს და ასე შემდეგ... შემდეგ უფრო განსაცვიფრებელ კითხვებს აძლევდნენ დავალებების, დაზვერვის, კავშირების, მავნებლებისა და სხვათა შესახებ... შემდეგ კი...

ხვდებოდა კაცი, რომ დაიღუპა. ეს აზრი, ეს მიხვედრა,ეს ცოდნა აღავსებდა, ფიქრს აღარ ანებებდა, სადღაც მოჰქონდა მისი გონება. ისე კი, სულ ეს იყო და მეტი არაფერი...



გიორგი გაჩეჩილაძე

"ბოლოს დუმილი ჩამოვარდა
გარინდდა წვიმა, დაკეტა შამვმა
ფრთები ღამის ვიოლინოზე"

ჯარჯი ფხოველი

ბოლო დუმილი და უსასრულო...
მწვანე ხავსივით რჩება კვირტები,
მომაგონდები წამად წარსულო
და ფოთოლივით მიწას ვმკვიდრდები.

თანვე წამყვება მთების ზმანება
და ანაბეჭდი მკერდზე ბაგისა,
მერე კი მოსვლაც დამეზარება,
თუკი გამჩენმა ესეც მაღირსა.

სიყრმეს მოირგებ, როგორც საყურეს,
სამძიმარებით ტაძარს მიხვალ ხვალ.
როცა სიცოცხლე ცას გადმოჰყურებს,
მაშინ გშორდები, როცა მიყვარხარ.

მწვანე ხავსივით რჩება კვირტები,
მომაგონდები წამად წარსულო...
და ფოთოლივით მიწას ვმკიდრდები
ბოლო დუმილი..... ცა უსასრულო.

* * *

ახლა,როცა სიშიშვლეა ირგვლივ,
შენზე ისევ მესაუბრა ქარი.
გვირილებმა ჩაიარეს ლივლივ
და დატოვეს ნაკვალევი ქალის.. .

ახლა, როცა მენატრება წვიმა
და სიგიჟეს ვერ ვერევი ღამის,
გამახსენდა, რომ გიყვარდი წინათ,
შენს ნახატზე რომ გვირილა ყვავის.

შემოვივლი ჩვენს შემოვლილ ქუჩებს
და გრიგალებს გავაბრუნებ უკან,
რომ გიპოვნი, დაგიკოცნი ტუჩებს,
უშენობით მიმოზებიც სწუხან.

და თვალები გიშრისფერი გშვენის,
ახლა,როცა მტკვარი მიდის ლივლივ,
გვირილებმა ჩაიარეს ირგვლივ
და დატოვეს ნაკვალევი შენი.

* * *

მე ვიყავი, რომ გითხარი წუხელ,
რომ ზამთარი ძლიერ დაათოვებს.
განა სევდას შემოდგომა უმხელს-
გაზაფხულს და წელიწადის დროებს?

მე ვიყავი, რომ მწყუროდა შენი
თითები და თეთრი სისათუთე,
მე გითხარი, რომ საყურე გშვენის,
რომ დღეს პოეტს სიყმაწვილე უტევს.

მე გითხარი, გათენდება დილა
და შროშანმა დამიოსა გული.
გაოცება გაიტაცა თრთვილმა
და გიპონვე წუხელ — დაკარგული.

* * *

ითოვებს...თოვლი ფარავს სახურავს,
ქუჩები ზამთარს ისევ აწვალებს.
სახლში ვცხოვრობ და ზეცა მახურავს,
გიკოცნი დაბლა დახრილ წამწამებს.

ვშორდები სულის შიშველ სადგურებს
და ნოემბერი მიკოცნის ხელებს.
ქარი ჩემს ლექსებს გაანადგურებს,
გაცოფებული ჩაჰყვება ხევებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაგეძებ... სევდას ფრთხილად ვაწუხებ,
ვით ამორძალის ძუძუს ნამიანს.
სიზმარი ისევ მომხვევს მარწუხებს
და მოკლავს ჩემში კაცს-ადამიანს.

ითოვებს... თოვლი ფარავს სახურავს,
ქუჩები ზამთარს ისევ აწვალებს,
სახლში ვცხოვრობ და ზეცა მახურავს,
გიკოცნი დაბლა დახრილ წამწამებს.

* * *

გავფრინდეთ... მითხრა მწარე ცრემლებით,
თუმცა დაღლილი ფრთების ტკიოდა....
რომ აყვავდება კვლავ ეს ტყემლები,
კვლავ მეც აღვსდგები საიქიოდან.

ვიფრინოთ, სანამ ქარი ჩვენია,
ერთმანეთს თვალზე მოვწმინდოთ ნამი,
სანამ სიცოცხლე შემოგვრჩენია,
სანამ ერთურთის გვიხილავს გვამი.

მწუხრად ბუხარში ტკაცუნობს კვარი
და ნაცრისფერი დაგვყურებს ზეცა,
მახსოვს, წვიმებმა დაგვწერეს ჯვარი—
მე სევდა, შენ კი ნისლები გეცვა.

* * *

მზესთან თამაშში თითებს გადაღლი,
ულაყს ქარების მტვრევით მიუშვებ,
თეთრი ფაშატი ლაგამს გადაღრღნის
და სფინქსის თვალწინ ურცხვად იმრუშებს.

წელს ამოზიდავ ტალღის სინაზით,
მაღალი მკერდით ვნებას იოკებ.
ნაქარალ ულაყს ხედნი სილაზე
და მყუდროებას ააწიოკებ.

მერე ჭენებით დაიღალები,
სხეულს ტალღების კვნესით ირწყულებ,
ჩემი ნაკოცნი შავი ხალები,
გრძელი დალალით ჩამოიწურე.

(სუფთა თვალებით სხეულს იწონებ)
თმაჩამოშლილი ტალღებს ელევი,
წელგამართული თვალს გამისწორებ
და ტანის რხევით მზეს შეერევი.

* * *

ეს ყველაფერი როგორ მაწამებს,
ანდა წამება ვიწამო როგორ
და ნამტირალევ, დაღლილ წამწამებს
შემომაფეთებს უცნობი გოგო.

მეუცხოება ძველი პროსპექტი,
ამ პროცესიის გასაცილებლად.
ანარეკლიდან როგორ მომსდევდა,
სხვისი კოცნების ასაცილებლად.

მე მას ვიცნობდი — მითხრა წამებით,
თვალები ჰქონდა ძლიერ კეთილი.
მახსოვს, დახარა ძირს წამწამები,
დედამიწიდან მთლად მოკვეთილი.

ეს ყველაფერი როგორ მაწამებს,
ანდა წამება ვიწამო როგორ
და ნამტირალევ, დაღლილ წამწამებს
შემომაფეთებს უცნობი გოგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲰᲔᲠᲛᲐᲜ ᲰᲔᲡᲔ

ტესინური შემოდგომის ღამე

იყო წლები, როცა ტესინური ზაფხული ვერ გველეოდა და ჩვენთან დამშვიდობებას არ ჩქარობდა ხოლმე, მაშინ როცა ცხელ და ჭექა-ქუხილიან წლებში, ხშირად აგვისტოში ან სექტებრის დამდეგს, უეცრად დაწყებულა და მრავალი დღის მანძილზე უბობოქრია ჭექა-ქუხილსა და კოკისპირული წვიმებს, მერე ასევე უეცრად გამტყდარა წელში, დაბერებულა და უღიმღამოდ და მორცხვად გაგვშორებია, იმ იშვიათ წლებში კი, მრავალი კვირის მანძილზე არ გვტოებდა ზაფხული, არც ჭექა-ქუხილი გვაკთობდა და არც წვიმა, იდგა ალერსიანი, წყნარი, ნამდვილი შტიფტერისეული გვიანი ზაფხული, მხოლოდ ლაჟვარდი და ოქრო, მხოლოდ სიმშვიდე და სინაზე, რომელსაც იშვიათად თუ აამღვრევდა თბილი და მშრალი ქარი, ისიც ერთი-ორი დღე თუ ინავარდებდა ხეებში, ნადრევად ჩამოყრიდა მწვანე ბუძგიან წაბლს, ლაჟვარდს კიდევ ცოტა სილაჟვარდეს, მთების ნათელ, თბილ იისფერს კიდევ ცოტაოდენ ნათელს შემატებდა და მინასავით გამჭირვალე ჰაერს ერთი პროცენტით მეტ გამჭვირვალებას შესძენდა ხოლმე. ნელა, ნელა; მრავალი ბდღვიალებენ, ხოლო აკაციების მოლურჯო ფოთლებში ისე ციმციმებენ ნაადრევად გაყვითლებული ოვალური ფოთლები, თითქოს ვასკვლავები აფეთქებულა და ნაპერწკლები სცვივათო.

მრავალი წლის მანძილზე, სულ მცირე, თორმეტჯერ მაინც შევსწრებივარ აქაურ გვიან ზაფხულსა და შემოდგომას, როგორც მოხეტიალე, ჩუმი დამკვირვებელი და მხატვარი. დაიწყებოდა თუ არა რთველი, მოყავისფრო-ოქროსფერი ვაზის ფოთლებს და მოლურჯო-მოშავო მტევნებში ქალების წითელი თავსაფრები აკიაფდებოდა და იქაურობას ყმწვილკაცობის ყიჟინა აახმაურებდა, უქარო, ოდნავ მოღრუბლულ დღეებში ჩვენს ფართოდ გადაშლილ ტბისპირა ხეობაში ყველგან საშემოდგომო კოცონი ენთო და ცისფერი კვამლის სვეტები ამოდიოდა, მსუბუქ ნისლში გახვეული არემარე თითქოს შორეთს ერწყმოდა და მე, ყოველივე ამის შემხედვარე, არცთუ იშვიათად შური და ნაღველი შემომწოლია, როგორც სიბერეში შესულ ყარიბს ემართება, შემოდგომისას მესერს გადაღმა სხვის კარ-მიდამოში რომ გადაიხედავს და დაინახავს, როგორც იწევენ იქაური მკვიდრნი ყურძნის მოსავალს, როგორ წურავენ თავიანთ ღვინოს, თავიანთ კარტოფილს სარდაფში აბინავებენ, თავიანთ ქალიშვილებს ათხოვებენ, ბაღში თავთავიანთ, პატარ-პატარა, ჭირვეულ კოცონს ანთებენ და ტყისპირებზე აკრეფილ ახლადჩამოცვენილ წაბლს ღადარში წვავენ. განსაცვიფრებლად ლამაზი, შესაშური და სანიმუშო ეჩვენებოდნენ გლეხები და იქაური მკვიდრნი ჩვენს მოხეტიალეს, შემოდგომა რომ დადგებოდა და ისინი თავიანთ ნახევრად სადღესასწაულო სამუშაოებს რომ შეუდგებოდნენ, ასრულებდნენ თავიანთ ბუკოლიკურ და გლეხურ წეს-ჩვეულებებს, მღეროდნენ სომღერებს, კრეფდნენ თავიანთ ყურძენს, აწესრიგებდნენ თავიანთ კასრებს, ანთებდნენ თავიანთი ჩალამკალამის კოცონს, რათა ცეცხლს მიფიცხებოდნენ, წაბლი შეეწვათ და თან ლურჯი, ნაზი კვამლისთვის აეყოლებინათ თვალი, როგორ მიიკლაკნება იგი ზეცისაკენ, ზლაზვნით იფანტება და ზედმიწევნით კრიალა, მინასავით გამჭირვალე ლანდშაფტს იდუმალებას, გულჩახვეულებას, სითბოსა და იმედს მატებს. ეტყობა, მხოლოდ ამ მიზნით ინთება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდვრებსა და ბაღებში ცეცხლი, ან იქნებ იმისთვისაც, რომ გაბარდული მაყვლის ბუჩქები და კარტოფილის ფოჩი მოსპონ და ფერფლმა მიწა გააპოხიეროს, ალბათ წაბლი ბუძგებსაც იმიტომ წვავენ, რომ ბალახებში არ ჩარჩეს და პირუტყვს არაფერი ავნოს. ეს ყველაფერი კარგი; მაგრამ ნებისმიერი გლეხი, ვაზის ჭიგოებსა ან გადაბელილ თუთის ხეებს შორის დანთებულ კოცონს მეოცნებე სახით სულს რომ უბერავს, მგონი, სულაც მეოცნებეობის ხათრით სჩადის ამას, ბავშვური, მწყემსური უსაქმურობის ხათრით და იმას ლამობს, შორეთის სილურჯე თავის ფერადოვანი გარემოცვის წითელ-ყვითელ და ყავისფერ ჟღერას რაც შეიძლება სათუთად, გულითადად და მუსიკალურად შეურწყას იმ კვამლის მეშვეობით, რომელიც ოცნებასავით თავის ნებაზე მიიპარება და წელიწადის ამ დროს, დღეებისა და კვირეების მანძილზე, დილიდან ვარდისფერ დაისამდე ჩვენს ფერადფერად ლანდშაფტს პირთამდე ავსებს და ბურავს ხოლმე.

ხშირად დავკვირვებივარ იმ კვამლს და ცეცხლთან ჩაცუცქულ მამაკაცებსა და ბიჭებს, შემიმჩნევია, რა დუნედ და ზანტად ჰკიდებენ ხელს ბოლო მინდვრის სამუშაოებს, სიმაძღრისაგან ძილი ერევათ და მთვარეულებივით დაბორიალებენ, მათი მიხრა-მოხრა გველების, ხვლიკებისა და კიდევ მწერების მოძრაობას მაგონებს - შემოდგომის პირველ სუსხს რომ იგრძნობენ, ისინიც ასევე ძილმორეულნი დაიზლაზნებიან, ასევე ნელა და მდორედ ეწევიან თვიანთ ჩვეულ შრომას, ზაფხულით გამაძღარნი, მზით დაღლილები, დასვენების, ზამთრის ძილისა და დაღამებისთვის, განწყობილნი. მე ცოტათი ყოველთვის მშურდა მათი, მენახირე ფელიჩესი, თუ მდიდარი გლეხის ფარანჩინისა, რომელსაც ზოგჯერ „ბარონსაც“ ეძახდნენ, წაბლის შემწველებისაც შემშურებია, მინდორში დანთებულ კოცონს რომ შემოეხვეოდნენ, ბოლოებახრჩოლებული წნელებით ცეცხლს უჩხიკინებდნენ და შემწვარი წაბლი ღადარიდან ისე გამოჰქონდთ. ამღერებული ბავშვებისაც მშურდა, ფუტკრებისაც, ძილმორეულნი რომ დაღოღავდნენ ყვავილებზე, შურით შევცქეროდი ბუნების დაყურსულ, დასასვენებლად გამზადებულ, უპრობლემო, უხიფათო, მარტივ და ჯანსაღ სამყაროს და პრიმიტიულ, გლეხურ ცხოვრებას. შურის საბაბი კი უხვად მომეპოვებოდა, რადგან მშვენივრად ვიცოდი მინდორში დანთებული პატარა კოცონისა და შემოდგომური სიზანტის სიყვარულით ნასაზრდოები ვეგეტაციური ბედნიერების ფასი, ოდესღაც არა ერთი და ორი წელი მეც შემინირავს ჩემი საკუთარი ბაღისათვის და ჩემი საკუთარი კოცონიც დამინთია, შემოდგომისას ამოტომაც შემომწოლია ნაღველი იმ დღეების გახსენებაზე და დაკარგული ბედნიერება მომაკვდინებელი თუ არ მომჩვენებია, საკმაოდ ღრმა ნოსტალგის სხივმფინარე შუქში მაინც დამინახავს. მინატრია სადმე შინ მეგრძნო თავი, ერთი ნაგლეჯი მიწა მყვარებოდა და დამემუშავებინა და არა შორიდან მეცქირა ან მეხატა, უბრალო გლეხებისა და მწყემსის მოკრძალებულ ბედნიერებაში, სოფლური კალენდრის ვერგილიუსისეულ, ორი ათასი წლის მანძილზე უცვლელად დარჩენილ რიტმში მეც მდებოდა წილი — აი როგორი ხვედრი მეჩვენებოდა ლამაზი და შესაშური, თუმცა მისთვის ოდესღაც მეც გამისინჯავს გემო და მიმვხვდარვარ, რომ ჩემს გასაბედნიერებლად იგი მაინც არ იკმარებდა.

და აი, შეხეთ, დღეს ხელახლა მერგო ეს მშვენიერი ხვედრი, იგი ისე ჩამივარდა კალთაში, როგორც ტყეში მოხეტიალე კაცს დაეცემა თავზე ხიდან ჩამოვარდნილი მწიფე წაბლი და მას ისღა დარჩენია, გამოარჩიოს და იგემოს ნაყოფი. დიახ, სრულიად მოულოდნელად კვლავ სოფლის მკვიდრი გავხდი და მართალია, საკუთრებად არა, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე სარგებლობის უფლებით მარგუნეს მიწის ნაკვეთი! ჩვენც ჯერ, ცხადია, სახლი ავიშენეთ, შევსახლდით და ჩემთვის დაიწყო უამრავი მოგონების წყალობით ახლობელი და ნაჩვევი გლეხური ცხოვრების კიდევ ერთი მონაკვეთი. მჯერად აღარც მიფიქრია სოფლურ ცხოვრებას ჟინიანად და ცხარედ შევბმოდი, ახლა ჩემი ჭკუით, გაცილებით წყნარად და მშვიდად ვიცხოვრებდი, შრომაზე უფრო მოცალეობაზე ვიზრუნებდი, შემოდგომის კოცონსა და კვამლზე უფრო ვიოცნებებდი, ვიდრე ტყის საახოედ გაკაფვასა და ყანის მოხვნადათესვაზე. მერე გულმა მაინც არ მომითმინა და კარმიდამოს ცოცხალი ღობე შემოვავლე, ბუჩქები და ხეები დავრგე, ყვავილებიც უხვად გავაშენე და გვიანი ზაფხულისა და შემოდგომის დღეებს, მართლაც შეუდარებელ დღეებს, ლამის სულ მინდორველად ვატარებდი, პატარ-პატარა სამუშაოს ვეტანებოდი, ცოცხალ ღობეს გავკრეჭდი, ბოსტანს საგაზაფხულოდ შევამზადებდი, გზებს გავასუფთავებდი, წყაროებს ამოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმენდდი, რა სამუშაოც არ უნდა მქონოდა, მიწაზე ცეცხლს მაინც დავანთებდი და სარეველსა, გამხმარ ტოტებსა და ეკალ-ბარდებსა, წაბლის მწვანე თუ გაყავისფრებულ ბუძგებს შევუკეთებდი.

* * *

ცხოვრებაში, როგორც არ უნდა იყოს საერთოდ იგი, არ შეიძლება არ გამოერიოს რაღაც ბედნიერებისმაგვარი, რაღაც ნატვრის ასრულებისა და სისავსის მსგავსი და ალბათ კარგია, იგი დიდხანს რომ არ გრძელდება ხოლმე. რომელიღაც მომენტში იგი საოცრად ტკბილია, ტკბილია დამკვიდრების, სამშობლოს განცდის, ყვავილებთან, ხეებთან, მიწასთან, წყაროსთან მეგობრობის შერძნება, ერთი ნაგლეჯი მიწის, ყვავილის რამდენიმე კვალის, ლეღვის და ატმის ხის მიმართ პასუხისგებლობას გრძნობის ქონა.

და აი მეც ყოველ დილით, პირდაპირ ჩემი სახელოსნოს ფანჯრიდან ვკრეფ ლეღვს, რამდენიმე პეშვს ავივსებ, იქვე გეახლებით, მერე ჩალის ქუდს, კალათას, წალდს, ფოცხსა და სასხლავს მოვკიდებ ხელს და შემოდგომის მიდამოს მივაშურებ ხოლმე. ცოცხალ ღობეს მივადგები, მის დამჩაგვრელ მეტრის სიმაღლე სარეველას მოვაცილებ, დიდ-დიდ გროვებად მოუვყრი თავს ხვართქლასა და მატიტელას, შვიტასა და მრავალძარღვას, მიწაზე ცეცხლს გავაჩაღებ, ცოტაოდენ შეშას შევუკეთებ, ცოტაოდენ მწვანე ფოთლებსაც წავაყრი, რომ ნელ-ნელა ინავლებოდეს, ვუყურებ, რა ნაზად და წყაროსავით უწყვეტად მოედინება კვამლი და ოქროსფერ თუთებში გამომკრ-თალ ტბის სილურჯეში, მთებსა და ზეცას შორის როგორ მიკლაკნება. ყურს სწვდება ჩემი თანასოფლელების ნაირ-ნაირი მეზობლური, შინაურული ხმები, ჩემს წყაროზე ორი მოხუცი დედაკაცი სარეცხს რეცხავს და ერთმანეთში ჭორაობს, დროდადრო თავიანთ ნაამბობს საამური გამოთქმებით აზავებენ, წადაუწუმ მესმის: „მაგარი" და „სანტო ციელო", „ღმერთმა ქნასო" და „ღმერთო ჩემოო". ხეობიდან ლამაზი, ფეხშიშველა ბიჭუნა ამორბის, ეს ტულიოა, ალფრედოს ვაჟიშვილი, მაგონდება მისი დაბადების დღე, მე მაშინ მოწიფული კაცი ვიყავი და აი ის უკვე თვრამეტი წლისაა. მისი იისფერი, ხშირი რეცხვისგან გამოხუნებული ხალათი მშვენივრად ეხამება ტბის სილურჯეს, ტულიოს საშემოდგომო საძოვარზე ოთხი წაბლა ძროხა ამოჰყავს. ისინი ბუსუსებიანი, ვადისფერი დრუნჩებით ეჭვიანად უშინჯავდნ გემოს ნესტოებში შემძვრალ კვამლის ბოქვებს, თავებს ერთმანეთს ან თუთის ხეებს უხახუნებენ, ოციოდე ნაბიჯით მოგვცილდებიან, რომელიმე ვაზს მიადგებიან, მაგრამ ვაზის ფოთოლს წაკორტნიან თუ არა, პატარა წყემსები შემოუძახებენ და ისინიც ზანზალაკების წკარუნით ახლა სხვა მხარეს გაუყვებიან ხოლმე. მე მატიტელას ვპუტავ, ძალიანაც მეცოდება, მაგრამ მის თავს ჩემი ცოცხალი ღობე მირჩევნია. ამ დროს ნოტიო მიწაზე, ჩემი გამრჯე ხელების ქვეშ დუღს და გადადუღს ათასნაირი მცენარეული და ცხოველური სიცოცხლე: ერთი ღია ყავისფერი, ლამაზი გომბეშო ხელებქვეშ მიძვრება. ყელს ბერავს და ძვირფასი ქვებივით პრიალა თვალები მიყურებს. ხან სად და ხან სად მონაცრისფრო კუტკალიები წამოფრინდებიან და დაფრენისას ლურჯ და აგურისფერ ფრთებს შლიან, მარწყვს თავის პაწია, საგულდაგუ-ლოდ დაკბილული ფოთლები გაუშლია და ყლორტზე ერთი ციცქნა ყვითელვარსკვლა-ვიანი თეთრი ყვავილიც გამოუღია. ტულიო კვლავ თავის ძროხებს მწყემსავს. იგი თეთმეტი წლის ბიჭია, ძილისგუდა ნამდვილად არ ეთქმის, მაგრამ ისიც კი, თავის მჩქეფარე ბიჭური გაზაფხულის წიაღში მყოფი, გრძნობს წელიწადის დროის სუნთქვას, გრძნობს გაზაფხულის- შემდგომ სიმაძღრეს, მოსავალის აღებისშემდგომ სიზანტეს და კარსმომდგარი ზამთარის წინ ნაოცნებარი დასვენების მოთხოვნილებას. იგი უხმოდ დაიზლაზნება, არცთუ იშვიათად ოციოდე წუთით გაირინდება, იყურება ლურჯ შორეთში თავისი ჭკვიანი, თაფლისფერი თვალებით, გასცქერის იისფერი მთების კალთებზე თეთრად მოკიაფე სოფლებს, მერე ნედლ წაბლს გაკვნეტს და შორიახლოს მოისვრის ხოლმე. ბოლოს დაბალ ბალახებში წამოგორდება, სალამურს ამოიღებს, ჩაბერავს და მოსინჯავს, რა მელოდია შეიძლება გამოუვიდეს: მის სალამურს ხომ ორად-ორი ტონალობა აქვს, მაგრამ ორი ტონალობა თურმე უამრავ მელოდიას ჰყოფნის, ხისა და ლაფნისგან გამო-ცემული ხმით შგიძლია ლურჯ ლანდშაფტს, აბრიალებულ შემოდგომას, ძილნასვამივით ზლაზნია კვამლს, შორეულ სოფლებსა და დაბინუდულ სარკესავით მოციაგე ტბას, ძროხებსა და ჭასთან შეკრებილ ქალებს, მათთან ერთად რუხ პეპლებსა და წითელ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითელ ტყის მიხაკებს უმღერო. აქა-იქ სალამურის ის პირველყოფილი ჰანგი გამოკთება, ჯერ კიდევ ვერგილიუსს და მაზე ადრე ჰომერისს რომ მოუსმენია. ეს ჰანგი ღმერთებს სწირავს მადლობას, ხოტბას ასხამს მიწას, მადლიერების ნიშნად აქებს ლურჯ, წითელ და ოქროს ფერებს, ტბის ხეობის სიკისკასეს, შორეული მაღალი მთების უდრტვინ-ველობას, აღწერს და ხოტბას ასხამს იმ ცხოვრებას, ქალა-ქელებს რომ მისი არა გაეგებათ რა. სხვათა შორის,ეს უკანასკნელი არც ისეთი უხეშია და არც ისე სათუთი, როგორც მათ წარმოუდგენიათ, არც სულიერია და არც ჰეროიკული, მაგრამ ყოველ ჰეროიკულ ადამიანს თავის დაკარგული სამშობლო-სავით ძალუმად იზიდავს, რადგან იგი ადამიანთა უძველესი და უხნესი მოდგმის ცხოვრებაა, უუბრალესი და უღვთის-მოსავესი მოდგმისა, ეს მიწის მუშის ცხოვრებაა, შრომა-გარჯით აღსავსე ცხოვრება, ოღონდ ყოველგვარი აჩქარებისა და ვაივაგლახის გარეშე, რადგან მისი საფეძველია ღვთისმოსაობა, მიწის, წყლისა და ჰაერის ღვთაებებისადმი ნდობა, წელიწადის დროებისადმი, მცენარეებისა და ცხოველის ძალისადმი ნდობა. ყურს ვუგდებ სალამურის ჰანგს და ჩემს მინავლულ კოცონს ფოთლების გროვას ვაყრი, შემიძლია უსასრულოდ ვიდგე ასე, უსურვილებოდ და მშვიდად და ოქროსფერი თუთის ხეების კენწეროების მიღმა ფერებით დახუნძლულ ლანდშაფტს გავცქეროდე, ამ წუთში ასე დაწყნა-რებული და მარადიული რომ გვეჩვენება, თუმცა სულ ცოტახნის წინ ზაფხულის გავარვარებული ნაკადები აფორიაქებდა და ახლაც, სულ მალე ზამთრის თოვლი და ქარბუქი მოაკითხავს და ააწიოკებს.

გერმანულიდან თარგმნა
დალი ფანჯიკიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გრიგოლ რობაქიძე

წერილი ნიკოს კაზანძაკისს

ძვირფასო ნიკო კაზანძაკის

ამ წერილის ბოლოს თქვენ ნახავთ: როგორ გამახარა 24 ნოემბერს უტრეხტიდან გამოგზავნილმა თქვენმა წერილმა. დასაწყისში კი მოგითხრობთ დაწვრილებით ჩემი ცხოვრების „ოდისეას“.

I

1928 წლის გვიანი ზაფხული. საქართველო. თქვენ და პანაიტ ისტრატი იმყოფებოდით დედაქალაქ თბილისში. ჩვენ გავიცანით ერთმანეთი. თქვენში მე ვპოვე უფრო ღრმა სიახლოვე, ვიდრე თქვენს მეგობარში, რომელიც რამდენიმე წლის მოგვიანებით გარდაიცვალა. ის-ის იყო გერმანიაში გამოქვეყნდა ჩემი რომანის - **„გველის პერანგი“** - გერმანულენოვანი თარგმანი. თქვენ წაიკითხეთ წიგნი თქვენთვის ჩვეული გულისხმიერებით და ჩაწვდით: ავტორი საბჭოთა კონცეფციებს ვერანაირი გზით ვერ ესადაგებოდა. მე ვიგრძენი თქვენი ნაგრძნობი და დავეთანხმე მას უსიტყვოდ. ორთავე მივხვდით თუ – რატომ. დღეს კი გეუბნებით იმას, რასაც, ალბათ, მაშინ ვერ მიმიხვდით: კერძოდ, რომ მე უკვე შინაგანად გადაწყვეტილი მქონდა დამეტოვებინა საბჭოთა კავშირი.

II

ორ წელიწადზე მეტხანს ვცდილობდი, გამომეგლიჯა თანხმობა გასამგზავრებლად. ბოლოს, მივიღე იგი ჩემი დრამის **„ლამარას“** წყალობით. მოკლედ ისტორია:

1930 წლის ზაფხულს მოსკოვში ჩატარდა თეატრალური ოლიმპიადა, რომელშიც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა მიიღო მონაწილეობა და მათ შორის ჩვენმა ქართულმა თეატრმაც ჩემი **„ლამარას“** მეთაურობით. თეატრმა, ნაწარმოების წყალობით, ფანტასტიკურ წარმატებას მიაღწია, ეს ნამდვილად გასაოცარი იყო, რადგან ჩემს დრამაში არც ბოლშევიკური კოსტიუმები იყო და არც არანაირი რევოლუციური ინტრიგები. მასში გაცოცხლდა დღემდე ხალხური ენთუზიაზმით მსუნთქავი მითი საქართველოს მთიანეთში მცხოვრები ერთ-ერთი ტომისა; იგი ამოიზვირთა პირვანდელი ფესვებიდან, როგორც დრამაში განსახოვნებული ქორალი.

წარმოდგენა რვაჯერ დაიდგა ერთიმეორის მიყოლებით, ხოლო მათ შორის: ერთხელ – იმ დროს მოსკოვში მცხოვრებ უცხოელთათვის, მეორედ მხოლოდ ოლიმპიადაში მონაწილე მსახიობებისა და რეჟისორებისათვის. ერთ-ერთი წარმოდგენის დროს, 26 ივნისს, ამის შესახებ თეატრის ისტორიაში წერია, მესამე მოქმედების შემდეგ, ოვაციები 35 წუთს გაგრძელდა. პრესამ ნაწარმოებს ძალზე დიდი შეფასება მისცა, თუმცა ერთი, ჩემთვის მაინც მნიშვნელოვანი მინიშნებით: შინაგანად ის ჩვენი არ არისო.

ერთხელ თეატრს ეწვია **„ის“** - სტალინი. იგი მხოლოდ ბოლო მოქმედების დროს შემოვიდა. შეძრულმა წარმოდგენის ბოლოს გამოთქვა სურვილი, სპექტაკლი თავიდან გამეორებულიყო. დაცარიელებული თეატრის დარბაზში ხელახლა, უფრო დიდი ენთუზიაზმით, განმეორდა წარმოდგენა.

პოლიტბიურომ გადაწყვიტა გამარჯვებული თეატრი ევროპასა და ამერიკაში გაეგზავნა და გარესამყაროსათვის ეჩვენებინა, **„რა ძალიან“** უწყობს ხელს და მფარველობს საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ეროვნულ კულტურას. სტალინმა თქვა: **„ლამარამ“** II ინტერნაციონალს სილა უნდა გააწნას!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავიხსენოთ, რომ II ინტერნაციონალმა საბჭოეთის მიერ საქართველოს დაპყრობა რამდენჯერმე გააპროტესტა.

თეატრის გასამგზავრებლად ყველაფერი მომზადებული იყო. მე, რომელიც ამდენ ხანს საზღვარგარეთის პასპორტისათვის ვიბრძოდი, შევეცადე გამომეყენებინა ეს შემთხვევა. ამავე წლის ნოემბერში მოსკოვს გავემგზავრე, სადაც ჯერ კიდევ არ მიმქრალიყო **„ლამარას“** გამოძახილი. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მომიხერხდა კრემლში ენუქიძის ნახვა, რომელიც გავლენიანი პირი იყო კულტურული საქმიანობის დარგში. ის სტალინის ანტიპოდი გახლდათ. ბევრს დახმარებია გაჭირვებისას. 1937 წელს სიკვდილით დასაჯეს, როგორც **„მოღალატე“**. მე მას ავუხსენი, რომ, როგორც **„ლამარას“** ავტორს, შემეძლო უცხოეთში თეატრისათვის დახმარება გამეწია. მისი შემწეობით პასპორტი მივიღე.

III

1931 წლის 6 მარტს მე, ჩემი მეუღლე და მისი 5 წლის დისშვილი უკვე საზღვარზე ვიყავით. ველარ ვიხსენებ, თბილისში ყოფნის დროს, გაიცანით თუ არა ჩემი მეუღლე. ის რუსია, მშვენიერი ნოველისტი. მისი დისშვილის მშობელთა ტრაგიკულ ბედზე სხვა დროს გიამბობთ – ჩვენ საკუთარ შვილზე მეტად გვიყვარს იგი.

საზღვარი რომ გადავლახეთ, ისე შვებით ამოვისუნთქე, როგორც არასოდეს ჩემს ცხოვრებაში. მრავალი ბედნიერი წუთი მქონია სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ იმ წუთებს ვერაფერს შევადარებ.

და თეატრი? ქართული **GPU**-ს პასუხისმგებლობა უნდა აეღო თეატრის საზღვარგარეთ გამგზავრებაზე, მაგრამ ვერ გაბედა. ვერ გაბედა, რადგან მსახიობებსა და თეატრის ხელმძღვანელთა შორის არც ერთი კომუნისტი არ ერია.

IV

7 მარტს უკვე ბერლინში ვიყავით. ჩემი გადაწყვეტილება – საბჭოთა კავშირი სამუდამოდ დამეტოვებინა – სინამდვილედ იქცა. ახალი ეპოქა დაიწყო ჩემს ცხოვრებაში. ჩემი ლიტერატურული გზა გერმანიაში უკვე გაკვალული იყო **„გველის პერანგის“** წყალობით. თანდათან მას მოჰყვა 8 წიგნი: რომანები, ნოველები, ესსეები, ჩანახატები. ერთი რომანი იტალიურად ითარგმნა, ორი რომანი ჩეხურად, ერთი ნოველა ესპერანტოზე, ერთი ჩანახატი არაბულად. ჩემი წიგნების სრული კრებული 1944 წელს გამოიცა 270.000 ეგზემპლარად. ჩემზე კრიტიკული წერილები იწერებოდა: მე ვგულისხმობ არა უამრავ „საუბარს“, არამედ კვლევით სტატიებს. ჩემი პოეზიის თავისებურება თითქმის ყველას მიერ **მითოსური** კუთხით იქნა დანახული. ზოგნი ჩემს შემოქმედებას ახასიათებდნენ როგორც **გენიალურს**. აქ რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებ, თუ როგორ დიდ პოეტად მიმიჩნევენ.

ჩვენი დროის ღრმა მოაზროვნე, ლეოპოლდ ციგლერი, თავის მონუმენტურ ნაწარმოებში „გადმოცემა“ (**UBER-LIEFERUNG**) წერს: რომანში „ჩაკლული სული“, რომელშიც, ასე ვთქვათ, ბოლშევიკური დემონია თავისი „ატმოსფეროთი“ აღწერილი, „სტალინის მითიური სახე დაუფარავი ხელოვნებითაა გამოსახული“, შემდეგ: „იგი, როგორც ქალდეველთა ძე და მემკვიდრე, ჯერ კიდევ მითოსურ სამყაროში დგას და ხელოვნურად მოპოვებულ მოგონებებს კი არ მიმართავს, არამედ შთამბეჭდავი გრძნობით და სიყვარულით სავსე დაკვირვებით გადმოსცემს იმას, რაც ყოველი მხრიდგან გარს აკრავს მას და რაც ესოდენ მშობლიურია მისთვის“ (გვ. 264).

კათოლიკური ჟურნალის **HOCHLAND** (1934/35) მეექვსე რვეულის ერთ-ერთ სტატიაში წერია: „რობაქიძე თავისი ხალხის ერთ-ერთი ჭეშმარიტი წინამძღოლია და ერთადერთი ნამდვილი ხსნაა ხალხისათვის. იგი ჭეშმარიტად სახალხო პოეტია, როგორც ესქილე, სოფოკლე და ჰომეროსია საბერძნეთისათვის, როგორც დანტეა იტალიისათვის, დოსტოევსკი – რუსეთისათვის, ჰოლდერლინი და კლაისტი – გერმანიისათვის. იგია სახალხო პოეტი არა ფსიქოლოგიურ-სოციალური თვალთახედვით, არამედ – ხალხის სულიერი აღორძინებისა და რელიგიური გაგების უმაღლესი აზრით“.

ომამდე შვედურმა ჟურნალმა „**IDUN**“ გამოაქვეყნა ერთი გამოკვლევა. სპეციალისტებს უნდა დაესახელებინათ დღევანდელი მსოფლიო ლიტერატურის სამი უმნიშვნელოვანესი წიგნი. ერთ-ერთი კომპეტენტური შვედი ავტორი ს.ნენანდერ ნილსონი ჩემს **„ჩაკლულ სულსაც“** ასახელებს ამ **სამ** წიგნს შორის.

V

შემოქმედებითი ცხოვრების უმაღლეს მწვერვალზე ვიმყოფებოდი. ყველგან მიწვევდნენ. ლექციებს ვკითხულობდი სხვადასხვა ქალაქებში. ერთხელ ციურიხის უნივერსიტეტშიც მოვხვდი. ცნობილი ვიყავი გერმანიის კულტურულ ელიტაში. ზოგიერთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაცნობობა, შემიძლია ვთქვა, სულიერ მეგობრობაში გადაიზარდა. ასე ვტკბებოდი შემოქმედებითი ცხოვრებით წლების მანძილზე.

მოულოდნელად საზღვარგარეთის გზები ჩემთვის ჩაიკეტა. ამაში ბოლშევიკების ხელი ერია. 1933 წელს **„ჩაკლული სულის“** გამოჩენის შემდეგ, მთელ ევროპაში გაავრცელეს სატანურად ჭკვიანური აზრი, რომ მე გერმანელი ფაშისტი გავხდი. თქვენ გამიგებთ, რომ გერმანიიდან, რომელიც ტოტალიტარულ ქვეყნად იქცა, მე აღარ შემეძლო გასვლა. ასე გავხდი ევროპაში „არასასურველი“. აი, ამის მაგალითი:

1933 წელს, ერთ დღეს, ჩემთან მოვიდა ერთი ჩემი ნაცნობი ქალი, უაღრესად განათლებული ებრაელი, რომელთანაც მეგობრობა მაკავშირებდა. იგი ერთ-ერთი ფრანგული გამომცემლობის გავლენიან ავტორთან მეგობრობდა. მითხრა, რომ ცოტა ხნის წინ პარიზში იყო და შეიტყო, რომ იმ გამომცემლობამ მიიღო ჩემი **„გველის პერანგი“**. ის გახარებული იყო ამით, მეც გამიხარდა, მაგრამ გავიდა თვეები, წიგნი კი არ გამოქვეყნდა, ცხადია, მეც აღარაფერი მიკითხავს იმ ქალისათვის.

იმავე გარემოებით უნდა აიხსნას, ვფიქრობ, სხვა ფაქტიც: ომის წინ ერთი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი აღფრთოვანდა ჩემი რომანით **„მეგი“**, წიგნი ფრანგულად იყო თარგმნილი. თარგმანს მარსელ ბრიონის წინასიტყვაობა ახლდა. ჩემი შემოქმედებითი სახე აქ ასე იყო დახატული: „...დამოუკიდებლად მისი შინაარსისა, თხრობა თვითონ ისხამს სხეულს, იგი გადაიქცევა ცოცხალ არსებად, ერთგვარ მეორე რეალობად წიგნისა“.

მე თქვენ გეკითხებით, ამაზე მეტი რაღა დახასიათება უნდა მისცემოდა ნაწარმოებს? წიგნი არ გამოიცა. ცხადია, ამ მიმართულებით მე არაფერი მიღონია. ვფიქრობდი, რომ ეს უაზრო იყო.

VI

ამას დაერთო ისეთი რაღაც, რაც ჩემთვის, როგორც შემოქმედისათვის, საბედისწერო აღმოჩნდა.

ომის პირველ წლებში ორი პატარა წიგნი გამოვეცი: „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“. აქვე დავსძენ: არც პირველია ნაცისტური და არც მეორეა ფაშისტური. ამ თემებს მე განსაკუთრებული სულიერი თვალთახედვით ვუყურებდი. საჯარო აზრი ნაკლებ გულისწყრომას გამოხატავს ჩემს „მუსოლინზე“, რადგან იგი საკუთრივ ლიტერატურული კუთხითაა გაშუქებული, სამაგიეროდ „ჰიტლერს“ არ მიქებს, რადგან აქ ლიტერატურულ ასპექტს ვშორდები, თუმცა იგი არც წმინდა პოლიტიკურია. ამ ნაწარმოებში ფარულად გატარებულ **ინტენციას** რამდენიმე სიტყვით გადმოგცემთ.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენს წინაა ეჭვით დაავადებული ადამიანი. ბოროტისმსურველი ცეცხლს უკიდებს ავადმყოფს, როგორც იაგო – **ოტელოს**. იგი მოხერხებულად შეაპარებს სათქმელს, ვითომდა მეგობრული გრძნობით და ამით უფრო ნამდვილს ხდის ეჭვის მიზეზს. ესე იგი იჭვნეულის სულში თანდათან ჩააწვეთებს ეჭვს. ამ სიტყვის მნიშვნელობა კარგად გადმოიცემა გერმანულ ენაზე – **გაორება, იჭვნეულობა**. **ეჭვი აორებს** კაცს: შლის ავადმყოფს. რაც უფრო დიდია იგი, მით უფრო გამანადგურებელია იგი სულისათვის. კეთილისმოსურნე ასე არ იქცევა. იგი ცდილობს, გაანელოს იჭვნეულის ცეცხლი და ფრთხილად უნათებს მას გონებას ისე, რომ თვალშისაცემი არ იყოს ეს მისთვის და თანდათან იმოქმედოს მასზე. ამ გზით უადვილებს სნეულს, დაიბრუნოს დაკარგული მთლიანობა. **ჯანმრთელი** და **მთელი** სინონიმებია ქართულში. პირველ შემთხვევაში იგი არის საკუთარი თვითონის ხატოვანი რეალობა.

ჩემს ნაწერში, რომელიც მრავალი წლის მედიტაციის შედეგია – იგი დასრულდა 1938 წლის შემოდგომაზე და ეს უნდა აღინიშნოს - ნაცისტური მოძრაობა განვწმინდე ყველანაირი წიდისაგან. ეს ქმედება – მე ამას „პითაგორულს“ ვუწოდებდი, ემსგავსება იმას, რასაც კეთილისმსურველი აღასრულებს წარმოსახვით. მოძრაობის სულისჩამდგმელი, ნამდვილ „კლიმატში“ ჩასმული, მითოსურ სახეში გადაიზარდა. ეს ფიგურა ემპირიული ჰიტლერი კი არაა, არამედ იგი გახლავთ **თავისი თავის მეორე მე**. კითხულობენ: შენ ხარ ეს, უნდა წაიკითხონ: შენ უნდა იყო ეს.

დღეს ერთადერთი კითხვა, დასმული ჩემს მიმართ, მხოლოდ ასეთი უნდა იყოს: უწმინდურებად გარდაიქმნებოდა თუ არა ჰიტლერის ბოროტეული „მანა“ (ძალა), თუკი მისი მფლობელი ჩემ მიერ მოხაზული მიმართულებით განახორციელებდა თავის თავს? პასუხი ასეთი იქნებოდა: **გამორიცხულია**! თუკი. ისტორია ყველა წამში არის **თუკი**. განა არ არის სამოთხის ბაღში მდგომი ცნობადის ხე წინასამყაროსეულად დაყენებული **თუკი**? იგი რეალურია მხოლოდ როგორც თუკი. შეამჩნიეს თუ არა ეს ონტოლოგებმა?

წარმოადგენს თუ არა ეს უკანა რიცხვით კონსტრუირებულს? ეს ჩემი სტილი არ არის. მე ამას არ გავაკეთებ. მაშინ მე შემეძლო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელაპარაკა ამაზე მხოლოდ ჩემს რამდენიმე ახლობელთან – ისიც მინიშნებით. 1941 წლის ივნისიდან მეტი სიფრთხილე მმართებდა. მახსოვს, ამავე წლის მაისში ოკულტისტებს ბრალად დასდეს: რუდოლფ ჰესის შოტლანდიაში გადაფრენა თითქოს მათი ინსპირირებული იყო. **გესტაპოს** აგენტებმა ჩემთან, ბერლინში, ოკულტისტური „ცენტრის" აღმოჩენა მოინდომეს. ამის შემდეგ სულ მითვალთვალებდნენ და, აი, ამოვირჩიე სულიერი ადამიანი აღსარებისათვის. 14 ოქტომბერს – ესე იგი ჯერ კიდევ მაშინ, როცა გერმანიის სამხედრო ძალა მნიშვნელოვან მარცხს არ განიცდიდა – ნაშუადღევის შემდეგ მასთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა, რომელიც ჩემი ნაწერის გარშემო ტრიალებდა. ვესაუბრებოდი ნდობით, შეიძლება ითქვას, სახარებისეულად, მოსალოდნელ საშიშ მოვლენებზე: არა, **post factum** მე არაფერი შემითხზავს.

ვერც „ჰოს" და ვერც „არას" მთქმელს ვერ გაეგო ჩემი ნაწერის შინაგანი ჩანაფიქრი – ალბათ, აქ ომის ატმოსფერო მოქმედებდა. ისინი მხოლოდ ფასადს ხედავდნენ, შინაგანი სივრცე მათთვის ჩაკეტილი იყო. მათი ხედვა ვერ სწვდებოდა სწორედ იმ ადგილს, რომელიც დღეს, რეტროსპექტულად დანახული, პირდაპირ წინასწარმეტყველურად ჟღერს. მისი პოვნა მე მოცლილთათვის მიმნდვია.

ჩემი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ საშიშროებით დამუხტულ ატმოსფეროში ჩემი გავლენის ძალა გადაჭარბებით შევაფასე და ამასთან ვერც მკითხველის აღქმის უნარი გავითვალისწინე. ამაზე მე სხვაგვარად მაქვს პასუხი მისაგები, რასაც ვაკეთებ კიდევაც სინამდვილეში.

VII

ამ ჩემი დანაშაულით მე ფატალურად მოვექეცი იმ სიტუაციაში, რომელიც დღითიდღე ბნელდებოდა. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი მაშინდელი წამება. და აი, ომიც დაიწყო. როგორც ეს დღეს ნათელი გახდა, აქ ამ პაწაწა **თუმ**, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით, საშინელი როლი ითამაშა. წაიკითხეთ, გეთაყვა, ფრიც ჰესეს მოხსენება „უკანასკნელი მცდელობა", **MERKUR** №57-ში. **„DIE TAT"**, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შვეიცარული გაზეთი, წერს: „ჰესეს ცნობა იმ ერთეულ მოვლენებზე, აქამდე რომ უცნობი იყო, უდიდესი დოკუმენტური ღირებულებისაა. ის ჭეშმარიტების უდიდეს ბეჭედს ატარებს. მისგან გამომდინარეობს, რომ მეორე მსოფლიო ომი არ უნდა დაწყებულიყო უთუოდ 1939 წლის 1 სექტემბერს.

დავანებოთ თავი ამ **თუს**. ადამიანებს არ ძალუძთ მომხდარი მოვლენა არმომხდარად აქციონ. ჩვენ ყველანი უკვე აპოკალიფსური ურჩხულის ხახაში ვიყავით მოქცეულნი. თქვენ შეგიძლიათ დამიჯეროთ, რომ მე ამ მოვლენებს მთელი ჩემი არსებით განვიცდიდი. ეს არამც და არამც არ გეგონოთ მეტაფორული გამონათქვამი.

ომის ბოლო წლებში ჩემს ოჯახთან ერთად იუბერლინგენში ვცხოვრობდი, ბოდენზეეზე. 1945 წლის აპრილში უეცრად ჩემთან ერთი ქართველი გამოჩნდა, რომელმაც მხოლოდ ჩემი სახელი იცოდა, ეს გახლდათ ის, რომელმაც მოახერხა ჩემი გერმანიიდან გაქცევა არა მხოლოდ ოსტატურად, ფანტასტიკურადაც. 23 აპრილს უკვე შვეიცარიის მიწაზე ვიყავით: მე, ჩემი მეუღლე და ჩვენი ნათესავი – ჩვენი ქალიშვილი. შვეიცარიამ დიდებულად მიგვიღო. ამ მართლაცდა თავისუფალმა ქვეყანამ მაჩუქა მე სიმშვიდე და მოსვენება. ახალი პერიოდი დაიწყო ჩემს ცხოვრებაში – შინაგანი ჩაღრმავებისა და აზროვნების განწყობის ძირეული გადასინჯვის პერიოდი.

VIII

ვიძირებოდი რა საკუთარ თავში, ვწვდებოდი საკუთარ თვითონს: ვწვდებოდი სულის უკანასკნელ სიღრმემდე. შედეგი იყო მედიტაცია **„ისიდას ჭასთან"**.

მოკლედ აზრის მსვლელობაზე. ერთადერთი ნიშანი, რითაც ადამიანი ყველა არსებისაგან განსხვავდება, ესაა თვითონის გამოთქმა: **მე ვარ...** მხოლოდ მასში ცხადდება ცნობიერი ყოფიერება. წამოიჭრება კითხვა: შეიცვლება თუ არა რაიმე ყოფიერებაში, როცა იგი თავისთავს გააცნობიერებს. მაგალითად, აღმოცენდება თუ არა რაიმე ახალი მზის ყოფიერებაში, თუ სხივთა მფრქვეველი მოულოდნელად გააცნობიერებს თავის თავს და იტყვის: **მე ვარ**? თითქოს არაფერი. მაგრამ მხოლოდ თითქოს. მზე იმავე წამში **პერსონა** (პიროვნება) გახდებოდა. მაგრამ რას ამბობს გამოთქმა **მე ვარ**? იგია ერთადერთი გამოთქმა, რომელსაც არა აქვს პრედიკატი. ის მხოლოდ ამას ამბობს: **მე ვარ მე**. მაშასადამე, ტავტოლოგიაა? არა. რატომ? იმიტომ, რომ აქ მეორე **მე** არ არის პირველის იდენტური (რამდენადაც მე ვიცი, მოაზროვნეთა შორის მხოლოდ სარტრია ერთადერთი, ვინც აქ არ ხედავს ფორმალურ იდენტობას: **„L'ETRE le N'eant"**[3]. მაგრამ მას არ ესმის არც პირველი და არც მეორე მე).

3. არსებობა არის არარსებობა

პირველი მე არის **მე – თვითონ**, მეორე: **მე – იგი** (**ES**). პირველია აღმქმელი, მეორე აღქმული. პირველი აღუქმელი რჩება მაშინ, როცა მას (მეორეს) ჩვენ აღვიქვამთ. აღუქმადი რჩება, როგორც წრე, რომელიც თავის თავს მოიცავს: აღმოცენდება ახალი წრე, რომელიც ასევე მოცული უნდა იქნას და ასე უსასრულოდ. ეს უკვე უპანიშადებმა იცოდნენ: შემმეცნებელს არ ძალუძს, შეიმეცნოს თავისი თავი. კანტმა ერთხელ თქვა: იგი ისევე ევლინება თავის თავს, როგორც ნებისმიერი საგანი გარესამყაროსი ევლინება მას. სიგიჟეა? როგორ შეიძლება მოვლენას მოვლენა მოევლინოს[4]. და მაინც: კანტი აქ თავისდაუნებურად შეეხო ისეთ რაღაც უარსებითესს, რაც გადის მთელი ტრანსცედენტალური ფილოსოფიის საზღვრებიდან: **მე - თვითონი** ნამდვილად გაურბის ყველანაირ ხედვას.

მაგრამ როგორღა უნდა გავიგოთ დელფოსის ორაკულის მცნება: **„შეიცან თავი შენი“** („შეიმეცნე შენი თვითონი“)? ეს მცნება გულისხმობს თვითშემეცნების მისტიურ აქტს. ამ აქტში, ფაქტიურად, მეორე **მე** პირველი მეს იდენტურია. როგორ? კაცობრიობის საბედნიეროდ, გადარჩენილია ერთი ფრაგმენტი პინდარედან, რასაც გადმოგვცემს კლიმენტი ალექსანდრიელი. იგი ციტირებულია გამოკვლევათა სქოლიოში, თითქოსდა არის მხოლოდ მისტერიათა „დანამატი“ რამ მაშინ, როცა იგი წარმოადგენს განხორციელებადი მისტიური აქტების ერთადერთ გასაღებს. ფრაგმენტში ნათქვამია: კურთხეულია ის, ვინც ეს იხილა და ისე წავიდა იმ ქვეყნად: მან იცის, „როგორც სიცოცხლის საბოლოო საზრისი, ისე ზევსის მიერ ნაბოძები საწყისის საზრისი“. რას ნიშნავს ეს? „ტაძრული ძილით“ თავის თავში ჩაძირული არ ფიქრობს იმაზე, რა არის იგი, არამედ რომ იგი საერთოდ არის. შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ იგი, მთლიანობაში განხილული, საერთოდ არ გაჩენილიყო ამქვეყნად! მაგრამ რადგან იგი თუნდაც ერთხელ იყო „აქ“, ამიტომ მან მოიწია თავისი თავი, როგორც ღვთის ნაყოფი: თითქოსდა იგია ღვთის საჩუქარი, რომელიც მას ღვთისაგან ებოძა. ესაა დიდი პოეტის ჰიერატულ სიტყვათა საზრისი (მსგავსი განწყობა, სხვათა შორის, განვიცადე მე 1938 წელს, აპრილში და ეს განცდა ჭვრეტითად გადმოვეცი ნახსენებ წერილში მუსოლინის შესახებ).

4. გერმანული **Schein**-ი ნიშნავს როგორც „მოვლენას“, ისე „მოჩვენებას“.

5. **Gegen-Stand**: სიტყვასიტყვით, „პირისპირ მდგომი“ (გ. ც.)

განდობილი არ ხედავდა თავის თავს მისტერიებში **„en face“**: მაშასადამე, როგორც საგანს[5]. ღმერთის პირველსაფუძველში დავანებული, იგი თითქოსდა შემოსაზღვრული იყო მისით. გერმანული ენის გენიალური გამჭვირვალობის წყალობით – **Rand**: **Rinde** – მე ყველაფერ ამას ვათავსებ პლასტიურ ფორმულაში: **პირველხატის საზღვარი** (**Rand**) **იქცა ხატის საკუთრივ ქერქად** (**Rinde**) „პირველხატი“: ღმერთი; ხატი: კაცი. განდობილი ხომ აღარ იმყოფება თავის პიროვნულ ნაჭუჭში, არამედ: თვითონ ღმერთში (ჰანს ბლიუერი თავისი წიგნის „ბუნების ღერძი“ დანართში წერს, როგორ აღმართა აბრაამმა ბეთ-ელის წინ საკურთხეველი და ქადაგებდა ბე'შემს: „ღვთის სახელით“. ეს თარგმანი, ამბობს იგი: „ნაკლებ გაბედულია, მაგრამ მცდარი არაა. ებრაული **be** უნდა ნიშნავდეს რაღაცის შიგნით „მყოფს“, ესე იგი, ზუსტად: „ის ქადაგებდა ღვთის სახელით, იყო რა მის გარეთ მყოფი“. უსასრულო სიღრმიდან მეტყველებს იგი. ამ სიღრმიდან რომ გამოსულიყო ავტორი და, ამასთანავე, გაეთვალისწინებინა, თუ რას ნიშნავს სახელი ძველი აღთქმის პირველ ხუთ წიგნში, მაშინ დასავლური მეტაფიზიკის დიდ და ძველ ცდომილებაში – მე ვგულისხმობ ოპოზიციას **სუბიექტ-ობიექტისას** – არ მოექცეოდა).

ასე იშვა ადამიანში **გონი** (**Geist**). ამას **მეორე დაბადებას** უწოდებენ. თუ მეორედშობილი იტყოდა: **მე ვარ მე**, მაშინ აქ მეორე **მე** პირველის იდენტური იქნებოდა. წრე ჩაიკეტა და კერძოდ ასე: აქედან ახალი წრე აღარ წარმოიშვება. ეს იყო მისტერიების აზრი.

„პირველხატის გარშემოწერილობა ხატის საკუთარ გარსად იქცა“ - ეს ფორმულა გვაძლევს **დაბადების** იდუმალი სიტყვის გასაღებს: ღმერთმა კაცი „თავის ხატად“ შექმნა (და არა „თავისი ხატის მიხედვით“ - ფრანც როზენკრანცისა და მარტინ ბუბერისეული თარგმანი ამ ადგილისა უფრო სწორია). როცა მე ვიხედები ღვთის ხატში, მაშინ მე ძალმიძს, ხედვის აქტი გავიგო როგორც მსჯელობა: უფალმა თავის ხატში მშვა. მოსე თავისი მეორე დაბადების შემდეგ ეგვიპტელია. მაშინ გასაგები გახდება ავგუსტინეს სიტყვა: უფალი დაუნჯებულია მასში უფრო ღრმად, ვიდრე ის თვითონ.

მაშინ ჩვენ მაისტერ ეკჰარტის გამონათქვამსაც გავიგებთ: „თითქოს მთლიანად სხვა, უფალი, ჩემთან გაცილებით ახლოსაა, ვიდრე მე ვარ საკუთარ თავთან“.

„პირველხატის გარშემოწერილობა ხატის საკუთარ გარსად იქცა“ - ეს ფორმულა „ღვთაებრივ“ პლატონსაც დაგვაახლოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმენტი ალექსანდრიელი წერს: პლატონს „შესაქმე" წაკითხული აქვსო. ფაქტობრივად, ეს სწორი არ არის, მაგრამ აქ სხვა თვალსაზრისით იგულისხმება. პლატონი მოსესავით ნილოსის ქვეყნის წმინდა მისტერიებში იყო ჩაღრმავებული, თუმცა კი ფორმალურად არა. ვხედავ რა ჩემს ფენომენალურ **მეს** ნოუმენალურ (გონით ხილვად) **თვითონში**, მაშინ მე შემიძლია, ყოველ მოვლენას ამავე წესით ვუცქირო. პლატონის **იდეა** არის ფენომენალური **მეს** ნოუმენალური **თვითონი**: როგორც „ეს" ნაყოფი „ამ" ნაყოფში. ნოუმენალური **თვითონი** არ არის მოცემული **„en face"** - პლატონის იდეა არ არის **საგანი** (**Gegenstand**, პირისპირ მდგომი). გამოთქმა უნდა შებრუნდეს: არა „ხის იდეა" არამედ „იდეა ხე". რადგან პლატონის **იდეა** თვითონ რეალობაა. ასეა ეს და არა სხვაგვარად.

და კიდევ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი. თუ ჩემს გამოთქმაში: **„მე ვარ მე"**, მეორე **მე** პირველის იდენტური გახდა, მაშინ მე სამოთხისეულ ყოფნას დავბრუნებივარ. ეს ნიშნავს: ყოფიერების ცოდნა და თვითონ ყოფიერება ჩემში, ისევე როგორც ადამში მის დაცემამდე, ერთია. პლატონი ვერ მივიდოდა **იდეებამდე** მას რომ ძირფესვიანად არ განეცადა ეს.

ქართული ენა, ერთ-ერთი მსოფლიოს ოთხი უძველესი ენიდან, რომელშიც მაცოცხლებელი ძალით ღვივის უძველესი დროის სიბრძნის თესლები, კაცს უწოდებს **თანაადამს** (ადამ-იანს)[6]. სახალხო ავტორის ზეპიროვნულ ამ აზრს მთლიანად ამტკიცებს უდიდესი ავტორიტეტის – პლატონის – აზრი. მან თავის თავში გააცნობიერა **ადამიანი** და ასე მივიდა აზრობრივ ხატამდე, **იდეამდე**. ეს იყო სასწაული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ამის გამო მიანიჭა კაცობრიობამ პლატონს უმაღლესი ეპითეტი: **ღვთაებრივი**, მას ერთადერთს.

ესაა **„ისიდას ჭა"** მონახაზში.

ამ პოზიციიდან განვიხილავ მე ამავე მედიტაციაში ევროპული ფილოსოფიის მაგისტრალურ გზებს (მე ვამბობ: ევროპული და ამ გამოთქმაში არ ვგულისხმობ „გეოგრაფიულ" სივრცეს. საბერძნეთი, მაგალითად, გეოგრაფიულად ევროპას ეკუთვნის, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი თავისი კულტურის სტილით სხვა ქვეყანაა). რა ხდება? წარმოვიდგინოთ ორი მოჭადრაკე. ისინი თამაშობენ. ერთი მოთამაშე აკეთებს არასწორ სვლას და მას ვერ ამჩნევს. მეორე მოთამაშესაც გამოეპარა ეს სვლა. ისინი განაგრძობენ თამაშს. პარტია ვითარდება, დავუშვათ, გენიალურად, მაგრამ ბოლოს: თავს იჩენს შეცდომა. ეს „არასწორი სვლა" ევროპულ ფილოსოფიაში არის: „იგი" არსებული (**„das" Seiende**), მაშინ, როცა ყოველგვარი ფილოსოფოსობის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს რაღაც სხვა, სახელდობრ: „ეს" არსებული (**„der" Seiende**). მე არა ვარ არც ჩემი ყოფიერება და არც ჩემი აზროვნება ყოფიერების შესახებ: მე ვარ „ეს" (**„der"**) არსებული. თუ ამას ყურადღების მიღმა დავტოვებთ, მაშინ მივალთ თეზისთან: ერთი და იგივეა „ყოფიერება" და „აზროვნება". ამ თანმიმდევრობით სვლისას იშვება ჰეგელი. მისთვის არ არსებობს არც მოაზროვნე და არც მოაზრებადი, არამედ: აზროვნების აქტი, რომელიც თავის თავს იაზრებს. ვინაიდან აქტი არის მოძრაობა, ამიტომ ჰეგელი მასში ათავსებს ცნებას, რომელიც მოძრაობს აზროვნების აქტში. ახლა მოვიგონოთ არისტოტელეს მიერ დადგენილი ლოგიკური დებულებები: იდენტობისა და წინააღმდეგობის დებულებები. მაშინვე შევამჩნევთ, რომ ეს დებულებები, თავიანთ თანამიმდევრობაში, შეუქცევადნი არიან: ჯერ უნდა გავიაზროთ პირველი დებულება და შემდეგ მეორე: მეორეში პირველი უკვე ნაგულისხმევია. ეს მტკიცება გვევლინება, როგორც თავისთვის დაფარული დებულება. ესაა საყურადღებო ფაქტი, რომელიც გამორჩა როგორც არისტოტელეს, ისე თვითონ ჰეგელს. თავისი თავის გამააზრებელი ცნება გამოდის პირველი დებულებიდან „**A** არის **A**" და მუდამ აწყდება „არა **A**"-ს (**„Non A"-ს**). უარყოფს თავის თავს მისით და იმავე წამშივე ამტკიცებს თავის თავს, უბრუნდება რა თავის თავს „**A**" არის „**A**". დიალექტიკური მეთოდი ჩნდება, როგორც ცნების **წმინდა აქტი** (**Actus Purus**), რომელიც თავის თავს ობიექტად დაადგენს **სუბიექტის გარეშე**: საბოლოოდ კი იგი სხვა არაფერია, თუ არა ძველი ფორმულა: **Omnis determinatio est negatio**[7] – მხოლოდ უნდა ვალაპარაკოთ არა სპინოზა, არამედ თვითონ ფორმულა. დიალექტიკურ მიმართულებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ანტითეზა, რომელშიაც ორივე მომენტი – **უარყოფა** და **მტკიცება** – ერთდროულად ხდება. ჰეგელი აქ იყენებს სიტყვას: **მოხსნა** (**Aufhebung**), რომლსაც გერმანულში ეს ორმაგი აზრი აქვს, ახლა წავიკითხოთ შემდეგი წინადადება:

ხე არის **არა** ქვა,

ხე **არის** არაქვა.

როგორც ვხედავთ, პირველ სტრიქონში მახვილიანია **არა**, მეორეში – **არის**, ამასთან

6. დედანშია: „**Der-Mit-Adam**"

7. ყოველი განსაზღვრება არისუარყოფა (ლათ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა გამოითქვას: **„არა ქვა“** ცალ-ცალკე, ხოლო **„არაქვა“** ერთად, ერთ სიტყვად. ასე გახდება გრაფიკულად თვალსაჩინო ის, რასაც დიალექტიკური მეთოდი გულისხმობს. პირველ სტრიქონში გამოთქმულია უარყოფა: არის **არა** ქვა (**არ** არის ქვა), მეორეში – თანხმობა (მტკიცება): **არის** არაქვა. ვცდები თუ არა მე? მოვუსმინოთ ჰეგელს: **რაღაც მიმართებაშია სხვასთან, რადგან სხვადყოფნა ნაგულისხმევია მასში წინასწარ**. კუნო ფიშერი ამ ფორმულირებას ასე აზუსტებს: **რაღაც და სხვა წარმოადგენენ არსებობის მომენტებს – თითოეული განსაზღვრება არის სხვისი სხვა**. მაშასადამე: ხე არის ქვის სხვა და **vice versa**[8]. იცოდა თუ არა პლატონმა ეს? მას რომ ამ მეთოდზე რაიმე გაეგონა, იგი მარცხენა წარბს მაღლა აწევდა და მარჯვენა ყბით გაიცინებდა. ალბათ, „ღვთაებრივს“ აღმოხდებოდა კიდევაც: მთამ თაგვი დაბადაო!

ეხლა ჩავსვათ აქ „რაღაც“ არსებულის მაგივრად „ეს“ არსებული: მაშასადამე, სწორი გამოსავალი წერტილი. ჰეგელის ფორმულა იღებს სწორ საზრისს. წარმოადგენენ თუ არა ერთმანეთს დაპირისპირებული არსებები სხვების სხვას? „სხვებში“, სხვათა შორის, არ უნდა ვიგულისხმოთ „ობიექტები“, დაცემამდე ადამი და ევა იყვნენ ერთი-ისინი, იყვნენ ერთმანეთის „სხვა“ ერთიანობაში. დაცემის შემდეგ ეს **არსების არსებასთან**[9] ურთიერთობაშიღა ბჟუტავს.

IX

მე ვთქვი, მოსე მეორე დაბადების შემდეგ ეგვიპტელი იყო: უფრო ზუსტად: განდობილი ნილოსის ქვეყნის მისტერიებში. თუ ამას ყურადღებას არ მივაქცევთ, მაშინ **„შესაქმეს“** ზერელედ ჩავიკითხავთ, რაც, ფაქტიურად, ხდება საუკუნეების მანძილზე. აქ რამდენიმე მაგალითს ვიმოწმებ:

1. ყერი, იუდას ვაჟიშვილი, გარდაიცვალა და, აი, ეტყვის მამა ერთ-ერთ თავის ვაჟს ონანს: „შედი შენი ძმის ცოლთან, ექმრე მას და აღუდგინე თესლი შენს ძმას“. ამას მოჰყვება: „იცოდა ონანმა, რომ მისი არ იქნებოდა ეს თესლი და როცა შედიოდა ძმის ცოლთან, მიწაზე ღვრიდა მას, რომ ძმისთვის არ მიეცა თესლი.“ არ არის ეს უცნაური? ვინ ახსნა ეს საიდუმლოება საუკუნეების მანძილზე?

2. დიდი სიძვირის დროს აბრაამი ეგვიპტეში მიდის და ასე ეუბნება თავის ცოლს სარას: „ვიცი, ლამაზი შესახედავი ქალი ხარ. დაგინახავენ ეგვიპტელები და იტყვიან, ამ კაცის ცოლიაო: მე მომკლავენ, შენ კი ცოცხლად დაგტოვებენ. თქვი, რომ დაი ხარ ჩემი, რათა კარგად მომეპყრან შენი გულისთვის და გადავრჩე შენი წყალობით“. ასეც მოხდა: „წაიყვანეს სარა ფარაონის სახლში“. საროსკიპოში ვართ? ვინ ახსნა ეს ადგილი?

3. მოსემ სინას მთაზე **იაჰვესაგან** მიიღო დავალება, რომ ისრაელიანნი ეგვიპტიდან გაეყვანა. რაკი ამ დავალებას იგი უყოყმანოდ ვერ ასრულებს, ამიტომ მას ამაში დარწმუნება სჭირდება. ის მედიანში მიდის თავის სიმამრთან, ნებართვას იღებს იოთორისაგან და გზას გაუდგება ეგვიპტისკენ. თან ახლავს თავისი მეუღლე ციფორა და ორი ვაჟი: გერშომი და ელიაზარი. შემდეგ „გზაზე, ღამეს რომ ათევდნენ, თავს დაესხა მას **იაჰვე** და მოკვლა დაუპირა. აიღო ციფორამ ვაჟი და ჩუჩა წააჭრა შვილს. ფეხთან დაუგდო და თქვა: სისხლის სიძე ხარ ჩემი“ (გამოსვლათა IV, 24-26). საგიჟეთში ვართ? დავალების მიმცემს დავალების აღმსრულებლის მოკვდინება სურს? ვინ ამოხსნა ეს? ოსკარ გოლბერგმა თავის „ებრაელთა სინამდვილეში“? მოსეს წიგნთა ზოგიერთი ადგილის მისეული ახსნა გენიალურია, აქ კი იგი მხოლოდ ფანტაზიორობს, ამასთან ნაძალადევად.

ასეა ეს ადგილები. შესაქმე „გაკვრითაა“ წაკითხული, თუ ეს ადგილები არ აიხსნა, განსაკუთრებით კი უკანასკნელი, რომელიც მე მთელი წიგნის ამოსავალ წერტილად მიმაჩნია. მე ჩემს მედიტაციაში ეს ყველაფერი გავაშუქე ბოლოს და ბოლოს.

X

მოსეს წიგნების შესწავლის დროს მე **ისრაელის** საიდუმლოება ამოვხსენი. გავაშუქე ზოგიერთი ფუნდამენტური დებულება, მეტაფიზიკის იმ სფეროში, როცა ღმერთსა და ადამიანს შორის მშვილდი მოჭიმულია – ბერძნულში **BIOS**, როგორც მე გავიგე, არა მარტო სიცოცხლეს, არამედ **მშვილდსაც** ნიშნავს, როცა ბოლო მარცვალი მახვილიანია[10]. ამ სფეროში უკავიათ იუდეველებს განსაკუთრებული ადგილი და ამასთან: არა როგორც ცალკეულს, არამედ როგორც მთლიანს, როგორც ხალხს. ვინც ებრაელებს სდევნის, იგი „მშვილდის“ მოჭიმვის არეში ხვდება. მშვილდის მომჭიმველი თუ ქრისტიანული სამყაროდანაა, მაშინ ის თავის თავს ღუპავს.

ჰიტლერის შემთხვევა სხვა არაფერი იყო. მე ამას უკვე მაშინ ვგრძნობდი, როცა მასზე იმ პატარა წიგნს ვწერდი. ებრაელთა საკითხს მესამე რაიხის დროს შეიძლებოდა

8. პირიქით (ლათ.)
9. საგნის საგანთან (მთარგ. გ. ც.)

10. როცა ბოლოდან I მარცვალია მახვილიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰიტლერელთა პოზიციიდან შევხებოდით – მე მას უბრალოდ არ შევეხე. დუმილი თანხმობის ნიშანი იყო? ავტორი თითქოს ნაცისტურ მოძრაობას ეკუთვნის. იტყოდნენ „ჰოს“ და დაიწყებოდა მაშინვე ლაპარაკი: ებრაელთა საკითხს არაერთხელ შეეხო, ასეთი ავტორი მიუღებლად მიგვაჩნიაო. მეორეს მხრივ, მე აღვნიშნავდი, რომ ყოველი ხალხი ღვთაებრივი მრავალფეროვნების გამოვლენაა და ამით უკვე უთქმელადაც ცხადად იყო მინიშნებული, რომ ებრაელი ხალხიც ასეთი გამოვლენაა. ჩემი დუმილი სწორედ უარყოფა იყო.

აქ კიდევ ერთი საკითხია. ვიდრე მე ჩემს ხელნაწერს ცენზურას გადავცემდი, ხელნაწერი ერთ ცნობილ თანამედროვე გერმანელ პოეტთან ერთად წავიკითხე, რომელსაც ვერაფრით ვერ დასდებდნენ ბრალს ნაციზმში. ჩემს შეკითხვაზე, უნდა გამომექვეყნებინა თუ არა ეს წიგნი, მან უყოყმანოდ მითხრა: „დიახ, სურათი არსებულ ატმოსფეროში უნდა დარჩეს!“ იმავე საღამოს ვილაპარაკეთ ჩვენ ებრაელთა დევნაზე და მაინც: ისე შეშფოთებულნი და აღელვებულნი ვიყავით, რომ უცბად წამომცდა: „ჩვენ ორნი არა ვართ!“ „ვიცი“, მითხრა ღიმილით, ორივენი ვგულისხმობდით გესტაპოს ყველგანმყოფობას. (წიგნი **„ისრაელი როგორც საიდუმლოება და ბედი“** ჯერ კიდევ სტილისტურ დამუშავებას მოითხოვს).

XI

ამის შემდეგ იშვა წიგნი „ფრიდრიხ ნიცშე“. ეს არ არის **კიდევ ერთი წიგნი** „ზარათუშტრას“ ავტორზე. განმარტება განსჯაა. განსჯა **ER-ORT-ERN** – გერმანული ენის გენიალური წვდომით, ნიშნავს: გამოსაკვლევი მოვლენა თავის საკუთარ ადგილზე დავსვათ და აქედანვე განვმარტოთ: სიტყვა **ORT** ადგილს აღნიშნავს. ჩემს წიგნში მე ნიცშეს იმ ადგილს მივუჩენ, რომელსაც ის ვირტუალურად იმსახურებს. მე განვმარტავ მას იმით, რომ მას თავის „ადგილს“ მივუჩენ და მივდივარ შთამბეჭდავ შედეგებამდე. ამ გზით მე ნიცშეს დაფანტული და ელვისებური აზრები თანდათანობით გარკვეულ კონცეფციაში მომყავს. აქ ერთ მაგალითს მოვიყვან. ნიცშე მრავალმხრივ ეხება მხეცის ფენომენს. ის აქ რაღაც განსაკუთრებით გადამწყვეტს გულისხმობს. მაგრამ მხოლოდ გულისხმობს. მე ნათლად წარმოვაჩენ მის შეხედულებას, რადგან მხეცის ფენომენს თავდაპირველი ცოდნიდან, იმ დროიდან, როცა მისტერიები ცხოველმყოფელობდა, ვხსნი და ვიღებ ხატოვან გეშტალტს: **„ზეკაცი“** (სხვათა შორის თქვენი კრეტული მსოფლხედვა და ნიცშეს შეხედულებანი, ჩემი აზრით, ერთსა და იმავე სფეროს მოიცავენ, მაგრამ იდენტურნი არ არიან. მე დამავიწყდა მეცნობებია თქვენთვის თქვენდამი გამოგზავნილ წერილში, რომ მე თქვენი ღრმა თხზულება **MERKUR** №52-ში წავიკითხე). ერთი ცნობილი გერმანელი პოეტი, რომელთაგან მე შინაგანი მეგობრობა მაკავშირებს, მას შემდეგ, რაც ჩემი ხელნაწერის პირველი მესამედი წაიკითხა, მწერდა: „მორჩა“. ყველაფერი სხვა, რაც ნიცშეს ლიტერატურის ირგვლივ და რაც აქამდე ნიცშეზე დაწერილა „უფერულდება“. გაზვიადებულია, ცხადია, მაგრამ თავად მე, როგორც ავტორს, შემიძლია და ნება მაქვს ვთქვა, რომ მე ნიცშეს ფენომენის შინაგანი ბირთვი აღმოვაჩინე.

ჩემმა ნაცნობმა, ნაწარმოებით აღფრთოვანებულმა, ერთ მნიშვნელოვან შვეიცარულ გამომცემლობას შესთავაზა იგი. გამომცემელი მას სწერდა: „წიგნი დიდის ინტერესით და გაოცებით წავიკითხე და მიმაჩნია სიახლედ ნიცშეს შესახებ მიძღვნილ ლიტერატურაში“, მაგრამ გამომცემლობას, სამწუხაროდ, არ შეეძლო გამოცემა, რადგან ავტორმა, მითითებულია აქ, ჰიტლერზე ნაწარმოები შექმნაო. ასე შეიძლება ემსხვერპლო საზოგადოებრივ აზრს, ეშმაკურად შენიღბული ანონიმის ამ უბოროტეს ნაშიერს.

XII

ომის დროს სამყარო სარდაფად იყო ქცეული, ომის შემდეგ კი იგი ბანაკი გახდა. შეკითხვაზე, თუ რა აწუხებს დღევანდელ კაცობრიობას, მე ვუპასუხებდი: **შინაგანი ჩაკეტილობა**. მე მინდოდა, **ორფეოსისათვის** მიმემართა, ორფეოსისათვის, ვისთანაც გაცხადდა **შენ შენში**, რათა ჩემი ღრმა გრძნობა გამომეხატა. ასე წარმოიშვა 1949 წელს ჩემი ჰიმნები ორფეოსისადმი. ის პოეზიაზე მეტია – დამეთანხმებით, ალბათ.

XIII

1950 წლის თებერვალში მძიმე განსაცდელი დამატყდა თავს პირად ცხოვრებაში. ჩემს მეუღლეს, მაშინ 50 წლისა იყო, ძლიერი დამბლა დაეცა. მადლობა უფალს, თანდათან აღიდგინა სასიცოცხლო ძალები, მაგრამ მეტყველების უნარი ვერ დაიბრუნა. ყველაფერი ესმის, ყველანაირი ნიუანსი, მაგრამ აზრის გამოხატვა სიტყვების საშუალებით არ შეუძლია კონკრეტულად: სიტყვის **გამოთქმა** კი არ უჭირს, **ლაპარაკი** არ შეუძლია. **სიტყვის წარმოთქმის შინაგანი** ფუნქცია აქვს მოშლილი. მძიმეა მისი წვალება, მძიმეა ჩემი სიბრალული მის მიმართ. განკურნების მეთოდი: საღამოობით მე რაღაცას ვუკითხავ მას, ის წიგნში იხედება, მოჰყვება ჩემს ხმას – სიტყვა იბადება მასში. საგრძნობლად გამოკეთდა მდგომარეობა. დღეს უკვე შეუძლია მოკლე წინადადებების შედგენა და გამოთქმა. შეუძლია მოკლე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარათის დაწერა, ერთი გვერდის წაკითხვა. მადლობა ღმერთს!

მე, რომელმაც ჩემს სიცოცხლეში კაცის გინება არ ვიცოდი საერთოდ, სკოლის ასაკშიც კი, ახლა გავიგე მთელი თავისი მნიშვნელობით; ალბათ, წონასწორობის შესანარჩუნებელია. მე უნდა წავსულიყავი სასყიდლებზე, მე უნდა გამემზადებინა სადილი. ბინა უნდა დამელაგებინა. ზეწრების გარდა ყველაფერი მე უნდა გამერეცხა. ავადმყოფისათვის უნდა გამეგო. ესე იგი, უნდა მივმხვდარიყავი, რას ფიქრობდა. მასთან უნდა მესაუბრა. მასაჟი უნდა გამეკეთებინა, ხშირად მედდა უნდა შემეცვალა. მე უნდა, მე უნდა, მე უნდა – რა უნდა მექნა? მე ვმუშაობ და მძინავს სამზარეულოში. აქ დგას ჩემი საბეჭდი მანქანა: და დროს ძლივს ვპოულობ რამდენიმე ბწკარი გადავიტანო ქაღალდზე (ამჟამად ავადმყოფი ციურიხშია, იქ ექიმები მკურნალობენ. ამიტომაც მომეცა საშუალება, ეს ვრცელი და გრძელი წერილი მომეწერა). ამას თან ერთვის მძიმე ფინანსური მდგომარეობა. ჩემს მეუღლეს კარგი სამსახური ჰქონდა აქ და თვიურად თითქმის 1000 ფრანკს იღებდა – ახლა ჩვენ ლტოლვილებისათვის გამოყოფილი დახმარებით ვცხოვრობთ.

XIV

ამ არაადამიანურ პირობებში მაინც მოვახერხე დამესრულებინა ორი ახალი ნაწარმოები: **„საქართველო თავისი სახით“**, რომელიც 55 ნაბეჭდ გვერდს შეიცავს და **„ნესუს პერანგი“**, მოცულობით პირველზე უფრო დიდი. შემდეგში მე გამოგიგზავნით ნაწყვეტებს პირველი ნაწარმოებიდან – თქვენ ნახავთ, თუ რას ნიშნავს ეს ქვეყნისათვის. მეორე ნაწარმოები ბოლშევიზმის პნევმატოლოგიური განხილვაა.

ნაწარმოების ძირითადი აზრია: საბჭოთა კავშირში მბრძანებლობს ვიღაც, ვინც არის არავინ. უნდა ითქვას: **INFRA-HUMAIN**-დან[11] წარმოშობილი, საქმიან ანონიმად ჩამოსხმული ანონიმური იგი (**ES**), რომლის ძალითაც ყოველი ადამიანი, თვითონ მოძალადეც კი, კოლექტივის უბრალო ფუნქციად იქცევა. მასზე მინიშნებულია უკვე „ჩაკლულ სულში“. რამ მაიძულა მე ამ წიგნის დაწერა? მოკლედ პასუხი.

ჩვენ ახლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ საბედისწერო წინააღმდეგობაში ვიმყოფებით. ბოლშევიკური აღმოსავლეთი შესანიშნავად იცნობს ანტიბოლშევიკურ დასავლეთს. შეიძლება თუ არა იმავეს თქმა დასავლეთზე? ეს საეჭვოა. წინასწარი გააზრების გარეშე დაწყებული ყოველი მოქმედება უშედეგოა. მცდარია საბედისწეროდ. ანტიბოლშევიკური დასავლეთი დღეს ცდილობს საბჭოთა ხალხების დახმარებას ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ აქვს მას საჭირო ცოდნა საბჭოთა ადამიანის უსასრულოდ რთული ფსიქიკის შესახებ? მოკლედ გავცემთ ამაზე პასუხს – **არა**.

ბოლშევიზმის შესახებ არსებული ნაწერები, მათ შორის მნიშვნელოვანი ნაწერებიც, ვერ სწვდებიან ღრმად მის ფენომენს. რამდენიმე ავტორი, უმეტესად დასავლეთელები, ცდილობენ ბოლშევიზმის მეორეხარისხოვან საკითხებს შეეხონ. მის ფენომენს კი გვერდს უვლიან. ასე ხდება იმიტომ, რომ მათ ბოლშევიზმის ავადმყოფობა საკუთარი სხეულით არ გამოსცადეს, რადგან მათ აკლიათ მეექვსე გრძნობა, რომლის წყალობითაც აღიქმება ბოლშევიზმის ატმოსფერო. სხვებმა, უმეტესად ემიგრანტებმა, ეს ავადმყოფობა საკუთარ ტანზე გადაიტანეს – მაგრამ მათ მაინც აკლიათ სიღრმისეული სულიერი ხედვა, რათა ღრმად გადმოსცენ განცდილი. მწერლებმა: მერეჟკოვსკიმ, ბერდიაევმა, ფრანკმა, ფედოტოვმა, სტეპუნმა და ა.შ. საბჭოთა კავშირი გვიან დატოვეს, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ბოლშევიზმის დემონური ძალა ვერ გაიგეს.

სხვაგვარია ჩემი შემთხვევა. ნლობით განვიცადე მე ბოლშევიზმის ძალადობა მის დემონურ ფაზაში. ეს განცდა ჩემთვის მარტო ტკივილი კი არ იყო, იგი „მოლეკულებისაგან“ შემდგარი საბჭოთა კოლექტივის შთაბეჭდილებებში ჩაძირვა იყო ამავე დროს. ამ ჩაღრმავების წყალობით, ცხადია, აიხსნება ის, რომ მე „ჩაკლულ სულში“ მოსკოვში მოგვიანებით შემდგარი უსახური პროცესების არსი წინასწარ განვჭვრიტე.

ჩემი ფორმულა, რომელიც მე საბჭოთა ადამიანის შესახებ გამოვთქვი, შემდეგია: ყოველ წუთში მზადმყოფი, მაგრამ არც ერთ წუთში ნამდვილი. ფრანგულად უფრო კარგად ჟღერს **Sincere mais, pas vrai: sincere** - ფსიქოლოგიურად, **„pas vrai“** - სულიერად. **„ნესუს პერანგით“** მე დასავლეთს საბჭოთა ადამიანის ფსიქიკის გასაღები მივეცი. და?

XV

ზაფხულში **„ნესუს პერანგიდან“** ორი მნიშვნელოვანი ნაწყვეტი ამოვიღე და გერმანიაში გამომავალ ერთ-ერთ პრესტიჟულ ჟურნალს შევთავაზე, რომლის გამომცემელი 1933 წელს გავიცანი და, აი, პასუხი: „ნაწყვეტებმა, - მწერდა, - მომხიბლა,

11 ქვესკნელის ძალები (?)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ გადმოცემის სტილი, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, მეტად უჩვეულოა, ახალია და ძნელი. ის ინტელექტუალურ გემოვნებას არ აკმაყოფილებს". ავტორი, ცხადია, არ ფიქრობდა, რომ მან ამ გამაოცებელი წინადადებით მხარი აუბა დღევანდელ უწმინდურ სიტუაციას.

ეს „ცრუ ინტელექტუალები" მაგონებენ პოლ ვალერის მიერ შესანიშნავად დახატულ **Monsineur Teste**-ს, რომლის არსებაშიც **„logoi spermatikoi"**[12] გამქრალა სრულიად. ის არ „ქმნის", არ შეუძლია „შექმნას", მისი ტვინის პროექცია უნაყოფოდ იფანტება გარემომცველ სამყაროში და უკან უბრუნდება მას, როგორც გამოცარიელებული ჩენჩო, ეს გრძელდება მანამ, სანამ ამ განუწყვეტელი ასახვებით ის არ იქცევა **თავისი პროექციების ფუნქციონერად**.

მიხარია, რომ მათ ჯიშს არ ვეკუთვნი. იმ ჟურნალში კი, თუმცა ძალიან იშვიათად, გამოჩნდნენ ისეთი ავტორებიც, რომელნიც „ინტელექტუალებად" არ ითვლებიან. მაშ, რა იყო უარის თქმის მიზეზი? **Rencontres Internationale**-ის დროს, სექტემბერში მე ჩემს მეგობარს შევხვდი. გულღიად, როგორც მე ეს მჩვევია მუდამ, დავუსვი შეკითხვა: „თქვენი ჟურნალი დაბეჭდავდა ჩემს ნაწყვეტებს მაშინ, მე რომ არ ვიყო ყბადაღებული ჰიტლერის წიგნის ავტორი?" ის დარცხვენილი დუმდა. ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

იგივე ნაწყვეტები შემდეგ, მოგვიანებით, გავაგზავნე ვენაში, ჟურნალში **WORT UND WAHRHEIT**. აქედან ასეთი პასუხი მივიღე: „სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვანი თემის განხილვა არ გამოხატავს ჩვენი ჟურნალის ინტერესებს. მოგეხსენებათ, რომ **WORT UND WAHRHEIT** კათოლიკური ჟურნალია და მისი გამოსვლები აზრთა სხვადასხვაობას იწვევს". მოკლედ რომ ვთქვათ, პირდაპირ მიპასუხეს!

მაგრამ რას ნიშნავს ეს ვითომდა „აზრთა სხვადასხვაობა" იმ საშიშროებასთან შედარებით, რომელიც მთელ მსოფლიოს ემუქრება და რომელსაც მე ვაანალიზებ? ასე ემსახურება იმ ხალხის **სიტყვა ჭეშმარიტებას**! ნუგეში არ ჩანს!

XVI

თქვენ უკვე წარმოდგენილი გაქვთ, მე რა დღეში ვარ. რამდენიმეს კიდევ დავამატებ. ჩემი მშობლიური მიწა-წყლიდან სრულიად მოწყვეტილი ვარ. 1937 წლის შემდეგ ჩემი ახლობლების შესახებ აღარაფერი გამიგია. მხოლოდ 1939 წელს დედის გარდაცვალება შევიტყვე. ტერორმა დაქსაქსა ჩემი ახალი მეგობრები. პაოლო იაშვილმა, მზის პოეტმა და მზის ადამიანმა, ამავე დროს ჩემმა ძმამ და მეგობარმა, საბჭოეთის სატანური ატმოსფეროს ზეწოლის შედეგად თავი მოიკლა 1937 წელს. თქვენ იცნობდით მას. თქვენ ცნობდით ჩემს მეორე ძმასა და მეგობარს პოეტ ტიციან ტაბიძეს. ის იმავე წელს თურქმენეთში გადაასახლეს, არ ვიცი ცოცხალია თუ არა. რომანისტი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელთანაც ვმეგობრობდი – ისიც ნაცნობია თქვენთვის – დახვრიტეს. დახვრიტეს აგრეთვე ჩემი სხვა მეგობარიც, პოეტი ნიკო მიწიშვილი. იმ გამარჯვებული თეატრის რეჟისორიც – სანდრო ახმეტელი. კმარა სახელები.

მე მოწყვეტილი ვარ, დიახ, განმარტოებული. მაშ, წარმოიდგინეთ, როგორ გამახარა თქვენმა ბარათმა, თქვენმა მოსალმებამ **„Que Dieu soit avec Vous, cher ami!"**[13] ჩემს გაუსაძლის ყოფაში მზის სხივები შემოაფრქვიეთ.

XVII

მადლიერებისა და მოკითხვის ნიშნად გიგზავნით სამ ნაწარმოებს. „მომაკვდავი არწივი" და „ჟანა დ'არკი" ამოღებულია ომისდროინდელი ლირიკული კრებულიდან. „ჰიმნი ორფეოსისადმი", როგორც უკვე აღვნიშნე, აქ შევქმენი. პირველი ლექსი ჩემი ქვეყნის შთაგონებით დავწერე. ის ჩემი ცხოვრების სიმბოლოა. მეორე, შექმნილია მსოფლიოს უდიდესი ლირიკოსის ლირიკული ლექსის ფორმის მიხედვით, ვგულისხმობ საფოს. ჩემი ლოცვაა. მესამე წარმოადგენს ჩემს წმიდა შეყრას ორფეოსთან. სამივეს საუკეთესო ლექსებად მივიჩნევ ჩემს ქმნილებათა შორის. ჩემი დიდი ნატვრაა, ჩემი სიცოცხლის მანძილზე ეს ლექსები აჟღერდეს ელინთა ენაზე, რომელთა მიმართაც მე დიდი მადლობა მეთქმის. ეს მე შემაჩერებს შინაგანად მეორე, მარადიულ სამყაროში მიმავალ გზაზე. მათი აჟღერება მე ძალას მომცემს. თქვენს გარდა ამის გაკეთება არავის ძალუძს, ძვირფასო მეგობარო! ბევრს მოვითხოვ? მე ვფიქრობ, არა!

განუყრელი მეგობრობით მარად თქვენი
გრიგოლ რობაქიძე

17.12.52 ჟენევა.
გერმანულიდან თარგმნეს
მარიამ ქსოვრელმა და გიორგი ცინცაძემ

P.S. გრიგოლ რობაქიძის ეს წერილები ნიკოს კაზანძაკისის სახლ-მუზეუმში, კუნძულ კრეტაზე ინახება, სოფელ მარტიესში. მას მიაკვლია და მოგვაწოდა თამარ მესხმა.

12 სქოლიო ლოგოსები (ბერძ.)

13 დაე, ღმერთი იყოს თქვენთან, ძვირფასო მეგობარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ყანჩაშვილი

ნატვრა

თქვენ რა ხანია შეიტყვეთ ჩემი გარდაცვალების ამბავი, მე კი ჯერაც ვერ გამეგო. მოწყენილიყო ჩემი საფლავი და კიდევ ქარი. თქვენ ჩემთან ძალიან იშვიათად მოდიოდით და მე მარტოს მიხდებოდა სასაფლაოზე ღამეების თენება. თქვენ ჩემს ქურდებზე ხშირადაც კი არ მოდიოდით, მათ კი მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც თქვენ ტოვებდით და ვრჩებოდი მშიერი დღეების ამარა. ვგრძნობდი, როგორ მტოვებდა ჩემი მეხსიერებაც და როგორ გადადიოდა თანდათან უსასრულობაში. შემდეგ ქურდებმაც მოუკლეს ჩემთან სიარულს, რადგან უკვე წასაღები აღარაფერი იყო. ეტყობა ძალიან დიდი დრო გავიდა და ჩემმა გულშემატკივრებმაც იწყეს მშიერი ღამეების თენება, მაგრამ მათთან, ალბათ, ქურდები მაინც დადიან, რომელთა სიახლოვე სიკვდილივით მძულდა ახლა კი ასე მენატრებიან. მზის სხივთა სითბო ნელ-ნელა, სულ უფრო ნაკლებად აღწევდა ჩემამდე, ეტყობა ბალახი ძალიან გაზრდილიყო და ის თუ აკავებდა.

ჩემი სასახლე თანდათან დამპალ ფიცრებს ემსგავსებოდა. მინის სისველეც ვიგრძენი. ნესტმა სადღაც შორეულ წარსულში, ზღვის ნაპირთან დატოვებული ნაკვალევი გამახსენა და ზღვასთან ახლოს მდგარი ნესტიანი სახლი. მაშინ ცოცხალი ვიყავი და მზეც ახლოს იყო.

ბოლო დროს ვგრძნობდი მარცხენა ფეხის თითები როგორ დამირბილდა და როგორ დაიწყო მობინადრე ფესვებმა ჩემი კვება. ჰო მართლა, წუხელ სითბო ვიგრძენი. ვიღაცამ ჩემი საფლავი ამოთხარა და ახალი სასახლე ზედ დამასვენა. სიმძიმემ ერთიორად გაართულა ჩემი მდგომაეობა. თანდათან დავწვრილმანდი, დავნაწევრდი და ათასი, ათიათასი - მე გავხდი. ბევრი მე დავკარგე. ბოლოს ძალ-ღონე მოვიკრიბე, დავიძაბე და ზემოთ მიმავალ ნაკადს ავყევი. ზესვლა თავისთავადი იყო. ვგრძნობდი, როგორ ვუახლოვდებოდი მიწის ზედაპირს და ბოლოს ავცდი. თავიდან ყვავილის ღეროში დავგროვდი, შემდეგ კი ფურცლებში შევაღწიე და მზე დავინახე. მზე ასეთი კაშკაშა არასოდეს მენახა. დახუჭულ თვალებსაც კი მჭრიდა, მაგრამ თანდათან შევეჩვიე და თვალი გავუსწორე. ჩემს საფლავს დავხედე, მაგრამ ჩემი სახელი ვერსად აღმოვაჩინე. ქვაზე ჩემს მაგივრად ზორბა კაცის სურათს წავაწყდი. ალბათ, ამიტომ ვგრძნობდი ასეთ სიმძიმეს. დაღამებისას მოხუცი კაცი მოვიდა და ჩემი ყვავილი დაკოჟრილი ხელებით მოგლიჯა. ისეთი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს წელში გადამტეხეს. კაცმა დაკრეფილ თაიგულს შემირია. თაიგული კვნესოდა, კიოდა, გმინავდა, მაგრამ ყვავილების გარდა არავს ესმოდა მათი ხმა.

ყვავილები... ყვავილები... ყვავილები.

წელში გადატეხილი, გამეტებული, დაინვალიდებული, გულწასული, ცოცხალმკვდარი ყვავილები ამომიტანია მაშინ შენს დაბადების დღეზე. ჩვიდმეტის გახდი და ჩვიდმეტი გლოვა, ვაება, კვნესა და კივილი მომიტანია მაშინ შენთან. ახლა კი მეც ვიღაცის ერთი წელი გავხდი, ვიღაცის ერთი წლის დარდი დავიტიე, ჩემს თავზე ავიღე, თუ ამაღებინეს. მოხუცმა კაცმა გადამყიდველებს მისცა გროშებად მთელი თაიგული. გადამყიდველმა დაგვახარისხა და საუკეთესო თაიგულში მომახვედრა, რადგან ახალი გადატეხილი ვიყავი წელში. ყველანი ცელოფანში შეგვფუთა და ასე შეფუთული წაგვიღო სადღაც.

ჰაერი... ჰაერი... ჰაერი...

ითხოვდა მთელი თაიგული. გადამყიდველმა ახალგაზრდა ბიჭს მიყიდა ჩვენი თავი. ბიჭს უხეში ხელები ჰქონდა. ეტყობოდა, ყვავილებს იშვიათად იჭერდა ხელში. ბიჭს მთელი გზა ხმა არ ამოუღია, კიბეები აიარა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარზე დააკაკუნა. კარი გოგონამ გააღო, ბიჭმა ამაყად გაუწოდა თაიგული:

- დაბადების დღეს გილოცავ!

- გმადლობთ, - უთხრა გოგომ.

ქალმა წყლით სავსე ვაზა მოიტანა, ცელოფანი შემოგვაძრო და ყვავილები ვაზაში ჩაგვაწყო. წყალმა იარები ცოტათი მომიშუშა, შემდეგ კი დაიწყო ლამაზი დღეების დინება.

გოგონა ისეთი მზრუნველი გამოდგა, თითქოს იცოდა, რომ ოდესღაც ადამიანი ვიყავი, თითქოს მიცნობდა კიდეც. გოგონას სახელად ნატვრა ერქვა. ნატვრა ყოველ დილით სიმღერით მაღვიძებდა, წყალს მიცვლიდა და მეალერსებოდა, მაგრამ თვალები მუდამ სევდით ჰქონდა სავსე. ნატვრას თავისი სამყარო ჰქონდა და ეს სამყარო მისი ოთახი და ყვავილები იყო. ნატვრამ მასწავლა, რომ თუ რამეს გულით ვინატრებდი, აუცილებლად ამიხდებოდა. მინდოდა მეკითხა რატომ თვითონ არ ნატრულობდა, მაგრამ გამახსენდა, ნატვრას ნატვრები არ ჰქონდა. ისე შევეჩვიე გოგოს, რომ ვერ წარმომედგინა მის გარეშე გათენებული დილა. ერთხელ ნატვრამ მკითხა: როგორია ყვავილობაო? მე ვერაფერი ვუპასუხე. გოგომ დიდხანს მიყურა მდუმარედ და ბოლოს მითხრა:

- ყვავილი მინდა ვიყოო.

ერთხელ ნატვრა ძალიან სევდიანი მოვიდა შინ, ლექსიც კი არ წაუკითხავს იმ საღამოს ჩემთვის, ისე უხმოდ, ტანსაცმლიანად დაწვა გაუშლელ საწოლზე. იმ ღამეს თვალი ვერ მოვხუჭე. ჩემს თავს ვატყობდი, რომ რაღაც უცნაური მჭირდა. ასეთი გრძნობა მაშინაც კი არ მქონდა, როდესაც ადამიანი ვიყავი, ახლაღა მივხვდი, რომ ყვავილებსაც შეუძლიათ სიყვარული. მიხაროდა, რომ სიყვარულს მივხვდი ბოლოს და ბოლოს, მაგრამ მაგიჟებდა ის გრძნობა, რომ უძლური ვიყავი, ყვავილი ვიყავი და მეტი არაფერი და ისიც ხეიბარი. თურმე ყვავილობა უფრო ძნელი ყოფილა, ვიდრე ადამიანობა. და მაშინ მთელი გულით ვინატრე, რომ ისევ ადამიანად ვქცეულიყავი. გული მტკიოდა, რომ მე და ნატვრა საუკუნეებით ავცდით ერთმანეთს. გოგონას ბედი მადარდებდა. ჩემი თავი მაგონდებოდა შორეული წარსულიდან, როდესაც ცხოვრებამ ნელნელა მობეზრება დაიწყო. მიუხედავად, იმისა რომ არანაირი მიზეზი არ მქონდა, მეშინოდა, გოგონას რაიმე სისულელე არ ჩაედინა.

ერთხელ, როდესაც ნატვრა შინ არ იყო, ბებიამ ფურცლები დამაპუტა და მურაბის კეთება დაიწყო. მართალია ვატყობდი, რომ უკვე დაბერებას ვიწყებდი, მაგრამ ჩემი თავი ამისათვის მაინც არ მემეტებოდა. ბებიას ვემუდარე, ვეხვეწე, დავპირდი, დავემუქრე, ვუყვირე, შევაშინე, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. ბოლოს ნატვრას მოვუხმე, მაგრამ არსად არ ჩანდა. ბებიამ მურაბა ქილაში მოხუფა და გასაციებლად დადგა.

იმ საღამოს ნატვრა ჩვეულებრივზე გვიან დაბრუნდა, თვალები სველი ჰქონდა, ვერც კი შეამჩნია ცარიელი ვაზა. იმ ღამეს მთელი სახლი ტიროდა: ტიროდა ბებია, ტიროდა დედა, ტიროდა მამა, ტიროდნენ კედლები, სკამები, სურათები, ონკანები... ტიროდა ყველა და ყველაფერი ნატვრას გარდა. ნატვრა უხმოდ იწვა ტახტზე და აღარ სუნთქავდა. ნატვრას ხელები ბანდით ჰქონდა შეხვეული, - წითელი ბანდით. მურაბა ვიყავი, მაგრამ მაინც ვტიროდი, ტკბილი ცრემლები მეღვრებოდა ჩემსავე სხეულში. მოვთქვამდი, ვყვიროდი, მაგრამ ჩემი ხმა ქილის კედლებს არ სცილდებოდა და რომც გასცდენოდა, მაინც ვერავინ გაიგებდა.

არ მახსოვს რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, როდესაც თვალი გავახილე, თეფშზე ვიყავი დაღვრილი და ვილაც მიმაქანებდა პირისაკენ. ახალგაზრდა ბიჭს საოცრად სანდომიანი სახე ჰქონდა. სადმე რომ შემხვედროდა, ვერც კი წარმოვიდგენდი ოდესმე თუ შემჭამდა. მაშინვე ნატვრა გამახსენა და ვინატრე, ნეტავი მოესწრო ჩემი შეჭმა-მეთქი ოდესმე ხომ ერთად გავიზრდებოდით, ერთ ყვავილად. ამ ფიქრებით ვიყავი მოცული როდესაც ბიჭმა პირში გადამიძახა.

სიჩუმე იყო, სიბნელეც. შემდეგ საოცარი ტკივილი. შემდეგ დანაწევრება, დაწვრილმანება და სიცხე... საოცარი სიცხე. ბოლოს მივხვდი, რომ სისხლი ვიყავი. მერე დაიწყო მოძრაობა... მოძრაობა ძალიან სწრაფად. საოცრად დავიღალე, მოვითენთე. მოძრაობა სულ უფრო ჩქარდებოდა. მივხვდი, რომ ეს შანსი იყო, ბრძოლა იყო და ეს ბრძოლა აუცილებლად უნდა მომეგო. ხელებს ვიქნევდი, ვიბრძოდი თავდაუზოგავად და წინ მივიწევდი. გზას ვიკაფავდი...

ავდუღდი, გავიოფლე, გავისვარე, და მივაღწიე სასურველ მიზანს. შემდეგ უცხოობა ვიგრძენი. ვიგრძენი, რომ უცხო სხეულში ვიყავი, მაგრამ ეს სხეული საოცრად ალერსიანი იყო. და ასე დაღლილს, ამდენი ხნის უძინარს, ამდენი ხნის ნაწამებს, არც კი ვიცოდი ამჟამად ვინ ვიყავი და რატომ ვიყავი. ჩამეძინა, ტკბილად დამეძინა და არც კი მახსოვს, რამდენ ხანს მეძინა... ჯერ ყვავილები დავინახე, შემდეგ ცა, შემდეგ გაღიმებული სახეები. სხეულზე ვილაცის ხელები ვიგრძენი, მთელი ძალით, მაგრამ საოცარი სინაზით მაშველებდა ხელს, მე კი ვცდილობდი პირველი ნაბიჯები გადამედგა.

რომენ როლანი მიღებაზე სტალინთან

რომენ როლანი

ინდურ მოძღვრებათა ამერიკული ნიბა-მორბედები: ემერსონი, ტორო, ფოლტ უიტმენი

უაღრესად საინტერესოა ზუსტად ვიცოდეთ, როგორ განიმსჭვალა XIX საუკუნის განმავლობაში ამერიკული აზროვნება (სულერთია, შუალობით თუ უშუალოდ) ინდური გავლენებით, რადგან უეჭველია, რომ მათ თავიანთი როლი შეასრულეს თანამედროვე ამერიკის თავისებური რელიგიური და მორალური წყობის ჩამოყალიბებაში. ეს წყობა თავის თავში მოიცავს ინგლის-საქსონური პურიტანიზმის, იანკის ქმედითი ოპტიმიზმის, პრაგმატიზმის, ფსევდომეცნიერულობისა და ფსევდოვედანტიზმის უცნაურ ნაზავს, რისი გაგებაც უთუოდ გაუჭირდება პირწმინდა ევროპელს. რამდენადაც ვიცი, ჯერ ერთ ისტორიკოსსაც არ მიუქცევია ყურადღება ამისთვის, ამავე დროს კი, ეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფსიქოლოგიური პრობლემაა, და საშურია აქეთკენ მიმართოს თავისი ინტერესი ჩვენი ერთობლივი ცივილიზაციის მკვლევარმა. ამჟამად მე ხელთ არა მაქვს ამ პრობლემის ამოხსნისათვის საჭირო ბევრი მონაცემი, მაგრამ მაინც მინდა გამოვყო ზოგიერთი საკითხი.

როგორცა ჩანს, შეერთებულ შტატებში ინდური აზროვნების ერთ-ერთი მთავარი გამტარებელი ემერსონი იყო. ხოლო ემერსონმა, თავის მხრივ, საფიქრებელია, ტოროს ძლიერი ზემოქმედება განიცადა. ემერსონი მომზადებული იყო ასეთი ზემოქმედებისათვის. 1830 წლიდან ეს უკვე იგრძნობა მის ,,დღიურებში", სადაც ხშირად გვხვდება მითითებანი ინდურ რელიგიურ ტექსტებზე. 1838 წელს, ჰარვარდის უნივერსიტეტში წარმოთქმული მისი ცნობილი სიტყვა, რომელმაც თავის დროზე აღშფოთება გამოიწვია, ადამიანში ღვთაებრივი დასაბამის რწმენას აცნაურებს, ხოლო ეს რწმენა საკმაოდ უახლოვდება სულის შესახებ ,,ატმანბრაჰმანის" მოძღვრებას.

მართალია, ემერსონი ამ რწმენასთან თვითონ თავისი პიროვნებისა და თავისი რასისათვის ნიშანდობლივ მორალურ ან მორალისტურ წარმოდგენებსაც მჭიდროდ აკავშირებდა, მაგრამ საბოლოო ანგარიშში, ,,სამართლიანობის" იოგას ჭეშმარიტ განხორციელებამდე მივყავართ, რაც ორმაგი აზრით, ზნეობრივი სიკეთისა და კოსმოსური წონასწორობის აზრით გაიგებოდა. თავის ჰარვარდულ სიტყვაში იგი ამბობდა: ,,რამდენადაც კაცი სამართლიანია გულში, იმდენად ეს კაცი ღმერთია... სამართლიანობასთან ერთად მის გულში უკვდავება და ღვთაებრივი დიდებამოსილება მკვიდრდება. ყოველი არსი ერთიანი გონიდან წარმოდინდება და ისევე, როგორც ოკეანის სხვადასხვა ნაპირზე მას სხვადასხვა სახელი ჰქვია. განსხვავებულად გამოვლენილ ამ არსთაც სხვადასხვა სახელი ეწოდება: სიყვარული, სამართლიანობა, სიბრძნე. ამ კანონების წვდომა სულში აღვიძებს რელიგიურ განცდას, და ჩვენთვის ეს უზენაესი ბედნიერების წყაროა... ეს არის თოვლიანი მწვერვალების ჰაერი, ეს არის სილამაზე ცათა, ეს არის ვარსკვლავთა უხმო გალობა, ეს არის ნეტარება ადამის ძისა"...

ემერსონს, — გვეუბნება უილიამ ჯეიმსი, — სწამს თავისი არსებით ზნეობრივი მსოფლიო სული. ღვთაებრივი სამართლიანობის წინაშე ყველამ და ყველაფერმა უნდა მოიდრიკოს ქედი, მწერალმა და კაცმა და მნათობმაც.

ეს სამართლიანობა, ეს ზნეობრივი არსება არ უნდა დავავიწროვოთ მის ისეთნაირ გაგებამდე, როგორც ეს გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. მას ტრანსცენდენტური ხასიათი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქვს... ემერსონისათვის სწორედ ეს ღრმა კოსმოსური განცდა იყო ნიშანდობლივი. ეს იმანენტიზმი ასაზრდოებს და დიდებამოსილებას სძენს მის მორალიზმს.

მაგრამ ემერსონი არც წიგნის კითხვასა და არც წერაში არ გამოირჩეოდა მეთოდურობით. ემერსონზე დაწერილ თავის შრომაში კაბო ამბობს, რომ ის ხშირად ისაზღვრებოდა ამონაწერებითა და ციტატებით იმის მაგივრად, რომ თავიდან ბოლომდე წაეკითხა წიგნი. რაც შეეხება ტოროს, იგი კითხვის დიდი მოტრფიალე იყო. 1837-62 წლებში ტორო ემერსონის მეზობლად ცხოვრობდა. ემერსონი აღნიშნავს, რომ ტორომ მას წაუკითხა ნაწილები თავისი წიგნიდან „კვირიაკენი", ხოლო ეს „კვირიაკე", ბჰაგავატგიტათი, ინდოეთის დიადი პოემებითა და უზენაესი ფილოსოფიით აღტაცების ბობოქარი ზღვაა. ტოროს სურდა შეედგინა შედარებითი ბიბლია ინდური, ჩინური, ირანული, ებრაული და წმიდა წიგნებისაგან, რათა ის „მსოფლიოს საზღვრებამდე" მიეტანა...

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გავლენებს უკვალოდ არ ჩაუვლია და ემერსონს გადაედო ტოროს მგზნებარე ენთუზიაზმი. ინდური ფილოსოფიის გაცნობისაგან მოგვრილი შთაბეჭდილება დიდად გამაოგნებელი უნდა ყოფილიყო, თუკი მას 1856 წელს, შეეძლო ვედანტიზმით ისეთი ღრმად გამსჭვალული ლექსი დაეწერა, როგორიცაა მისი მშვენიერი „ბრაჰმა"...

იმ დროს ახალი ინგლისი სულიერი განახლებისა და აღტაცებული იდეალიზმის ხანას განიცდიდა, რაც 1848 წლის წინარე ხანის ევროპაში იდეალიზმის ასეთსავე აფეთქებას შეესაბამებოდა, თუმცა ამ უკანასკნელისგან დიდად განსხვავდებოდა თავისი ნაკლებკულტურული, მაგრამ უფრო ფესვმაგარი, ბუნებასთან უსაზღვროდ ახლომდგარი საფუძვლით. ჯორჯ რიპლეის და „საყოველთაო პროგრესის მეგობრების" მოუსვენარი საზოგადოებები პირველყოფილი ძალების სიჭარბისგან აღგზნებულ სხვადასხვა რწმენისა და პროფესიის ადამიანებს აერთიანებდა, რომლებიც ცდილობდნენ განთავისუფლებულიყვნენ წარსულის სიცრუისაგან, რათა ახალი ჭეშმარიტება მოეძიათ, ვინაიდან კაცობრიობას არ ძალუძს არსებობა, უკეთუ არ დარწმუნდება იმაში, რომ მორჭმული აქვს ჭეშმარიტება.

ვაგლახ! იმან, რასაც დაეწინდა ამერიკის სული მომდევნო ნახევარსაუკუნეში, არ გაამართლა თაფლობის თვის იმედით სავსე მოლოდინი. ჭეშმარიტება ჯერ არ მომწიფებულიყო და მითუმეტეს, ჯერ არ მოწიფულიყვნენ ისინი, ვისაც სურდა მოემკო იგი. მაგრამ ეს კეთილშობილი იდეების უქონლობით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ ეს ძალ-იდეები ნაჩქარევად ჰქონდათ შთანთქმული, რომ ისინი გონივრულად არ ჰქონდათ შეთვისებული. დიდი სამოქალაქო ომით გამოწვეულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ძვრებმა და მათგანვე განპირობებულმა ნერვიულმა შერყევებმა, ავადმყოფურმა ნაჩქარეობამ, რამაც შემდგომში ცხოვრების შმაგი რიტმი შექმნა, ამერიკული საზოგადოება ხანგრძლივი დროით გამოიყვანა წონასწორობიდან.

მიუხედავად ამისა, საუკუნის მეორე ნახევარში მოქმედ თაობაში ძნელი არ იქნება იმ თესლის აღმოჩენა, რომელიც კონკორდის პიონერებმა — ემერსონმა და ტორომ მიმოაბნიეს. მაგრამ რა უცნაური ცომი მოზილეს ამ მარცვლებისაგან. Mind Cure-სა და მისის მერი ბეკერედის მიმდევრებმა!

უეჭველია, რომ ერთმაც და მეორემაც, მეტად თუ ნაკლებად, შეგნებულად ისარგებლეს იმ ინდური პრინციპებით, რომლებიც ემერსონის იდეალიზმში იყო გაბნეული, მაგრამ ეს პრინციპები მათ დაიყვანეს უშუალო გამოყენებისთვის მიმართული გლუვი უტილიტარიზმის დონემდე, უაღრესად უხეშ ცრურწმენაზე დაფუძნებულ ერთგვარ მისტიკურ ჰიგიენამდე, რომლებმაც თავიანთი ნახევარმეცნიერება და ნახევარქრისტიანობა ქედმაღლურად მონათლეს Christian Scitnce-ს სახელით.

ორივე ამ მოძღვრებისათვის საერთოა ვულგარული ოპტიმიზმი, რომელიც ბოროტების პრობლემას უბრალო უარყოფით იშორებს თავიდან, უფრო სწორად, იმით, რომ ანგარიშს არ უწევს მას: „ბოროტება არ არსებობს, მოვარიდოთ მას ჩვენი მზერა"... ასეთი განყენებული მიდგომა და უკიდურესად გამარტივებული თვალსაზრისი, არც ისე იშვიათად, თვითონ ემერსონსაც ახასიათებდა. რამდენადაც შეეძლო, იგი თავის ნაწერებში გვერდს უვლიდა ავადმყოფობას და სიკვდილს. მას არ უნდოდა ჩრდილის ხსენება. „პატივი მივაგო ნათელს"... ეს არ იყო მამაცური პატივის მიგება. ემერსონს სუსტი მზერა ჰქონდა. მან დაიწყო იმით, რომ მზე აბაჟურით მოიჩრდილა. ხალხი მის მაგალითს, მეტი რომ არა ვთქვათ, ხალისით იზიარებდა. ამბობენ, რომ ქმედებისათვის საჭიროა ამგვარი ოპტიმიზმი. მაგრამ მე არ ვენდობი იმ კაცის, ან ხალხის ენერგიას, რომელიც იმაზეა დაფუძნებული, რაც თავდაპირველად შემოგვთავაზა Natura Rerum-მა. მსგავს შემთხვევაში, უპირატესობას მარგორიტ ფულერის სიტყვას ვანიჭებ: „მე ვაღიარებ მსოფლიოს". მაგრამ აღიარებ თუ არა, უპირველეს

ყოვლისა, საჭიროა დაინახო ის! დაინახო მთლიანად, მთელი სავსებით! და ჩვენ მალე მოვისმენთ, როგორ ეტყვის ვივეკანანდა თავის ინგლისელ მოწაფეს: ,,ისწავლე დედუფლის შეცნობა ბოროტებასა და საშინელებაში, ტანჯვასა და არყოფნაში ისევე, როგორც სცნობთ მას სათნოებასა და სიხარულში!" და მოღიმარ რამაკრიშნასაც კი, სიყვარულსა და ბედნიერებაზე თავისი ოცნების სიღრმეებიდან შეეძლო დაენახა და შეეხსენებინა ხოლმე ,,მადლითმოსილი ღმერთის" გულუბრყვილო თაყვანისმცემლებისთვის, რომ მარტო ,,მადლი და სიკეთე" უკმარისია იმ ძალის განსასაზღვრავად, რომელსაც ათასობით უბრალო და უდანაშაულო ადამიანი მსხვერპლად ეწირება ყოველდღე.

აქ არის ის ძირითადი განსხვავება, რაც ინგლის-საქსონური ოპტიმიზმისაგან თიშავს ინდოეთსა და ჰეროიკულ საბერძნეთს. ეს უკანასკნელნი თვალებში უყურებენ სინამდვილეს, სულერთია, ინდოეთის მსგავსად აღიარებს მას, თუ საბერძნეთის მსგავსად ებრძვის, რათა დაიმორჩილოს იგი. მათთან ქმედება არასოდეს არ ბღალავს შემეცნების სფეროს, როგორც ეს ამერიკაშია, სადაც შემეცნება ქმედების მომსახურეობაზეა გამობმული, პირბადე აქვს ჩამოფარებული და თავზე მოსირმული ქუდი ჰხურავს შესაფერი წარწერით: ,,პრაგმატიზმი".* ადვილად წარმოსადგენია, რომ ვივეკანანდა ვერ შეურიგდებოდა ამ მასხრულ ჩაჩს და ზიზილპიპილოებს, რომელშიც გამოწყობილიყვნენ მისი დიდმშვენიერი, თავისუფალი და ხელმწიფებამოსილი ვედანტიზმის უბადრუკი ნაბიჭვრები.

მაგრამ ცოცხალთა ამ ფარას თავზე ედგა გარდაცვლილი გიგანტი, ვისი აჩრდილიც ათასჯერ უფრო თბილი იყო, ვიდრე ცივ მეთოდურ შუშებში არეკლილი ყოფიერების მზე. იგი წინ მოუძღოდა ვივეკანანადას და მას თავის ფართო მარჯვენას უწვდიდა... როგორ მოხდა, რომ ვივეკანანდამ არ ჩამოართვა გამოწვდილი ხელი? ან უფრო სწორად (რადგან ჩვენ ვიცით, რომ შემდგომ, ინდოეთში ვივეკანანდამ წაიკითხა ,,ბალახის ფოთლები"), როგორ მოხდა, რომ ვივეკანანდას ცხოვრების მემატიანეებს, საკმაოდ დაუდევრებს და ნაკლებ განათლებულებს, თავიანთი ისტორიის წერისას მხედველობიდან გამორჩათ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც ატმანბრაჰმანის ინდოელი ელჩისა და ,,თავისი თავის" ეპიკური მეხოტბის, უოლტ უიტმენის თანახვდომა იყო?!

იგი ერთი წლით ადრე, 1892 წლის 26 მარტს მიიცვალა კემდენის, ფილადელფიის მუშათა გარეუბნის მახლობლად და მისი ტრიუმფალური დაკრძალვის გამოძახილი - არა წარმართული, როგორც მაშინ წერდნენ, არამედ ინდური უნივერსალიზმის სულის შესაგვანი, ჯერ კიდევ ხმიანობდა ხსოვნაში. ვივეკანანდასთან მაშინ უიტმენის ბევრი მეგობარი მივიდა. ვივეკანანდა თვითონ დაუმეგობრდა იმათ, ვინც უკანასკნელი ,,მშვიდობით" უთხრა პოეტს, მაგალითად, ცნობილ ორატორს, აგნოსტიკოსს და მატერიალისტს რობერტ ინგერსოლს, რომელსაც ვივეკანანდა კეთილმოსურნედ ეკამათებოდა ხოლმე. როგორ შეიძლებოდა, მას არაფერი სმენოდა უიტმენზე?

თუმცა ეს დიდი კაცი საკმაოდ ცნობილია ბევრ ქვეყანაში მისდამი მიძღვნილი მნიშვნელოვანი შრომების წყალობით (კერძოდ, საფრანგეთში ჩვენი ძვირფასი ამხანაგის, ბაზალგეტის მიერ დაწერილი შრომისა: ,,უოლტ უიტმენი, კაცი და მისი საქმე", 1908), მე მაინც საჭიროდ მიმაჩნია, აქ მოკლედ გადმოვცე მისი რელიგიური სოფლხედვა. მისი მოღვაწეობის ეს მხარე ყველაზე ნაკლებ არის განმარტებული, მაგრამ სწორედ აქ არის უიტმენის შემოქმედების გულისგული.

ეს სოფლხედვა საიდუმლოებებით არ არის მოცული. კეთილი უიტმენი არც ფარავდა მის სიშიშვლეს. მისი რწმენა ,,ბალახის ფოთლების" ყველა ნაწილში მჟღავნდება, თუმცა ის განსაკუთრებით დაუნჯებულია მის ერთ დიდ პოემაში, რომელიც ,,სიმღერამ თავის თავზე" მეტისმეტად დაჩრდილა. და რომელსაც საჭიროა კვლავ დაუბრუნდეს ის ადგილი, სადაც თვითონ უიტმენმა მტკიცედ დაადგინა, მიუჩინა რა მას თავისი წიგნის საბოლოო გამოცემაში, უშუალოდ ,,მიძღვნათა" შემდეგ, პირველი ადგილი. ეს არის ,,დაძვრა პაუმანოკიდან". რას გვიცხადებს ამ პოემაში ავტორი?

,,მე ვაარსებ რელიგიას...
მე ვამბობ, მთელი დედამიწა და ციური
მნათობები
რელიგიისთვის არსებობენ მხოლოდ და
მხოლოდ.
იცოდე, მხოლოდ იმისთვის ვმღერი,
რომ მიწის გულში
უფრორე დიდი რელიგიის
თესლი ჩავყარო,
მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემთან ერთად

* ომით დასუსტებულ ევროპაში, სამწუხაროდ, იგივე ზნეობრივი ნორმები მკვიდრდება. ყველაზე უარესი ის არის, რომ ასეთნაირ გონებრივ სიმხდალეს თან ახლავს ცრუ ტრაბახი, რომელსაც თავიმოაქვს რეალიზმითა და ვაჟკაცობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიზიარო ორი დიდება
და მესამეც—აღმომავალი,
იმ ორის გულზე მიმრქმელი და მათზე
უფრო აღმატებული:
სიდიადე სიყვარულის, დემოკრატიის
და სიდიადე რელიგიისა"...

რატომ უნდა ჩრდილავდეს კომენტატორთა თვალში არსებითად მეორეხარისხოვანი „სიდიადე" მესამეს, რომელსაც, გულზე ჰყავს მირქმული ისინი და მათზე აღმატებულია? ეს რელიგია იმდენად მახლობელი იყო მისთვის, რომ ლექციებად უნდოდა წაეკითხა მთელს ამერიკაში, მიუხედავად იმისა, რომ არ უყვარდა საჯარო გამოსვლები. ეს რელიგია კონცენტრირებული იყო ერთ სიტყვაში, რომელიც ინდური სულის მუსიკასავით ხმიანებს. ეს არის სიტყვა 'იგივეობა", რაც თავიდან ბოლომდე მსჭვალავს მის ლექსებსა და პოემებს. ამ სიტყვას ორგვარი მნიშვნელობა ახლავს. პირველი მნიშვნელობა უფრო მუდმივია: ერთიანობის უშუალო აღქმა. მეორე მნიშვნელობა გულისხმობს 'მე"—ს უცვალებლობას მარადიული მგზავრობისას... მე ვფიქრობ, ეს მეორე მნიშვნელობა წინა პლანზე უფრო ხშირად ავადმყოფობისა და სიბერის წლებში გამოდის.

ყოველწამიერი იგივეობა სიცოცხლის ყველა ფორმასთან განხორციელებული ერთიანობის უშუალობა და იმის ღრმა რწმენა, რომ ყოველი წამი და ყოფიერების უმცირესი ატომიც კი მარადიულია.

როგორ დაეუფლა უიტმენს ასეთი რწმენა? რა თქმა უნდა, უეცრად, ცის განხმასავით, უფრო სწორად, ცხოვრებისეული კრიზისის ჟამს, მას შემდეგ, რაც ოცდაათი შეუსრულდა, ახალ ორლეანში მოგზაურობის უჩვეულო მღელვარების შემდეგ. ძნელად წარმოსადგენია, რომ მას ოდესმე წაეკითხოს ინდური წიგნები. როცა 1856 წლის ნოემბერში ტორომ უთხრა, შენი „ბალახის ფოთლები" აღმოსავლურ პოემებს მაგონებს, ხომ არ იცნობ რომელიმე მათგანსო, უიტმენმა კატეგორიული „არათი" უპასუხა. და ჩვენ საბაბი არა გვაქვს ამაში დაეჭვებისა; ის ცოტას კითხულობდა და არ უყვარდა ბიბლიოთეკები და წიგნზე გაზრდილი ხალხი. თავის სიცოცხლეში იგი ერთხელაც არ დაინტერესებულა, რამდენად სწორი იყო კონკორდის ვიწრო წრეში შექმნილი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მისი მსოფლმხედველობა აზიურ მოძღვრებებს უახლოვდება. ყოველთვის, როცა თავის ჰომეროსისეულ ჩამოთვლებში ინდოეთის სახე შემოჰყავს, გამოთქმათა უკიდურესი ბუნდოვანება წარმოადგენს საგნის არცოდნის საუკეთესო დასტურს. იგი ერთიორჯერ ახსენებს მაიას, ავატარას, ნირვანას, მაგრამ ისე, როგორც ამას გაუნათლებელი კაცი იტყოდა: „წყვდიადი, ნირვანა, სიმშვიდე და ღამე, დავიწყება"... სიმბოლიკური სათაურის მქონე ლექსი „გზა ინდოეთში" რაიმე უფრო კონკრეტულ წარმოდგენას არ გვაძლევს ინდურ აზროვნებაზე, ვინემ ამ უფერულ სტრიქონებშია გაცხადებული: „უსასრულოდ შორი, ძველი და იდუმალი ბრაჰმა, ნაზი, უწვერული ბუდა". კიდევ უფრო უფერულია ის, რასაც უიტმენი ამბობს ინდოეთზე პოემაში „სალამი სამყაროს"...

მით უფრო საინტერესოა, როგორ შესძლო მან, თავისი პიროვნების, ასპროცენტიანი ამერიკელის პიროვნების საზღვრებიდან გაუსვლელად, თავისდაუნებურად გამოეხატა ვედანტური თვალსაზრისი (აკი ეს მსგავსება ემერსონის წრიდან არავის გამოპარვია, არც თვითონ ემერსონს, ავტორს ნაკლებად ცნობილი, მაგრამ შესანიშნავი ხუმრობისა: 'ბალახის ფოთლები" მე მაგონებს ბჰაგავატგიტას და ,,ნიუ იორკ ჰერალდ"-ის ნაზავს.

რა პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოს, უიტმენი თავისი რასის შინაგანი არსიდან, ამ რასის რელიგიური მემკვიდრეობიდან გამოდიოდა. მამის მხრივ, მისი ოჯახი კვაკერიზმის მემარცხენე ფრთას ეკუთვნოდა, რომელიც ელიას ჰიკსის გარშემო იყო დაჯგუფებული (ამ კაცს თავისი სიცოცხლის მიწურულს უიტმენმა მცირე ნაწარმოები უძღვნა). ეს, ყოველგვარი ეკლესიისაგან და კრედოსაგან თავისუფალი რელიგიური ინდივიდუალისტები რელიგიის არსს შინაგან ნათელხილვასა და „უსიტყვო ექსტაზში" ხედავდნენ.

ასეთ ზნეობრივ წინასწარგანწყობას უკვე ბავშვობიდანვე ხელი უნდა შეეწყო უიტმენისთვის გამოემუშავებინა მისტიკური თვითდაუნჯების ჩვეულება, რომელიც მაინცდამაინც განსაზღვრულ ობიექტზე თუ არ იქნებოდა მიმართული, მით უმეტეს, ყველა მისი განცდა უნდა განემსჭვალა. სხვა დანარჩენი პატარა უოლტის ნიჭმა დაასრულა. მას ბუნებისაგან მონიჭებული ჰქონდა რაღაცნაირი ხარბი ამთვისებლობა, რომელიც აიძულებდა მსოფლიო ზღვრებიდან არა მარტო ტანჯვის და ნეტარების მტევნები ეკრიფა ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად, არამედ მეყსეულად ყველა მის მიერ ხილულ საგნად გარდასხეულებულიყო. მან ეს იშვიათი თვისება აღწერა თავის ერთ განსაცვიფრებელ პოემაში 'შემოდგომის ნაკადულები".

„იყო ყრმა, რომელიც სეირნობდა
ყოველდღე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და რომელიმე საგნის დანახვისთანავე
ამ საგნად გარდაისაისახებოდა
და საგანი იგი იქცეოდა მის ნაწილად
მთელი დღე ან დღის მცირე ჟამით,
ანდა წლობით, ანდა მთელი
საუკუნეებით-"...

პირწმინდა ინსტიქტის მსგავსად, გაუცნობიერებლად, მთელი სამყარო მისთვის ობიექტი კი არ იყო, არამედ სუბიექტი იყო თვითონ ის. როცა მან უეცრად გაიცნობიერა ეს, თავისი ცხოვრების ოცდამეათე წელს (დაახლოვებით 1851-52 წლებში), თავის ნამდვილ დაბადებად რომ თვლიდა, მასზე ამან დამაბრმავებელი ელვის, ნათელხილვისებური ექსტაზის შთაბეჭდილება მოახდინა:

„ო, ნეტარებავ, გრძნობდე სულის
წონასწორობას თვითონ მასშივე,
ყოველი საგნის მეშვეობით იგივეობის
მიმღებელი ჩემი სული.
იდუმალ თრთოლვით ისევ ჩემსკენ
მოეშურება..."

მას ეჩვენებოდა, რომ „პირველად გაიღვიძა, და რომ აქამდე ყველაფერი უბადრუკი სიზმარი იყო".

და ბოლოს, ემერსონის ზოგიერთმა ლექციამ და საუბარმა მას გზა გაუხსნა იმისკენ, რომ გაეცნობიერებინა თავისი ჯერ კიდევ ბუნდოვანი და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ინტუიციები და იდეებად ექცია ისინი. ვინაიდან ამ კაცს, ყოველთვის გულგრილად რომ ეკიდებოდა განსჯათა ლოგიკასა და მეტაფიზიკურ მსჯელობებს,* იდეათა მთელი ჯაჭვი დაყვანილი ჰყავდა უპირატესად სწრაფადმედინ აწმყოსა და ნათელხილვაზე, რომელიც მის გულში ელვისებურად იხსნებოდა დროისა და სივრცის უსასრულობად. ასე რომ, იგი უმალვე მოინიშნავს და თავის თავში მოიცავს ყოველ ცალკეულ ობიექტს, თვითონ გარდასხეულდება ყოველ მათგანად და მათ გრანდიოზულ ერთობლიობად.

განა ეს უმაღლეს ექსტაზს, ბჰაქტაიოგას მიმდევართა ყველაზე უფრო თავდავიწყებულ სამადჰის არა ჰგავს?

აქ ჩვენს წინაშეა ვედანტიზმისადმი მიდრეკილების ტიპიური გამოვლინება, რაც ამერიკაში ვივეკანანდას გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. ეს მიდრეკილება ფაქტიურად, ყველა ქვეყანასა და ყველა ეპოქაში ადამიანის სულის თვისებას წარმოადგენს და სრულიადაც არ არის დაკავშირებული რომელიმე ერთი ქვეყნის რელიგიური მოძღვრების სისტემასთან, როგორც ამას შეცდომით ვარაუდობს ზოგიერთი ინდოელი ვედანტისტი. მაგრამ ეს კია, რომ ამ მიდრეკილებას მეტად ან ნაკლებად უწყობს ხელს სხვადასხვა ხალხის განვითარების პერიპეტიები და ის რწმენა და ზნეჩვეულებები, რომელთა საფუძველზეც შენდება მათი კულტურა. შეიძლება გულდაჯერებით ითქვას, რომ ასეთნაირი განწყობილება ფარული სახით ყველგან არსებობს, ყოველი კაცის გულში, ვისაც კი ოდესმე მოხვედრია ნაპერწკალი შემოქმედებისა. განსაკუთრებით ეს ითქმის დიდ ხელოვანთა შესახებ, რომელთა არსებაში არა მარტო აირეკლება, არამედ ხორცს ისხამს მთელი სამყარო.

მე შემთხვევა მქონდა ბეთჰოვენის შემოქმედებაში აღმენიშნა იმ დაფარულ არსებასთან დიონისური შეერთების აფეთქება, რომელსაც დედამიწის ყოველ ამოსუნთქვაში შეიგრძნობს ხოლმე სული. XIX საუკუნის დიდი ევროპული პოეზია, განსაკუთრებით უორდსვორტისა და შელის დროინდელი ინგლისური პოეზია, სავსეა ამდაგვარი უეცარი გასხივოსნებით. მაგრამ არც ერთ დასავლელ პოეტს არ შეუკრებია ერთ ბრძმედში ესოდენი ძალითა და შეგნებით ყველა ეს დაფანტული ნაღვერდალი და არ აუმაღლებია თავისი ინტუიცია ისეთ ძლევამოსილ რწმენამდე, როგორც ეს უიტმენმა შეძლო: მან ირწმუნა თავისი ერი, მთელი კაცობრიობა, სამყარო.

რა უცნაურია, რომ ეს რწმენა არ შეეჯახა ვივეკანანდას რწმენას! იგი უნდა განეცვიფრებინა მთელ რიგ მოულოდნელ დამთხვევებს, ასერიგად მკვეთრსა და დაჟინებულს უიტმენთან, მაგალითად, მის უაღრესად მტკიცე რწმენას იმის შესახებ რომ პიროვნება 'ტრილიონი წლების წიაღ" მოგზაურობს და რომ გამუდმებული 'გარდასხეულებისას" გათვალისწი-ნებულია ყველა გარდასული არსებობის წაგებ-მოგება. იგი უნდა განეცვიფრებინა ატმან-ბრაჰმანის შესაბამის ორმაგ ,,მე''-ს, რომელთაგან არც ერთს არ სურს ქედი მოიდრიკოს მეორის წინაშე, მაიას ბადეს, რომელსაც ის გლეჯს, რათა ფართო ჭუჭრუტანებიდან ღვთის მოელვარე თვალი იხილოს; ,,წრე - შექმნილი ურიცხვ წრეთაგან. ო, მდუღარე დასაბამო, რუდუნებით შენახულო ფარულო დვრიტავ, შენა ხარ გულისგული ყოვლისა'' დიდებულ 'საყოველთაო სიმღერას", რომელშიც დაპირისპირებულთა ჰარმონიად შერწყმა ხორციელდება. ყველა რელიგიის, ყველა რწმენისა და უარყოფის, ეჭვისა და აზრის ყველა

* „ჩემს ფანჯარასთან ამოსული უსურვაზი უფრო მეტს მაძლევს, ვიდრე ნიგნების მეტაფიზიკა"(სიმღერა ჩემს შესახებ''.ანდა მშვენიერი ლექსი ,,ჩალამუშ''-იდან, სადაც ის ,,გარეგნული ნიშნებისადმი საშინელ უნდობლობაზე'' ლაპარაკობს, როცა ყველაფერი მერყეობს, როცა ვერავითარი აზრი და განსჯა ვერ განუგეშებს. მეგობრის ხელის უბრალო შეხება მხნეობას ანიჭებს მას: ის ,ვისაც უპყრია ჩემი ხელი, მე სავსებით მაკმაყოფილებს".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტემპერამენტების შერწყმას, მსოფლიოს ყველა სულის ერთობის იდეას, რაც ინდოეთში რამაკრიშნას მიერ თავის მოწაფეებისადმი მიცემულ აღთქმას წარმოადგენდა: „ყველაფერი ჭეშმარიტებაა!“

უიტმენის ვივეკანანდასთან ანათესავებდა პიროვნულ თვისებათა ზოგიერთი მხარეც. ეს ზვიადი ქედმაღლობა, რომელიც ნებას რთავდა ღმერთისათვის გაეტოლებინა თავი („არავინ, თავად ღმერთიც კი, არ ნიშნავს კაცისთვის უფრო მეტს, ვიდრე თვითონაა“... მე ვერ წარმოვიდგენ, რა უნდა იყოს უფრო საოცარი, ვიდრე ვარ თვითონ”), სიმშვიდის მტრის და შერკინების მოსურნე გულოვანი ქშატრიის მეომრული სულისკვეთება, რომელიც არა თუ უკრთის, პირიქით, თვითონ მოუხმობს ხიფათს და სიკვდილს („მე ვარ სიმშვიდის მტერი და სხვებსაც ამისკენ მოვუწოდებ, ჩემი სიტყვები იარაღია, ხიფათით და სიკვდილით მორჭმული''), საშინელის ეს კულტი, ჰიმალაის მთებში მოგზაურობისას Sister Nivedita-სადმი ვივეკანანდას პირქუშ აღსარებებს რომ გვაგონებს („ჩემიანებად მიმაჩნიხართ, თქვენ საზარელო, მუქარით სავსე ჩვენებანო”).

და მაინც, ასევე ნათლად ვხედავ, რა არ მოეწონებოდა უიტმენში ვივეკანანდას: ეს არაბუნებრივი ნაზავი ე.წ. New York Herald-ისა და გიტასი, რომელმაც ემერსონის ასეთი ღიმილი გამოიწვია, ეს მეტაფიზიკური ჟურნალიზმი, ეს იაფი ლექსიკონების საშუალებით შეძენილი ერუდიცია, ეს ცოტა არ იყოს, ბაზრული მორთულობა წვეროსანი ნარცისისა, ეს მეტისმეტი კმაყოფილება თავისი თავით და თავისი ერით, ეს დემოკრატიული ამერიკანიზმი, ბალღური ამაოება და სარკის წინ ფრთებგაშლილი ვულგარიზმი, - ყველფერ ამას დიდი ინდოელის არისტოკრატიული ათვალისწუნება უნდა გამოეწვია, განსაკუთრებით კი ამ იდეალიზმის მაკომპრომენტირებელ სიახლოვეს ,,მეტაფსიქიკის” საეჭვო გასართობებთან: სპირიტიზმთან, მოჩვენებებთან და სხვ. რაც ჭირისდღესავით სძულდა ვივეკანანდას.

მაგრამ საპირისპირო მომენტებს არ შეეძლო გაექარწყლებინა ის მიზიდულობა, რასაც ეს მძლავრი მაგნიტი ახდენდა ისეთი ლითონისგან ჩამოსხმულ პიროვნებაზე, როგორიც ვივეკანანდა იყო. და არც გაუქარწყლებია, ვინაიდან ჩვენს ხელთაა სარწმუნო საბუთი იმისა, რომ ინდოეთში ვივეკანანდა კითხულობდა ,,ბალახის ფოთლებს “ და რომ იგი ჩვეულებისამებრ, ამერიკის სანიასინს უწოდებდა უიტმენს, რითაც მასთან სულიერ ნათესაობას ადასტურებდა. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მან უიტმენის პოეზია ამერიკაში ყოფნის მხოლოდ ბოლო პერიოდში გაიცნო, რაკი მისი იქ ყოფნის დაწვრილებით აღწერაში ვივეკანანდას მოწაფეებს ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ უიტმენის შესახებ?

როგორც არ უნდა იყოს, უიტმენის სული მათ წინაშე რიალებდა და იმას ადასტურებდა, რომ ამერიკა მზად იყო თავის წიაღში მიეღო ინდური აზროვნება. ეს სული მიეგება მათ და კემდენის მხცოვანმა წინასწარმეტყველმა საზეიმოდ ამცნო ამერიკას ინდოეთის გამოცხადება:

„ჩვენთან, ო, ჩემო ქალაქო, მოდის
მამამთავარი,
ენათა პირველსამყოფელი, გარდასული
დროის ხალხი,
ბრაჰმას ხალხი მოდის ...“

იგი მიეგება ინდოეთს. მან ჩააბარა ამერიკის „დემოკრატიის ტაძარს“ რელიგიის სახელით მოგზაური ინდოელი ყარიბი:

„შენშია დავანებული გარდასული...
შენ დიდებამოსილი თანამგზავრები გახლავს, სულისმიერი ინდოეთი შენთან ერთად ივლის ამიერიდან.“ ასე რომ, ვივეკანანდას ინდოელმა ბიოგრაფოსებმა ხელიდან გაუშვეს იმის შესაძლებლობა, რომ იმ პირველთაგანთა შორის დაესახელებინათ უიტმენი, ვინც ახალ კონტინენტზე გულდახელგაშლილი მიეგება უცხოელ სტუმარს. მაგრამ მივაგებთ რა საკადრის ადგილს ვივეკანანდას გვერდით, მის მხარდამხარ, - მხარბეჭის იმავე გაშლილობით, მაინც მოვერიდოთ ამერიკაზე მისი გავლენის გადამეტებულ შეფასებას. მასათა ამ ჰომეროსმა ვერ შეძლო მასებში შეღწევა. ამერიკაში დემოკრატიების დიადი ბედის მაუწყებელი ეს წინასწარმეტყველი კვდებოდა გაუგებარი, ახალი ქვეყნის დემოკრატების მიერ შეუმჩნეველი. ღვთაებრივი საშუალოების ამ მგალობელს იყვარებდნენ და თაყვანს სცემდნენ მხოლოდ ხელოვანთა რჩეული წრეები და ამასთან, უფრო მეტად ინგლისელები, ვიდრე ამერიკელები. მაგრამ ასეთია ბედი ყველა დიდი წინამორბედისა. და ამის გამო ისინი სულაც არ არიან უფრო ნაკლები ჭეშმარიტი წარმომადგენლები თავიანთი ხალხებისა, თუნდაც რომ საკუთარი ერი მათ არ აღიარებდეს: მათში დროზე ადრე თავისუფლდება სიღრმისეული ძალები, რომლებიც ადამიანთა მასაშია დაფარული და რომელსაც ეს მასა თვითონვე თრგუნავს. უიტმენი იყო გენიალური წინამორბედი იმ ფარული სულისა , რომელსაც ეძინა (სავსებით არც ახლაა გაღვიძებული) მისთვის მშობლიური ხალხის ოკეანისეულ სიღრმეებში.

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა
(ადაპტირებული თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსო ფურიაშვილი

ბლუზი

"ბლუზი ისაა, როცა კარგი ადამიანი ცუდადაა", იტყვის მადი უოტერსი, ელექტროგიტარაზე ბლუზის პირველი შემსრულებელი.

თავდაპირველად კი ბლუზს ამერიკელ შავკანიანთა მუზიცირებას ეძახდნენ. ეს იყო ამერიკული ანალოგი იმ ბალადებისა, რომელიც შავკანიანებმა თავისი სამშობლოდან წამოიღეს. თვითონ სიტყვა "ბლუეს" ძალიან პოლისემანტურია. ის ნიშნავს "ცისფერს", "მოწყენილს", "მელანქოლიურს". ბლუზის ირგვლივ იმდენი ლეგენდა ტრიალებდა, რომ სპეციალური ტერმინიც კი გაჩნდა: "ბლუეს დევილ" /ცისფერი ეშმაკი/. ასე პირველად გიტარისტ რობერტ ჯონსონს შეარქვეს, რომელმაც უზადო შესრულების სანაცვლოდ თითქოს სული ეშმაკს მიჰყიდა.

ტექსტუალური მრავალფეროვნება და გრძელი კომპოზიცია, რომელიც მუდამ შეიცავს რაღაც დაუმთავრებელს, ბლუზის ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისებაა. ბლუზში ნებისმიერი ემოცია გაორებულია. მწუხარება ხშირად იუმორის გვერდით დგას, შინაგანი სისუფთავე ვულგარულობის გვერდით. მაშინაც კი, როცა ბლუზ-მუსიკოსი მღერის არც სახლი მაქვს, არც კარი, არც ფული და არც საჭმელ-სასმელიო, იგი ღირსებითაა სავსე, რადგან პიროვნებაა, ბლუზ-მუსიკოსი ან თუ გნებავთ "ბლუზმენი", როგორც თავად ეძახიან საკუთარ თავს.

ბლუზი ეს არის მუზიცირების ფონზე რაღაც დიდი ამბის მოყოლა. თუ რამდენიმე მუსიკოსი ასრულებს, იგი კითხვა-პასუხის ფორმას იღებს. მისთვის დამახასიათებელია არატემპერირებული ბგერები, რომლებსაც ბლუზ-ნოტებს უწოდებენ. ეს ბლუზ-ნოტები, უფრო სწორად ბლუზ-საფეხურები მაჟორულ ტონალობაში მესამე, მეხუთე და ხანდახან მეშვიდე საფეხურის დადაბლებასაც კი გულისხმობს. ბლუზ-მუსიკაში ასეთი ტიპის გამის წარმოქმნას აფრიკულ მუსიკაში ფართოდ გავრცელებულ პენტატონიკურ /ხუთტონიან/ გამასთან აკავშირებენ.

ბლუზის დაბადების თარიღი ზუსტად არავინ იცის და ალბათ, არც არასოდეს ეცოდინება. ის კი ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში წარმოიშვა, ხოლო მისი უძველესი ფორმები ჯერ კიდევ მონათ-მფლობელობის დროს იყო გავრცელებული. იმ ფორმით ჩამოყალიბებული ბლუზი, როგორსაც დღეს ჩვენ ვიცნობთ, ამერიკის სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, პირველადი სახით უკვე არსებობდა. ეს გახლავთ ეგრეთწოდებული არქაული ანუ "სოფლის" ბლუზი, რომელსაც ამერიკის სოფლებში დღესაც ასრულებენ. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ბლუზი ქალაქშიც დამკვიდრდა და მას კლასიკური ანუ "ქალაქური" ბლუზი უწოდეს. მისი განვითარება მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო და მოგვიანებით კიდევ ერთი საინტერესო ფორმა "რიტმ ენდ ბლუზი" წარმოშვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბლუზის მუსიკალური სტრუქტურა ძალიან მრავალფეროვანია, ფორმის მიხედვით კი რამდენიმე ტიპი შეიძლება გამოვყოთ: 1. არქაული ანუ "სოფლის" ბლუზი პირველადი ფორმაა, რომელიც ამერიკის სამხრეთ ნაწილში ჩამოყალიბდა და ძირითადად სოფლებში სრულდებოდა. სტრუქტურალურად ეს იყო ერთ ინსტრუმენტზე შესრულებული რეჩიტატიული სიმღერა ძალიან მარტივი აკომპონიმენტით./ხშირად მხოლოდ ტონიკური ფუნქციის ერთადერთი აკორდი ჟღერდა/. ტექსტის თემა ძალიან მრავალფეროვანი იყო, პირადი გაჭირვებიდან დაწყებული ამინდის პროგნოზით დამთავრებული. ამავე ტიპს შეგვიძლია ქანთრი ბლუზიც მივაკუთვნოთ იმ განსხვავებით რომ ქანთრი ბლუზს უმეტესად რამდენიმე ინსტრუმენტი ასრულებს, მაგალითად ბანჯო და ვიოლინო. 2. კლასიკური ანუ "ქალაქური" ბლუზი, რომლის მუსიკალური სტრუქტურა უფრო რთულია. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმდინარეობამ ჩამოაყალიბა ეგრეთწოდებული თორმეტტაქტიანი ბლუზ-კვადრატი, რაც ტონიკა-სუბდომინანტურ-დომინანტური ფუნქციების სისტემურ მონაცვლეობას გულისხმობს. /4ტ-2ს-2ტ-1დ-1ს-1ტ-1დ/. გარდა ამისა კლასიკური ბლუზი ისეთი საინტერესო მიმდინარეობის საწყისად ითვლება, როგორიცაა ჯაზი. 3. რიტმ-ენდ-ბლუზი სამოციან წლებში გაჩნდა, მას შემდეგ, რაც მადი უოტერსმა ბლუზი ელექტრო-გიტარით დაუკრა. ეს უკვე მთელი გადატრიალება იყო. სწორედ სამოციანი წლების დასაწყისში გამოიგონეს ხმოვანი ეფექტი "ფუზ-ბოქსი", რომელმაც გიტარის ჟღერადობა საგრძნობლად დაამძიმა. ამას სხვა ინსტრუმენტების, მაგალითად დრამის ან ბას-გიტარის ჟღერადობის დამძიმება მოჰყვა და კლასიკური ბლუზის დამძიმებული ფორმა ანუ რიტმ-ენდ-ბლუზი მივიღეთ. 4. ბლუზ-როკი ანუ მძიმე ბლუზი კლასიკურის საზღვრებს უდავოდ სცილდება და მძიმე როკის საფუძვლად გვევლინება. ბლუზ-როკს ისეთ როკს ეძახიან, რომელსაც მკაფიოდ გამოვლენილი ბლუზ-საფუძველი გააჩნია. სამოციანი წლების ცნობილი ამერიკული რევოლუცია სწორედ ბლუზ-როკით დაიწყო. 5. სლაიდ-ბლუზი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლამაზი მუსიკალური მიმდინარეობაა, რომელმაც გავრცელება ბლუზის ყველა ფორმაში ჰპოვა. ამ ნაირსახეობის საფუძველი გახდა ეგრეთწოდებული ჰავაური გიტარა, რომელსაც განსხვავებული წყობა და საშემსრულებლო ტექნოლოგია ჰქონდა. ეს არის შედარებით მცირე ზომის გიტარა, რომელსაც მუხლებზე იდებენ და ბგერას რკინის ნაჭრის სიმებზე შეხებით გამოსცემენ. იმ შემთხვევაშიც კი, როცა გიტარა მუხლებზე არ უდევთ და ხელში უჭირავთ, მარცხენა ხელის არათითზე წამოცმული აქვთ ცილინდრის ფორმის შუშის ნაჭერი და სიმებს ამით ეხებიან. ასეთი ბლუზი ბევრმა ცნობილმა გიტარისტმა დაუკრა, საკმარისია რობერტ ჯონსონის, ერიკ კლეპტონის და ჯიმი პეიჯის სახელები გავიხსენოთ.

ბლუზისთვის ტექსტი არანაკლებ მნიშვნელოვანია ვიდრე მუსიკალური ქსოვილი. ლექსი უმეტესად მარტივია და ლამაზი, ხშირად კი იუმორითაა სავსე. ტექსტების თემატიკა ძალიან მრავალ-ფეროვანია, თუმცა უმეტესად შავკანიანების ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ეპიზოდებს ასახავს. ნებისმიერ შემთხვევაში, ბლუზ-მუსიკოსი ყველა მოვლენას საკუთარ, შინაგან მღელვარებას უკავშირებს. იმისთვის ვიცინი, რომ ცრემლი არ წამსკდესო, წერდა შავკანიანი პოეტი ლეგსტონ ჰიუზი. ბლუზი გაუზიარებელ სიყვარულს, ადამიანური ღირსების დაკარგვას, უსამართლობას, მძიმე შრომას, მონობის სიმძიმეს, ნოსტალგიას, საკუთარ სიღარიბესა და უიღბლობას უმღერის. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პირველადი ბლუზ-მომღერალი ექსპრომტად მოგონილი მელოდიის თანხლებით თავისი ცხოვრების ისტორიას ყვებოდა. თავდაპირველად, როგორც ჩანს, ბლუზი ინსტრუმენტული აკომპანემენტის გარეშე ჟღერდა და მხოლოდ ვოკალით იფარგლებოდა, ინსტრუმენტული დანამატები კი /ბანჯო, გიტარა, ტუჩის გარმონი ანუ ჰარპი, ფორტეპიანო/ ცოტა მოგვიანებით გაჩნდა.

თუ არქაული ბლუზის ფორმა მხოლოდ ფოლკლორია, ახალი ანუ "ქალაქური" ბლუზის ფორმა, თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი მუსიკალური სტრუქტურით, უკვე კლასიკად გადაიქცა. თავისი არსით კი, იგი თითქოს ცილდება კიდეც მუსიკის საზღვრებს, რადგან ბევრისთვის და ბევრისთვის იგი ცხოვრების წესია, მსოფლმხედველობა და ფილოსოფია, ზოგიერთებისთვის კი თავად რელიგიაც გახდა.

და ბოლოს... რა არის ბლუზი? "ბლუზი ისაა, როცა კარგი ადამიანი ცუდადაა" და ამას მუსიკალური ენით გადმოგვცემს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო ზაალიშვილი

ბეჟან შველიძე

ქართველ 60-ანელთა თვალსაჩინო წარმომადგენელი, მხატვარი ბეჟან შველიძე დაიბადა 1929 წელს, ზემო იმერეთის სოფელ შროშაში. დაამთავრა იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი (1957) და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი (1962). მის მასწავლებელთა შორის ბევრი ცნობილი ქართველი მხატვარი იყო, თუმცა, თავად ფერმწერი ყველაზე დიდი მადლიერებით სერგო ქობულაძეს და უჩა ჯაფარიძეს იხსენებს.

1964 წლიდან ბეჟან შველიძე საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია. აქტიურად მონაწილეობს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამართულ გამოფენებში. მიღებული აქვს ჯილდოები და პრემიები. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი. მრავალი წელია ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მისი ოჯახი ხელოვანთა ნამდვილ თანამეგობრობას წარმოადგენს—უკვე მიაღწიეს წარმატებებს შვილებმა ლიამ და მურთაზმა, სიძემ - მამუკა ცეცხლაძემ. მათი ფერწერული ნამუშევრები გამოირჩევიან მკაფიო ინდივიდუალობით და აქტიური შემოქმედებითი პოზიციით. ასეთია მოკლე ბიოგრაფია მხატვრისა, რომელსაც სხვა ქართველი შემოქმედთა მსგავსად მოუხდა ეპოქების მიჯნაზე, ფორმაციათა ცვლის პერიოდში, ფაქტიურად ორ, სრულიად განსხვავებულ ქვეყანაში და სისტემაში მოღვაწეობა, საკუთარი თავის ხელახლი პოვნა, შემოქმედებითი სულის შენარჩუნება ქვეყანაში მომხდარი კატაკლიზმების ფონზე.

ყველაფერი კი იწყებოდა საკმაოდ ჩვეულებრივად. ბეჟან შველიძის დებიუტი დაემთხვა ქართული მხატვრობისათვის საკმაოდ კეთილსასურველ გარემოსაც. ამ დროისთვის საქართველოში მხატვართა ცხოვრება გარკვეული ლიბერალიზმით გამოირჩეოდა. ბეჟან შველიძის ადრეული ნამუშევრების თემატიკა, ფერწერული ინტერესები კარგად ჩაეწერა დროის მოთხოვნებში. სურათები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებული იყო მშობლიურ კუთხესთან, იმერეთთან, გამოირჩეოდა გულწრფელობით და ფერწერული ძიების იმ დოზით, იმგვარი ამოცანებით, რომლებიც არ იწვევდნენ არვითარ კონფლიქტს არც ხელოვნებამცოდნეებთან, არც საგამოფენო ჟიურის წევრებთან. მისი „ქართული" ნამუშევრები ხშირად წარადგენდნენ რესპუბლიკის ხელოვნებას უცხოეთში. ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „მეთუნეები" (1967), „ქალიშვილები ბრონეულადან" (1968), „მეთუნე" (1973), „მეწისქვილე" (1972),

გამოირჩეოდნენ ერთდროულად გარკვეულწილად ახალი-ახალი მხატვრული ენითაც, თავშეკავებული სიმკაცრითაც და ამავდროულად ადგილობრივი ეგზო-ტიკითაც. ეს ძალზე ხიბლავდა ხელოვნების მოყვარულებს, აგრეთვე საბჭოთა კულტურული პოლიტიკის გამტარებლებს, რომელთაც სურდათ ეჩვენებინათ უცხოელებისთვის, როგორ უფრთხილდებოდნენ ეროვნულ თავისებურებებს.

ამ ყაიდის ნამუშევართა ერთგვარ აპოთეოზს სურათი „ჩემი იმერეთი" (1977) წარმოადგენს. მასში კონცენტრირებულადაა ნაჩვენები ყველაფერი, რასაც ტრადიციულად აკავშირებენ ამ კუთხესთან. კომპოზიციაში უხვადაა დახვავებული ქვევრები, ქოთნები, დოქები, ნაჩვენებია ადამიანების ყოველდღიური ყოფა – ქალები აცხობენ (ალბათ ხაჭაპურებს ან ჭადებს), მამაკაცები ამზადებენ და აჭაშნიკებენ ღვინოს, ვიღაცა ფიჩხს ეზიდება, სხვები ქსოვენ, ამოყავთ დოქი, სხვები ისვენებენ. ქვევრზე ამაყად წამოსკუპებული ბავშვის ფიგურა სურათს გარკვეულ სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს. სურათი რამდენადმე გადატვირთულია, სხვადასხვა ასაკის პერსონაჟები იკავებენ თითქმის მთელ ზედაპირს, ფაქტიურად ბუნებისთვის, იმერეთის აღქმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტისთვის ადგილი არ რჩება. კომპოზიცია გამსჭვალულია ლირიკული განწყობით, სიყვარულით.

მეტი სიმკაცრით და თავშეკავებულობით გამოირჩევა ბეჟან შველიძის ადრეული ნამუშევრებიდან ყველაზე ცნობილი კომპოზიცია „სადღეგრძელო" (1964). იგი მრავალ გამოფენაზე იყო წარდგენილი. სურათს ახლაც, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 60 წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით არ დაუკარგავს აქტუალურობა. თემას საბჭოთა მხატვრების უმრავლესობა ტრაფარეტულად წყვეტდა – ხატავდნენ ტანკებს, ბრძოლის სცენებს, პარადებს და ა.შ. ახალი მხატვრობის ქართველმა მხატვრებმა, აგრეთვე კინომატოგრაფისტებმა, მწერლებმა, ამ თემას თავისებური, უფრო ადამიანური გახსნა მოუძებნეს. ამ მიმართულებით ფიქრობდა ბეჟან შველიძეც. მისმა კომპოზიციამ ახლაც შეიძლება ააღელვოს მნახველი. ახლა იგი შეიძლება აღიქვას, როგორც საქართველოსთვის სხვადასხვა ომში დაღუპული ჭაბუკების რექვიემი. ლაკონური ბუნება, უბრალო ნატურმორტი და პერსონაჟთა მკაცრი რიტმი, სევდისა და იმედის შემცველი განწყობილება, ალბათ, მოხიბლავს ომის ვეტერანებსაც და ახალგაზრდებსაც.

ბეჟან შველიძე 70-იან წლებში ხშირად ხატავდა მოხუცებს – „დედა", „მოხუცი მხატვარი", „მეწისქვილე". იგი კარგათ ახერხებდა ასაკოვანი ადამიანების ფსიქოლოგიური განწყობის გადმოცემას, მათდამი პატივისცემის გამოხატვას.

მოჭადრაკის დაძაბული ფიქრის, კონცენტრირებული ყურადღების გადმოცემა სცადა მხატვარმა სპორტული გამოფენისთვის შესრულებულ კომპოზიციაში „ცაიტნოტი".

ამ პერიოდში შესრულებული ნამუშევრე-ბის უმრავლესობის კოლორიტი თავშეკავებულია, მხატვარი ამჯობინებს მომწვანო, ოქროსფერ ტერაკოტის ფერებს. თუმცა ამავე პერიოდში ზოგიერთ კომპოზიციაში არის ფერის უფრო აქტიური გამოყენების მცდელობა.

70-იან წლებშივე ჩაეყარა საფუძველი ნამუშევრების იმგვარ გადაწყვეტას, რომელმაც დიდი როლი ითამაშა 90-იან წლებში ბეჟან შველიძის მხატვრული ენის, კოლორიტის განახლებაში. სერია „ძველი თბილისი: („მზის ჩასვლა. ძველი თბილისი" (1974), „თბილისის კუთხე" (1974), „ძველი თბილისის ქუჩა" (1974), „გვიანი შემოდგომა", „ძველი ქალაქი" (1974), აგრეთვე „მთებში" და სხვა) მოიცავს სხვადასხვა დროს შექმნილ ნამუშევრებს. მათ ახასიათებთ თავისუფალი ნახატი, ფერის მნიშვნელობის გაძლიერება, ფაქტურის სიმდიდრე, პასტოზური წერის მანერა, ფერადოვანი გადაწყვეტა. მათშივე დევს იმპულსები, რომელმაც კარდინალურად შეცვალა მხატვრის შემოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1982 წელს მოსკოვში, გამომცემლობა „სოვეტსკი ხუდოჟნიკის" მიერ გამოცემულ ბეჟან შველიძის ალბომში თავმოყრილი იყო მხატვრის საუკეთესო ნამუშევრების რეპროდუქციები. სამწუხაროდ, ჩვენში, ბოლო ათწლეულის მანძილზე შექმნილი ვითარების გამო მხატვარმა ვერ შეძლო ახალი კატალოგის დაბეჭდვა, ნაკლებად იფინება, რის გამოც საზოგადოება ნაკლებად იცნობს ბეჟან შველიძის ნაწარმოებებს.

90-იანი წლების დასაწყისამდე მხატვარი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა თემატურ გამოფენებში, ჰქონდა შემოქმედე-ბითი შეკვეთები. კრიზისის დაწყების შემდეგ, აწყობილმა სისტემამ კრახი განიცადა, ბევრი ქართველი მხატვარი იძულებული იყო საზღვარგარეთ წასულიყო. დარჩენილთაგან ზოგი დეპრესიაში ჩავარდა, ველარ შესძლო საკუთარი ადგილის მოძებნა ახალ ვითარებაში.

ბეჟან შველიძე მათ შორისაა, ვინც შეძლო დაეძლია კრიზისი და ემუშავა ახალი მიმართულებებით, დაეწყო ტექნიკური თუ შინაარსობრივი ძიებანი.

სამუშაო მასალად მან მუყაო აირჩია, თუმცა ხანდახან ტილოსაც უბრუნდება. მთავარი სიახლე – თემატიკის და კომპოზიციის წინასწარი განსაზღვრის უარყოფაა. იგი უმთავრესად ინტუიციას ეყრდნობა. ყველაფერი უშუალოდ მუშაობის პროცესში იკვეთება. მხატვარი მუშაობას იწყებს დიდი ფერადოვანი ლაქების ფიქსირებით, რომელთა განლაგებაშიც ის გარკვეულ ესთეტურ მოთხოვნებს ეყრდნობა. გარკვეულ წილად სპონტანურად, შექმნილ დეკორატიულ ზედაპირზე წარმოშობილ სივრცეში იგი „ხედავს" მომავალი კომპოზიციის, ნიუს თუ პორტრეტის კონტურებს. მხატვარი აგრძელებს მუშაობას სურათის საერთო სახის ჩამოყალიბებამდე. ამ პროცესამდე ყველაფერი ერთგვარ „თამაშს" გვაგონებს.

ბეჟან შველიძის ამჟამინდელი მუშაობის პროცესი რამდენიმე სტადიად შეიძლება დაიყოს – ფონის მომზადების ძალზედ პასუხსაგები ეტაპი, შემდგომ დაკვირვების, ჭვრეტის სტადია, როდესაც მხატვარი თავისსავე შექმნილი ზედაპირის სიღრმეში ეძებს ხელშესახებ მომენტს შემდგომი მუშაობის გასაგრძელებლად და ბოლოს – აღმოჩენა. როდესაც ხდება მხატვრის ფანტაზიით დანახული გარკვეული ფორმების კრისტალიზაცია, მათი შემდგომი დამუშავება, ფაქტურის გამდიდრება, ფერადოვანი აქცენტების შექმნა.

ასე პოულობს იგი ქალების და მამაკაცების გამოსახულებებს, აფიქსირებს ტიპაჟს, განწყობილებას, ქმნის მრთოლვარე ზედაპირს...

მართალია სურათების კოლორიტი, არც მუშაობის მეთოდი, არც პლენერის ფაქტორი არ აკავშირებს შველიძეს იმპრესიონიზმთან, მაგრამ განწყობის შექმნის, შთაბეჭდილების გადმოცემის სურვილში იკვეთება ამგვარი, თუმცა საკმაოდ შორეული იმპულსები.

შველიძის ბოლო პერიოდის ნამუშევრებში, დაკვირვებული თვალი კიდევ აღმოაჩენს შორეულ თუ ახლო ასოციაციებს ძველი ოსტატების ნამუშევრებთან – მათ შორის არიან ერთგვარად რემბრანტისეული პერსონაჟებიც — „მამაკაცი წითელი ბერეტით", „მამაკაცი პროფილში მწვანე ფონით" (ნამუშევრების სათაურები პირობითია) ხან ჩნდება პერსონაჟების შესრულების დამახასიათებელი სირბილე რენუარს რომ მოგვაგონებს— "ქალი მაღალი ვარცხნილობით" და სხვა. ამავე სტილშია შესრულებული რამდენიმე ნიუ, აგრეთვე ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების პორტრეტები. ამ პერიოდის ნამუშევრების განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს წითელი ფერის როლი მისი სურათების საერთო განწყობის შექმნაში. კარგად მოძებნილი აქცენტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მათ აღქმაში.

ბეჟან შველიძის სურათების ნაწილი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრის კოლექციაშია, ნაწილი კი უცხოელ კოლექციონერებთან არის დაცული.

როგორადაც არ უნდა იყოს განწყობილი მნახველი „ახალი“ ბეჟან შველიძის, ანუ მხატვრის ახალი ნამუშევრების მიმართ, ცხადია, სწორედ მათ გადაარჩინეს მხატვარი პირდპირი და გადატანითი მნიშვნელობით, შეუნარჩუნეს მხატვრული სული.

იგი კვლავ აგრძელებს ამ მეთოდით მუშაობას. შესაძლებელია ეს სტადია არის გარკვეული მოსამზადებელი ეტაპი ბეჟან შველიძის კიდევ ერთი ახალი სახის შექმნისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პაატა იაკაშვილი

პირველი სახალხო კინოფესტივალი "მხე"

კინოფესტივალი კინოცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან მასზე ხდება შეჯერება ყველაფერი იმისა, რაც ერთი თუ რამდენიმე წლის მანძილზე გაკეთდა, წარმოჩნდება შემოქმედებითი პროცესის თავისებურება, გაბატონებული ტენდენციების ხასიათი ან მათი არ არსებობა...

ასეთი გახლავთ კინოფესტივალების დანიშნულება ზოგადად, მაგრამ ყოველ მათგანს, თავისი, დანარჩენებისაგან განსხვავებული მიზანიც აქვს. ეს რომ ასეა, ამას ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე საქართველოში გამართული კინოფესტივალებიც გვიდასტურებენ: 1974 წლიდან მოყოლებული, რამდენჯერმე ჩატარდა ქართული კინოს რესპუბლიკური კინოფესტივალი. აქ შეიძლებოდა წარდგენა ისეთი ფილმებისა, რომელთაც ე.წ. საკავშირო და მითუმეტეს საერთაშორისო ფესტივალებზე, იდეოლოგიური მოსაზრებით არასოდეს გააგზავნიდნენ... ქართული კინოსათვის კი, ამ ფილმებს დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა წამოჭრილი პრობლემების, სტილური, ჟანრული ძიებების ან კიდევ სამსახიობო შესრულების გამო.

სტუდენტური და ახალგაზრდული ფილმების ფესტივალი „ამირანი" კი, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკურად იწოდებოდა, მონაწილეთა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ საკავშირო უფრო იყო, რადგან მასში საბჭოთა კავშირში არსებული ყველა კინოსასწავლებელი მონაწილეობდა. 70-იანი და 80-იანი წლების პირველ ნახევარში „ამირანი" იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველაზე თავისუფალი კინოფესტივალი, სადაც შეფარული პროტესტის მატარებელი, ასე ვთქვათ, „ფრონდერული" განწყობილების მქონე ფილმებს დიდი გასავალი ჰქონდა. გარდა ამისა, ამ ფესტივალის ამოცანა იყო-ჩვენი კინოსკოლა, ანუ შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტი, სხვა კინოსკოლებს ეღიარებინათ, განსაკუთრებით საკავშირო კინოინსტიტუტ, ვგიკს, რომლის ხელმძღვანელობა არ გვცნობდა და ჩვენი კინოსკოლის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას მიზანდასახულად ხელს უშლიდა... კინოფესტივალმა „ამირანმა" ფარულ მიზანს მიგვაღწევინა: არათუ ბოლომდე თავისუფალ ფესტივალად დარჩა, საკავშირო კინოინსტიტუტთანაც მოაგვარა ურთიერთობა. მალე მათ თავადაც მიიღეს ამ ფესტივალში მონაწილეობა და თეატრალური ინსტიტუტის კინოფესტივალს ევროპისკენ გზა გაეხსნა...

ორივე ზემოხსენებულ კინოფესტივალს, მკვეთრად გამოხატული სოციალური ფუნქცია გააჩნდა, რაც მათ არსებობას სრულიად ამართლებდა. ამას ვერ ვიტყვით ისეთ კინოფესტივალებზე, როგორიც იყო „ოქროს საწმისი", ისტორიული კოლხეთის ნაპირებთან მცურავ გემზე ორჯერ ჩატარებული კინოფესტივალი და რამდენჯერმე გამართული ფესტივალი „ოქროს არწივი". პირველის მიზანი თავიდანვე გაურკვეველი იყო, მეორე, შავი ზღვის აუზის ქვეყნების კინოფორუმად უნდა ქცეულიყო, მაგრამ ვერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაიქცა. ასევე უშედეგო ცდაა ქართული ოსკარის „აიეტის" დაწესება, არც საქართველოს კინოაკადემიის პრიზი „ნატო" აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი, ერთხელ გასცეს, ეს იყო და ეს.

ამ წამოწყებათა წარუმატებლობა განაპირობა იმან, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან დღემდე სულ უფრო აშკარად იკვეთებოდა ქართული კინოს შემოქმედებითი კრიზისი. ამას დაემატა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური კრიზისიც. ცხადია, ასეთ დროს, არავის „ეფესტივალება". ერთადერთი, რაც ასეთ დროს შეიძლება გაკეთდეს, ეს შემოქმედებითი რეფორმისთვის ხელის შეწყობაა: მიზნობრივი კინოჩვენებები, განხილვები, დისპუტები. მაგრამ ფესტივალი, თუ მასზე წარსადგენი ღირებული არაფერი გაქვს, არავის სჭირდება. აი, ამიტომ აღმოჩნდა სოციალურ ფუნქციას მოკლებული ეს ოთხივე ფესტივალი.

ამ ბოლო წლებში ყურადღება მიიქცია თბილისში რეგულარულად გამართულმა კინოფესტივალებმა: „საჩუქარი", „პრომეთე" და „სესილი". პირველი-ორი უცხოელი კინემატოგრაფისტების და მათი ფილმების მონაწილეობით ტარდება, კინოსამყაროს კორიფეები აქ იშვიათი სტუმრები არიან და არც ფილმებია ბევრი, ამიტომ ეს ფესტივალები მსოფლიო კინოპროცესზე ფრაგმენტულ, მაგრამ მაინც წარმოდგენას გვიქმნის. ამ თვალსაზრისით, მათ ერთგვარი შემეცნებითი ხასიათი გააჩნიათ და ეს არის მათი სოციალური ფუნქცია.

ამავე ფუნქციას იძენს ახალგაზრდული ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „სესილი", რომელიც „ამირანის" თავისებური გაგრძელებაა.

დაბოლოს: სახალხო ფესტივალი „მზე", ფესტივალის იდეა, ქალბატონ მარინა სალუქვაძეს ეკუთვნის, რომელიც გულისხმობს ტელევიზიით საფესტივალო ჩვენებისას, ფილმის ორმაგ შეფასებას: პროფესიონალ კინომცოდნეთაგან დაკომპლექტებული ჟიურისა და ტელემაყურებელთა მიერ, რომლებიც სატელეფონო ზარების მეშვეობით გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას. ამ შემთხვევაში, ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა იმას, დაემთხვევა თუ არა ჟიურისა და მაყურებელთა აზრი ერთმანეთს. მთავარი ისაა, რომ მაყურებელი, ფილმის პასიური აღმქმელი, მის აქტიურ შემფასებლად გადაიქცევა, ანუ ფილმის ავტორებისთვის მაყურებლის აზრი ანგარიშგასაწევი ხდება. ქართულ კინოსაფესტივალო ცხოვრებაში, ეს სიახლეა. სიახლეა ისიც, რომ სახალხო ფესტივალი „მზე" ორი ნაწილისგან შედგებოდა და საერთო ჯამში ოთხ თვეს გაგრძელდა. ეს იმიტომ, რომ ფესტივალის ორგანიზატორებმა ისურვეს ნაჩვენები ყოფილიყო ბოლო წლებში გადაღებული ყველა ფილმი. ამასთან, ავტორებს უფლება მიეცათ წარედგინათ ერთი კი არა, რამდენიმე ნამუშევარი. საბოლოოდ სხვადასხვა მეტრაჟის 150 ფილმი შეგროვდა. ამ საკმაოდ დიდმა რაოდენობამ, ჩემს ერთ კოლეგას ისეთი აღფრთოვანებით ათქმევინა: „თურმე ქართული კინო ცოცხალია"-ო, როგორითაც, დარწმუნებული ვარ კოლუმბის საფლაგმანო გემის, „სანტა-მარიას", ანძაზე შემომჯდარ მეზღვაურს არ დაუყვირია, მიწა, მიწაო, როცა დიდი ხნის ტურის შემდეგ ხმელეთი იხილა... მართალია, ამ საყოველთაო სიდუხჭირის პირობებში, ბევრმა მოახერხა და ფილმი გადაიღო ანუ ქართული კინო ცოცხალია, მაგრამ საინტერესოა, თუ როგორი გახდა. აქ ზოგიერთ პრინციპული მნიშვნელობის კითხვას პასუხი უნდა გაეცეს. პირველი: რამდენად ჰპოვა გაგრძელება და განვითარება ამ ფილმებში ქართული კინოს საუკეთესო ტრადიციებმა? მეორე: რამდენად გამოიყენეს ფილმების ავტორებმა შემოქმედებითი თავისუფლება და აქედან გამომდინარე, ასახეს თუ არა თავიანთ სურათებში მართლად და დამაჯერებლად, ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური, კულტურული)? მესამე: რამდენად გამდიდრდა ჩვენი კინო: თემატური, ჟანრული და სტილური ნოვაციებით? დაბოლოს, მეოთხე: ამაღლდა პროფესიონალიზმი ქართულ კინოში თუ საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე?

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ხუთივე ნომინაციაში გამარჯვებული გამოვლინდა და მაყურებელთა შეფასებითაც ათმა სურათმა დიპლომი მოიპოვა, არც ფესტივალში მონაწილე სურათების რაოდენობა, არც გამარჯვებული ფილმების რაოდენობა, არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ამ კითხვებს დადებითად ვუპასუხოთ... ხოლო ერთი-ორი დაჯილდოებული და დაუჯილდოებელი ფილმი, საერთო სურათისგან გამორჩეული რომ არის, სიტუაციას ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლის... საფესტივალო ფილმების აბსოლუტურ უმეტესობას კავშირი არა აქვს ქართული კინოს საუკეთესო ეტაპების (გასული საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრისა და 60-იანი – 80-იანი წლების) შემოქმედებით მონაპოვართან. სრული შეგრძნებაა იმისა, რომ გაწყვეტილია დროთა კავშირი...

რაც შეეხება, შემოქმედებით თავისუფლებას: ერთეული გამონაკლისის გარდა, საერთო ტენდეცია ისეთია, რომ ფესტივალში მონაწილე კინემატოგრაფისტთა აბსოლუტური უმრავლესობა, განურჩევლად ასაკისა, არათუ ცდილობს ისარგებლოს ამ თავისუფლებით, არამედ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას აქტიურად გაურბის. ამიტომ ცდილობს არ დაინახოს ის პრობლემები, რომელთა წინაშეც ქართველი ერი დგას...

არც თემატური, ჟანრული, სტილური ძიებები იგრძნობა. ყველაფერი (ამასთან არცთუ ნიჭიერად) ქართულ კინოში უკვე არსებულის განმეორებაა, ან ევროპული და ამერიკული კინოს ზოგიერთი ტენდენციის გადამღერების უხეირო მცდელობა...

პროფესიონალიზმი მუდამ პრობლემა იყო ქართული კინოსთვის, თუმცა განვითარების ყველა ეტაპზე გვყავდა მაღალი დონის პროფესიონალები, ოღონდ ისინი ყოველთვის უმცირესობას წარმოადგენდნენ... ამ ფესტივალზე გაიელვა, რამდენიმე პროფესიონალურმა ნამუშევარმა, უმეტესობა კი არაპროფესიონალიზმის დაღს ატარებდა.

ჩვენი ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების შემოქმედებითი ფორმირება, ის არსებითი მნიშვნელობის საკითხია, რასაც ქართული კინოს მომავალი უნდა დაეფუძნოს. სახალხო ფესტივალზე ფილმების დიდი ნაწილი სწორედ მათ ეკუთვნოდათ: სტუდენტებს, დებიუტანტებს, უბრალოდ ახალგაზრდებს და სწორედ ამიტომ, აღსანიშნავია ის, რომ უმრავლესობის ფილმის ფაბულა და იდეა ეტიუდის ფარგლებს არ სცილდება, სამწუხაროდ, უნიჭოდ მოფიქრებული ეტიუდისას... რასაც ისინი გვთავაზობენ, არ ზოგადდება და სოციალურ ჟღერადობას ვერ იძენს. ამიტომ არაა საინტერესო. უყურებ სამყაროს ამ ბავშვურ ხედვას და რწმუნდები, რომ მათი შემოქმედებითი ზრდა სადღაც პირველ კურსზე შეჩერდა... შეუძლებელია არ დაგაფიქროს ამ ინფანტილიზმმა. შედარებისთვის ვიტყოდი: 70-იანი და 80-იანი წლების ახალგაზრდა კინემატორაფისტების ხედვა, უფრო მასშტაბურიც იყო და კრიტიკულიც, ის ფილმები მაშინდელი ეპოქიდან გამომდინარე პროტესტის თავისებურ გამოვლენასაც წარმოადგენდა. თუმცა შემოქმედებითი ხასიათის პრობლემები მათაც ჰქონდათ, ხშირად უჭირდათ მხატვრული სახის შექმნა, ან კიდევ სათქმელის განზოგადება, მაგრამ მაშინ კინო გაბედულებითა და ძიების სურვილიც ყურადღებას იქცევდა, ამასთან ისე, რომ იმ წლების ქართული ახალგაზრდული კინო ერთგვარ მითად იქცა... დღეს კი სახალხო ფესტივალზე ეს მითი საბოლოოდ დაიმსხვრა...

სამაგიეროდ, არაფერი შეცვლილა ქართულ მხატვრულ კინოში. აქ აღარც მითები შემოგვრჩა და აღარც ლეგენდები, შემოქმედებითი კრიზისი უკვე მრავალი წელია გრძელდება.

ერთი სიტყვით, ფესტივალზე მხატვრული კინო უფერულად წარსდგა, იმდენად უფერულად, რომ მე, როგორც ჟიურის წევრმა, წინადადება შევიტანე: არც ერთი ფილმისთვის არ მიგვეცა პრიზი. კოლეგები არ დამეთანხმნენ, ფესტივალის წესდება ამის საშუალებას არ იძლევაო ...

საფესტივალო ფილმებს შორის იყო ჯგუფი ფილმისა, დოკუმენტური და მხატვრული კინოს ხერხებით გადაღებული, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა გააჩნდა და ეძღვნებოდა ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს, ან კიდევ გასატარებელ თუ მიმდინარე რეფორმების თემას. პირველი ჯგუფის სურათებს აშკარად ეტყობოდათ ტენდენციურობა, მეორე ჯგუფის სურათებში კი სქემატიზმი და სწორხაზოვნება ბატონობდა. ამასთან ისე, რომ მათთან შედარებით 20-იანი წლების საბჭოთა აგიტფილმები ბევრად საინტერესოდ გამოიყურება... ორივე შემთხვევაში, ამ ფილმების მხატვრულ ღირებულებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ეს სურათები გარკვეულ ინფორმაციას შეიცავენ და გარკვეული ღირებულებების დამკვიდრებას ცდილობენ, მაგრამ ფესტივალზე მათ გასატანად ეს ნამდვილად არ არის საკმარისი...

ფესტივალმა ერთი ტენდენცია წარმოაჩინა, კერძოდ ის, რომ თითქმის ყველა ფილმს თან სდევს ტიტრები ინგლისურ ენაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ფილმის შექმნისას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორები თავიდანვე ფიქრობდნენ მათ საერთაშორისო ფესტივალზე გაგზავნას... განურჩევლად იმისა, როგორ მიიღებდა ამ ფილმს ქართველი მაყურებელი და ქართული კინოკრიტიკა, ან გაუჩნდებოდათ კი ამ სურათის რომელიმე ფესტივალზე წარდგენის სურვილი... აქედან ჩანს, რომ ჩვენი რეჟისორები ფილმებს მაყურებლისთვის კი არა, საფესტივალოდ იღებდნენ, რაც კინემატოგრაფისტებსა და მაყურებელს შორის გაუცხოების უფსკრულს ქმნის.

ნებისმიერ ფესტივალზე, რაოდენ სუსტი პროგრამაც არ უნდა იყოს შედგენილი, ყოველთვის არის რამდენიმე საინტერესო ნამუშევარი. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს იმას, დაჯილდოებულთა შორის აღმოჩნდება თუ არა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, როცა ასეთი ფილმი არ დაჯილდოვდება, ეს კურიოზული შემთხვევაა და ფესტივალებისთვის ერთგვარად დამახასიათებელი მოვლენაა. მსგავსი რამ ახლაც მოხდა და ჟიურის თვალთახედვიდან რამდენიმე ფილმი დაიკარგა...

ერთი მათგანი, რეჟისორების, ირინა ბოკუჩავასა და ლელა წიფურიას დოკუმენტური ფილმი „პელლეო", სვანეთს ეხება; მის ტრადიციებს, კულტურას, წარსულს და მათთან მიმართებაშია დანახული საქართველოს ამ კუთხის თანამედროვე ყოფა. ერთი შეხედვით, მსგავსი ტენდენციის ფილმები ჩვენში ადრეც ბევრი იქმნებოდა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. „პელლეო" სრულიად განსხვავებულია, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ავტორებმა უარი თქვეს ძველ სტერეოტიპებზე. ამიტომ აქ ის ეთნოგრაფიული მასალა აქცენტირებული და დღევანდელობის კონტექსტიდან ამოგლეჯილი არაა. პირიქით, დროთა კავშირი ყოველ კადრში შეიგრძნობა. შესაბამისად, ხედვითი და ხმოვანი ინფორმაციის ნაკადი ადვილად აღიქმება და სურათის მისიური ზემოქმედება დიდია, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორებმა ფილმისთვის ოპტიმალური ფორმა მოძებნეს.

ასევე ჯილდოს გარეშე დარჩა კიდევ ერთი საინტერესო ფილმი, ნიკო ტარიელაშვილის „ორშაბათ საღამოს". ამ სურათში ასეთი ამბავია ნაჩვენები: ევროპის ერთ ქალაქში ქართველმა კომპოზიტორმა ქართული სიმღერა დაწერა, ხოლო სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მის შესასრულებლად ემზადებოდნენ. მთელი ფილმი მზადებაა, რათა ფინალში ქართული სიმღერა აჟღერდეს.

სიმღერის დაბადების ეს ისტორია უკვე თავად ემოციური მუხტის მატარებელია, მაგრამ საყურადღებო ამ შემთხვევაში ის ახალგაზრდა ავტორია, რომელიც კარგად იცნობს დრამატურგიის კანონებს და სრულყოფილად ფლობს მონტაჟის ოსტატობას, ამიტომ არის ეს ოთხნაწილიანი ფილმი, ხელოვნების დასრულებული ნაწარმოები.

დასანანია, რომ ორივე, უდავოდ საინტერესო ფილმი დაჯილდოებული არ აღმოჩნდა. ამის მიზეზი დაუხვეწელი შეფასების სისტემაა, რათა მომდევნო ფესტივალებზე ანალოგიური შეცდომა არ განმეორდეს. დაჯილდოებული ფილმებიდან თქვენს ყურადღებას ორ სურათზე, დოკუმენტურსა და ანიმაციურზე შევაჩერებ.

ლევან ღლონტის დოკუმენტური ფილმი „ხახვის ცრემლები", ერთობ ორიგინალური ფორმით ეხება თანამედროვე საქართველოსათვის ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა სოციალური ემიგრაცია. ის ჩვენი საზოგადოების თითქმის ყველა ფენას შეეხება. ბოლო თვრამეტი წლის მანძილზე სახელმწიფოს უნიჭოდ ორგანიზების შედეგად დასადგურებულმა მატერიალურმა სიდუხჭირემ, მილიონამდე ჩვენს თანამემამულეს დაატოვებინა სამშობლო და უცხოეთში აძებნინა საარსებო წყარო. ამ ადამიანთა ცხოვრების ტრაგიკული ხასიათის წარმოსაჩენად, ფილმის ავტორებმა მთავარ გმირად აქციეს, არა ვინმე ტრეფიკინგის მსხვერპლი ან უიღბლო, სადმე სამადლოდ შეკედლებული ქართველი, არამედ პირიქით, წარმატებული ადამიანი, ვისაც გაუმართლა. ის გერმანიაში მოღვაწე ქართველ მუსიკოსზეა. ფილმში მის ყოველდღიურ საქმიანობას ვხედავთ. საკუთარი მანქანით ის ერთი პუნქტიდან მეორეში გადადის. ერთგან თავად უკრავს, მეორეგან ასწავლის დაკვრას, მესამეგან ორღანს შეაკეთებს და ასე, დაუსრულებლად. ჰყავს ცოლი და შვილი. ხშირად სტუმრობს დედა, თავადაც ჩამოდის საქართველოში. ჩვენი დღევანდელი კრიტერიუმებით ის წარმატებული პიროვნებაა, მან ხომ უცხოეთში ის მოიპოვა, რაზედაც სამშობლოში უარი უთხრეს: შესაძლებლობათა რეალიზების საშუალება და მატერიალური კეთილდღეობა, მაგრამ პერსონაჟის სწორედ ასეთი მდგომარეობა წარმოაჩენს მოვლენათა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტ არსს. ფილმის გმირის დედა შვილის წარმატებულ მდგომარეობაზე რომ ლაპარაკობს, ამბობს, კარგი იქნებოდა ამ ყველაფრისთვის სამშობლოში მიეღწიაო. ამ დროს ცრემლებს იწმენდს და იქვე განმარტავს, ცრემლი იმიტომ მდის, ხახვს რომ ვჭრიო... (მოქმედება სამზარეულოში ხდება). დედის ორაზროვანი პასუხი ის ლაკმუსია, რომელიც ამჟღავნებს მოჩვენებითი კეთილდღეობით დაფარულ ტრაგიკულ ყოფას სოციალური ემიგრანტისას, ვისაც წარმატებული ცხოვრება გერმანიაში კი არა, საქართველოში სურს. ეს არის ფილმის ავტორთა სათქმელი.

საინტერესოა ფილმის ფორმაც. ოპერატორის კამერა ზედმეტად არ აქტიურობს, ის უფრო დამკვირვებლის როლს ასრულებს, ცდილობს მოვლენათა ობიექტური ფიქსატორი იყოს. რაც შეეხება ხმოვანს, ხმაურს თუ არ ჩავთვლით, ერთი-ორი მელოდიაა და რამდენიმე კითხვა-პასუხი, ეს არის და ეს. ამას გარდა, ყურადღებას „ხახვის ცრემლების" მონტაჟური რიტმი იქცევს, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად მიესადაგება ნაჩვენები ამბის ლაკონური თხრობის სტილს.

ფილმის სახვითი გააზრების სისადავე, ის ოპტიმალური ფორმაა, რაც საჭიროა მასში წამოჭრილი პრობლემების მხატვრული ხორცშესხმისათვის.

ფესტივალის კიდევ ერთი გამარჯვებული, ირაკლი მახარაძის ანიმაციური ფილმია „ვინც მოვიდა გაუმარჯოს" („ოქროს საწმისი"). გასაოცარი ამბავია: მაშინ როცა ქართულ დოკუმენტურ კინოში წარსულის გადაფასების თემა ძნელად იკვლევს გზას, ხოლო მხატვრულში საერთოდ ვერ გაიკვლია, ამ ორნაწილიანმა ფილმმა, ეს შესძლო. ცხადია ანიმაციური კინოს სპეციფიკისა და ჟანრის კანონების გათვალისწინებით.

„ვინც მოვიდა გაუმარჯოს" („ოქროს საწმისი") ისტორიის სატირული გააზრების ცდაა. ფილმში დროის თვალსაზრისით, ორი ერთმანეთს საკმაოდ დაშორებული ამბავია ნაჩვენები, არგონავტთა ლაშქრობა კოლხეთში და XIX საუკუნე, რუსეთის ბატონობის ხანა საქართველოში. სატირის მახვილს რამდენიმე ადრესატი ჰყავს; ქართული ხასიათი უცხოელთა მიმართ სნობისტური დამოკიდებულების გამოა გაქილიკებული: ფილმში ოქროს საწმისს ბერძნები მედეას დახმარებით კი არ იტაცებენ, არამედ, არგონავტების ნახვით გახარებულმა, და მათთან ქეიფით გულნაჯერებმა, უცხოელებთან დაახლოებით აღფრთოვანებულმა ქართველებმა, აიღეს და ბერძნებს ოქროს საწმისი აჩუქეს...

ვერაფერს იტყვი, ისტორიის მეტად თავისებური ხედვაა, თუმცა ფილმის ავტორებს ორიგინალობისაკენ მისწრაფებას ვერ დასწამებ. მათ ასეთ პოზიციას, ისტორიული ანალოგები უმაგრებს მხარს, 1921 წელს ვიღაც-ვიღაცებმა ხომ გააჩუქეს საქართველოს ტერიტორიები, მაშასადამე ეროვნული საუნჯისადმი უპირობო დამოკიდებულება ყოველთვის პრობლემა იყო ჩვენთვის...

ასეთია ფილმის პირველი ნაწილი, მეორე, XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისს შეეხება, დროს, როცა ევროპული კულტურა მკვიდრდებოდა. იტალიური საოპერო დასის ჩამოსვლა და იტალიური მუსიკის ბუმი თბილისში ფრიად მახვილგონივრულადაა ნაჩვენები. სიახლეებით თბილისელების აღტაცება, მინიშნებაა ერთგვარი სნობისტური დამოკიდულებისა, და ბადებს კითხვას: ნუთუ სამი ათასი წლის მანძილზე არ შევცვლილვართ?... ასე იყო თუ ისე, ევროპული კულტურა შემოდიოდა და მკვიდრდებოდა, მაგრამ ეს სულაც არ აწყობდათ რუს კოლონიზატორებს. ფილმში სატირის გამოყენების კულმინაცია რუსი გენერლის მიერ ავიოვის იტალიური ოპერის დახურვის მომენტია...

ყურადღებას იქცევს ამ ფილმის სახვითი გააზრება. უპირველეს ყოვლისა, პერსონაჟების საოცრად გამომსახველი სახეები, მათ ხასიათს ზედმიწევნით ზუსტად რომ გადმოსცემს. არანაკლებ ნიჭიერადაა გადმოცემული ეპოქის თავისებურება, მისი კოლორიტი. პერსონაჟები და ქალაქის ხედები ხან ფოტოგრაფიული სიზუსტით გაიელვებს ეკრანზე, ხანაც უკიდურესად პირობითი სახით, ეს კონტრასტი რეალურისა და ირეალურის ზღვარზე დაატარებს მაყურებელს, ფილმის ავტორებს კი ირონიზირებისათვის უაღრესად მოსახერხებელ სახვით საფუძველს უქმნის. აშკარაა, მხატვარი და რეჟისორი სრული ურთიერთგაგებით ქმნიდნენ ამ ფილმს, ირაკლი მახარაძე ექსპერიმენტატორია და ამ სურათსაც ეტყობა ეს მაძიებლობა.

ასეთი გახლავთ ის ოთხი ფილმი, ორი დაუჯილდოებელი და ორიც დაჯილდოებელი, რომლებიც აშკარად გამო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირჩეოდნენ ფესტივალზე დემონსტრირებული სურათების მთლიანი მასიდან. ეს თემები და პრობლემები ჩვენთვის ესოდენ აქტუალური, რამდენიმე ავტორის მიერ დანახული და გააზრებული, როდის იქცევიან მძლავრ ტენდენციად ქართულ კინოში, ძნელი სათქმელია, საერთოდ, როდის დაინტერესდება ქართული კინოხელოვნება ერის ცხოვრების წიაღში მიმდინარე პროცესებით, როდის მიექცევა საგანგებო ყურადღება შემოქმედებით ძიებებს, ამაზე პასუხს სახალხო ფესტივალი „მზე" ნამდვილად ვერ გაგვცემს. ხოლო ის, რაც ნათელყო ამ ფესტივალმა, ეს ღრმა შემოქმედებითი კრიზისია...

ამ კრიზისს, კარგა ხნის ისტორია აქვს და რამდენიმე მიზეზის გამოა წარმოქმნილი. მე ორ მაგალითზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: პირველი, იდეური ორიენტირის დაკარგვა გახლავთ. კოლონიურ-კომუნისტური რეჟი-მის დროს შესაძლებელი იყო, ოფიციალური კინოკონიუნქტურის რაღაც საპირისპიროს შექმნა (ცხადია დასაშვების ფარგლებში), რომელსაც ცოტა მამხილებელი პათოსი ექნებოდა, ცოტა ჰუმანიზმი და ცოტაც კიდევ პატრიოტული მუხტი. ჟანრულ-სტილური გააზრებით ეს ფილმები ორად იყოფოდა: ერთი ქმნიდა კინოიგავს, მეორე ცხოვრების დოკუმენტური ასახვის ილუზიას. ამ ორი ჯგუფის ფილმებს აერთიანებდათ პოზიცია, რომელსაც „ფრონდერული" შეიძლება ვუწოდოთ, საფრანგეთის ისტორიაში იმ ცნობილი პოლიტიკური მოძრაობის სახელის ანალოგად, რომელიც თავის საწყის ეტაპზე ხელისუფლებისათვის უხიფათო პროტესტის ფორმას წარმოადგენდა... ასეთი ხასიათი ჰქონდა ქართულ „ფრონდერულ" კინოსაც, მაგრამ, როგორც კი გაქრა კონიუნქტურული კინო, გაქრა მისი ალტერნატივაც. ეს ჯერ კიდევ ე.წ. „პერესტროიკის" დროს მოხდა. ახლა ახალი მიზანი იყო საპოვნელი, ოღონდ ქართული კინო ამას ვერ ახერხებდა. აშკარა იყო, თავისუფლებამ დააბნია ხელოვანი, მან აღარ იცოდა რისი გადაღება შეიძლებოდა და რისი არა... ეს დაბნეულობა კინემატო-გრაფისტთა უმეტესობისათვის დღემდე გრძელდება... მეორე მიზეზი იმ გარემოში უნდა ვეძიოთ, სადაც ახალგაზრდა კინემატოგრაფისტები პროფესიას ეუფლებიან. ფესტივალში მონაწილეთა უმეტესობა, ჩვენი ეროვნული კინოსკოლის გამოშვებაა. ამ სკოლას კი სასწავლო-მეთოდოლოგიური და საინფორმაციო-ტექნიკური ხასიათის პრობლემები თავიდანვე ჰქონდა და ახლაც აქვს. ვიდრე თეატრალურ ინსტიტუტთან კინოფაკულტეტი გაიხსნებოდა, კინემატოგრაფისტთა შორის გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ქართული კინო მეტნაკლებად აღმავლობის გზაზე იდგა და, რაკი ქართულ კინოში რამდენიმე ნიჭიერი კინემატოგრაფისტი მოღვაწეობდა, ეს საკმარისი იქნებოდა კინოსკოლის შესაქმნელად. თავიდან ისე ჩანდა, რომ ჩანაფიქრმა გაამართლა. ქართული კინოს საუკეთესო სპეციალისტების მუშაობა იმ ახალგაზრდებთან და იმ შემოქმედებითმა თავისუფლებამ, რაც სანატრელი იყო საბჭოთა კავშირში არსებული ნებისმიერი სხვა კინოსასწავლებლის სტუდენტებისათვის, შედეგი გამოიღო და კინოფაკულტეტის სტუდენტებმა საინტერესო ფილმები შექმნეს, მაგრამ მალე გამჟღავნდა, რომ ისინი ცუდად ერკვეოდნენ დრამატურგიის, მონტაჟის, მსახიობთან მუშაობის სპეციფიკაში და კიდევ უფრო ცუდად, კინოწარმოების თავისებურებაში. დროთა განმავლობაში, სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ის უშუალობა, რითიც ახალგაზრდები ქმნიდნენ ფილმებს, მაღალმხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად არ გამოდგებოდა. მათ ფილმებში პიროვნული სატკივარი ვერ ზოგადდებოდა, საზოგადოებრივ პრობლემად ვერ იქცა. ამასთან, უჭირდათ გამოხატვის ფორმათა ძიება. გამოიკვეთა მათ ინტერესთა ცალმხრივობა: უპირატესობას ანიჭებდნენ ე.წ. პრობლემურ კინოს, უგულებელყოფდნენ ჟანრულს... ამას თავად ქართულ კინოში არასწორად არჩეულმა პრიორიტეტებმა შეუწყო ხელი. სანამ სასწავლო კინოსტუდიაში ქმნიდნენ სურათებს, სადაც მათთვის საგანგებო პირობები იყო, ისინი ყველა ვადების დარღვევით, თვეობით, ზოგჯერ წლობითაც იღებდნენ ფილმებს... მერე, როცა პროფესიულ სტუდიაში აღმოჩნდნენ და მკაცრი რეგლამენტაციის პირობებში უხდებოდათ ფილმების გადაღება, დაბნეულები უამრავ შეცდომებს უშვებდნენ. ჯერ კიდევ 1981 წელს, თავად ვესაუბრე კინოფაკულტეტის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კურსდამთავრებულს, რომელიც თავზარდაცემული იყო იმით, რომ მოცემულ ვადებში ვერ ეტეოდა და ამის გამო, შემოქმედებითი თვალსაზრისით, პრინცი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პულად მიუღებელ კომპრომისებზე უხდებოდა წასვლა... სხვები კიდევ უფრო ცუდ დღეში იყვნენ.

ეს ყველაფერი იმის შედეგი გახლდათ, რომ კინოხელოვნების სხვადასხვა სპეციალობათა პედაგოგებს, კინოსკოლაში მასწავლებლობა კი სურდათ, მაგრამ სწავლების ნება არ გამოუმჟღავნებიათ... შესაბამისად, სათანადო მეთოდოლოგია, რითიც პროფესიონალთა აღზრდა იქნებოდა შესაძლებელი, არ შეუმუშავებიათ. პედაგოგიური ნების არგამოვლინების შედეგს დიდი ხანია ვიმკით.

ასეთი გახლავთ ის სურათი, სახალხო ფესტივალმა „მზემ" რომ წარმოგვიდგინა. ასე რომ, ამ ფესტივალს ნამდვილად გააჩნია სოციალური ფუნქცია ანუ გამართლება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორიული ქრონიკა

პორტუგალიის მეფეები და დედოფლები

პორტუგალიელი ისტორიკოსის მანუელ დე სოუზას ავტორობით გამოცემულ წიგნს — 'პორტუგალიის დედოფლები და მეფეები" წინ უძღვის პორტუგალიის სამეფო დინასტიის წარმომადგენლის ჰერცოგ დუარტე დე ბრაგანსის წინასიტყვაობა. იგი თავადაც საუბრობს მეფეებისა და დედოფლების დიდი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, შემდეგ კი ავტორის ნამუშევრის ღირსშესანიშნავი სიდიადეს, ხოტბას ასხამს. თავის დროზე ეს პორტუგალიურმა გაზეთმა, 'დილის კურიერმაც" (კურეიუ დე მანია) — აღნიშნა. წიგნი უმაღლეს დონეზე, პორტუგალიის გამომცემლობა 'შპორპრესისმა" გამოსცა.

იგი მოიცავს პორტუგალიის ცხრა საუკუნოვან ისტორიას, ეპოქას, რომელიც პორტუგალიის პირველი მეფის აფონსუ ენრიკეშის (1139 წ.) ხელისუფლებით იწყება და მეფე მანუელ მეორით (1910 წ.) მთავრდება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მანუელ დე სოუზას თავის წიგნში მოჰყავს ძალზედ მნიშვნელოვანი მოსაზრება პორტუგალიელი ისტორიკოსის ჟულიო ვილეინას ნაშრომიდან — 'ისტორიულ რასებში", სადაც წერია: 'არსებობდა აღმოსავლეთში რეგიონი, რომლის დასავლეთით მდებარეობდა კოლხისა და პონტოს რეგიონის ნაწილი, ჩრდილოეთით კავკასიონი, აღმოსავლეთით კი ალბანეთი და სამხრეთით არმენია (სომხეთი). ამ რეგიონს ლათინელები იბერიას უწოდებდნენ, იქ მცხოვრებლებს კი იბერებს. იქიდან მოვიდნენ ნახევარკუნძულის (პირინეის) პირველი მცხოვრებლები, რომელსაც დაერქვა იბერია. ფუძე 'იბერია" ისევე, როგორც ფუძე 'არია" მიგრაციის არიულ წარმოშობაზე მიგვითითებს და ეს ვერსია უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება, მეცნიერული საფუძველი მას უფრო გააჩნია, ვიდრე სხვას, რომლის თანახმადაც 'იბერია" გამოდის ებროდან, — სამხრეთ ესპანეთის მდინარის სახელწოდებიდან."

ასეთი მოსაზრება მით უფრო საგულისხმოა, რომ ამას წერს არა ქართველი ისტორიკოსი ან რომელიმე ქვეყნის წარმომადგენელი, არამედ თვით პორტუგალიელი გამოჩენილი ისტორიკოსი, ჟულიო ვილეინა.

რაც დრო გადის, მით უფრო დიდ ინტერეს იჩენს მსოფლიოს ცივილიზებული სამყარო უძველესი საქართველოს მიმართ. ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ ერთი მილიონი რვაასი ათასი წლის წინათ ცხოვრობდა პირველყოფილი ადამიანი და ეს უძველესად ითვლება ევრაზიაში. მართალია არსებობს ბევრი პირველი წერილობითი წყარო უძველეს ქართველ ტომთა შესახებ, მაგრამ პორტუგალიურ წიგნს უდიდესი ისტორიული შემეცნებითი ღირებულება გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ სახელოვან ქართველ მეფეთა ცხოვრების ამსახველი მდიდარი ისტორიული ლიტერატურა გაგვაჩნია, კარგი იქნება ჩვენი მეფეების შესახებ საქართველოშიც ასეთ მაღალ დონეზე შესრულებული ცალკე წიგნი გამოიცეს, რომელიც ქართველ ერს სამაგიდო წიგნად დარჩება.

ქ. ლისაბონი
მამუკა მაისურაძე
28 აგვისტო, 2005 წ.

2005 წლის ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში, დიდ ბრიტანელ მწერალს, ჰაროლდ პინტერს მიაკუთვნეს. ლაურეატის დასახელებას წინ საკმაოდ სკანდალური სიტუაცია უძღოდა. ჯერ იყო და, ლაურეტის დასახელება ერთი კვირით გადაიდო, შემდეგ ინფორმაციამ ამ ყველაზე "დახურულ კარს მიღმა"' კომისიიდანაც კი გამოჟონა. ოფიციალურად ნომინანტები არავის დაუსახელებია, მაგრამ კულუარული ინფორმაციით აქტიურად განიხილებოდა თურქი მწერლის, ორჰან პამუკის კანდიდატურა. ამ უაღრესად საინტერესო მწერალს, ვინც სტამბოლის მისტიკური გზამკვლევების აღწერით გახდა ცნობილი, სამშობლოში სერიოზული უსიამოვნებები ემუქრება. რამდენიმე მძაფრი განცხადების შემდეგ იგი პოლიტიკური და არა მხოლოდ პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოექცა. გავრცელებული აზრით ნობელის პრემია მისთვის ნამდვილად თანადროული იქნებოდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ შესანიშნავ რომანებს წერს, კიდევ იმიტომაც, რომ ავტორიტარული რეჟიმები ნობელის პრემიის ლაურეატებს ჯერ კიდევ ფრთხილად ექცევიან. წამოტივტივდა სხვა სახელებიც: პალესტინელი ადონისი /ალა ახმადა საიდი/, ამერიკელი ჯოის კეროლ ოუტსი, კორეელი კო უნა და ინდონეზიელი პრამიზდია ანანტა ტოერა.

ყოველივე ამას წინ ხმაურიანი სკანდალი უძღოდა. პროტესტის ნიშნად აკადემია ოთხმოცდაორი წლის კნუტ ანლუნდმა დატოვა. ამის ოფიციალურ მიზეზად 2004 წლის ნობელის პრემიის ელფიდე ელენიკესათვის მინიჭება დაასახელა, თუმცა ეს გადაწყვეტილება თავის დროზე ავტორმაც კი არ მოიწონა და არც პრემიის მისაღებად ჩამოვიდა. ასეთი გადაწყვეტილება ამ პრემიის რეპუტაციას ლახავსო, განაცხადა ანლუნდმა და აკადემია დემონსტრატიულად დატოვა, თუმცა ისიც გაუგებარია ამის სათქმელად ერთი წელი რისთვის დაჭირდა. აკადემიის მდივნის, ჰორაციო ენგდალის აზრით ანლუნდს მხოლოდ საზეიმო ცერემონიალის დაკნინება სურდა, რადგან 1996 წლიდან მოყოლებული არც ერთ მსჯელობაში მონაწილეობა არ მიუღია.

ბოლოს და ბოლოს აკადემიამ დაასახელა ლაურეატი: სამოცდათოთხმეტი წლის ჰაროლდ პინტერი, დიდი ბრიტანეთის ომისშემდგომი დრამატურგის აღიარებული კლასიკოსი, შექსპირის, ევროპულის, ლევინ კოენის, ლოურენს ოლივიესა და მოლიერის პრემიების ლაურეატი, პიესების, კინოსცენარების, პოეტური კრებულების ავტორი, რეჟისორი და მსახიობი.

შემოქმედებითი მოღვაწეობა მსახიობობით დაიწყო და თითქმის ათი წელი, დევიდ ბერონის ფსევდონიმით, სხვადასხვა თეატრალურ დასებთან თანამშრომლობდა. პირველი პიესა "ოთახი" 1957 წელს გამოაქვეყნა. ამას მოყვა გახმაურებული პიესები: "დარაჯი", "საყვარლები", "შინ დაბრუნება", "ღალატი", "კოლექცია", "არავის მიწა".

მას ასევე იცნობენ, როგორც შემდეგი ფილმების სცენარის ავტორსა და რეჟისორს: "მსახური", "უბედური შემთხვევა", "შუაკაცი", "ფრანგი ლეიტენანტის ქალი", "ღალატი".

2003 წელს ლექსების კრებული "ომი"' გამოაქვეყნა, რითიც ერაყის ომი გააკრიტიკა და უილფრედ ოუენის პრემია მოიპოვა.

2005 წლის გაზაფხულზე სამოცდათოთხმეტი წლის პინტერმა განაცხადა პიესებს მეტად აღარ დავწერო. სამაგიეროდ სხვა ჟანრებით, განსაკუთრებით კი პოეზიით დაინტერესდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კაცობრიობის ისტორიის მანძილზე შექმნილი ათი ყველაზე მავნე წიგნი დაასახელეს. პირველი ადგილი ამ სიაში მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებს კარლ მარქსსა და ფრიდრიჰ ენგელსს უჭირავთ. ჟურნალ "უმან ვენტს"-ის მიერ გამოქვეყნებული სია ასე გამოიყურება:

1. "კომუნისტური პარტიის მანიფესტი" – კარლ მარქსი, ფრიდრიჰ ენგელსი – რომელიც მარქსიზმის საფუძვლებსა და კლასობრივი ბრძოლის ისტორიას ქმნის.
2. "ჩემი ბრძოლა" – ადოლფ ჰიტლერი – ნაციზმის ბიბლია, რომელიც რასობრივ თეორიას ქმნის.
3. მაო ძე დუნის ციტატები – კომუნისტური ჩინეთის ბელადის სიტყვები "კულტურული რევოლუციის" დროს.
4. "ადამიანი-ხვადის სექსუალური ქმედება" – ამერიკელი ალფრედ კინსი – სექსუალური სიმახინჯეებისა და ამორალური ქმედებების აღწერა.
5. "დემოკრატია და განათლება" – ამერიკელი ჯონ დუი – რელიგიისა და საყოველთაო მორალის უარყოფა.
6. "კაპიტალი" – კარლ მარქსი – ნაშრომი კაპიტალიზმის მავნებლობისა და კომუნიზმის გამარჯვების ეკონომიკური საფუძვლების შესახებ.
7. "ქალურობის საიდუმლოება" – ამერიკელი ბეტი ფრიდენი – ფემინიზმის"ბიბლია.
8. "პოზიტიური ფილოსოფიის კურსი" – ფრანგი ოგიუსტ კონტი, პოზიტივიზმის ფუძემდებელი – მეცნიერება არ უნდა იკვლევდეს მიზეზს /რატომ/, მისი საქმეა იკვლიოს როგორ.
9. გერმანელი ფრიდრიჰ ნიცშე – ზეადამიანის თეორია.
10. "ფულისა და დასაქმების პროცენტის ზოგადი თეორია" – ინგლისელი ჯონ მეინარდ კეინსი – ეკონომიკაში სახელმწიფოს ზედმეტად აქტიური როლის მოთხოვნა.



ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მოძებნეს იმ პაპირუსების გაშიფრვის საშუალება, რომლებზედაც რამდენიმე ასეული ძველბერძნული კომედია, ტრაგედია და პოემაა ჩაწერილი. მეცნიერებმა ხელნაწერი ინფრაწითელი სხივების მეშვეობით გაშიფრეს და განსაცვიფრებელ აღმოჩენას წააწყდნენ: პაპირუსებზე დაცული სოფოკლეს, ევრიპიდეს, ჰესიოდესა და ანტიკური სამყაროს სხვა გიგანტების ნაწარმოებები აღმოჩნდა. ეს პაპირუსები ცენტრალურ ეგვიპტეში, ძველი ბერძნული ქალაქის გათხრების დროს ნაგვის გროვაში იპოვნეს. იგი ძალიან დაზიანებული აღმოჩნდა, მაგრამ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით მათი აღდგენა შესაძლებელი გახდა. აკადემიკოსების განცხადებით ამ აღმოჩენის შემდეგ ანტიკურ მწერალთა ნაწარმოებების რაოდენობა ოცი პროცენტით გაიზრდება. ტექსტები ლათინურ, ძველებრაულ, სირიულ, არამეულ, არაბულ და ძველსპარსულ ენებზეა შექმნილი.



ცნობილმა იაპონელმა მწერალმა კენძაბურო ოემ საკუთარი სალიტერატურო პრემია დაარსა. "ნომინანტები საპრემიო თანხას არ მიიღებენ, - განაცხადა მან. – ჩემი მიზანია მსოფლიოს ნამდვილი, ჭეშმარიტი ლიტერატურის ნიმუშები წარვუდგინო".

პირველი სალიტერატურო "კენძაბურო ოეს პრემია" 2006 წლის ბოლოს გამოჩნდება



გიზას უდაბნოში, სფინქსისგან 1,6 კილომეტრის დაშორებით, ახალი სამარხი აღმოაჩინეს, რომელიც გაქურდული არ აღმოჩნდა. არქეოლოგების აზრით 1x2 მეტრის ზომის სარკოფაგში მოთავსებული მუმია დაახლოებით 4500 წლისაა და სფინქსის მშენებელთა ზედამხედველს, ნენი სოუტ ვიზარტს ეკუთვნის. იგი ხეოფსის მეოთხე დინასტიის ეპოქაში ცხოვრობდა.

ეგვიპტის მთავრობამ გადაწყვიტა პირამიდების ირგვლივ ორმოცდათხუთმეტი ჰექტარი მიწა შემოღობოს და მსოფლიოში უდიდესი სამუზეუმო კომპლექსი გააშენოს. დაახლოებით თხუთმეტი კილომეტრის სიგრძის ღობეს ოცი ალაყაფი დაამშვენებს. ეს ალაყაფები ისე განლაგდება, რომ პირამიდები არ დაფაროს. ახლად აშენებულ კომპლექსში, რომლის გახსნაც 2009 წლისთვისაა დაგეგმილი, ეგვიპტის მთელი ისტორია იქნება წარმოდგენილი. იქ დაახლოებით 1500 ექსპონატი განთავსდება. კომპლექსის ირგვლივ სარესტავრაციო სახელოსნოები, ლაბორატორიები და საბავშვო მუზეუმი აშენდება.



შოტლანდია ოფიციალური პოეტის თანამდებობის შექმნას აპირებს. მისი მოვალეობა იქნება ღრმად გაერკვეს მიზეზებში და მაქსიმალურად შეამციროს თვითმკვლელთა რიცხვი, განსაკუთრებით ჩრდილოეთ მთიან რეგიონებში. უკანასკნელი მონაცემებით შოტლანდიას თვითმკვლელობათა რიცხვით მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. ამოცანა მეცნიერული უფროა, ვიდრე პოეტური, რადგან თვითმკვლელობათა სტატისტიკისა და ფსიქოლოგიური პრობლემების დეტალური შესწავლა გახდება საჭირო. გარდა ამისა, უნდა გაირკვეს შეუძლია თუ არა პოეტურ და შემოქმედ საზოგადოებას ამ რთული, ფსიქოლოგიური პრობლემის გადაჭრა. საწინააღმდეგო აზრი უკვე ჩამოყალიბდა. ბევრს მიაჩნია, რომ ეს უკუშედეგს გამოიღებს, რომ პოეზია თვითმკვლელობას რომანტიკული შარავანდედით შემოსავს და ამით უფრო მიმზიდველს გახდის.



მარია კალასის პირადი წერილების გამოქვეყნებას დიდი ხმაური მოჰყვა. წერილებიდან ჩანს, რომ ლეგენდარული საოპერო მომღერალი კოლეგებთან ურთიერთობისას არცთუ თავაზიანი ყოფილა. "შენ რა, საკუთარი ჭკუის ნაცვლად სხვისი კრეტინი ტვინით ფიქრობ?", განრისხებული მიმართავს „მეტროპოლიტენ-ოპერას„ ცნობილ იმპრესარიოს, რუდოლფ ბინგს, რომელმაც ბოლოს და ბოლოს იგი თეატრიდან გამოისტუმრა. მეორე წერილში არანაკლებ მკვახედ პასუხობს, როცა სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობის მიღება შესთავაზეს: "თვალის დასანახად მეჯავრება პატარა ეკრანზე გადატანილი ოპერა; თანაც ისეთი, ადამიანთა გემოვნებაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა რომ აქვთ".

მარია კალასი, ბერძნული წარმოშობის ამერიკელი მომღერალი ქალი, რომელმაც მსოფლიოს თავი განსაცვიფრებელი ამპლიტუდისა და გამომსახველობის მქონე ხმით დაამახსოვრა, თავისი დროის ლეგენდა იყო. მას ურთულესი პარტიების შესრულება შეეძლო და ამასთანავე განსაკუთრებული აქტიორული ნიჭით გამოირჩეოდა. მის ირგვლივ უამრავი მითქმა-მოთქმა და ლეგენდა ტრიალებდა. ხან ამბობდნენ უქმეებზე ოცდაერთი ჩემოდნით მიემგზავრებაო, ხან მილანში სპეციალურ თვითმფრინავს აგზავნიდა, რათა მისი თილისმა – წმინდა სამების პატარა ხატი ჩამოეტანა. განსაკუთრებულ ინტერესს კი მისი რომანი იწვევდა ბერძენ გემთმშენებელ მაგნატ არისტოტელე ონასისთან, რომელმაც იგი მიატოვა და ცოლად ჟაკლინ კენედი ითხოვა.

ერთ-ერთ წერილში კალასსა და „მეტროპოლიტენ-ოპერას„ შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების მიზეზიც იხსენიება. როგორც ჩანს, ოპერამ კალასთან კონტრაქტი მხოლოდ იმიტომ გააუქმა, რომ დაგეგმილი მსოფლიო ტურნეს ნაცვლად ამ უკანასკნელმა ამერიკის ქალაქებში წასვლა ისურვა, რადგან მატერიალურად ეს უფრო მომგებიანი ეჩვენა.

წერილებიდან ჩანს, რომ თავაზიანი არც კოლეგებთან ურთიერთობისას ყოფილა. ერთხელ, მაგალითად, "აიდას" რეპეტიციის შემდეგ, დირიჟორ ფაუსტო კლევს განუცხადა: "სულ ეს არის თქვენი ოსტატობა? არა, ბატონო, მე ამას მიჩვეული არ ვარ".

წერილების კოლექცია ლონდონში, კრისტის აუქციონზე გაიყიდება.

რომის პაპი, ბენედიქტ მეთექვსმეტე, სახალხოდ ილაშქრებს ჯოან როულინგის "ჰარი პოტერის" წინააღმდეგ. წერილები, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წელს მან გერმანელ მკვლევარს, გახმაურებული წიგნის "ჰარი პოტერი, კარგია თუ ცუდი"-ს ავტორს, გაბრიელ კუბის გაუგზავნა, სწორედ ახლა, "ჰარი პოტერის" ახალი, მეექვსე წიგნის რეკლამირების დროს გამოქვეყნდა. კათოლიკური ეკლესია ჰარი პოტერს ჯადოქრობითა და ოკულტიზმით მეტისმეტი გატაცებისა და ჭეშმარიტი ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის ადანაშაულებს. "ამ დახვეწილმა ცდუნებამ ჯერ კიდევ თოთო სულში ქრისტიანული საწყისი შეიძლება დაამახინჯოს", წერს პაპი.

7.1027

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჟან შველიძე

აბსტრაქცია



პეიზაჟი

n.23/B

ISSN 1512-3189